

წ. ჯაფარიძე, ა. ბეგლარი

თილის რიგნაზი



«ნაკაყული»-თბილისი-1970

ლევ ლიპინისა და აბრამ ბელოვის წიგნი ძირითადად აშუქებს ძველი შუამდინარეთის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს, რომელიც დაკავშირებული ასურეთის მეფის ასურბანიფალის (ძვ. წ. 669—633 წწ.) სახელთან.

მას საფუძვლად დაედო ამავე მეფის „თიხის წიგნების“ ბიბლიოთეკის — მსოფლიოში უძველესი წიგნთსაცავის — აღმოჩენის საინტერესო ისტორია.

მკითხველი გაეცნობა ძველი აღმოსავლეთის ხალხების — ბაბილონელების, შუმერების, აქადელების, ელამელების, ასურელებისა და სხვათა ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, მეცნიერებასა და ხელოვნებას, ენასა და დამწერლობას, კანონებსა და სარწმუნოებას.

ავტორების მიერ მოყვანილი მითები, მატიანეები, სპარტლის წიგნები თუ იურიდიული ტექსტები ნამდვილი დოკუმენტებია.

თ ა რ გ მ ნ ე ს .
 ი რ ა კ ლ ი ნ ა ნ შ კ ა შ ვ ი ლ შ ა
 და
 ე ლ ე ო ნ ო რ ა ჩ ი ბ ო ზ ი ძ ე მ

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

გასული საუკუნის ბრწყინვალე აღმოჩენებს შორის, რომლებიც კაცობრიობამ შოიპოვა მეცნიერების სხედასხვა დარგში, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკირავს ლურსმული დამწერლობის გაშიფვრას. ადამიანთა დაუცხრომელი შრომის შედეგად ამოიხსნა საიდუმლო, რომელსაც თიხისაგან დამზადებული ჩვეულებრივი პატარა ფირფიტები ინახავდნენ მრავალი საუკუნის მანძილზე.

ამ სენსაციური აღმოჩენით აკრელებული იყო მრავალი ქვეყნის პრესა მე-19 საუკუნეში. შუა ხანებიდან. ლურსმული წარწერების გაშიფვრისადმი ინტერესი გაიზარდა მომდევნო ხანებშიც, როცა მესოპოტამიური თიხის ფირფიტების დამწერლობის ამოხსნამ შესაძლებელი გახადა ლურსმული დამწერლობის კიდევ სხვა სისტემების ამოშიფვრა.

ამ დიდი აღმოჩენის შემდეგ ალაპარაკდა საუკუნეებით დადუმებული ლურსმული ტექსტები არა მარტო შუამდინარეთიდან, არამედ სამხრეთ ამიერკავკასიიდან, ირანიდან, მცირე აზიიდან (ანატოლიიდან), ჩრდილოეთ სირიიდან. ამიერიდან კაცობრიობის ისტორიას შეემატა უძველესი ცივილიზაციის კერები: შუმერი, ასური, ბაბილონი, ურარტუ, ხათი (ხეთების ქვეყანა), ელამი, ხური (ხურიტების ქვეყანა), უგარტი, მარი, ალააზი და სხვა მრავალი.

ლურსმული სამყაროსადმი ინტერესი არ შენელებულა ჩვენს დროშიც, კოსმოსის ათვისების ხანაში. თუ ადრე სპეციალისტების გონება მიპყრობილი იყო ლურსმული დამწერლობის განიფერისაკენ, ახლა უკვე მთელი ყურადღება გადატანილია ლურსმული ტექსტების მონაცემთა შესწავლისა და მეცნიერული დამუშავებისაკენ. წარმატებებს წარმატებები მოსდევს. მსოფლიოს ასირიოლოგები, მათ შორის საბჭოთა ასირიოლოგების მძლავრი რაზმი, სულ ახალ შედეგებს ღებულობენ ლურსმული სამყაროს შესწავლის დარგში.

წელი არ გავა, რომ ჩვენში, ისევე როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, არ გამოქვეყნდეს ნაშრომი, რომელიც პოპულარული ფორმით მოგვეთხრობს ამ მიღწევებზე. სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში დგას კვლავ ძველი შუა-

მდინარეთი (მესობოტამია) — კაცობრიობის ცივილიზაციის ეს ერთ-ერთი უძველესი კერა. ბოლო წლებში განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის ი. კლიმას სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომს ძველი შუამდინარეთის საზოგადოებასა და კულტურაზე, რომელიც რუსულადაც დაიბეჭდა პრალაში 1967 წელს.

ასირიოლოგიის მიღწევათა პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი ითამაშა ლ. ლიზინისა და ა. ბელოვის წინამდებარე ნაშრომმა, რომელიც ქართულად, სამწუხაროდ, დაგვიანებით ითარგმნა. მართალია, ეს წიგნი მიძღვნილია ასურეთის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის, უძველესი წერილობითი ძეგლების შემკრებლის, ღრმად განსწავლული მეფის — ასურბანიფალის ეპოქისადმი, მაგრამ ავტორები ამ პერიოდთან დაკავშირებულ საკითხთა ვიწრო წრით როდი შემოიფარგლნენ. ისინი პარალელურად მოგვითხრობენ აგრეთვე ლურსმული დამწერლობის გაწიფვრის საინტერესო ისტორიას, შიგადაშიგ მკითხველს აწოდებენ მოკლე ცნობებს ამა თუ იმ ძველადმოსავლურ ძეგლის, ტომისა თუ ხალხის პოლიტიკური ისტორიის შესახებ, ავტორები დამაჯერებლად წარმოუდგენენ მკითხველს ძველადმოსავლური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მოკლე სურათებს. ისინი მოხდენილად იყენებენ აგრეთვე თიხის „წიგნების“ მითითებებს საბუხებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების, მედიცინის, ფარმაცოლოგიისა და სხვათა შესახებ. მათი გაცნობის შემდეგ ახალგაზრდა მკითხველი დინახავს, რომ მთელ რიგ თანამედროვე მეცნიერებებს, რომლებიც ამჟამად განვითარების არნახულ დონეზე დგანან, ღრმად აქვთ ფესვები გადმული შორეულ წარსულში. დიდი ინტერესით გაეცნობა მკითხველი მესობოტამიურ მითებსა და თქმულებებს, საიდანაც კარგად ჩანს, რომ რიგი საკაცობრიო პრობლემა თანამედროვეობისა, მათ შორის, სიცოცხლის გახანგრძლივებისა თუ „ცაში აჭრის“ საკითხები, უხსოვარი დროიდანვე აღელვებდა ადამიანს.

წიგნის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ყურადღების გამახვილება მათზე, ვინც თავისი უმწიკლო მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა ასირიოლოგიაში. მკითხველი გაეცნობა გერმანელ მასწავლებელს გ. გროტეფენდს, ინგლისელ ჯ. სმიტს, რომელიც წარმოშობით მუშა-გრაფიორი იყო, რუს მკვლევარებს მ. ვ. ნიკოლსკის, ბ. ა. ტურაევს და სხვა მრავალ საზღვარგარეთელ თუ რუს მეცნიერს, რომლებმაც ადრეული ხანებიდანვე დიდი წვლილი შეიტანეს ასირიოლოგიის განვითარებაში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი ავტორებს განხილული აქვთ საქმის ისეთი ღრმა ცოდნითა და ახალგაზრდა მკითხველისათვის ადვილად მისაწვდომი ფორმით, რომ წინამდებარე ნაშრომი დღესაც არ საჭიროებს არსებითი ცვლილებების შეტანას, თუმცა ამ წიგნის მეორე გამოცემა რუსულად ათზე მეტი წლის წინ გამოქვეყნდა. ჩვენ მხოლოდ საჭიროდ ვცანით წიგნში აქა-იქ მიკვეთიებონა ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებშიც ლაინტერესებულ მკითხველს შეეძლება დაწვრილებით გაეცნოს მისთვის საინტერესო საკითხს უკანასკნელი გამოკვლევების შუქზე.

წიგნის ის ნაწილი, სადაც რუსული ასირიოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენლებზეა საუბარი, ამჟამად მოითხოვს სათანადო გაფართოებას, რასაც ავტორები, ჩვენის აზრით, უდავოდ გააყვებენ მომავალში. საქმე ისაა, რომ წიგნის ბოლო გამოცემის შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეთა რიგებს გამოაყლდათ საბჭოთა ასირიოლოგიის სიამაყენი, აკადემიკოსები ვ. ვ. სტრუვე და ა. ი. ტიუმენევი, რომელთა პორტრეტებს მკითხველი წინამდებარე ნაშრომში ვერ იპოვის. ამ მეცნიერთა ნაშრომები უძველეს შეამდინარეთზე მსოფლიო ასირიოლოგიის ოქროს ფონდშია შესული.

წინამდებარე წიგნის ბოლო გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ დიდი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა ურარტოლოგიამ, რის გამოც მომავალში უნდა გაფართოვდეს აგრეთვე ამ წიგნის ის ნაწილი, სადაც ურარტუზეა მსჯელობა. რაგორც ცნობილია, ურარტული ტექსტების დაქუთუხებისა და გამოქვეყნების საქმე, და საერთოდ, ურარტული ენისა და ურარტუს ისტორიის შესწავლის საქმე, დიდად აწასწია წინ გამოჩენილმა საბჭოთა ისტორიკოსმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ა. მელიქიშვილმა, რომელმაც დაუღალავი შრომა გასწია ურარტული ლურსმული წარწერების კრებულის გამოსაქვეყნებლად. მანვე შექმნა მეორე ფუნდამენტური ნაშრომი ურარტუს ისტორიაზე. ამ ორმა წიგნმა დიდ მეცნიერს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. ამავე ნაშრომებისათვის გ. ა. მელიქიშვილს ლენინური პრემია მიენიჭა.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ურარტუს ისტორიისა და კულტურის შესწავლა ახალი აღმავლობის მიჯნაზე დააყენა. ამ საქმეში დიდ მუშაობა გასწიეს, ბ. ბ. პიოტროვისკისთან ერთად (მასზე წიგნში ვრცლადაა საუბარი), სომეხმა არქეოლოგებმა, რომლებმაც საყურადღებო მასალა გამოავლინეს კარმირ-ბლურისა და არინ-ბერდის გათხრებისას, რაც დღესაც გრძელდება.

დანასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დიდა ლ. ლიპინისა და ა. ბელოვის წიგნის წემეცნებითი ღირებულება. იგი დახმარებას გაუწევს არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობას, არამედ ყველას, ვინც კაცობრიობის წარსულითაა დაინტერესებული. ღრმად გვჯერა, რომ ცოცხლად და მიმზიდველად დაწერილ ამ წიგნს, რომელიც გადმოქართულებულია ზოგიერთი შემოკლებით, დიდი ინტერესით შეხვდება ახალგაზრდა ქართველი მკითხველი.

„...ქალარა წარსული“, ყველა ვითარებაში. არაჩვეულებრივად საინტერესო ეპოქად დარჩება მომავალ თაობათათვის, რადგან იგი მთელი შემდგომი პროგრესის საფუძველია“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XIV, გვ. 115, 1931, რუს. გამოცემა).

ფ. ენგელსის ეს შესანიშნავი სიტყვები ნათელს ხდის. თუ ხშირად რატომ ვუბრუნდებით საერთაშორისო. ასპარეზიდან დიდი ხნის წინათ გამქრალი ხალხების ისტორიას. ამ ხალხების ისტორია, რომელთა ცივილიზაციას ფესვები ათასწლეულთა სიღრმეში აქვს გადგმული, ფრიად ყურადსაღებია და დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს. მისი შესწავლა დაეხმარა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს აღმოეჩინათ საზოგადოებრივი განვითარების კანონები.

კაცობრიობის აწმყო და მომავალი განუყოფლად დაკავშირებული მის წარსულთან. ხვალისდღი დღე ცვლის დღევანდელს, თავისი ფესვებით გუშინდელ დღესთან დაკავშირებულს. ძველი ისტორიის შესწავლა არაჩვეულებრივად აფართოებს პორიზონტს, გვეხმარება უკეთესად გავერკვეთ მოვლენებში.

მოსაწონია ყოველი სერიოზული ცდა, გააცნოს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას უძველესი ხალხების ცხოვრებისა და ყოფის ამსახველი ვრცელი და ცოცხალი სურათები მთელი მათი განუმეორებელი თავისებურებებით.

ლ. ლიბინისა და ა. ბელოვის წიგნში გაშუქებულია ძველი შუამდინარეთის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია ასურეთის ცნობილი მეფის ასურბანიფალის სახელთან. ნაშრომის სიუჟეტს საფუძვლად უდევს მეფის „თიხის წიგნების“ ბიბლიოთეკის — მსოფლიოში უძველესი წიგნთსაცავის — გათხრების წარმტაცი ისტორია. ამ წიგნიდან ვეცნობით, როგორ ცხოვრობდა ხალხი მონათმფლობელურ ასურეთში და რატომ იყო ამ სახელმწიფოს დაღუპვა გარდუქალი.

ოდნისმოყვარე მკითხველი აქ მრავალ ძვირფას ცნობას იპოვის აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფოების — ბაბილონეთის, შუმერისა და სხვათა შესახებ. თუ დაეკვირდებით ამ სახელმწიფოების ჩასახვის, განვითარებისა და განადგურების ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ვერაჲინ ვერასოდეს ვერ შეძლო ისტორიული პროცესის მსვლელობის შეჩერება.

ძველი ისტორიის უაშრავი მასალიდან ავტორებმა დაწვრილებით გააშუქეს მხოლოდ ერთი პერიოდი. ასეთი რამ საცხებით დასაშვებია მეცნიერულ-პოპულარულ წიგნში. ამავე დროს, ავტორებმა ასურეთის ისტორიის პარალელურად გადმოგვეცეს მესოპოტამიის გათხრების მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სურათი.

ამ წიგნში ახალგაზრდა მკითხველი უძველესი ხანის ყველაზე მნიშვნელოვან ამბებთან ერთად გაეცნობა მონებიზმშივე შრომას, ძველი შუამდინარეთის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებებს, მეცნიერებას და ხელოვნებას, კანონებსა და რწმენებს.

რუსმა მეცნიერებმა მრავალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს მეცნიერებაში ძველ შუამდინარეთზე. მ. ვ. ნიკოლსკისა და ბ. ა. ტურაევის ნაშრომები ნიადაგ-სახმარი წიგნებია მთელი მსოფლიოს ასირიოლოგებისათვის.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რუსული ასირიოლოგიის მამა

სახლი ამბროსიოპოლისაჲს ქუჩაზე

ლენინგრადში, პეტროგრადის მხარეს, მთავარი მაგისტრალებიდან მოშორებით, არის პეტროზავოდსკის წყნარი ქუჩა. აქ ყურადღებას იქცევს სამსართულიანი სახლი.

ამ სახლს თუ კარგად დააკვირდებით, ერთ უცნაურ თავისებურებას შეამჩნევთ: მას არა აქვს პირველი სართული. უფრო სწორად რომ ვთქვათ, პირველი სართული იწყება იქ, სადაც მეორე უნდა იყოს. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ეს სახლი ეკუთვნოდა ნიკოლოზ პეტრეს ძე ლიხაჩოვს, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება გახლდათ. იგი გატაცებული იყო ძველი წიგნებით, დოკუმენტებით, ხელნაწერებით. მათდამი სიყვარული მემკვიდრეობით მიიღო თავისი წინაპრებისაგან, რომლებმაც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყეს სხვადასხვა წიგნებისა და წერილობითი ძეგლების შეგროვება. ამ წიგნებმა და ხელნაწერებმა შემდგომ მთელი ბიბლიოთეკა შეადგინა.

მდიდარი ნათესავეებისაგან ლიხაჩოვს დიდი მემკვიდრეობა ერგო. იგი დიდძალი ქონების პატრონი გახდა და ეს ქონება მთლიანად თავისი კოლექციის შექმნას მოახმარა. ნ. პ. ლიხაჩოვი ბევრს მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში, იძენდა ეგვიპტურ პაპირუსებსა და პაპების ეპისტოლეებს, არაბულ ხელნაწერებსა და ბიზანტიურ სიგელ-გუჯრებს, ცნობილ მოგზაურთა დღიურებსა და იშვიათ წიგნებს სხვადასხვა ენაზე. ყველაფერი ეს მოჰქონდა პეტროზავოდსკის ქუჩაზე, განცალკევებით მდგარ სახლში. დროთა განმავლობაში იქ შეიქმნა წიგნებისა და დოკუმენტების თავისებუ-

რი მუზეუმი. მთელი სამი სართული თავიდან ბოლომდე წიგნებითა და დოკუმენტებით იყო ავსებული.

როგორც ჩანს, სახლის პატრონმა შემთხვევით როდი გაუთანაბრა პირველი სართული მეორეს. ამით, ჯერ ერთი, დაიცვა თავისი ძვირფასი კოლექციები ნესტისაგან და, მეორეც, იოლი საშოკრის მაძიებელთათვის ძნელად მისაწვდომი გახადა.

მაგრამ ლიხაჩოვი არ იყო იშვიათობათა ჩვეულებრივი შემგროვებელი, როგორებიც მრავლაჲ არიან დასავლეთში.

ჯიბესქელი ბურჟუა დიდ ფასს რომ იხდის მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო უნიკალურ ნივთებში, ამაცობს თავისი შენაძენით, სიამოვნებით უჩვენებს მათ მეგობრებს, მაგრამ მეცნიერებს ცხრაკლიტულში უშალავს. ვინც ფული გადაიხადა ნივთში, პატრონიც ისაა, ხოლო მეცნიერება ასეთ „კოლექციონერებს“ ნაკლებად აინტერესებთ.

ასულ სხვა ადამიანი იყო ნ. პ. ლიხაჩოვი. ყოველმხრივ განათლებული, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, არქეოლოგი და წიგნის მოყვარული, იგი ბევრს მუშაობდა, რათა მის მიერ შეძენილი დოკუმენტები გამოექვეყნებინა. და, რაც მთავარია, მან ფართოდ გაუღო თავისი სახლის კარი ადამიანებს, რომლებიც რუსულ მეცნიერებას ემსახურებოდნენ. როცა წიგნებსა და იშვიათ ძველ ხელნაწერებს იძენდა, ლიხაჩოვი, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ზრუნავდა, რომ ისინი რუსი მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მის მიერ თავმოყრილი საუნიჭე მთელი ქვეყნის კუთვნილებად მიაჩნდა. მრავალ ძვირფას, გამოკვლევას საფუძვლად დაედო მისი კოლექციის მასალები.

მეცნიერების თავდადებული მუშაკი

ამ სახლის ერთ-ერთ ოთახში მუხის დიდ მაგიდას მთელი დღეები უჯდა ჭალარათმიანი მაღალი მამაკაცი. მაგრამ მას წინ არ ედო არც უამთავლისაგან გაყვითლებული პერგამენტები, არც იშვიათი ეგვიპტური პაპირუსები, არც ინკუნაბულები — პირველი ნაბეჭდი წიგნები. მის წინ ელაგა ღია ყვითელი ფერის, ყვითელი და მუქი ყავისფერი უცნაური თიხის ფირფიტები. ზოგიერთ მათგანს იგი





თიხის ფილა ნ. პ. ლიხაჩოვის კოლექციიდან. დოკუმენტი მოთხრობილია.
როგორ განაწილდეს ხალხი სამუშაოდ და როგორ შეარჩიონ თესლი.

საგანგებო ხსნარით ასველებდა. ეს ხსნარი პატარა ბოთლით ედ-
გა მაგიდაზე. ზოგს ფრთხილად აცლიდა აფსკს, რომელსაც ფირ-
ფიტა ერთიანად დაეთარა, შემდეგ თვალთან მიჰქონდა ლუპა და
დიდხანს აკვირდებოდა მის ზედაპირს, ასევე საგულდაგულოდ იკვ-
ლევდა ყოველი თიხის ფირფიტის მეორე მხარეს და გვერდებს.

ამ დროს რომ იქ ვინმე ყოფილიყო, უეჭველია, გააოცებდა ამ
ადამიანის განსაცვიფრებელი, ჰეშმარიტად დიდი მოთმინება. ერთ
რომელიმე ფირფიტას მეცნიერი დილიდან ფვიან ღამემდეგ ჩაჰკირ-
კიტებდა. მან არ იცოდა დაღლა, ჰამაც კი ავიწყდებოდა ხოლმე.

იყო დღეები, როცა ეს დაუღალავი მშრომელი სხვა სახის სა-



იგივე დოკუმენტის პირი, გადაღებული მ. ვ. ნიკოლსკის მიერ. მარჯვნივ — წინა მხარე, მარცხნივ — უკანა მხარე, ჩარჩოს გადმოცილებული ნიშნები აღბეჭდილია გვერდებზე.

მუშაოს ასრულებდა. იგი ბეჭით მხატვრადაც გადაიქცეოდა ხოლმე.

საგანგებო ქიმიური ხსნარით დამუშავებულ ფირფიტებზე, თანდათანობით ქრებოდა ზედა აფსკი და გარკვევით ჩნდებოდა რაღაც უცნაური დამწერლობა. ხაზები, სამკუთხედები და ნახევარწრეები — სწორედ ეს ნიშნები გადაჰქონდა ქალაქზე უდიდესი სიზუსტით.

მას არ აკმაყოფილებდა ამ ნიშნების — მათი ფორმის, განლაგებისა და ურთიერთკავშირის უბრალოდ პირის გადაღება. იგი ისწრაფვოდა გადმოეცა ნაწერის ის ძნელად შესაძრწვევი, ინდივიდუალური თავისებურებანი, რომლებიც ერთად აღებული ქმნიან გარკვეულ ხელწერას და მხოლოდ ერთ ადამიანს ახასიათებს.

ასეთი სამუშაო მოითხოვდა ნებისყოფის უდიდეს დაძაბვას, განსაკუთრებულ მუყაითობას, განუწყვეტელ, შეუწყვეტელ ყურადღებას. ზოგჯერ ეს ადამიანი სულ გადახზავდა და გვერდზე გადადებდა ვრცელი დოკუმენტის თითქმის მზა პირს, რომლის დამზადებას მთელი დღე მოანდომა, და თავიდან (ვინ იცის მერამდენედ) იწყებდა მისი პირის ხელახლა გადაღებას.

ეს სამუშაო გრძელდებოდა არა ერთი ან ორი დღე, კვირა ან თვე-

მეცნიერი ჯან-ლონით სავსე მოვიდა ამ სახლში და მოხუცმა დატოვა იგი.

ათი წელი იმუშავა მიხეილ ვასილის ძე ნიკოლსკიმ — ასე ერქვა მეცნიერების ამ თავდადებულ მუშაკს — პეტროზავოდსკზე განცალკევებულად მდგარ სახლში. მისმა შრომამ დასაბამი მისცა რუსულ ასიარეოლოგიას — მეცნიერებას, რომელიც სწავლობს მეცხოვეთების უძველესი ხალხების ისტორიას, კულტურას, ენასა და წერილობით ძეგლებს.

მეცნიერების უძველესი ფორმები

ჩინეთში იანძისა და ხუანხეს, ინდოეთში ჰინდისა და განგის, ეგვიპტეში ნილოსის დაბლობებთან ერთად კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა იყო ტიგროსისა და ევფრატის დაბლობები მესოპოტამიაში. ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ აქ წარმოიშვა პირველი სახელმწიფო.

რატომ გაჩნდნენ მესოპოტამიაში ასე ადრე მონები და მონათმფლობელები? რატომ შეიქმნა აქ სახელმწიფო მაშინ, როცა ევროპაში ჯერ კიდევ ყველგან გაბატონებული იყო პირველყოფილ-თემური გვაროვნული წყობილება?

ეს იმიტომ მოხდა, რომ აქ მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები იყო. მდინარეები ტიგროსი და ევფრატი ადიდების დროს არა მარტო რწყავდნენ, არამედ უხეად ანოყიერებდნენ მიწებს. ეს საშუალებას იძლეოდა მიწის ყველაზე პრიმიტიული წესით დამუშავებითაც კი ბარაქიანი მოსავალი მიეღოთ. გაჩნდა პროდუქტების სიჭარბე. ადამიანი აწარმოებდა იმაზე მეტ პროდუქტს, ვიდრე საჭირო იყო მისთვის. ამიტომ უკვე აზრი აღარ ჰქონდა ტომებს შორის საომარ შეტაკებათა დროს წამოყვანილი ტყვეების დახოცვას, ან გვარის წევრად მიღებას. უფრო ხელსაყრელი იყო ტყვეები მონებად ექციათ და აფულებინათ ისინი პატრონების სასარგებლოდ ემუშავათ.

მუშახელი კი ძალიან სჭირდებოდათ. საჭირო იყო არხები, ჯებირები, მიწაყრილები, რასაც უნდა დაეცვა საცხოვრებელი ბინე-

ზე წყალდიდობისაგან. ამ გზით შესაძლებელი იყო გაედიდებინათ სათესი ფართობები და კიდევ უფრო მეტი პროდუქტი მიეღოთ.

აი, რატომ გაჩნდა შუამდინარეთში ასე ადრე მონები და მონათმფლობელები, ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი, რატომ გაჩნდა სახელმწიფო!

XIX საუკუნეში მესოპოტამიაში ჩატარებულმა გათხრებმა მეტად დიდი შედეგები მოგვცა. აღმოჩენილ იქნა თვითმყოფადი, დიდად განვითარებული კულტურის უძველესი ცენტრები.

ნ. პ. ლიხაჩოვმა როგორც კი შეიტყო, რომ არქეოლოგებმა იპოვეს უცნაური ფირფიტები რაღაც ძველი დამწერლობით, გადაწყვიტა, რაღაც უნდა დაჯდომოდა შეეძინა ისინი და ამით გაემდიდრებინა თავისი კოლექცია. დამწერლობის ეს ძეგლები ხომ ბევრად უფრო ძველი იყო ყველაზე ადრინდელ ხელნაწერებსა და მის ბიბლიოთეკაში დაცულ სხვა ძველ დოკუმენტებზე.

ლიხაჩოვმა უზარმაზარი თანხა გაიღო და გახდა კიდევ მათი მფლობელი. ასობით უძველესმა ფირფიტამ თავიანთი ადგილი დაიკავა პეტროზავოდსკის ქუჩაზე მდებარე სახლის მუხის კარადებში და ამ სახლის მშვენიერად და სიამაყედ იქცა.

მაგრამ ეს ფირფიტები — გარდასულ ათასწლეულთა ამბების უტყვი მოწმენი — მკვდარ კაპიტალად როდი ეწყო იქ. ისინი არ იქცნენ მუზეუმის საკვირველ ექსპონატებად, რომლებსაც მოწინააღმდეგეობით და გაცოცხლებით უმზერენ, რათა ხვალვე დაივიწყონ მათი არსებობა. ძველი მესოპოტამიური ფირფიტები გაცოცხლდნენ მ. ვ. ნიკოლსკის ხელში. მან აამეტყველა ფირფიტები და აიძულა ისინი ეამბნათ როგორც საკუთარ თავზე, ისე თავიანთ ეპოქაზე.

მ. ვ. ნიკოლსკი არ განაგებდა კათედრას და არ კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში. რეაქციულ წრეებს დაუშვებლად მიიჩნდათ, რომ პროგრესულ მეცნიერს მოწინავე იდეები ექადაგა სტუ-

1. ყველა ზემოთ დასმული საკითხი უფრო დაწვრილებით აქვს განხილული ახალი გამოკვლევების გათვალისწინებით ჩებ აღმოსავლეთმცოდნეს ი. კლიმას თავის სამეცნიერო-პოპულარულ წიგნში მესოპოტამიის საზოგადოებისა და კულტურის შესახებ. იხ. И. Клима, Общество и культура древнего Двуречья, Издательство Чехословацкой Академии наук, Прага, 1967. — რედ. შენიშვნა.

დენტთა შორის, ამიტომ იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე „კერძო“ მეცნიერად რჩებოდა. მსოფლიოში სახელგანთქმული ასირიოლოგი იძულებული იყო ერთ ხანს კორექტორად ემუშავა.

მაგრამ სიძნელეებმა ვერ გატეხა მისი სიმტკიცე და ნებისყოფა. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ნიკოლსკი დამოუკიდებლად დაეუფლა ახალ მეცნიერებას და განავითარა იგი. გენიალური ბეკლევარი და თვითმყოფი მეცნიერი მეფის რუსეთში მოკლებული იყო ყოველგვარ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრივ. ყველა თავის შესანიშნავ მიღწევას და აღმოჩენას მ. ვ. ნიკოლსკი მხოლოდ საკუთარ თავს, ცოდნის შეძენის დაუოკებელ წყურვილს, ადამიანის გონების გამარჯვების უსაზღვრო რწმენას უნდა უმადლოდეს. მას ამოძრავებდა დიდი სურვილი სახელი გაეთქვა მშობლიური, რუსული მეცნიერებისათვის, რაც ნიკოლსკის ძალას ჰმატებდა დაეძლია ათასი სიძნელე, გარდუვალად რომ ეღობება წინ ყველას, ვინც ცდილობს გზა გაიკვლიოს შეუცნობელის უზარმაზარ ოკეანეში.

მიხეილ ვასილის ძე ნიკოლსკი ახლა მიჩნეულია რუსული ასირიოლოგიის მამად, მან სამართლიანად დაიმსახურა ეს მაღალი წოდება.

შეხვედრის სიხარული

წარმოიდგინეთ უღრან ტყეში გზააბნეული მგზავრი. იგი დაეხეტება უგზო-უკვლოდ და, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო გაუვალი ხდება ტყე, მით უფრო პირქუშად გამოიყურებიან გარსმოჯარული ხეები და ეჩვენება, რომ ვერასდროს ვერ გააღწევს აქედან.

მაგრამ აი, იგი წააწყდა ადამიანის ნიკვალევს. კვალმა ოდნავ შესამჩნევ, დაკლაკნილ ბილიკთან მიიყვანა, ხოლო ბილიკმა, ბოლოს და ბოლოს, ფართო გზაზე დააყენა. ამ გზაზე ჩამწკრივებულა ტელეგრაფის ბოძები. მან იცნო ადგილი, ხედავს, რომ თითქმის მიადწია მიზანს და უნებურად შევებით ამოისუნთქა. უნდა იმღეროს; იცინოს, გაუზიაროს პირველსავე შემხვედრს მოზღვავებული სიხარული.

ასეა ასირიოლოგიც, ძველი დამწერლობის ტექსტების ამოხსნას

რომ ცდილობს. თავდაპირველად უკუნი წყვედიადია, ზოგჯერ დაუძლეველი რომ გგონია. ხან სასოწარკვეთა გეუფლება და გერვივნება, რომ დოკუმენტის ამოკითხვა, რომელიც რამდენიმე ათასწლეული მიწაში იყო, ადამიანის შესაძლებლობას აღემატება.

მაგრამ აი, წყვედადში აკიაფდება სინათლის სხივი. პირველად ჩნდება ცალკეული სიტყვების მოხაზულობა, შემდეგ — ფრაზების ნაწყვეტები. მკვლევარის თვალწინ უკვე სიცოცხლის ნაწილია, იმდენად მრავალფეროვანი, თავისებური და განუმიოკრებელი, რომ მხატვრის ყველაზე უცნაური ფანტაზიაც კი ვერ გადმოგვცემს მას.

უფრო ნზირად ერთი დოკუმენტი სიცოცხლის პატარა, გარკვეულ ნაწილს გვაცნობს. როცა იგი პასუხობს ერთ რომელიმე საკითხზე, ათობით სხვა არანაკლებ საინტერესო საკითხს აყენებს მკვლევარის წინაშე, რაზედაც ადრე მას არც კი უფიქრია.

ნამდვილი მეცნიერი არასოდეს არ შეჩერდება შუა გზაზე. იგი შეეცდება, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს მასალას. ამოხსნის მეორე დოკუმენტსაც, მესამესაც, მეათესაც, მეასესაც. შეაჯერებს მათ ერთმანეთთან. თეთრად გაათენებს ღამეებს ძნელად დასაძლევ, ძნელად ამოხსნულ ან ისეთ ადგილებზე ფიქრში, რომელთა ამოკითხვა არ ხერხდება. ვერ დამშვიდდება მანამ, სანამ არ მიაკვლევს ჭეშმარიტებას, თუნდაც ამას მთელი სიცოცხლე დასჭირდეს.

51 ლა 855

როდესაც მ. ვ. ნიკოლსკიმ პირველად ნახა მრავალი ასეული ფირფიტა, ნაპოვნი ტელოს ბორცვში, რომლის ქვეშ მოქცეული იყო ძველი ქალაქის ლაგაშის ნანგრევები, იგი მსოფლიოში ცნობილი ასირიოლოგი, მრავალი შრომისა და გამოკვლევების ავტორი იყო. მაგრამ ამ ფირფიტებმა ისიც კი ჩიხში მოამწყვდია.

აქ ბევრი რამ იყო თავსატეხი...

ჯერ ერთი, ეს ფირფიტები ყველა მანამდე ნაპოვნი ფირფიტებზე ძველი აღმოჩნდა. ამიტომ სხვაგვარი იყო დოკუმენტებისა და წერილების ხასიათი. მეორეც, ისინი შედგენილი იყო ძალიან რთულ შუმერულ ენაზე, რომელიც დღესაც კი არაა საკმარის შესწავლილი, ხოლო გასული საუკუნის მიწურულისათვის მთლიანად გაუგებარი

გახლდათ. უფრო გვიანაც კი მრავალი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ არავითარი შუმერული ენა არასოდეს არ არსებულაო. ამიტომ მესოპოტამიური ფირფიტების შინაარსის გასარკვევად მ. ვ. ნიკოლსკი ამავე დროს უნდა ჩასწვდომოდა შუმერული ენის გრამატიკული წყობის თავისებურებას და მის ლექსიკურ შემადგენლობას; უნდა ჩასწვდომოდა არა სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების დახმარებით, არამედ თვით ამ ფირფიტების საშუალებით.

მაგრამ ფირფიტის ამოკითხვა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მის გაგებას.

ვინ შეადგინა დოკუმენტი? რა მიზნით დაიწერა იგი? როგორია საზოგადოებრივი ურთიერთობა ამ ფირფიტებში მოხსენებულ ადამიანებს შორის? როგორ ცხოვრობდნენ ისინი, რას საქმიანობდნენ, რას ესწრაფვოდნენ?

მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემით შეიძლებოდა ფირფიტის შინაარსის გაგება. ხოლო პასუხი... თვით ფირფიტებში იყო. ამ ფირფიტებზე უკეთ არავის შეეძლო ეამბნა დიდი ხნის წინათ დროის მარადისობაში შთანთქმულ ადამიანთა ცხოვრებაზე.

ფრანგმა მეცნიერებმა, რომელთაც ხელთ ჰქონდათ ასეთივე ძველი დოკუმენტები, უკან



ქალაქ ლაგაშის მმართველის ენთემენას ვერცხლის თასი (XXV საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). თასზე გამოსახულია მითოლოგიური სიუჟეტი.



გამოსახულებათა ნაწილი იმავე თასზე.

დაიხიეს მათი გამოკვლევის სიძნელეთა წინაშე. პარიზში, ლუერის მუზეუმში, დაცული იყო ასეთი 1500 ფირფიტა. იმ დროისათვის მხოლოდ 51 იყო გამოქვეყნებული, ისიც ყოველგვარი მეცნიერული დამუშავების გარეშე. არ ახლდა არც თარგმანი, არც კომენტარები და განმარტებანი. გამოაქვეყნეს მხოლოდ მექანიკურად გადაღებული პირები და სხვებს მიანდვეს გარკვეულიყვნენ, თუ რას წარმოადგენდა ეს დამწერლობა.

მაგრამ მ. ვ. ნიკოლსკის არ სჩვეოდა სიძნელეების წინაშე ფარ-ხმალის დაყრა. მის მიერ გამოცემული დოკუმენტების ორ ტომში შესულია 855 ფირფიტა, დაწვრილებით გარჩეული, აღწერილი და ახსნილი. ისინი დალაგებულია თემატურად, ე. ი. მათი შინაარსის მიხედვით, დაცულია მკაცრი სისტემა და დართული აქვს ვრცელი კომენტარები, საკუთარ სახელთა (აღამიანებისა და ღმერთების) სიები, ქალაქების, ადგილების, მდინარეების, არხების, ტაძრების მაჩვენებელი.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გამოცემული მ. ვ. ნიკოლსკის ეს შრომები დღესაც დაუშრეტელი ისტორიული წყაროა მსოფლიოს ყველა ასირიოლოგისათვის, ხოლო მის მიერ პირველად შემოღებული გამოქვეყნების მეთოდი სანამუშაო ყველა ქვეყნის მეცნიერთათვის!

შ უ მ ე რ ე ბ ი

ლაკონური და საქმიანია მ. ვ. ნიკოლსკის მიერ შესწავლილი შუმერული ფირფიტების ენა. იგი მოკლებულია ყოველგვარ პოეტურ სილამაზეს. ფირფიტებში ვერ შეხვდებით ვერც საინტერესო ამბების ვრცელ აღწერას, ვერც ამაღელვებელ დრამატულ ეპიზოდებს, ვერც საომარ ლაშქრობათა თხრობას. მეტწილად ეს არის აღამიანთა სიები, საქმიანი დოკუმენტები, მშრალი ჩამოთვლა სხვადასხვა საგნებისა — სურსათის, ფურაჟის, საქონლისა თუ მიწის ნაკვეთებისა. მაგრამ ყოველი სიტყვა, ყოველი ციფრი ყოფა-ცხოვრების მთელ სურათებს გადაუშლის მკვლევარს, ვისაც შეუძლია სტრიქონსა და სტრიქონს შუა ამოკითხვა, აქვს მაძიებლის გონება

და ძალ-ღონეს არ ზოგავს ღრმად ჩასწვდეს ყოველი ფაქტის არსსა და მნიშვნელობას.

მ. ი. ნიკოლსკის გამოკვლევების ფურცლებიდან ცოცხლად წარმოგვიდგება უძველესი დროის თვითმყოფადი ხალხი — შუმერები. ესენი იყვნენ შრომისმოყვარე, ტანმორჩილი მხვენელ-მთესველები, პირმრგვალი, თავადაპარსული მეჯოგენი, მარჯვე ხელოსნები, დიდი თანამდებობის მოხელენი, მამაცი მეომრები, საკუთარ ღირსებაში დარწმუნებული მწერლები.

...ი დაეხეტებიან ძროხების, ხარების, სახედრების დიდი ჯოგები, ცხვრის ფარები. მათი დიდი ნაწილი ეკუთვნის ბარნამტარას — ქალაქ ლაგაშის მმართველის ყოჩად მეუღლეს.

მისი სახელი გვხვდება ბევრ დოკუმენტში, სადაც საქმე ეხება ყიდვა-გაყიდვას. იგი სარგებლობდა იმით, რომ მის მეუღლეს, ლუგალანდას, ხელთ ეპყრა სახელმწიფო. ძალაუფლება და მხოლოდ იმის ცდაში იყო, როგორმე გაეზარდა თავისი სიმდიდრე. ბარნამტარა დებდა სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებს, დაკავშირებული იყო სავაჭრო აგენტებთან, ეგარეთ წოდებულ თამქართან. მას ემორჩილებოდნენ მოხელენი, გამოცდილი მწერლები, რომლებიც ზედმწიფებით ზუსტად აღრიცხავდნენ თავიანთი ძლევამოსილი ქალბატონის შემოსავალ-გასავალს. ამ ჩანაწერებმა, რომლებიც ძვ. წ. XXIV საუკუნეს ეკუთვნის, ჩვენამდე თითქმის დაუზიანებლად მოაღწია. ისინი ამოშიფრა და წაიკითხა მ. ვ. ნიკოლსკიმ.

ჯოგებს მწყემსების მთელი შტატი ემსახურებოდა. ზოგი ცხვარს უვლიდა, ზოგი სახედრებს, ნაწილი კი — მსხვილ რქოსან საქონელს. რეგულარულად აწვდიდნენ სასახლისა და ტაძრების საწყობებს („სამარაგო სახლებს“) ერბოს, რძეს, ნაღებს, ხაჭოს. დაკლული პირუტყვის ტყავს ხელმარჯვე ოსტატები ამზადებდნენ.

ტიგროსსა და ევფრატზე დასრიალებდნენ მეთევზეთა მსუბუქი ნაგები; უფრო მამაცნი ღრმად შედიოდნენ „აისის“ ზღვაში — სპარსეთის ყურეში, და შინ მდიდარი ნადავლით ბრუნდებოდნენ. მაგრამ ლომის ულუფა „სამარაგო სახლებში“ მიდიოდა.

თევზი ისე ბევრი იყო, რომ მას ამოიბდნენ, ფქვავდნენ და პირუტყვის საკვებად იყენებდნენ.

ქალაქ ლაგაშის ეკონომიურ საფუძველს მიწათმოქმედება შე-

ადგენდა. ლაგაშელები უმეტესად ქერსა და ხორბალს თესდნენ. მინდვრებს საგულდაგულოდ ამუშავებდნენ. ჩვეულებრივ, გუთანში სახედარს აბამდნენ.


იმის გამო, რომ სამხრეთ შუამდინარეთში წვიმა თითქმის არ მოდის, ხოლო მზე შეუბრალებლად აცხენებს, მინდვრებს ხელოვნურად რწყავდნენ. თხრიდნენ არხებს, და მათ ტიგროსისა და ევფრატის წყლით ავსებდნენ.

მდინარეები აღიღებოდა თუ არა, ლაგაშელები აგროვებდნენ მაკოცხლებელ წყალს საგანგებო წყალსატევებსა და ცისტერნებში, ხოლო შემდეგ, გვალვიან თვეებში, ყანებში გადაუშვებდნენ ზოლმე.

წყალდიდობისას ნიადაგი არა მარტო ირწყვებოდა, ნოციერდებოდა კიდევ. წყალს თან მოჰქონდა ნოციერი შლამი, რომელიც წლითი-წლობით ფენებად ილექებოდა და შუამდინარეთის მეტად პოხიერ ნიადაგს ქმნიდა.

იმდენად უხვი მოსავალი მოჰყავდათ, რომ მარცვლეული ჰყოფნიდათ არა მარტო ადამიანებისა და პირუტყვების საკვებად, ცვლიდნენ ლითონზე, ქვანზე, ხეზე, რაც შუამდინარეთში არ მოიპოვებოდა.

მიწა სათემო სარგებლობაში იყო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ყველა თანასწორი უფლებით სარგებლობდა, თანაბრად შრომობდა და თანაბარ შემოსავალს იღებდა. იმ დროისათვის



ქოგი. ქალაქ ურის ტაძრის შემერთული
მოზაიკური გამოსახულების ნაწილი.

თემს უკვე გამოეყო მდიდარი საგვარეულო დიდკაცობა, რომელიც დაეპატრონა სათემო მეურნეობას.

საგვარეულო დიდკაცობა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯა სათემო ქონებიდან; მან ხელთ იგდო საუკეთესო მიწები, სათემო პირუტყვის დიდი ნაწილი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. დიდკაცობა მდიდრდებოდა, ხოლო თემის ძირითადი მასა დატაკდებოდა და მდიდრებზე დამოკიდებული ხდებოდა. გადიოდა წლები და სულ უფრო ღრმავდებოდა უფსკრული მდიდრებსა და თემის რიგით წევრებს შორის.



სცენა შუმერელთა ცხოვრებიდან.
არქაული გამოსახულება ქვაზე.

ყველაზე მძიმე სამუშაო ეკისრებოდათ მონებს. ისინი თემის საკუთრებად ითვლებოდნენ, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ ლაგაშის მმართველისა და მასთან დაახლოებული პირების განკარგულებაში იმყოფებოდნენ. იმ დროს მონები ჯერ კიდევ არ იყო ბევრი, მაგრამ მათი როლი ლაგაშის ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. უმთავრესად მათ საირიგაციო სამუშაოებზე და საოჯახო მეურნეობაში იყენებდნენ.

თემის რიგით წევრთა საკვები, რომ აღარათყვე ვთქვათ მონებზე, მეტად მცირე და ერთფეროვანი იყო. სამაგიეროდ, ქალაქ ლაგაშის მრავალრიცხოვანი ღმერთები სისტემატურად იღებდნენ აუარებელ ხორავს. პროდუქტთა შორის, რომლებსაც ყოველდღიურად მსხვერპლად სწირავდნენ ღმერთებს, და აგრეთვე მათ ქანდაკებებსა და გამოსახულებებს, გვხვდება პური, ხორბალი, ქერი, ბურღული, ზეთი, ფინიკი, ღვინო, თევზი, ცხვარი, ბატკანი, ჯეირანი.

დიდი „მადით“ გამოირჩეოდა ქალაქ ლაგაშის ქალღმერთი ბაუ, რომლის პატივსაცემადაც ააგეს საგანგებო ტაძარი. მისი ქურუმები ფლობდნენ თვალუწვდენელ მიწის სავარგულებს, დიდძალ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, პირუტყვს და აგრეთვე მონებს. ტაძრის მიწებზე იმ დროს თავისუფალი ხალხიც მუშაობდა.

კიდევ უფრო მეტ სიმდიდრეს ფლობდა ბაუს მეუღლის, ქალაქ ლაგაშის მთავარი ღმერთის — ნინგირსუს ტაძარი...¹

მ. ვ. ნიკოლსკის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ყოველნაირი შრომის პროცესები, იგი ფირფიტების მიხედვით გულმოდგინედ სწავლობდა სამუშაოების ხასიათს, აღამიანთა პროფესიას, მათი შრომის ანაზღაურების სისტემას. მეცნიერი ამ გზით ცდილობდა ჩასწვდომოდა ხალხთა ფართო მასების ცხოვრებას.

კვლევითი აზროვნების ასეთი მიმართულება მკვეთრად განასხვავებდა რუს ასირიოლოგს მისი დასავლეთევროპელი კოლეგებისაგან, რომლებიც უმთავრესად სწავლობდნენ სახელმწიფოს მეთაურთა, მეფეთა ცხოვრებას, სამხედრო ლაშქრობებსა და ასე შემდეგ.

მ. ვ. ნიკოლსკიმ მსოფლიო მეცნიერებაში პირველმა შეადგინა ვრცელი ნუსხა პროფესიებისა, რომლებსაც დაუფლებული იყვნენ ძველი შუმერები. აქ დასახელებულია ათობით პროფესია. ამისათვის ნიკოლსკიმ ათასობით დოკუმენტი შეისწავლა, გარდა ამისა, მან დაადგინა, რა სახის სამუშაოები სრულდებოდა შედარებით უფრო ხშირად. ასე მაგალითად, როდესაც მტვირთავებზე ლაპარაკობს, ნიკოლსკი განმარტავს, რომ ისინი ტვირთავდნენ ხომალდებზე პურს, ფქვილს, რძეს, მწვანილს, თევზს, მერქანს, თივას, კალათებს, ლერწამს.

თავისი შრომის იმ თავებში, რომლებიც ეძღვნება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, იგი აღწერს ყველა იმ სამუშაოს, რაც კი სრულდებოდა უძველეს ხანაში და მოხსენიებულია ფირფიტებში: მინდვრის დამუშავება, მკა, ლეწვა, მოსავლის ბელღებში მოზიდვა, ბოსტნეულის დარგვა და მარგვლა, თიბვა და თივის აღება, მინდვრების მორწყვა, მდინარეებისა და არხებიდან გადმოსული წყლის რეგულირება, ნაპირების გამაგრება, წყალდიდობით გამოწვეულ დაზიანებათა შეკეთება.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: რისთვისაა ყველაფერი ეს საქი-

1 შუმერების ისტორიასა და კულტურაზე ამჟამად არსებობს სოლიდური მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი, რომელიც ეკუთვნის გამოჩინულ შუმეროლოგს სამუელ კრაშერს. იხ. С. Н. Крамер, История начинается в Шумере, Москва, 1965 — რედ. შენიშვნა.

რო? რასაკვირველია, იმისათვის, რომ ვიცოდეთ, როგორ ცხოვრობდნენ ძველი ადამიანები, რა საქმიანობას ეწეოდნენ, როგორ შოულობდნენ საარსებო სახსარს, როგორი ტექნიკა ჰქონდათ, როგორ ანაწილებდნენ შემოსავალს, როგორი ურთიერთობა იყო ადამიანებს შორის.

მეტად საინტერესოა მ. ვ. ნიკოლსკის დაკვირვებანი ლერწმის გამოყენების საქმეში. ლერწმით საკმაოდ მდიდარი იყო ძველი შუამდინარეთი. მეცნიერმა დაადგინა, რომ ლერწამი იყო თავისებური უნივერსალური მასალა და გამოიყენებოდა მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ლერწამს იყენებდნენ საწვავად, ძირს უფენდნენ პირუტყვს, წნავდნენ კალათებს, აგებდნენ ნაგებებს, რომლებსაც ფისით ულენტავდნენ, რომ წყალს არ შეეღწია, მისგანვე ოსტატურად ამზადებდნენ საჭმლის მოსახარშ ჭურჭელსაც კი და ცეცხლგამძლე თიხით ფარავდნენ. წვრილად დაკეპილი ლერწამი გამოსადეგი იყო პირუტყვის საკვებად. ლერწამს საშუენ მასალადაც ხმარობდნენ, იგი ცვლიდა მერქანს, რომელიც შორიდან შემოჰქონდათ და ძალიან ძვირი



მეთარის ღმერთი სინი ზის ტახტზე. შუმერული საბეჭდავის ანაბეჭდი.

ღირდა. მას კონებად კრავდნენ, აწყობდნენ ე. წ. კაჭკაჭებად და მდინარით გადაჰქონდათ დანიშნულების ადგილამდე.

ჩვენ აქ ვუჩვენეთ მ. ვ. ნიკოლსკის მიერ აღწერილი შუმერთა ყოფა-ცხოვრების რამდენიმე სურათი. შევეხებთ მხოლოდ ორ სქელტანიან ტომში თავმოყრილი ძვირფასი დაკვირვებების მეტად მცირე ნაწილს. ამჟამად მათ გვერდს ვერც ერთი ასირიოლოგი ვერ აუწლის.

ათასწლეულთა გილა

მ. ვ. ნიკოლსკის მიერ გამოკვლეული ეპოქა მდიდარი იყო მთელი რიგი საინტერესო ისტორიული მოვლენებით.

დიდხანს ვერ იპარპაშა ლაგაშის მმართველმა ლუგალანდამ. იგი დააპზო უზომო გადასახადებით და უსირცხვილო ძარცვა-გლეჯით აღშფოთებულმა ხალხმა. ამ შემთხვევით ისარგებლა და ძალაუფლება ხელთ იგდო ახალმა მმართველმა — ურუქაგინამ. მან ზოგი რამ გააუმჯობესა, რითაც შეამსუბუქა თემის წევრთა მდგომარეობა. მაგრამ მალე ლაგაშსა და მეზობელ ქალაქ უმას შორის ომი ატყდა. ეს იყო ძველისძველი შუღლი, კვლავ რომ იფეთქა ახალი ძალით ამ ორ ქალაქს შორის მდებარე სასაზღვრო ტერიტორიის გამო.

გაიმარჯვა ქალაქმა უმამ, ლაგაშმა დაკარგა დამოუკიდებლობა. უმას მმართველმა — ლუგალზაგისმა — შექმნა გაერთიანებული სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა ქალაქები: ლაგაში, უმა, ურუქი, ური და სხვები. მაგრამ არც მისი ბატონობა აღმოჩნდა ხანგრძლივი. ჰორიზონტზე გამოჩნდა ახალი მრისხანე ძალა — ქალაქი აქადი და მისი მმართველი სარგონ აქადელი. მან თავის ძალა-უფლებას დაუმორჩილა მთელი ტერიტორია სპარსეთის ყურედან ხმელთაშუა ზღვამდე.

ამრიგად, ძვ. წ. XXIV საუკუნეში მთელი შუამდინარეთი პირველად გაერთიანდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ — დესპოტურ მონარქიად.

სარგონ აქადელის ბავშვობის წლებზე შემოორჩენილია საინტერესო ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს, რომ იგი — სარგონი —

დაბადებულია მამის გარდაცვალების შემდეგ. დედას არ გააჩნდა სახსარი შვილის აღსაზრდელად, ამიტომ ბავშვი გაფისულ ლერწმის კალათაში ჩაუწყენია და გაუყოლებია მდინარე ევფრატის დინებისათვის.

ქალაქ აქადში ცხოვრობდა ვინმე მებაღე აქი. ერთხელ, როდესაც აქი მდინარესთან მივიდა წყლის წამოსაღებად, უცნაური მოტივივით საგანი შენიშნა. აქიმ დაიჭირა ლერწმის კალათა. შიგ ბატარა ბიჭი იწვა. მებაღეს შეებრაღა მტირალი ბალდი; იშვილა, გაზარდა და მებაღეობა შეასწავლა.

როდესაც სარგონი გაიზარდა, ქალღმერთმა იშთარმა შეიყვარა. მან დიდი ძალაუფლებით აღჭურვა სარგონი და აქადის უზარმაზარი სახელმწიფოც ჩააბარა.

ეს ლეგენდა, რომელიც ძალიან ჰგავს რომის დამაარსებელ რომულსა და სპარსეთის სახელმწიფოს შემქმნელ კიროსზე გავრცელებულ ლეგენდებს, მეტად ბევრი რამის მთქმელია. ჯერ ერთი, ცხადია, რომ აქადის მბრძანებელმა დიდი როლი შეასრულა ძველი შუამდინარეთის ცხოვრებაში. ამიტომ ხალხმა მრავალი საუკუნის განმავლობაში შემოინახა მისი ხსოვნა. მეორე მხრივ, ეჭვგარეშეა, რომ თავად ლეგენდა შეიქმნა იმ მიზნით, რათა „დაემტკიცებინათ“ მისი ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობა, რადგან სინამდვილეში სარგონი თავდაპირველად მხოლოდ ერთ-ერთი დიდებული იყო ქალაქ ქიშის მეფის კარზე და მაშინ, უნდა ითქვას, სარგონად არც იწოდებოდა. შემდეგ ხელთ იგდო ძალა-უფლება, სატანტო ქალაქი აქადში გადაიტანა და თავი „სამყაროს ოთხი მხარის“ მეფედ გამოაცხადა.

სარგონი ცდილობდა, ყოველმხრივ დაეკანონებინა და გაექართლებინა ძალა-უფლების მიტაცება. აი, რატომ დაირქვა სახელი სარგონი — „ქემმარტი მეფე“. ცხადია, ახალდაბადებულს ასეთ სახელს არავინ დაარქმევდა.

ას წელზე მეტხანს იარსება სარგონის მიერ შექმნილმა აქადის სახელმწიფომ, ვიდრე იგი აღმოსავლეთიდან მოსულმა ველურმა მთიელმა ტომებმა — გუთიებმა არ გაანადგურეს. ძველი ტექსტები გუთიებს „მთის ურჩხულების“ სახელწოდებით მოიხსენიებს.

მაგრამ ლაგაშისათვის ეს ხანა ბედნიერი აღმოჩნდა. იგი შორს

იყო გუთიების შემოსევის ადგილიდან, რამაც არა მარტო გადაარჩინა, საშუალება მისცა მას ეკონომიურადაც განმტკიცებულყო. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები.

თუ ურუქავინა აღნიშნავდა, რომ იგი განაგებს ოლქს, რომლის მოსახლეობა 36 000 კაცს შეადგენდა, ლაგაშის ახალი მმართველი — გუდეა (ძვ. წ. XXIII ს.) ტრაბახობს, რომ იგი უკვე 216 000 მცხოვრებზე მბრძანებლობს.

ლაგაშში შენდება სასახლეები და ტაძრები, სრულყოფილი ხდება საირიგაციო სისტემა, გაცხოველებული ვაჭრობაა ბევრ ქვეყანასთან. მაგრამ მთელი ეს გარეგნული კეთილდღეობა ემყარებოდა მონების ჩაგვრას და თუმის წევრთა ექსპლუატაციას, რაც დღითი დღე სასტიკი ხდებოდა. მონის შრომას სულ უფრო ფართოდ იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობასა და მშენებლობაში.

ასზე მეტი წელი იბატონეს გუთიებმა შუამდინარეთში, შემდეგ კი ისინი გააძევეს აქედან. შუმერების ბრძოლას გუთიების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა მესოპოტამიის ყველაზე სამხრეთით მდებარე ქალაქი — ური. დაახლოებით ძვ. წ. 2120 წელს მისმა მმართველებმა მთელი შუამდინარეთი გააერთიანეს თავიანთი ხელისუფლების ქვეშ, ისევე როგორც ეს თავის დროზე სარგონ აქადელმა მოიმოქმედა.

ეს იყო შუმერული კულტურისა და შუმერის სახელმწიფოს უკანასკნელი აყვავების პერიოდი. შუმერის სახელმწიფომ უმაღლეს წერტილს მიაღწია და შემდგომ საბოლოოდ გაქრა ისტორიის ასპარეზიდან ძვ. წ. XX საუკუნის დასაწყისში. ჩვენამდე მოაღწია იმდროინდელი დამწერლობის განსაკუთრებით ბევრმა ძეგლმა, რომლებიც ასე საგულდაგულოდ გამოიკვლია და გამოსცა მ. ვ. ნიკოლსკიმ. მისი ნაშრომები აშუქებს შუმერთა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ეპოქას, რომელიც თითქმის ხუთ საუკუნეს მოიცავს.

შესანიშნავი მიხვედრა

მ. ვ. ნიკოლსკის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ შუამდინარეთის უძველესი ეპოქის ისტორიის გამოკვლევით. მან მოგვცა არა ერთი მეტად ძვირფასი შრომა, რომლებიც ბევრად უფ-

რო გვიანდელ პერიოდს ეხება, შექმნა რუსეთში პირველი დამზარე სახელმძღვანელო ასირიოლოგიაში სტუდენტებისათვის. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერულ-პოპულარული სტატეების სერია, რომლებმაც გააცნო მკითხველთა ფართო წრეს ძველი აღმოსავლეთი. ამ ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულა. მათ გაუღვიძეს რუსულ საზოგადოებრიობას ინტერესი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა კულტურისა და ისტორიისადმი. და, ბოლოს, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მ. ვ. ნიკოლსკის უჩარტოლოგიის — ასირიოლოგიის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი დარგის — განვითარებაში, რომელიც შეისწავლის ძველი ამიერკავკასიის კულტურას, ენასა და ისტორიას.

რუსი მეცნიერის განსაკუთრებულ ფართო ჰორიზონტსა და მის დრმა ცოდნაზე მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს ასეთი შემთხვევა.

1880 წელს ბალდადიდან მოსკოვს გამოგზავნეს სიძველეთა კოლექცია, რომელშიც იყო მეტად უცნაური ფირფიტები. ჩვეულებრივი, უკვე ცნობილი დამწერლობის ნაცვლად მათზე თავსატეხი ნახატები იყო გამოხატული. ეს ფირფიტები ყველამ ერთხმად ყალბად მიიჩნია. ამისათვის საკმაო საფუძველიც გააჩნდათ.

სოლების, ხაზების, სამკუთხედების, ნახევარწრეების ნაცვლად ფილებზე დახატული იყო უცნაური ფიგურები, რომლებიც ბავშვის ნახატებს მოგვაგონებდა. მდიდარ ფანტაზიას შეეძლო გაერჩია ხეები, ფრინველების კონტურები, ჭევზებისა და ცხოველების მონახულობა. მაგრამ ყველა, ვინც ეჭვით შეხედავდა ასეთ ახსნა-განმარტებას, თავისებურად მართალი იყო. მხოლოდ აღამიანთა გამოსახულება — ყველაზე დიდი გამოსახულება ფილებზე წარმოდგენილ ნახატებს შორის — იყო მკვეთრი და გარკვეული, პატარა ფიგურები კი — ძალზე უცნაური.


ეს იყო დრო, როცა ყველა გატაცებული იყო აღმოსავლეთის სიძველეებით. ამით სარგებლობდნენ თაღლითები და არცთუ იშვიათად აჩეჩებდნენ უხეირო კოლექციონერებს ყოველგვარ ნაყალბევს ორიგინალების ნაცვლად. ასეთი ფალსიფიკატორების მსხვერპლი გახდა თავისი დროისათვის ცნობილი სიძველეთა მოყვარული როინოვი. მან მოზრდილი თანხა დახარჯა „მუსოპოტამიური“ ნივთების შეძენაზე. მაგრამ, როგორც მ. ვ. ნიკოლსკიმ დაამტკიცა,



ლაგაშის მმართველის გუდუას ქანდაკება. მუხლებზე წარწერა
გეატყობინებს ტაძრის მშენებლობის ამბავს.

მათ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ ძველ შუამდინარეთთან, როგორც ჩანთას, რომლითაც ეს ნივთები ჩამოიტანეს...

ამ შემთხვევის შემდეგ, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია, მეცნიერები დიდის სიფრთხილით ეპყრობოდნენ ყოველგვარ ახალ, მანამდე უცნობ კოლექციას. ბალდადურ სიძველეებზე არ არსებობდა ორი აზრი. „უხეში სიყალბეა“, -- ერთხმად გაიძახოდნენ



უძველესი შუმერული გამოსახულებანი და ნიშნები.

მ. ვ. ნიკოლსკიმ დაამტკიცა, რომ აქედან შეიქმნა ლურსმული დამწერლობა.

მეცნიერები. ცნობილმა ფრანგმა ასირიოლოგმა მენანმა, რომელსაც ამ ფირფიტების ფოტოსურათები გაუგზავნეს, უაპელაციოდ განაცხადა: — ყალბია. ასეთი დამწერლობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

და მხოლოდ ერთმა, მ. ვ. ნიკოლსკიმ გაბედა დაემტკიცებინა, რომ კოლექციაც და ფირფიტებიც ნამდვილია. რაც შეეხება თავსამტკრევე ნახატებს, ზოგი მათგანი თვით მ. ვ. ნიკოლსკიმ ამოხსნა. მაგრამ, რაც მთავარია, მან დაამტკიცა, რომ ეს ნახატები შუმერულ-

ლი დამწერლობის უძველესი ფორმაა, საიდანაც შემდგომ განვითარდა მეცნიერებისათვის უკვე ცნობილი დამწერლობა.

ეს იყო შესანიშნავი აღმოჩენა მეცნიერისა, რომელიც გაცილებით შორს ხედავდა, ვიდრე ყველა მისი კოლეგა-ასირიოლოგი.

— ბაღდადური ფირფიტები ძვირფასია მეცნიერებისათვის, — ამბობდა მ. ვ. ნიკოლსკი, — რადგან ისინი ყველა სხვა აქამდე ცნობილ დოკუმენტებზე ძველია.

გავიდა წლები. ახალი გათხრების დროს აღმოაჩინეს ანალოგიური ფირფიტები. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მართალი იყო მ. ვ. ნიკოლსკი, რომელმაც პირველმა გვიჩვენა ეგრეთ წოდებულ ნაზოვან-იეროგლიფური დამწერლობის მნიშვნელობა.

მძიმე პირობებში ცხოვრობდა, მუშაობდა და ქმნიდა მ. ვ. ნიკოლსკი. მაგრამ რეაქციული წრეების მტრულმა დამოკიდებულებამ ვერ ჩაკლა მასში დაუოკებელი შემოქმედებითი სულისკვეთება. იგი დაუღალავად იღვწოდა რუსული ასირიოლოგიის განვითარებისათვის. აქვეყნებდა ახალ-ახალ გამოკვლევებს, გამოდიოდა არქეოლოგთა ყრილობებზე, პოპულარიზაციას უწევდა მეცნიერებას, რომელიც მას მხურვალედ უყვარდა.

მ. ვ. ნიკოლსკის ფირფიტებმა გაგვაცნეს მესოპოტამიის ერთ-ერთი უძველესი ხალხი — შუმერები. მაგრამ მართა ამ ხალხით როდი იყო დასახლებული შუამდინარეთი. მათ მეზობლად, მათსავე ტერიტორიაზე ცხოვრობდა ბევრი სხვა ხალხი, ყოველ მათგანს საკუთარი ისტორია, კულტურა და ენა ჰქონდა. მაგრამ ყველა ისინი, შუმერების მსგავსად, ზუსტად ისეთსავე ფირფიტებზე წერდნენ, როგორც შეისწავლა მ. ვ. ნიკოლსკიმ.

ისმება კითხვა: სად, როდის და ვინ იბოვა ეს ფირფიტები? როგორ ისწავლეს მათი წაკითხვა? ფირფიტების გარდა კიდევ რა აღმოაჩინეს არქეოლოგებმა მესოპოტამიაში გათხრების დროს?

სწორედ ამაზე მოგვითხრობს შემდეგი თავები.

თ ა ვ ი მ ე ო რ ა

წინეპიის ქაზნა

საილუმინაციო მოცული ზოგადი

1820 წლის გაზაფხულზე ქურთისტანიდან დაბრუნებული კლავდიუს ჯემს რიჩი ქ. მოსულში შეჩერდა. ეს ახალგაზრდა კაცი ყველა შემთხვევას იყენებდა, რათა უფრო ახლო გაცნობოდა იმ ქვეყანას, სადაც ბედმა გადმოისროლა, როგორც ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმომადგენელი. მან იცოდა, რომ ლონდონში დიდად დააფასებდნენ დაწვრილებით მოხსენებას ერაყის ბუნებრივი სიმდიდრეების, მადნების, ეკონომიკისა და ადგილობრივ მკვიდრთა ზნეჩვეულებებზე. სამსახურში მის შემდგომ დაწინაურებას ხელს შეუწყობდა ქ. მოსულსა და მის მიდამოებზე დაწვრილებითი ცნობების შეკრება. ისინი გამოადგებოდა ფირმას, რომლის წარმომადგენელიც თვითონ იყო.

მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმა საკმაოდ სოლიდური იყო, ჰყავდა თავისი ფლოტი, პოლიცია, სასამართლო და საკუთარი ჯაშუშები. მის ხელთ იყო თავმოყრილი ინდოეთისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მთელი ვაჭრობა.

ოსტ-ინდოეთის კომპანიის მმართველმა წრეებმა მალე შენიშნეს კლავდიუს ჯემს რიჩის არაჩვეულებრივი ნიჭი. იგი იოლად ითვისებდა ენებს. ევროპული ენების გარდა, თავისუფლად ფლობდა არაბულს, სპარსულს, სირიულს, ძველებრაულს და კითხულობდა ჩინურ იეროგლიფებსაც.

გასაგებია, რომ ასეთი ადამიანი ძვირფასი იყო კომპანიისათვის, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებთან. ამიტომ რიჩი ჯერ კიდევ

სრულიად ახალგაზრდა, თექვსმეტი წლის ყმაწვილი მიიწვიეს სამ-
სახურში.

რამ დაინტერესა იგი მოსულში და რამ აიძულა დარჩენილიყო
აქ რამდენიმე თვით? ტიგროსის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სა-
იდუმლოებით მოცულმა ბორცვებმა! ისინი ერთბაშად გაქვავებული
მიწის ტალღების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. შეუძლებელი იყო
გულგრილად ჩაგველოთ მათთვის. მესობოტამიის ხელისგულივით
გაშლილი დაბლობის ფონზე ბორცვები ერთბაშად ხვდებოდა ადამიანს
თვალში და აფიქრებინებდა, რომ მათ ქვეშ დამარხულია
ზღაპრული სიმდიდრის ძველი ქალაქები.

ადგილობრივი მკვიდრნიც ერთხმად ლაპარაკობდნენ ამაზე.
ისინი ირწმუნებოდნენ, რომ უხსოვარ დროში აქ ცხოვრობდა ლე-
გენდარული მეფე ნიმროდი, რომელმაც დააარსა ნინეფია — ასუ-
რეთის დედაქალაქი. არაერთხელ მოუსმენია რიჩს, რომ ამ ადგი-
ლებში უცნაურ საგნებს პოულობდნენ, არაბებს აქ ცხოველებისა
და ადამიანთა ქვის გამოსახულებები აღმოუჩინიათ.

რიჩს თვალები უბრაწყინდებოდა, როცა ასეთ ზღაპრებს უამბობდ-
ნენ. მას ყველგან მდიდარი განძი, ოქროთი სავსე ძვირფასი ჭურჭ-
ლები, ძველებური იარაღები და სხვა განსაცვიფრებელი ნივთები
ელანდებოდა, რაზეც ასე მკვევრმეტყველურად მოუთხრობდნენ
ბელტინები.

საათობით დაეხეტებოდა იგი უძველეს ბორცვებთან, იკვლევ-
და თვითეულ გორაკს, ათვალეირებდა ყოველ ჩაღრმავებულ ად-
გილს. რიჩმა ერთმანეთს დაუპირისპირა არაბების ურთიერთსაწი-
ნააღმდეგო თქმულებები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტიგრო-
სის აღმოსავლეთ ნაპირზე, სწორედ ქ. მოსულის მოპირდაპირე მხა-
რეს, ოდესღაც მართლაც ყოფილა ნინეფია. იგი მაშინვე შეუდგა
ჯათხრებს.

მაგრამ მოულოდნელმა ავადმყოფობამ შეაწყვეტინა მას
ახლად დაწყებული მუშაობა. სწორედ ამ დროს იფეთქა ქოლერ-
ის ეპიდემიამ, რომელიც მუსრს ავლებდა მთელ სოფლებს. მან
არც ოსტ-ინდოეთის კომპანიის მაღალი თანამდებობის წარმომად-
გენელი დაინდო და რიჩი გარდაიცვალა ისე, რომ ვერ ამოიცნო
ქ. მოსულის ბორცვების საიდუმლოება.

რა შეაგროვა რიჩმა? რამდენიმე ათეული თიხის ფირფიტა, და-

ფარული გამოუცნობი ნიშნებით, აგრეთვე უცნაური ნიშნებით აჭრელებული კასრისმაგვარი ცილინდრი და ზოგიერთი სხვა ნივთი. სიძველეთა მთელი ეს კოლექცია თავისუფლად ეტეოდა ერთ პატარა ყუთში, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმს გაუგზავნეს.

მხოლოდ ოც წელზე მეტი ხნის შემდეგ განახლდა გათხრები ამ ადგილებში, და მართლაც აღმოაჩინეს დიდი ქალაქები შესანიშნავი ნაგებობებით, ტაძრებითა და სასახლეებით; იპოვეს ასობით ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი, საყოფაცხოვრებო ნივთები, იარაღი, ხელსაწყო და ათასობით სხვა საგანი, რომლებსაც სამი-ოთხი ათასი წლის წინათ აქ მცხოვრები ადამიანები ხმარობდნენ. მაგრამ 1842 წლამდე, ერთი მეცნიერის მოსწრებული თქმისა არ იყოს, „სამი კვადრატული ფუტის პატარა ყუთი იტევდა ყოველივე იმას, რაც დარჩა ზვიადი ბაბილონისა და დიდი ნინევიისაგან“.

გათხრები ბაბილონში

რა მოხდა 1842 წელს?

მოსულში ჩამოვიდა საფრანგეთის კონსული პ. ბოტა. მისთვის ცნობილი იყო რიჩის სიძველეთა კოლექცია და ისიც იცოდა, რომ რიჩი ეძებდა ნინევიას, მაგრამ მოულოდნელმა ავადმყოფობამ და სიკვდილმა შეაწყვეტინა ძებნა. „იქნებ, მე გამიღიმოს ბედმა“, — გაიფიქრა ბოტამ და შეუდგა გათხრებს. მანვე შეიტყო, რომ ინგლისელები აპირებდნენ განეგრძოთ რიჩის დაწყებული საქმე და გადაწყვიტა მათთვის დაესწრო.

ტიგროსის მარცხენა ნაპირზე, ქ. მოსულის მოპირდაპირე მხარეს, არის პატარა სოფელი ქუიუნჯიქი. იგი გაშენებულია ძალად ბორცვზე. აი, სწორედ აქედან დაიწყო ბოტამ ძიება. გვერანებული მხარე გადაეშალა თვალწინ ბოტას. იქ, სადაც ოდესღაც ყვაოდა ბაღები და ნოყიერ მიწაზე თავთავს ისხამდა მობიბინე ყანები, შიშველი ქვიშიანი ტრამალი გადაჭიმულიყო. ძველ ნაქალაქეებზე აღმართულ უზარმაზარ ხრიოკ ბორცვებზე ერაცელი ფელაქების სა-

კოდავი ქოხმახები და მომთაბარე ბედუინების მსუბუქი კარავები იდგა.

ბოტას დაქირავებული არაბები ოთხი თვის განმავლობაში თხრიდნენ ქუთუნიჯიქის ბორცვს, მაგრამ ნინევიას ვერ მიაკვლიეს. მიწის გროვაში ადამიანები ხან ფილების ნატეხებს პოულობდნენ, რომლებზეც საჭრისით ამოჭრილი იყო რაღაც გამოსახულებები; ხან თიხის ფირფიტებს სოლისებური ნიშნებით.

გაოცებული უცქეროდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები ევროპელების მიერ წამოწყებულ ამ უცნაურ სამუშაოს. რატომ აგროვებენ, იკვლევენ და უფროთხილდებიან თითოეულ ნატეხს? რა მიზნით აკეთებენ ამას?

— ეს სიკეთე რამდენაღ გნებავთ იმდენია ჩვენი სოფლის მახლობლად, — სიცილით თქვა ხორსაბადის ერთმა მცხოვრებმა. — ასეთი ქვებით ჩვენთან ბოსლებს ამენებენ.

ბოტამ ჯერ არ მიაქცია ყურადღება ამას, მაგრამ მოგვიანებით, როცა ქუთუნიჯიქში ძებნამ შედეგი არ გამოიღო, მან გაიხსენა ხორსაბადელი არაბი და მისი ნათქვამი.

სოფელი ხორსაბადი მდებარეობს ქუთუნიჯიქის ჩრდილოეთით 15 კილომეტრზე. ეს ადგილი ჭაობიანი, არაჯანსაღია. წყლით დაფარული ბრინჯის ყანები მალარიის ბუდეა, მინდვრები მუდამ აორთქლებული წყლის სქელ ნისლშია გახვეული, ირევა უამრავი მწერი.



ხორსაბადი.

სწორედ აქ განაგრძო ბოტამ თავისი გათხრები.

მალარია შეუბრალებლად სტანჯავდა. ადამიანებს. დაქირავებულნი მუშები ხშირად ავადმყოფობდნენ და არცთუ იშვიათად იღუპებოდნენ კიდევ: მაგრამ საფრანგეთის კონსული გათხრებს მაინც განაგრძობდა. ათობით დამშეული არაბი ყოველთვის მზად იყო სამსახური გაეწია მისთვის, და რაღაც გროშების საფასურად შეესრულებინა ნებისმიერი სამუშაო. აღმოსავლეთის- ქვეყნებში ადამიანის სიცოცხლეს დიდი ფასი როდი ჰქონდა კოლონიზატორებისათვის.

იმ დროისათვის არქეოლოგია — მეცნიერება სიძველეთა შესახებ — ახალფეხადგმული იყო და პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა. ჩვენს დროში გათხრებისათვის არქეოლოგს თავის განკარგულებაში აქვს თანამედროვე მექანიზმები და ხელსაწყოები, რთული სპეციალური მოწყობილობა, იმხანად კი არქეოლოგის ერთადერთი ხელსაწყო ბარი და წერაქვი იყო.

ბოტამ დაიწყო ჭის გათხრა ხორსაბადის მიწაყრილზე. მალე ბარის პირი ქვას მოხვდა. როდესაც ჭიდან მიწა ამოზიდეს, მუშები მაღალი კედლის თავზე აღმოჩნდნენ.

შვეტარი შაშას წინასწარმეტყველება

მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ბოტა მოუთმენლად ელოდა, რაც შეიძლება მალე გამოეჩინათ მთელი კედელი, იგი მოულოდნელად ადგილობრივი მცხოვრებლების უცნაურ წინააღმდეგობას წააწყდა.

ხორსაბადის მიწაყრილზე აქა-იქ იდგა ლერწმისა და ჭილოფისაგან დწნული უბადრუკი, არაფრადღირებული ქოხები. ბოტა მზად იყო გადაეხადა პატრონებისათვის ფული, რათა ეს ქოხები სხვა ადგილზე გადაეტანათ. ამ საქმეს იმაზე მეტი დრო არ დასჭირდებოდა რაც, მაგალითად, ბრეზენტის კარვის გადატანას.

მისდა გასაოცრად, არაბებმა გადაჭრით უარყვეს ასეთი ხელსაყრელი წინადადება.

— არა, ბეი, არ შეიძლება, — უპასუხებდნენ ისინი და შემკრთალი იყურებოდნენ აქეთ-იქით.

— რატომ არ შეიძლება?

გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე მან ვერ მიიღო.

მეორე დღეს არც ერთი არაბი არ გამოვიდა სამუშაოდ.

დიღხანს იმტვრევდა თავს ბოტა, უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა. ცდილობდა ეთქმევინებინა ამ ხალხისათვის, რაში იყო საქმე, მაგრამ ისინი თავს არიდებდნენ და გაურკვეველ პასუხს იძლეოდნენ. საქმე კი აი რაში იყო.

ხორსაბადის ფაშა შეშფოთებით და ეჭვით ადევნებდა თვალს გათხრებს. რას ეძებდნენ აქ ევროპელები? ნუთუ მხოლოდ ძველისძველ ქვეებს, რომლებასგანაც აქ ყველა მხოლოდ ღუმელს აკეთებს? არა, მას ვერ მოატყუებენ! ისეთი გულუბრყვილო კაცი როდია იგი, რომ ეს დაიჭეროს. ბოტა, რა თქმა უნდა, განძს დაეძებს. კონსული ტყუილებრალოდ არ გადაყრის ფულს. კარგად იცნობს იგი ფრანგებს და ინგლისელებს. ისინი ყველგან გამორჩენას ელიან. ეს განძი კი მხოლოდ მას — ფაშას ეკუთვნის.

იმ დროს ერაყი ოსმალეთის (თურქეთის) იმპერიაში შედიოდა. ფაშას მოვალეობას შეადგენდა შეეკრიბა გამოსაღებები და გადასახადები თურქეთის სულთნის სასარგებლოდ. ადვილი როდი იყო წაეგლიჯა ეს ფული გადატაკებული მოსახლეობისთვის. ყოველთვის ვერ ახერხებდა თავისთვისაც გადაემალა ზოგი რამ. აქ კი გამდიდრების ასეთი მოულოდნელი შესაძლებლობა გაუჩნდა...

და ფაშა წერს და გზავნის დაწვრილებით მოხსენებას კონსტანტინოპოლში. ფრანგებს ბოროტი განზრახვა აქვთ, ისინი თხრიან ტრანშეებს, აგებენ სიმაგრეს... ერთიც ვნახოთ, და აქ თავიანთი ჯარი შემოიყვანონ...

ამავე დროს ფაშა სასტიკად გაუსწორდა საფრანგეთის კონსულის მიერ დაჭირებულ მუშებს.

როცა ბოტამ გაიგო საქმის ვითარება, იგი ამოქმედდა. მან მიმართა თავის მთავრობას, დაუკავშირდა თურქეთის ხელისუფალთ და შეძლო ბოლოს და ბოლოს თავისი გაეტანა.

ხორსაბადის ფაშა შორს როდი იყო ქემშარიტებისაგან. შემდეგში, როგორც ცნობილია, ინგლისელებმა წაართვეს თურქებს ერაყი, ფრანგებმა — სირია. ამრიგად, საბოლოო ჯამში, ხორსაბადის უმეცარი და ხარბი ფაშა თურქეთის ხელისუფლებზე უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა.

ზორსაბადის გათხრები განახლდა. ბოტამ განკარგულება გასცა კედლის გასწვრივ დაეწყოთ თხრა.

მუშებმა კალათებით გამოზიდეს დიდძალი მიწა და გაასუფთავეს ფართო ოთახი, რომლის კედლებიც ალებასტრის ფილებით იყო მოპირკეთებული.

ბოტა განცვიფრებული დარჩა იმით, რაც ნახა. ძველი მხატვრის — ქვაზე ამომჭრელის — მარჯვე ხელს ქვის ფილებზე ალებექდა ყოფა-ცხოვრების სურათები იმ უცნობი ხალხისა, რომლის ხსოვნაც საუკუნოდ გამქრალი ჩანდა. კედლებიდან უცქეროდნენ არაჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი წვერიანი მეომრები, შეიარაღებულნი მშვილდ-ისრებით, ლახვრებითა და ხელშუბებით, მიჰქროდნენ ცხენებშებმული საომარი ეტლები, გაჭიმულიყო ხელებშეკრული ტყვეების მწყრივები.

ეს გახლდათ ისტორიის ფურცელი. მაგრამ ვისი, რომელი ხალხის, რომელი ეპოქის? იქნებ ამის შესახებ ვვაუწყებდა წარწერები, რომლებიც თან ახლდა გამოსახულებებს, მაგრამ ბოტას არ შეეძლო მათი წაკითხვა. მან ისიც კი არ იცოდა, რა ენაზე იყო დაწერილი. ცხადი იყო, მეცნიერების წინაშე გადაიშალა ახალი, როგორც ჩანს, უძველესი ცივილიზაცია.

შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს სიხარული, რაც არქეოლოგს დაეუფლა. მაშასადამე, ამოდ როდი დაიყარვა ამდენი დრო, ენერჯია და სახსრები.

მაგრამ მალე მისი სიხარული სასოწარკვეთილებამ შეცვალა. საუცხოო ალებასტრის ბარელიეფები თვალსა და ხელს შუა იღუპებოდნენ. ფერს კარგავდნენ მკვეთრი, ხასხასა საღებავები, რომლებითაც დაფარული იყო გამოსახულებები და რომლებიც განსაკუთრებულ სიციხოველეს აძლევდა მათ. თვით ფილები იფშვნებოდა, მტვრად იქცეოდა.

ნათუ ხელოვნების ეს შესანიშნავი ქმნილებანი, რომლებმაც, ალბათ, ათასობით წლებს გაუძლეს, მხოლოდ იმიტომ ამოთხარეს, რომ საბოლოოდ განადგურებულიყვნენ?

აქ დამნაშავე იყო თვითონ ბოტა. იგი შეტისმეტად ჩქარობდა.

მას უნდოდა რაც შეიძლება მალე ჩაეფუთა ყუთებში ყველა ნაპოვნი და პარიზში გაეგზავნა.

მაგრამ ამ საქმეში აჩქარება ყოვლად დაუშვებელია და ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. მიწაში დიდხანს ნამყოფი საგნები განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვს, არ შეიძლება მათი ერთბაშად გარეთ გამოტანა. უნდა მოვარიდოთ ჰაერსა და მზის სხივებს. ბოტამ კი ეს არ იცოდა.

დიდი ხნის შემდეგ, სამხრეთ მესოპოტამიის ძველი ქალაქის — ურის — გათხრების დროს ასეთი შემთხვევა მოხდა.

არქეოლოგებმა იპოვეს სპილენძისაგან ჩამოსხმული ლომის თავი. იგი მთლად გაშავებულიყო, ხოლო ლითონი დაეანგულებოდა. არ შეიძლებოდა ნაპოვნის ადგილიდან დაძვრა. უბრალო შეხებითაც კი შეიძლებოდა ბტვრად ქცეულიყო.

როგორ მოიქცნენ მეცნიერები?

შემოაცალეს გარშემო მიწა და ფრთხილად დაასხეს პარაფინის სქელი ფენა. როდესაც გაცივდა, მიიღეს მიწის, ლითონისა და პა-



მეფის მეჩინიბე ცხენებით. ასურული ბარელიეფის ნაწილი.

რათინის უფორმო გუნდა, ეს გუნდა ავადმყოფი ბავშვივით შეახვიეს ბამბასა და ბანდში. ასე მიიტანეს ლომის თავი მუზეუმის სარესტავრაციო სახელოსნოში.

სახელოსნოში ძაფივით წმინდა ხერხით ეს უფორმო გუნდა ორად გახერხეს. ორივე ნახევრიდან დიდი სიფრთხილით გამოიღეს მიწა და ჩის დამპალი ნაჭრები. ნახევრები კვლავ შეაერთეს და ლომის დაცარიელებულ თავში ჩაასხეს თაბაშირის ხსნარი.

როდესაც თაბაშირი გამაგრდა, გააღნეს პარაფინი და რესტავრატორებს თვალწინ წარმოუდგათ უძველესი ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი: ხახადაღებული და წითელენაგადმოგდებული ნადირის თავი, თვალები, თეთრი ნიჟარის ნატეხებით გაეყეთებინათ, გუგები. — ლილა-ქვისაგან.

სპილენძის ქანგის თხელი ფენა მჭიდროდ მიეკრა თაბაშირს და ზუსტად აღადგინა ძველი ნიმუში.

ლომის ქანდაკება თავის დროზე ხისაგან იყო გაკეთებული და გადაკრული ჰქონდა ნაჭედი ფურცლოვანი სპილენძი. ხე დალპა, სპილენძი დაიჟანგა, მაგრამ უნიკალური სკულპტურა მაინც გადაარჩინეს და შეუნარჩუნეს კაცობრიობას.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, როგორ წინ წავიდა არქეოლოგია, ახლა ისიც შეუძლიათ აღადგინონ, რაც თითქმის მთლიანადაა დაშლილი. ბოტას დროს კი, უცოდინარობის გამო, ხშირად ნადგურდებოდა კარგად შენახული კულტურის ძეგლები, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო მუზეუმს დაამშვენებდა.

მაგრამ კვლავ ხორსაბადს დაეუბრუნდეთ.

ხელოვნების დიდებული ძეგლების დაღუპვამ ვერ დაუკარგა ხალხს საფრანგეთის კონსულს. ბოტა გარკვევებული ენერგიით შეუდგა გათხრებს. იგი სულ უფრო ღრმად მიიწევდა მიწაში, ახალ-ახალ ნაგებობებს ნახულობდა. აოცებდა მათი მდიდრული მოპირკეთება. „ეს, უდავოდ, რომელიღაც სასახლეა“, — დაასკვნა ბოტამ.

მას ეგონა, რომ, როგორც იქნა, მიაგნო ძველ ნინევიას. იმ ნინევიას, რომელიც თავზარს სცემდა ძველი აღმოსავლეთის ყველა ხალხს, რომელზეც ბევრს და აღფრთოვანებით წერდნენ მისი თანამედროვენი.

— მას უკავია სამი დღის სავალი სივრცე; აქ ას ოცი ათასამდე

მარტო ისეთი ბავშვია, რომლებიც შარჯვენა ხელს მარცხენასაგან ვერ ანსხვავებენ, — ამტკიცებდა ერთი.

— აქ მეტი ვაჭარია, ვიდრე ცაზე ვარსკვლავი. ძვირფას სამკაულებს ხომ სათვალავი არ უჩანს. მთავრები კალიასავითაა მოდებული, მხედართმთავრები კი მუმლივითაა, — კვერს უკრავდა მეორე.

— ეს ქალაქი ზეიმობს და უზრუნველად ცხოვრობს. თავის გულში კი ამბობს: „მხოლოდ მე ვარ და ბადალი არა მყავსო“, — წერდა მესამე.

ახალი ნაოცნევი

ორ წელს გრძელდებოდა გათხრები. ბოტას დასახმარებლად ხორსაბადში ჩამოვიდა დახელოვნებული მხატვარი. ეს ძალიან დროული იყო. ბევრი რამ, რაც ბოტამ აღმოაჩინა, მალე იშლებოდა. ამიტომ აუცილებელი იყო ქალაქზე მაინც აღებეჭდათ * არქიტექტურისა და ხელოვნების ის შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებსაც ზედიზედ პოულობდნენ არქეოლოგები.

მაგრამ ნაპოვნი იმდენად ბევრი იყო, რომ გადარჩენილი ნივთებიდანაც შეიძლებოდა არა ერთი სამუზეუმო კოლექციის დაკომპლექტება. ბოტა მხოლოდ ლუერის მუზეუმზე ზრუნავდა. ყველაზე უკეთეს ნივთებს აწყობდა ყუთებში და პარიზში აგზავნიდა. რაც მნიშვნელოვნად არ მიაჩნდა, დაუდევრად ტოვებდა გათხრების ადგილზე და მათი შემდგომი ბედი სულაც არ აწუხებდა. ბევრი რამე დაიტაცეს და დაიღუპა.

ადგილობრივი მცხოვრებლები მიხვდნენ, რომ ეს „ქვები“ მარტო ბოსელიის ასაშენებლად კი არ ვარგა, არამედ სხვა რამისთვისაც. ყოფილა გამოსადეგი, ამიტომ იტაცებდნენ ვეებერთელა ფილებს და ყიდდნენ მათზე, ვინც მეტ ფულს უხდიდათ.

ბოტა დარწმუნებული იყო. ყველაფერი, რისი აღმოჩენაც შეიძლებოდა, უკვე აღმოჩენილია და არქეოლოგს აქ მეტი აღარაფერი ესაქმება. ამიტომ მან შეწყვიტა გათხრები. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ფრანგებმა ისევ გაგზავნეს ექსპედიცია ხორსაბადში.

არქიტექტორმა ვიქტორ პლასმა ამ აღვიღებში კიდევ მრავალი საინტერესო რამ აღმოაჩინა. მან გათხარა ოთახებისა და დერეფნების მთელი ლაბირინთი, კერამიკისა და სამეურნეო ნივთების საწყობები, პურის საცხობი და მარანი...

აი, დიდი სათავსო მთლად გაჭედილი რკინის ჭურჭლით. მეორეში ინახება სხვადასხვაფრად მოჭიქული შორენკეები. საუცხოო ფერები ოდნავადაც არ გამოუხუნებია ყამთა სვლას და ჩვენამდე მოაღწია ისე, თითქოს მხატვრის ხელი მხოლოდ გუშინ შეეხო. ლითონი, რომლისგანაც იყო დამზადებული უროები, ბარები, სახნისები, თოხები, ჯაჭვები, ლურსმნები, კაეები, დარტყმისას გონგით რეკავდა. რკინის ნაკეთობათა საწყობიდან ჰუშებმა დაიტაცეს იარაღები და მამინვე დაიწყეს ხმარება, იმდენად კარგად იყო ყველაფერი შენახული...

ეს გახლდათ იშვიათი ნაპოვნი, რადგანაც ლითონის ნაკეთობანი (რქროს გარდა) ცუდად ინახება, იყანგება და ფუჭდება. თითზე ჩამოსათელულია ისეთი შემთხვევები, როცა ლითონის ნივთები, რომლებიც დიდხანს იყო მიწაში, არ დაშლილიყოს და ჩვენამდე მოეღწიოს.

ასეთ ბედნიერ მონაპოვარს მიეკუთვნება ბრინჯაოს თასები, რომლებიც კარმირ-ბლურში გათხარა ცნობილმა საბჭოთა არქეოლოგმა ბ. ბ. პოტროვსკიმ. მიუხედავად იმისა, რომ ორნახევარი ათასწლეული მიწაში იდო, ეს თასები ოდნავადაც არაა დაზიანებული. მათი ხმარება დღესაც კი შეიძლება. ახლა რამდენიმე ასეთი თასი ინახება ლენინგრადის ერმიტაჟში.

საინტერესო პირობებში აღმოაჩინა ვ. პლასმა მარანი.

მუშები წააწყდნენ პატარა და ვიწრო სათავსოს. აქ ჩამწყკრივებული იყო წამახულძირიანი თიხის ჭურჭლები, რომლებიც გარეთ გამოიტანეს. ჭურჭლის კედლები დაფარული იყო სქელი ყავიფერი მასით. პლასს ეს გატუჟყიანებული ჭიქურა ეგონა.

და აი, ერთხელ, ძლიერი წვიმის შემდეგ, უეცრად ღვინის სუნი დადგა. „საიდან უნდა იყოს“, — ფიქრობდნენ გაოცებული მუშებო. სუნი ნამდვილად იმ მხრიდან მოდიოდა, სადაც ეს ჭურჭლები ელაგა. ჩაიხედეს შიგ და ნახეს, რომ ჭურჭლები წვიმის წყლით

გავსებულიყო. „ჭიქურას“ კვალიც არსად ჩანდა, რადგანაც ეს ჭიქური კი არა, ღვინის ნალექი იყო, რომელიც წყალში გაიხსნა.

ასე დადგინდა, თუ რისთვის იყო განკუთვნილი ეს ჭურჭლები და რა დანიშნულება ჰქონდა სათავსოს, სადაც ისინი ინახებოდა.



ქვირხასი კოლექციის დაღუპვა

პლასის კოლექცია სწრაფად ივსებოდა უამრავი პატარ-პატარა საგნით. მათ შორის გამოირჩეოდა შვიდი ფირფიტა — ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის, ტყვიის, მაგნეზიტის, ალუმინატის და ლოლა-ქვის. ეს ფირფიტები *სასახლის საძირკველში დატანებულ ქვის ყუთში ინახებოდა.

ეს ნაპოვნი რომ დაათვალიერა, პლასმა ყოველ ფირფიტაზე შენიშნა სრულიად ერთნაირი დამწერლობა. „ეს ალბათ შენობის საძირკვლის ჩაყრის ისტორიაა“, — გაიფიქრა მან და ინანა, რომ წაკითხვა არ შეეძლო.

პლასი არჩიტექტორი იყო და გათხრების დროს გამოადგა თავისი ცოდნა. იქ, სადაც ბოტა მხოლოდ თიხის უფორმო გროვას ხედავდა, მშენებლის მახვილი თვალი ამჩნევდა ოთახებისა და დერეფნების მოხაზულობას. ზოგი კედლის სისქე ცხრა მეტრს აღწევდა.

განა საკვირველია, რომ ბოტამ ვერ შეძლო განესხვაეებინა კედლების გამოუწვავი აგური მიწისაგან, რაც მათ ფარავდა? ფიქრადაც არ მოსვლია, რომ შესაძლებელია ასეთი საოცარი სისქის კედლების არსებობა.

ბოტას. რომ ყურადღებით წაეკითხა ანტიკური ხანის ავტორები, ეცოდინებოდა, რომ ძველ დროში ხშირად უფრო სქელ კედლებსაც აგებდნენ. მაგალითად, ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს სიტყვით, შტეფე ნაბუქოდონოსორ II-მ (ძვ წ. VII—VI ს.) ქალაქ ბაბილონს შემოაგლო 50 წყრთის, ესე იგი 25 მეტრის სისქის კედლები. აქ თავისუფლად აუვლიდა ერთმანეთს გვერდს ორი ოთხცხენიანი ეტილი...

პლასმა აღმოსავლეთის სიძველეთა მდიდარი კოლექცია შეკრიბა. შაგრამ მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გახდა მეცნიერების კუთვნილება. დანარჩენი სამუდამოდ დაიღუპა.

ნორსაბაღში ნაპოვნი ქანდაკებები, ბარელიეფები, სხვადასხვა

ავეჭეულობა, ჭურჭლეული, სამკაულები, ძვირფასეულობა, ლითონისა და ქვის ნაკეთობანი ყუთებში ჩააწყვეს და ხელით მიზიდეს ტიგროსის ნაპირამდე, დადგეს კელეკებზე — მსუბუქ ტივებზე, რომლებიც წყლის ზედაპირზე ჰაერით გაბერილი რუმბების საშუალებით ტივტივებს. ასეთ ტივებს ახლაც იყენებენ ერაყში ტვირთის გადასაზიდად და ხშირად ადამიანების გადასაცვანადაც. პლასს უნდოდა გადაეტანა თავისი მონაპოვარი ბასრაში—ტიგროსის ქვემო წელზე მდებარე ქალაქში, სადაც უნდა მოსულიყო გემი ამ კოლექციის საფრანგეთში წასაღებად. მაგრამ გამგზავნთა დაწუდევრობის გამო ორი კელეკა გადაბრუნდა და ტიგროსში დაიღუპა. პლასის კოლექციასთან ერთად დაიღუპა ათობით ყუთი ძვირფასი საგნებით, რომლებიც სხვა ექსპედიციებმა შეაგროვეს მუზეუმისათვის.

გულით რომ მოენდომებინათ, შეიძლებოდა ჩაძირული ტვირთის ამოღება მდინარიდან. მაგრამ გადასარჩენად მიღებული ღონისძიებები ნელა და ცუდად ხორციელდებოდა. დასახმარებლად გამოგზავნილი საფრანგეთის სამხედრო ხომალდი, საერთოდ, არ გამოცხადდა, ხოლო პატარა ძველი ინგლისური გემი, მდინარეზე რომ იდგა, უვარგისი იყო და არ შეეძლო არსებითი დახმარება გაეწია მათთვის, ვინც ტვირთის გადარჩენას ცდილობდა.

ჩაძირული ფასეულობის ტიგროსის ფსკერიდან ამოღების რამდენიმე გაუბედავი და უშედეგო ცდის შემდეგ ხელი ჩაიქნიეს და თავი მიაწებეს. რაკი ნაპოვნები აურაცხელი იყო, დასავლეთეეროპელი არქეოლოგები აღარ უფრთხილდებოდნენ მათ. ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლები ხურდა ფულად იქცა და გემის ფრაგტს (გადაზიდვის საფასურს) მაღალი ხელოვნებით შესრულებული ბარელიეფებით იხდიდნენ. აი, სადამდე მიდიოდა საქმე.

მაგრამ ვერც რიჩმა, ვერც ბოტამ და ვერც პლასმა წინევიას ვერ მიაგნეს. ხორსაბადის ბორცვის ქვეშ წინევიის მხოლოდ შორეული გარეუბანი — დურ-შარუქინი იფარებოდა.

ასურეთის დედაქალაქი გათხარა ინგლისელმა ჰენრი ლეიარდმა.

ლეიარდი სანაღიროდ მიდის...

მოუსვენარი იყო ამ კაცის ახალგაზრდობის წლები. დიდხანს ვერსად ძლებდა. მას ხან პარიზში, ხან ვენევაში, ხან რომში, ხანაც



ავადი.

ლონდონში ვხვდებით. იგი სწავლობს ხელოვნებას და მედიცინას, ენებსა და იურისპრუდენციას.

ერთ ხანს თითქოს საბოლოო არჩევანიც გააკეთა: დამკვიდრდა ლონდონში, სასამართლოს მოხელის კანტორაში, სადაც ექვსი წელი იმსახურა. მაგრამ როცა დააწმუნდა, აქ კარიერას ვერ გაიკეთებდა, ლეიარდნი ტოვებს მოსაწყენ კანტორას და თავგადასავლის საძებრად აღმოსავლეთში მიემგზავრება.

მან გადაწყვიტა, ცეილონში ჩასულიყო, უარი თქვა ზღვით კომფორტულ მოგზაურობაზე და აირჩია გრძელი და ძნელი სახმელეთო მარშრუტი. იგი დაეხეტებოდა ბალკანეთში, მოინახულა კონსტანტინოპოლი, სადაც გაეცნო ინგლისის ელჩს თურქეთში. ელჩმა ჯეროვნად შეათასა ლეიარდის მზადყოფნა, შეასრულოს ყველაზე სახიფათო დავალება.

ის ხან სირიასა და პალესტინაშია, ხან ერაყსა და ირანში. შეხვდებოდა მომთაბარე სპარსელთა ტომების კარვებში, ანაბი ფელაჰების უბადრუკ ქოხებში. მეგობრობს ბედუინების შეიხებთან და ქეიფობს სირიელ ქრისტიანებთან, ეწევა ინტრიგას როგორც ერთის, ისე მეორის წინააღმდეგ.

ფრანგების წარმატებამ ხორსაბადში ლეიარდს შური აღუძრა. მას აზრი დაებადა, რომ გათხრების საშუალებით შეეცნო ბრიტანეთის მუზეუმის დარბაზები და ამავე დროს ბრწყინვალედ შეესწავლა ქვეყანა. ინგლისის ელჩმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ამ გეგმას. მისცა საჭირო თანხა და ლეიარდი საქმეს შეუდგა.

პირველ ყოვლისა, იგი ეწვია ქ. მოსულის გუბერნატორს ქერითლი ოღლის. აი მისი პორტრეტი:

„იგი იყო ცალთვალა და ცალყურა, ჯმუხი და მსუქანი, ნაყვავილარი, მოუქნელი, ლაპარაკობდა ხრინწიანი ხმით.“

ეს გახლდათ დაპყრობილ ერაყში თურქეთის მიერ დაყენებული ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და გაუმაძღარი მოხელე. მოსულის გუ-

ბერნატორი ყოველმხრივ გაწაფული იყო ღატაკი და დამშეული მოსახლეობისათვის უკანასკნელი ტყავის გაძრობაში. უამრავ სხვადასხვა გადასახადს გარდა მან შემოიღო კიდევ ერთი გადასახადი „ჯეს პარასი“, რაც ქართულად „კბილის ფულს“ ნიშნავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, უბედურ ხალხს უნდა ეხადა გადასახადი... გუბერნატორის კბილების გაცვეთისათვის.

ლეიარდმა დაუმალა ქერითლი-ოღლის თავისი განზრახვა. ხმა დაარხია, დათევბზე ნადირობას ვაპირებ მოსულის მიდამოებშიო და რამდენიმე თანამგზავრის თანხლებით ცურვით დაუყვა ტიგროსს.

რალაც ხუთიოდე საათის შემდეგ მან უკვე მიაღწია მიზანს;—ნიმრუდის უზარმაზარ ბორცვს, რომელიც მან დიდი ხნის წინ შეარჩია.

გაძარცულ და მიტოვებულ სოფელში ლეიარდი შემთხვევით წააწყდა ერთადერთ ოჯახს, რომელიც ნანგრევებში იმალებოდა. ნახევრად ჩამქრალ ნაკვერცხლებთან ჩაცუტქულიყვნენ სამი გამხდარი ქალი და თითქმის შიშველი ბავშვები. აქვე იდგა თეთრ ჩაღმასა და ფართო წამოსასხამში გამოწყობილი ოჯახის უფროსი. მან უამბო ლეიარდს, თუ როგორ დაარბია ქერითლი-ოღლიმ აქაურობა და როგორ გადაიხვეწა სოფლის მოსახლეობა შეჩვეული ადგილებიდან, რათა თავი დაეღწიათ თურქეთის გუბერნატორის სიხარბისათვის.

ლეიარდი მიხვდა, რომ ავადი — ასე ეძახდნენ არაბს — მზადაა მუქთად შეასრულოს ნებისმიერი სამუშაო და მაშინვე დაიჭირავა იგი. მისი დახმარებით შორეულ სოფლებში შეკრიბა რამდენიმე მუშა და გათხრებს შეუდგა.

ასე დაიწყო ლეიარდის „ნადირობა“. მაგრამ არა დათევბზე, არამედ აღმოსავლურ სიძველეებზე.

აკრველი ნაღავლი

ნიმრუდის ფართო მიწაყრილი დილის ცის ფონზე ციხე-სიმაგრეს წააგავდა. ბორცვის მწვერვალიდან მოჩანდა მზისგან გადახრუკული უნაყოფო ტრამალი, სადაც ქარი ერეკებოდა ქვიშის



ასურელი: მუსიკოსების კვარტეტი. ქვის ბარელიეფი.

დრუბლებს. ბორცვის ზედაპირზე, მიწასა და კერამიკის ნამტკრევებში, ეყარა თიხის ფირფიტები, რომლებზედაც გამოყვანილი იყო ლურსმული ნიშნები. ლეიარდს არ აინტერესებდა ისინი. სამაგიეროდ უსაზღვრად გაიხარა, როცა მუშებმა ბარელიეფის ნატეხი მიუტანეს. ჩანს, სწორად აირჩია ადგილი გათხრებისათვის. ექვგარეშეა, აქ სადღაც დამარხულია სასახლე ან იქნებ მთელი ქალაქი, აი ისეთი, ბოტამ რომ აღმოაჩინა ხორსაბადში.

ავადმა ლეიარდი მიწიდან ამოშვერილი ალუბასტრის ნამტკრევეთან მიიყვანა. მაგრამ მისი ადგილიდან დაძვრა არ მოხერხდა. ლეიარდმა ბრძანა, ირგვლივ შემოეთხარათ. აღმოჩნდა უზარმაზარი სწორკუთხა ფილა, მას მოსდევდა მეორე ასეთივე ფილა. მალე გათხარეს ფილებით მოპირკეთებული მთელი კედელი. ყოველი ფილის ცენტრში იყო წარწერა იმავე გაურკვეველი ნიშნებით.

წარმატებით ფრთაშესხმულმა ლეიარდმა მუშები ორ ჯგუფად გაჰყო. ერთი ჯგუფი დატოვა ნაპოვნი ოთახის გასათხრელად, მეორე წაიყვანა მიწაყრილის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც შემჩნეული იყო დამწვარი ალუბასტრი. აქაც ძალიან მალე გათხარეს კედელი. მაგრამ ფილები, რომლითაც დაფარული იყო ეს კედელი, ძლიერ დაეზიანებინა ცეცხლს. ცხადი იყო, შენობა ხანძარს გაენადგურებინა.

ლეიარდს ერთი სული ჰქონდა გაეგრძელებინა თხრა. მაგრამ ერთბაშად ჩამოწოლილმა სამხრეთის ბნელმა და უკუნმა ღამემ აიძულა მუშაობა შეეწყვიტა.

ერთ-ერთ გათხრილ ოთახში, მტვერსა და ღორღში იპოვეს სპილოს ძვლის პატარ-პატარა ნივთები, ერთ დროს მოოქრული ქანდაკებები და სამკაულები. ავადმა გულმოდგინედ შეაგროვა ბრჭყვიალა ნამცეცები, რომლებსაც საგულდაგულოდ უმაღავდა გარეშე თვალს, შეახვია სქელ ქალღღმში, დიდის ამბით გადასცა ლეიარდს და უთხრა:

— ო, ბეი, თქვენი წიგნები არ ცდებიან. ჩანს, ინგლისელებმა იციან, რაც დაფარულია მართლმორწმუნეთაგან. აქ ოქროა, და რა თქმა უნდა, ძალიან ბევრიც. ალაჰმა ქნას, რამდენიმე დღეში გვეპოვოს იგი, ოღონდაც არაფერი უთხრათ ამ არაბებს, მათ არ შეუძლიათ ენას კბილები დააჭირონ. ეს ამბავი ფაშას ყურამდე მივა.

რარიგ გაოცდა ავადი, როცა ლეიარდმა დაუბრუნა ეს „განძეუ-

ლობა“. გულუბრყვილო ავადს არ ესმოდა, რომ მეტად მცირედ ღირებული რამდენიმე ბრჭყვიალა ქვიშის მარცვალი ვერ დააკმაყოფილებდა ინგლისელს.

ლეიარდი გაფაციცებით ეძებდა ისეთ ქანდაკებებს, როგორც ბოტამ აღმოაჩინა. ყველგან ურტყამდა ძალაყინს და სპობდა ყველაფერს, რაც, მისი აზრით, საინტერესო არ იყო. ლეიარდი ამას საკმაოდ გულახდილად გვამცნობს თავის ჩანაწერებში. მხოლოდ ქანდაკებები, რაც შეიძლება მეტი ქანდაკებები.—დანარჩენს ფასი არაფერს არა აქვსო.

ანგრევდა კედლებს, იატაკს. ერთმანეთში არეული მიწა და დამტვრეული აგური კალათებით გაჰქონდათ და მაღალი ბორცვებიდან ყრიდნენ. ამ დროს დაიღუბა დამწერლობის მრავალი ძეგლი, რომლებიც ლეიარდმა ყურადღების ღირსად არ ცნო. ვინ იცის, რამდენი ძვირფასი ისტორიული და ლიტერატურული დოკუმენტი სამუდამოდ დაკარგა კაცობრიობამ!..

3. მოსულის გუგარნატორის ოინაზი

ერთი კვირის შემდეგ ლეიარდმა საჭიროდ მიიჩნია დაბრუნებულიყო მოსულში და ეცნობებინა გუბერნატორისათვის თავის საქმიანობაზე. ქალაქი აღელვებული დახვდა.

ქერითლი-ოღლიმ მშვენივრად იცოდა, რომ მოსულის მოსახლეობას უსაზღვროდ სძულდა იგი და გადაწყვიტა, ამითაც კი ხელი მოეთხო. ერთხელ, ნოყიერი სადილის შემდეგ, გუბერნატორმა თავი მოიავადმყოფა — დაწვა და მომაკვდავს დაემსგავსა. მისი დაახლოებული პირები გადაკვრით კი არა, აშკარად ამბობდნენ, თურქი ნაცვალი უეცრად გარდაიცვალაო. ეს ცნობა სწრაფად მოედო მთელს მოსულს და საერთო სიხარული გამოიწვია. ამ დროს გუბერნატორის მიერ დაგზავნილი აგენტები თვალყურს ადევნებდნენ ყველაფერს და ატყობინებდნენ მას, რაც ხდებოდა.

მალე ქერითლი-ოღლი სრულიად ჯანმრთელი და საღ-სალამათი გამოცხადდა ბაზრის მოედანზე. დაიწყო საყოველთაო ანგარიშსწორება. ადამიანებს იჭერდნენ და ართმევდნენ ყველაფერს, რაც ება-

დათ „ცრუ ხმების გავრცელებისათვის“, „მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის“ და სხვა მსგავსი „დანაშაულისათვის“...

ქერითლი-ოღლის ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი იცოდა ნიმრუდის გათხრებზე. მაგრამ შემდეგ, რათა ემხილებინა ლეიარდი, ამოიღო თავისი მაგიდის უჭრიდან ჭუჭყიან ქალღმერთში შეხვეული მცირე რაოდენობის ოქრონარევი ქვიშის მარცვლები, სწორედ ისეთი, რამდენიმე დღის წინ რომ გადასცა ინგლისელს ავადმა.

— ეს მომიტანა ჩემმა ერთგულმა ხალხმა, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ თქვენს მოქმედებას. გამოტყდით, რამდენი ოქრო იპოვეთ უკვე.

ლეიარდი დათანხმდა, რომ გათხრებისათვის თვალყური ედევნებინა ფაშას სპეციალურ აგენტს, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემდა ნაპოვნ ძვირფას ლითონს მოსტოლის მმართველს.

ლეიარდმა საგრძნობლად გაზარდა მუშების რაოდენობა და დაიწყო სხვა ადგილების თხრაც. როგორც იქნა, მიავნო რასაც ეძებდა — მდიდარ ბარელიეფებს და სკულპტურებს. მაგრამ მოსულიდან მოულოდნელად მოვიდა ბრძანება, შეეწყვიტათ გათხრები.

— სამწუხაროდ, შევიტყვე, რომ მიწაყრილი, სადაც თქვენ გათხრებს აწარმოებთ, ოდესღაც მუსულმანთა სასაფლაო ყოფილა, — უთხრა ლეიარდს ქერითლი-ოღლიმ, — კანონი გვიკრძალავს დავარღვიოთ მართლმორწმუნეთა მყუდროება.

— გათხრების ადგილზე არავითარი საფლავები არ არის, ძველი სასაფლაო მოშორებულია, — შეეპასუხა ლეიარდი.

— არა, მე არ შემიძლია ნება დაგროთ, კვლავ განაგრძოთ გათხრები, — გაიძახოდა გუბერნატორი. — თქვენ ძველ ქვებზე მეტი მიღირხართ. ჩემს უძვირფასეს ერთგულ მეგობრად მიმაჩნიხართ და რაზე რომ დაგემართოთ, ძალიან მეწყინება.

იგი პირდაპირ აგრძნობინებდა, რომ მოსალოდნელია ცრუმორწმუნე არაბთა თავდასხმამო. მაგრამ ლეიარდმა ძალიან კარგად იცოდა, ასეთი თავდასხმის ორგანიზატორი მხოლოდ თვითონ თურქეთის მოხელე შეიძლებოდა ყოფილიყო.

ლეიარდი ხელცარიელი დაბრუნდა ნიმრუდში, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ფარულად გაეგრძელებინა გათხრები. რა-

რიგ გაოცდა, როცა შეიტყო, რომ სასაფლაო, რასაც ფაშა იმიზეზებდა... ყალბი იყო!

ერთმა ჭარისკაცმა უთხრა მას:

— გვიბრძანეს საფლავები მიწაყრილზე გადმოგვეტანა და ორი ღამე ვიმუშავეთ. შორეული სოფლებიდან მოვართიეთ საფლავის ქვები. ამ ორ ღამეში მართლმორწმუნეთა იმაზე მეტი საფლავი დავანგრეთ, რასაც თქვენ ორი წლის განმავლობაში ვერ შეძლებდით. გავწამდით ჩვენცა და ცხენებიც ამ წყეული ქვების თრევით...

ნიმროდის თავი

მრავალი რამ გადახდა თავს ლეიარდს. მისი გაძარცვა სცადა ბედუინების ბანდამ. ერთხელ კი, საღამოთი შინ დაბრუნებულს, აღარ დახვდა სახლი — იგი ქარიშხალს აღეგავა პირისაგან მიწისა. მაგრამ ერთიმეორეზე საუკეთესო ნაპოვნები ყველაფერს უნაზღაურებდა მას. დღითი დღე სულ უფრო აშკარად ჩნდებოდა ხანძრისაგან მხოლოდ ნაწილობრივ დაზიანებული დიდებული სასახლის მოხაზულობა. მისი საგანძურის დიდი ნაწილი ძალიან კარგად იყო შენახული.

ერთხელ ლეიარდი მეზობელი სოფლიდან ბრუნდებოდა. სახლს რომ მიუახლოვდა, ორი მხედარი შემოხვდა, რომლებიც მთელი სისწრაფით მოქროდნენ. არაბებმა უცბად შეაჩერეს გაჭენებული ცხენები და საშინლად აღელვებული ყვიროდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს:

— ჩქარა, ჩქარა, ბეი, მიწისმთხრელებისაკენ გაქანდით, ნიმროდი! იპოვეს! ეს სასწაულია, მაგრამ ჭეშმარიტებაა. საკუთარი თვალით ვნახეთ. — მათ სულმოუთქმელად წარმოთქვეს ეს სიტყვები და გააჭენეს ცხენები.


შეფიქრიანებული ლეიარდი გაეშურა იქით, სადაც გათხრები მიმდინარეობდა და მართლაც საოცარი სურათი დახვდა: არაბები მიწიდან ამოშვერილი გიგანტური ადამიანის თავს გარსშემორტყმოდნენ და რალაცაზე გაცხარებული ლაპარაკობდნენ.

პირველ წუთებში ლეიარდი მუშებზე ნაკლებ როდი გაოცდა.

¹ ძველი ქართული ისტორიული წყაროების ნებართვით. — რედ. შენიშვნა.

ალეხასტრის ქანდაკების დიდი, კეთილშობილური სახის ყოველი ნაკვთი სიმშვიდეს და სიბრძნეს გამოხატავდა. აზრიანი თვალები თითქოს ჩაცეხებით გიცქერდნენ, სქელი ხუჭუჭი წვერი მკერდზე ეფინა, მრგვალ თავსაბურავს დაგრეხილი რქები უმშვეენებდა. რა ზომისა უნდა იყოს მთელი ქანდაკება, თუ მარტო თავი ადამიანზე მაღალია?

იგი საოცრად კარგად იყო შენახული. მისი სიდიდე და დიდებული იერი უნებურად შიშს უნერგავდა ადგილობრივ ცრუმორწმუნე მცხოვრებლებს. მათ მეხსიერებაში გაცოცხლდა ლეგენდები ძლიერ ნადირთმკერზე, ღვთიურ მონადირე ნიმროდზე, რომელმაც ნინეფია დააარსა. ამასობაში ამ ადგილს, სადაც ასეთი შესანიშნავი რამ იპო-



ნიმროდის თავი.

ვეს, მთელი ოლქის მომთაბარე მოსახლეობა მოაწყდა, ისინი შეშინებული უახლოვდებოდნენ თხრილს და იქიდან იყურებოდნენ. უფრო გაბედულნი ძირს ჩადიოდნენ და უზარმაზარ თავს, როგორც სასწაულს, ისე უტყეოდნენ.

თხრილში ჩავიდა ერთ-ერთი ტომის ბელადი. — შეიხი აბდურაჰმანი.

— არა, ეს ადამიანის ნახელავი არაა! — შესძახა მან. — ეს იმ გოლიათების ნამოქმედარია, რომლებზედაც წინასწარმეტყველს უთქვამს, ისინი ყველაზე მაღალ პალმაზე მალეები არიანო. ეს ერთი იმ კერპთაგანია, ნოემ წარღვნის წინ რომ დასწყევლა.

ალეხასტრის თავის ამბავმა ქ. მოსულამდე მიადწია. ლეიარდის ერთმა შეშინებულმა მუშამ, ფელაჰმა, მიაგდო ბარი და კალათა, მიიჭრა მოსულის ბაზარში ყვირილით და ყოველ შემხვედრს ეუბნებოდა; თვით ნიმროდი მოგვევლინაო. ისლამის ღვთისმსახურებმა იმდენად ააღელვეს მოსახლეობა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, რომლებმაც მყუდროება დაურღვიეს ძველ გმირს, რომ ლეიარდი იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა მუშაობა.

ფრთიანი კაცისთავიანი ხუთშეხა ხარი

როცა მღვლეარება ცოტა მიწყნარდა, ლეიარდმა გათხრები განაგრძო. ზედიზედ ჩნდებოდა ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი. ბოლოს და ბოლოს, იმდენი „სასწაული“ დაგროვდა, რომ ბნელი და დაბეჩავეებული ფელაჰებიც კი თანდათან მიეჩვიენენ მათ.

ცრუ ნიმროდის თავი, რომელმაც ამდენი შესლა-შემოხლა გამოიწვია, დაყრდნობილი იყო ვეებერთელა ფრთიანი ლომის ტანზე. მალე გათხარეს ასეთივე ურჩხულის მეორე ფიგურა. გამოირკვა, რომ ფანტასტიკურ არსებათა ეს წყვილი იცავდა ნიმროდის სასახლის შესავალს.

ლეიარდი განაგრძობდა გათხრებს ნიმროდის ბორცვის სხვადასხვა ნაწილში და ალეხასტრის ახალ-ახალ სკულპტურულ გამოსახულებებს — ქანდაკებებსა და ბარელიეფებს პოულობდა. ფრთიან კაცის-




კეთილი გენია ხუთფეხა ფრთიანი კაცისთავიანი ხარის სახით.

თავიან ლომს მალე მიემატა ფრთიანი კაცისთავიანი ხარი. და საოცარია, რომ ზოგ მათგანს არა ოთხი, არამედ ხუთი ფეხი ჰქონდა.

დიდხანს ვერ მიხვდა ლეიარდი მეხუთე ფეხს რა დანიშნულება ჰქონდა. ეს ყველას გააოცებდა. რა საჭიროა მეხუთე ფეხი? და აი, თურმე საჭირო ყოფილა! მისი დანიშნულება მალე დადგინდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მის მიერ გათხრილი ოთახების კედლები, მთლიანად მოპირკეთებული იყო ალუბასტრის ფილებით, რომლებზედაც ძველი დროის ოსტატის საჭრეთელს ამოეკვეთა საომარ ლაშქრობათა სცენები, ბრძოლების ცალკეული ეპიზოდები, ციხისთვის ალყის შემორტყმა, ბანაყის ცხოვრება, ტყვეების წასხმა, ნადავლის დატაცება.

აი, მოჭრის საომარი ეტლი, ქარი უფრიალებს ცხენებს ფაფარს. დაჭიმულია მშვილდები, მოფრინავენ ისრები; მათი მახვილი წვერი



ლომკაცის სახიანი ფრთოსანი გენია.

სხეულში ესობა პანიკით უკუქცეულ მტერს. აი, სეტყვასავით წამოსული მტრის ისრების ქვეშ მეომრები მიცოცავენ ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის კედლებზე აყუდებულ კიბეებზე. ცალ მუხლზე ჩაჩოქილი მეომარი ჩირაღდნით ხელში ცეცხლს უკიდებს ქალაქის ალაყაფს, მაშინ როცა სხვები კედლების შესაღწად რაღაც ბლაგვი იარაღით ქვებს აცლიან კედელს... მძიმედ დაჭრილი ქალაქის დამცველი კედლიდან თავპირისმტვრევით ძირს ვარდება. მოალყეებმა მოახერხეს იარაღის მალლა ატანა, მაგრამ ალყაშემორტყმული სიმაგრის ერთი მეომარი ცდილობს ცეცხლს მისცეს იგი. შებრალებას ითხოვს ხელაპყრობილი ქალი...

საომარ სცენებს სცელის ლომებზე მეფის ნადირობის სანახაობა. სამეფო კარის ცხოვრების სურათები, ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებანი, ადამიანები და ცხოველები გამოსახულია საოცარი სიზუსტითა და ცოცხლად. მხატვარს მოძრაობაში აღუბეჭდავს ისინი, ყოველი კუნთი დაძაბულია. ასახულია სამკაულისა და ტანსაცმლის ყოველი წვრილმანი, არც ერთი დეტალი არაა გამორჩენილი. უყურებ ყოველივე ამას და თითქოს გესმის ბრძოლის ზათქი. ნადირობის ყიყინა, დაკოდითა გოდება, მოქიფეთა შეძახილები. მაგრამ ყველაზე დიდ გაოცებას მაინც ფრთიანი ლომები და ხუთფეხა ხარები იწვევენ.

ორი მეთოდი

ნიმრუდის ბორცვის გათხრები ორ წელიწადს გრძელდებოდა. ათასწლეულების განმავლობაში მიწის სქელი და მკვრივი ფენიურ დაფარული ხუთი სასახლე დაიხსნეს არარსობიდან და მზის შუქზე გამოიტანეს. ქვის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის, თიხის, ალუბასტრისა და აგრეთვე მინისაგან დამზადებული უამრავი სხვადასხვა ნივთი აღმოაჩინეს არქეოლოგებმა სასახლეთა ნანგრევებში.

მაგრამ ეს ქალაქიც არ იყო ნინევი, რომელსაც ეძებდნენ რიჩი, ბოტა და ლეიარდი. ის იყო ქალაქი ქალხუ (თანამედროვე ნიმრუდი.)

სამწუხაროდ, ლეიარდი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა იმას,

რაც ერთბაშად თვალში არ ხედებოდა, რაც არ გამოირჩეოდა შესრულების სრულყოფით, რაც სილამაზით არ ახდენდა შთაბეჭდილებას. საქმე ეხება გამომწვარი თიხის სხვადასხვა ზომისა და ფორმის უბრალო ფირფიტებს, რომლებიც ხშირად ხედებოდა მას. ზოგი მათგანი მთლიანი იყო. მეტი წილი კი ნამტვრევები. მაგრამ ყველა ისინი ერთმანეთზე მიჯრილი წვრილი საწერი ნიშნებით იყო დაფარული. მათ შეეძლოთ მრავალი რამ ეამბნათ შორეულ წარსულზე.

მაგრამ არა მარტო თიხის ფირფიტები, არამედ მრავალი სხვა ნივთი დაიღუპა უცოდინარობისა და დაუდევრობის შედეგად. იფშენებოდა ბრწყინვალედ ნაკეთები. სპილენძის ჭურჭელი, გატყდა სარკოფაგში აღმოჩენილი მდიდრული ფიალა, ასურელ მეომართა ძველებური ჭეზარადებიდან საცოდავი ნატეხებილა გადაარჩა. ბარის დარტყმით დაიმსხვრა შესანიშნავი ჭურჭელი, დაღუპვას ვერ გადაურჩა ზოგიერთი ბარელიეფიც.

და ყოველივე ეს გასაკვირი არაა. მაშინ გათხრის მეთოდი არ იყო უნაკლო. ლეიარდს ჩვეულებრივ კედლის გასწვრივ გაჰყავდა თხრილი, ხელუხლებელს ტოვებდა ოთახის შუაგულს. მიწის ამ სქელ ფენაში უამრავი სხვადასხვა საგანი რჩებოდა. მან მხოლოდ რამდენიმე ოთახი გათხარა მთლიანად. ერთ შენობას რომ მიწისაგან ასუფთავებდა, მიწას ადრე გათხრილ მეორე შენობაში ყრიდა.

ეს საგრძნობლად აჩქარებდა და უფრო აიაფებდა გათხრას. ერთია — მიწის ერთი ოთახიდან მეორეში გადაყრა, მაგრამ სულ სხვაა ამ მიწის ზემოთ ამოტანა და მისი გაზიდვა გათხრების ადგილიდან, რათა მუშაობაში ხელი არ შეეშალა.


ამჟამად სრულიად სხვაგვარად თხრიან. არქეოლოგები არ ჩქარობენ ნაპოვნი ნივთების მიწის ზედაპირზე ამოტანას. არც ერთ ნივთს ხელს არ ახლებენ, ვიდრე ფოტოსურათს არ გადაუღებენ და არ ჩახატავენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნივთების ურთიერთგანლაგებას, ე. ი. არქეოლოგიურ კომპლექსს. მარტო ის კი არაა მნიშვნელოვანი, რომ, ვთქვათ, ვიპოვეთ ფიალა, — მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, სად ვიპოვეთ, რა მდგომარეობაში, რა ნივთები იყო მის ახლოს.

ეს იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ მხოლოდ მთლიან კომპლექ-

სში, ურთიერთკავშირშია შესაძლებელი არქეოლოგიურმა მონაპოვარმა გახსნას ეპოქა და მკვლევარისათვის იგი იქცეს სრულიად სარწმუნო და ძვირფას წყაროდ. ხშირად საგნების განლაგების მიხედვით შესაძლებელი ხდება განსაკუთრებული სიზუსტით დავადგინოთ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის დრო, ვითარება და ხასიათი.

ბევრზე, ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებენ არქეოლოგიური ძეგლები, თუ მათ განიხილავენ როგორც ისტორიულ წყაროს. გათხრებისადმი ასეთი მკაცრი მეცნიერული მიდგომა დაეხმარა საბჭოთა ისტორიკოსებს, აღედგინათ სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრების მანამდე უცნობი პერიოდები.

ალებასტრის ბარელიეფების ამოსაღებად ახლა მეცნიერები არ დაიწყებენ თხრას კედლის გასწვრივ. ისინი უდიდესი სიფრთხილით, სანტიმეტრებით ზომავენ და ისე ჩაღიან ნიადაგის სიღრმეში. ზოგჯერ საცერშიც კი ცრიან მიწას, — ხომ შეიძლება დაიკარგოს მძივი,



მონადირე ძაღლები. ასურული ბარელიეფის დეტალი.

საყურე, ბეჭედი და სხვა წერილი ნივთი. თუ საგანი გამოფიტულია და დაღუპვის საფრთხე მოელის, არქეოლოგები ყველა ზომას ხმარობენ მის გადასარჩენად. გამოხუნებულ საღებავებს წინანდელ ფერს უბრუნებენ; აცოცხლებენ ნახევრად დაღუპულ მხატვრულ ნაწარმოებებს, აღადგენენ ძველი დროის ძეგლებს.

რესტავრაციის ხელოვნებამ ჩვენს დროში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია. რესტავრატორებმა დახმარებისათვის მიმართეს ქიმიას, ფიზიკას და სხვა მეცნიერებებს. ისინი იყენებენ თანამედროვე რთულ ხელსაწყოებს.

საბჭოთა მეცნიერმა, პროფესორმა მ. ე. მასონმა, რომელიც ხელმძღვანელობდა სამხრეთ თურქმენეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, გათხრების დროს ათასობით ნამსხვრევის გროვა აღმოაჩინა. ეს იყო უბადრუკი ნაშთები ოდესღაც დიდებული, სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი სამეფო რითონებისა, რომლებსაც, ალბათ, ღრეობის დროს ჭურჭლად იყენებდნენ. ისინი სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნდათ მეცნიერებისათვის; სასმისები უბრალო ხელის შეხებითაც კი იფშენებოდა.

ძვირფასი ნაპოვნი უკვალოდ რომ არ დაკარგულიყო, გათხრების დროს ბარის მაგიერ ფუნჯსა და მაჩუზლარბას ნემსებს ხმარობდნენ. შეგროვილი ნამსხვრევები განსაკუთრებული წებოთი გაყდინთეს, რამაც სიმტკიცე მისცა მათ. შემდეგ კი დაადულეს თაბაშირით და ლაბორატორიაში გადაიტანეს.

თვეების განმავლობაში გამოცდილი რესტავრატორები წმენდდნენ, ამაგრებდნენ და აღადგენდნენ ყოველ ნატეხს, ნატეხებს ერთმანეთს უსადაგებდნენ. ასე აღადგინეს სამხრეთ თურქმენეთის ძველი ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოებები.

მეორე კიდეე უფრო საგულისხმო მაგალითი: ააწყვეს და შეაწებეს 1800 ნატეხად ქცეული თიხის უზარმაზარი ქანდაკება.

კოლონიზატორთა ზნე-ჩვეულებანი

ლფიარდი ისე პარპაშებდა ერაყში, როგორც საკუთარ მამულში. ამ ქვეყანაში ყოფნის დროს შესანიშნავად შვისწავლა ადგილობრი-

ვი ზნე-ჩვეულებანი და ამით მოხერხებულად სარგებლობდა. არა-
ბებს აქეზებდა თურქების წინააღმდეგ, ქრისტიანებს — მუსულმან-
ების წინააღმდეგ, ხოლო მომთაბარეებს აგულიანებდა ბინადარი
ტომების წინააღმდეგ, რათა დაესუსტებინა როგორც ერთნი, ისე
მეორენი.

„მე დავგზავნე მათ შორის რამდენიმე არაბი მტრულად განწყო-
ბილი ტომებიდან და ამრიგად, ყოველთვის შემეძლო მცოდნოდა,
რა ხდებოდა იქ,“ — წერს ლეიარდი თავის მოგონებებში.

გალატაკებულ ერაყში ერთი წყვილი ყვითელი ჩექმებით, აბ-
რეშუმის ხალათით, მოქარგული წამოსასხამით ან თეთრი ჩალმით
ლეიარდი მოისყიდდა ხოლმე შეიხებს, ყადებს და ტომთა ბელა-
დებს ან მორწმუნეთა სხვა თავკაცებს. ისინი კი როცა ლეიარდს
სურდა, ჩალის ფასად აწვდიდნენ იმდენ მუშახელს, რამდენიც საჭი-
რო იყო.

ლეიარდი ხედავდა, რომ პასუხს არავინ სთხოვდა და სულ გა-
თავებდა. უცხო ქვეყანაში იგი თვითონ ასამართლებდა და ანგა-
რიშს უსწორებდა ადამიანებს, მათრახით სცემდა და ბორკილებს
ადებდა „დამნაშავეებს“. ამის შესახებ განსაცვიფრებელი ცინიზ-
მით წერს ლეიარდი თავის დღიურში: „ასეთ საკითხებს ადვილად
ვჭირდი, რადგან მრავალნაირი ხუნდები მქონდა მომარაგებული“.

მას მუდამ თან ახლდა ორი ბრგე, ღონიერი ვაჟკაცი, რომლებიც,
ლეიარდის სიტყვით რომ ვთქვათ, „ყოველთვის მზად იყვნენ გულ-
მოდგინედ ემოქმედათ, რათა დაემტკიცებინათ თავიანთი ერთგუ-
ლება“. საკმარისი იყო ერთი უბრალოდ ენიშნებინა მას, რომ დაე-
ჭირათ და ეცემათ ადამიანი.

ერთხელ ლეიარდის ბანაკში დაიკარგა თოკები და ჭილოფი. ლე-
იარდს ბევრი არ უფიქრია, თავზეხელაღებულ მხლებლებთან ერ-
თად ცხენით მიიჭრა ექვმიტანილი ტომის შეიხის კარავთან. მან
ანიშნა ერთ-ერთ მხლებელს, რომელმაც ელვის სისწრაფით დაადო
ტომის ბელადს ხელ-ფეხზე ხუნდები, მხლებელი მოახტა ცხენს და
თან აითრია მოულოდნელობისაგან გაოგნებული შეიხი.

ერთ-ერთმა არაბმა სცადა ხელი ეტაცა ცხენისათვის სადავეში,
რათა გადაერჩინა ტომის მეთაური. მაგრამ იგი მუშტის დარტყმით
ძირს დასცეს.

შეიარაღებული მომხდურები, ლეიარდის მეთაურობით, რევოლუციებით დაესიენ არაბებს. არაბი ქალები კარვებიდან გამოცვივდნენ, ლეიარდის ცხენს შემოეხვივნენ, ჰკოცნიდნენ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე და ემულარებოდნენ დაენდო მათი შეიხი, მაგრამ ლეიარდი უღმობელი იყო.

ჩვეულებრივ, კოლონიზატორები ღუმლით უვლიდნენ გვერდს ასეთ „გმირობას“, მაგრამ ამჯერად ლეიარდმა ყველაფერი წამოროშა, იგი დაწვრილებით აგვიწერს ამ შემთხვევას და თან ტრაბახობს.

ლეიარდი დროდადრო ტოვებდა გათხრების ადგილს და საღდაც იკარგებოდა. სად იყო და რას აკეთებდა, იცოდა მხოლოდ მასთან დაახლოებული პირების ვიწრო წრემ.

იგი ეკითხებოდა ხოლმე ძველ მცხოვრებლებს, სად იყო მიტოვებული მალაროები, რომელთა ადგილმდებარეობასაც გულმოდგინედ მალავდა ადგილობრივი მოსახლეობა, ანგარიშობდა სპილენძის, რკინის, ტყვიისა და სხვა სასარგებლო მთამადნეულის რა მარაგი შეიძლებოდა ყოფილიყო აქ.

ყველა ამ ცნობას ლეიარდი ინგლისში გზავნიდა.

ლეიარდი იყენებს ასურბაანიშალისდროინდელ ტაქნიკას

შედარებით მომცრო ბარელიეფიან. ფილებს, ქანდაკებებსა და აღმოსავლური ხელოვნების სხვა ძეგლებს ლეიარდი რეგულარულად გზავნიდა ინგლისში. მაგრამ ყოველთვის, როცა კი 'უყურებდა კაცისთავიან ლომებსა და ხარების ვეებერთელა ფიგურებს, ფიქრობდა, როგორ დაეძრა ისინი ადგილიდან? როგორ ამოეტანათხრილიდან და მიეტანა ტიგროსის ნაპირამდე?

მან გათხარა ცამეტი წყვილი ფრთიანი ურჩხული. აქედან ლეიარდმა აირჩია ყველაზე პატარები — ხარი და ლომი. მაგრამ ამ ყველაზე პატარა ხარსა და ლომს ოთხი მეტრი სიგრძე და ოთხი მეტრი სიმაღლე მაინც ჰქონდა თითოეულს. ადგილობრივი მცხოვრებნი ერთმანეთს არ აცლიდნენ რჩევის მიცემას. ბოლოს, ლეიარდმა მიიღო გადაწყვეტილება.

მისმა ხალხმა მთებში თუთის ხეები მოჭრა, დახერხა მორებად

და ფიცრებად. შემდეგ დაამზადეს ვეება მთლიანი ბორბლები და რკინით შეჭედეს.


ლეიარდის მიერ გაკეთებულმა უზარმაზარმა ფორანმა გააოცა ქ. მოსულის გულუბრყვილო მკვიდრნი. ადგილობრივი მცხოვრებნი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ მის სანახავად.

დიდი წვალებით, თოკების, ბერკეტისა და საგორავების დახმარებით ფრთიანი ხარი როგორც იქნა ადგილიდან დაძრეს, თხრილიდან ამოათრიეს და ფორანზე დადეს.

მაგრამ საქმე ჯერ სანახევროდ იყო გაკეთებული. ახლა ფორანი კაცისთავიან ხართურთ ტიგროსის ნაპირებამდე უნდა მიეთრიათ.

ჯერ რამდენიმე კამეჩი შეაბეს. მაგრამ ვერც ყვირილმა, ვერც შეძახილებმა, ვერც შოლტის ცემამ ვერ აიძულა პირუტყვი ადგილიდან დაძრულიყო..

რა მოისაზრა მაშინ ლეიარდმა?



ხუთფეხა ფრთოსანი კაცისთავიანი ხარის ამოტანა ტრანზეიდან.

მან ბრძანა, გამოეშვათ კამეჩები და შეეხებთ აღამიანები.

გადარჩენილია ბარელიეფები, სადაც გამოსახულია ძველი ასურელების მიერ ფრთიანი ხარის გადატანა.

შემონახულია აგრეთვე ჩანახატი ლეიარდის მიერ ხარის გადატანის მომენტის გამოსახულებით. ერთ მოვლენას მეორესაგან ორნახევარი ათასწლეული აშორებს, მაგრამ შეადარეთ ტრანსპორტირების ეს ორი წესი: თქვენ ვერ ნახავთ განსაკუთრებულ განსხვავებას, იქაც პირუტყვის მაგიერ შებმული არიან ადამიანები.

ძველი ასურელები ამ მძიმე სამუშაოზე მოერეკებოდნენ მოწებს. ლეიარდი კი იყენებდა მშვიერი მოსახლეობის თითქმის მუქო შრომას.

ლეიარდს ჩვეულებად ჰქონდა დაეჭირავებინა მხოლოდ ოჯახის უფროსი. მან კარგად იცოდა, რომ არაბის ნათესავეები გულხელდაკრეფილები არ დაუწყებდნენ ცქერას, როცა მას წელი სწყდებოდა აუტანელი შრომით, და აუცილებლად მოეხმარებოდნენ. ამრიგად, ამუშავებდა ლეიარდი ათობით ადამიანს ისე, რომ არაფერს არ უხდიდა. მათი ხვედრი მხოლოდ პანლური და ზედამხედველის მათრახი იყო.

აი, როგორ აგვიწერს ლეიარდი ხარის გადატანას მდინარის ნაპირზე.

„პროცესია ასე იყო გაჭიმული. მე ბაირახდართან¹ ერთად მივდიოდი ყველაზე წინ და გზას ვუჩვენებდი დანარჩენებს. ჩვენ მოგვყვებოდნენ სხვები, რომლებიც თავგამოდებით უკრავდნენ ფლეიტებს და აბრახუნებდნენ დოლებს. მერე მოდიოდა ფორანი, რომელსაც მოათრევდა სამასამდე კაცი. ამ სამას კაცს კი მათრახებით მოერეკებოდნენ კავასამები² და ჩემი თანაშემწეები. პროცესიას ბოლოში მოსდევდა ქალების ჯგუფი... აბღურაჰმანის ცხენოსნები წინ და უკან დადიოდნენ და შუბებით წესრიგს ამყარებდნენ“.

ლეიარდი სჯის „ურჩიანს“

ბოლოს და ბოლოს დაბეჩავებულმა არაბებმაც კი ველარ მოითმინეს, ამბობდნენ და მოითხოვეს თავიანთი არაადამიანური შრომის გასამრჯელოს მომატება.

1 ბაირახდარი -- ლეიარდის თანაშემწე.

2 პოლიციელები.

ლეიარდი თვითონვე აღიარებს, არაბების მოთხოვნა მეტად ზომიერი და სამართლიანი იყო. მაგრამ არც უფიქრია მათი დაკმაყოფილება. როგორ გაბედეს მოთხოვნა! ხვეწნა-მუდარით რომ ემართათ — ლეიარდს იქნებ შეეწყნარებინა მათი ვედრება. მაგრამ სამუშაოს შეწყვეტის მუქარა... ეს ხომ გაფიცვაა, ჯანყია!

მან გადაწყვიტა, სამაგალითოდ დაესაჯა „ურჩინი“.

რამდენიმე შეიარაღებული მსახურის დახმარებით მოთავენი შეიპყრეს და სცემეს. აბდურაჰმანმა თავისი ხალხი მოუყვანა ლეიარდს და ამანაც გარეკა გაფიცულები, რომლებიც ახლა უკვე მზად იყვნენ თუნდაც ნახევარფასად ემუშავათ.

„ის-ის იყო სოფელში დავბრუნდი, — წერს ლეიარდი, — რომ ჩემთან მოვიდა რამდენიმე კაცი. ისინი ბოდიშს იხდიდნენ და უსიტყვო მორჩილებას მპირდებოდნენ, თუ კვლავ მოვისურვებდი მათ დაქირავებას... თანახმა იყვნენ, დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა იმ ფასად, რასაც დავუნიშნავდი, მაგრამ მე ახლა მხოლოდ ყველაზე გამრჩე და მორჩილები დავიტოვე, შემდეგ კი ვბრძანე, დაესაჯათ შეპყრობილნი, რომლებმაც მთელი ტომი აამხედრეს, და ისინი თავიდან მოვიცილე.“


ასევე მიიტანეს მდინარის ნაპირამდე კაცისთავიანი ლომი. ფრთიანი ურჩხული დადეს ტივზე, რომელსაც იჭერდა ექვსასამდე ჰაერით გაბერილი ტყავის გულა და ბასრაში გაგზავნეს, ხოლო იქიდან ორივე ქანდაკება ზღვით წაიღეს ინგლისს და ბრიტანეთის მუზეუმში დადგეს.

ნიწვიის მოულოდნელი აღმოჩენა

ლეიარდმა ორიოდე წლით თავი მიანება არქეოლოგიას. თურქეთსა და ბალკანეთში შექმნილმა საგანგაშო ვითარებამ აიძულა ინგლისის მთავრობა იგი კონსტანტინოპოლს გაეგზავნა.

მხოლოდ 1849 წლის ოქტომბერში ლეიარდი კვლავ გამოჩნდა მოსულში. ამჯერად იგი ქუიუნჯიქის ბორცვის გათხრებს იწყებს, სწორედ იმ ბორცვისა, რომელსაც უშედეგოდ თხრიდნენ რიჩი და შემდეგ ბოტა.

ჯერ კიდევ ადრე, როცა ლეიარდი ნიმრუდის გათხრებს აწარმოებდა, დროდადრო მოინახულებდა ხოლმე ქუიუნჯიქს, ინგლისში წასვლის წინ კი გათხარა სასახლის ალაყადის კარი, რომელსაც აქეთ-იქით ფრთიანი გიგანტები ედგა, და აგრეთვე ხანძრისაგან ძლიერ დაზიანებული რამდენიმე ოთახი. აი, აქ იყო ნინეცა. ის ნინეცა, რომელიც ეგზომ სახელგანთქმული იყო ძველ დროში და ასე ამაოდ ეძებდნენ რიჩი, ბოტა და თვითონ ლეიარდიც. საოცარაა, რომ ნინეციას სრულიად შემთხვევით, განსაკუთრებული შრომის დაუხარჯავად, საცდელი სამუშაოების დროს წააწყდა ლეიარდი.



ქუიუნჯიქი.

თითქოს უნდა ესარგებლა ასეთი წარმატებით და დაუყოვნებლივ დაეწყო გათხრები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანმა სამსახურებრივმა საქმეებმა აიძულა ლეიარდი დაეტოვებინა ქ. მოსული.

ლეიარდის მეორე ექსპედიცია უკეთ იყო ორგანიზებული. ამჯერად მას ბევრი ფული ჰქონდა და კარგი თანამემწეც ჰყავდა. ეს

იყო ჰ. რასამი. ლეიარდის იქ არყოფნის დროს რასამი ფხიზლად იცავდა ნიმრუდსა და ქუთუხჯიქს ფრანგებისაგან. მის მიერ დაქირავებული რამდენიმე მუშა სისტემატურად ქეჟავდა ნანგრევებს და არქეოლოგიური გათხრების შთაბეჭდილებას ქმნიდა, აქაოდა, სხვა არ ჩაჩხირულიყო.

ყველგან, სადაც კი ფეხი დაადგეს არქეოლოგებმა, საშინელი გაპარტახების კვალი ჩანდა. დანახშირებული ხის ნაშთები, ნახევრად ჩამოქცეული კედლები, ალებასტრის ფილები უბრალო შეხებითაც რომ იფხვნებოდა, — ყველაფერი ეს მოწმობდა იმ დიდ ხანძარზე, რომელსაც ოდესღაც ამ დარბაზებში, ოთახებსა და კორიდორებში უბობოქრია და უნებლიეთ გაგახსენდებოდათ ძველი დროის ერთი ავტორის მიერ მხატვრულად აღწერილი ნინევიის განადგურების სურათი:

„მოჰქრის ცხენოსანი ლაშქარი, ელავენ მახვილები, ბრწყინავენ შუბები; მკედარი მკედარს მიემატა და დახოცილთა გორა დადგა, — ბოლო აღარ უჩანს გვაშებს... გავერანდა ნინევია, ვის დაენანება იგი.“

იმ დროის ეს უზარმაზარი ქალაქი ისე საშინლად იქნა აოხრებული, რომ ორასი წლის შემდეგ ადამიანებმა მისი ადგილსამყოფელიც კი დაივიწყეს. ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე, რომელმაც ამ ადგილებში იმოგზაურა, არც კი მოიხსენიებს მას.

ახ. წ. II საუკუნის რომაელ მწერალს ლუკიანეს ასეთი დიალოგი აქვს: მეზორნე სთხოვს, უჩვენონ მას ძველი დროის სახელგანთქმული ქალაქები — ნინევია და ბაბილონი. ამაზე მწერალი ასე პასუხობს:

„ნინევია, მეზორნე, დაიღუპა და მისი კვალიც კი არ ჩანს, იმა-საც ვერ გეტყვი, სად იყო იგი...“

უცნაური პატარა აგურები

არქეოლოგები სულ ღრმად იჭრებიან დამწვარი სასახლის ნანგრევებში.

აი, მიწით, ნაგვით და ღორღით ამოვსებული კიდეც ორი პატარა-

ოთახი, იატაკი მოფენილია დამტკრეული აგურის სქელი ფენით; მასში კოჭებამდე ეფლობა ფეხი. ლეიარდი იღებს ერთ ნატეხს, — მასზე აშკარად ჩანს რომელიღაც დამწერლობა. იღებს მეორეს, — მასზედაც ლურსმული ნიშნებია, სწორედ ისეთი, როგორიც ბარელიეფებზე. ლეიარდი ვარაუდოდ იღებს მესამე, მეოთხე, მეხუთე ნატეხს — ყველა ორივე მხრიდან გადაჭრელებულია წარწერებით. ესენი ნატეხები კი არა, პატარა ფილებია — კვადრატული და სწორკუთხედის ფორმის, ბრტყელი და ამობურცულები. კასრისმაგვარი ცილინდრების გვერდითაა გულისა და ზეთისხილის ფორმის ფირფიტები, ღია ყვითელს ენაცვლება მუქი ყავისფერი ფირფიტები, წითელს მოსდევს თითქმის შავები. ეს გახლდათ დაახლოებით ნახევარი მეტრი სისქის, სხვადასხვა ფორმის, ფერის და ზომის თიხის ფირფიტების მთლიანი ფენა.

და შინც უმეტესობა ნამტკრევეები იყო. პატარა ფირფიტები შედარებით კარგად იყო შენახული. დიდრონები კი რამდენიმე ნაწილად დამტკრეულიყო.

რა მოუხერხოს დამსხვრეული აგურების ამ გროვას? სად წაიღოს იგი?

ლეიარდმა გადაწყვიტა გაეცო რამდენიმე კალათა ფილებითა და ნატეხებით და ბრიტანეთის მღზეუმისათვის გაეგზავნა.

რამდენიმე წლის შემდეგ რასამი, რომელმაც ლეიარდი შეცვალა, წააწყდა თიხის ფირფიტების ასეთსავე შრეს ქუთუნჯიქის ბორცვის მეორე ბოლოში. ეს იყო სხვა შენობა, რომელიც მანამდე გათხრილ შენობებთან შედარებით ყველაზე უკეთ შენახულიყო.

გარძელსა და ვიწრო დარბაზში, რომლის კედლებიც ლომებზე ნადირობის ფერწერული გამოსახულებებით იყო დაფარული, ეყარა ლურსმული წარწერებით გადაჭრელებული ათასობით თიხის პატარა აგური. გაოცებული შეჩერდა რასამი სასიკვდილოდ დაქრილი ძღ ლომის ქანდაკების წინ. ნადირს სხეულში გარკობილი აქვს ისრები, გადამსხვრეული აქვს ხერხემალი, მიწაზე მიათრევს დამამბლავებულ უკანა თათებს, მაგრამ ტკივილისაგან გახელებული მხეცი იკრებს უკანასკნელ ძალებს და ნახტომისათვის ემზადება. მხატვარს განსაცვიფრებელი ოსტატობით დაუქერია და გადმოუცია ნადირი, მისი პოზა, ყოველი კუნთი, გაათრება, სიკვდილწინა ტანჯვა და სულთაბრძოლა.

აი, მეორე ბარელიეფი: მხედარი ამალის თანხლებით მისდევს ლომს, უკვე მოზიდულია მშვილდი, კიდევ ერთი წაში და ძარჯვე ხელით გასროლილი ისარი დაეწევა მსხვერპლს.

ერთმანეთს სცვლიან ბარელიეფები და ყველგან ნადირობის სცენებია, მაგრამ თვალი ვერ ძღება მათი ყურებით. მხატვარს, რომლის საჭრეთელმაც ამოკვეთა ლომების, მეძებარი ძაღლების, ცხენების, მონადირეების გამოსახულებანი, ამოუწურავი ფანტაზია ჰქონია. ერთი და იგივე სიუჟეტი უთვალავჯერ გადაუსხვაფერებია და ერთხელაც არ გაუმეორებია უკვე შესრულებული ნახატი. მან მკვდარ ქვებს სიცოცხლის ნაპერწკალი შთაბერა.

რაღა ფასი უნდა ჰქონოდა ასეთი ბრწყინვალე ნაპოვნის შემდეგ თიხის ფირფიტების გროვას, რომელთა უმეტესობა დამტვრეული და მიწასა და მტვერში იყო არეული? მათ თითქმის არც კი აქცევდნენ ყურადღებას. არ აგროვებდნენ, არ ახარისხებდნენ, მიწასაც კი არ აცლიდნენ. მაშინ რასამს მათთვის როდი ეცალა.

საქმე ისაა, რომ მან ეს გათხრები წამოიწყო ქლიუნჯიქის ბორცვის ჩრდილო უბანზე. რომელიც ფრანგებისათვის იყო გამოყოფილი. აქ რასამი უფროსებისაგან ფარულად, დამდამობით თხრიდა. იგი ჩქარობდა — დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო ფრანგების გამოჩენა. და მაშინ ხომ ყველა ეს საუცხოო მხატვრული ნაწარმოები წილად ხვდებოდა პარიზის ლუერის მუზეუმს და არა ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმს, რომლის დავალებითაც რასამი მუშაობდა.

ინგლისელები და ფრანგები თითქოს მეგობრობდნენ, მაგრამ, როცა საქმე ნადავლის გაყოფაზე მიდგებოდა, თვითელი ამ „მეგობართაგანი“ ცდილობდა. რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯა მეორისათვის. მათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ სიძველეთა ამ უძვირფასესი ძეგლების კანონიერი პატრონი იყო ამავე ქვეყნის მოსახლეობა — ერაყელი ხალხი.

ასურულ სიძველეთა ძეგლებით სავსე ათობით დიდი ყუთი იგზავნებოდა ტემზის ნაპირებისაკენ. უთვალავ განძს შორის, რომელსაც ბრიტანეთის მუზეუმის მცველები პოულობდნენ, მიივიწყეს დამტვრეულ აგურებიანი რამდენიმე ყუთიც. საღ წაიღონ ეს ყუთები?

ისინი შეუძრიეს სხვა ნამტკრევეებს, რომლებიც ლეიარდმა ადრე გამოგზავნა და რამდენიმე წელი მუზეუმის საწყობებში ეყარა გაუხსნელად. მუზეუმის პატივცემულ მსახურთ, სწავლულებს, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ეს ულაზათო აგური მეცნიერებისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო, ვიდრე სხვა ყველაზე ძვირფასი ნივთი, რომ ისინი გააცნობდნენ კაცობრიობას ათასწლეულთა საიდუმლოებას და გვიამბობდნენ ძველი დროის მრავალი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, ისტორიასა და კულტურაზე.

როგორ წაიპიტხეს ლურსმული წარწერები

დაწერა თუ მოხატულა?

ზარიგ ძნელია ზოგჯერ რებუსის ამოხსნა! ხანდახან ერთ, ხან ორ საათს უზიხართ მას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ უკვე იცით. იცით ენა, რომელზეც შედგენილია რებუსი, ზგრეთვე ყველა ასო, რომლებიც იქ გხვდებათ. იცით მხატვრის მიერ დახატული საგნების სახელებიც. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ შემოგთავაზეს... ჯცნობ ენაზე შედგენილი რებუსის ამოხსნა. არ იცნობთ არც ერთ ასოს, არც ერთ სიტყვას, ისიც კი არ იცით, რომელ ენაზეა შედგენილი რებუსი — არაბულსა თუ ჩინურზე, სპარსულსა თუ იაპონურზე.

„ეს ყოვლად შეუძლებელია“, — იტყვის ყველა.

დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სწავლულები, პირველად რომ ნახეს ლურსმული (იგივე სოლისებრი) დამწერლობა.

რა არის ეს? როდის წერდნენ ადამიანები ასეთი კაჟრებით? რომელი ხალხი იყენებდა ამ უცნაურ ნიშნებს? რას გამოხატავდნენ ისინი — ასოებს თუ სიტყვებს, მარცვლებს თუ მთლიან წინადადებებს? იქნებ ნოტებია, ანდა ძველი დროის მაგიური შელოცვანი? რამდენია ასეთი ნიშანი? შესახედავად თითქოს ყველა ერთნაირია — ლურსმნები და მხოლოდ ლურსმნები — ამავე დროს კი სრულიად განსხვავებული არიან.

— ეს ნიშნები იმდენად უცნაური და არაჩვეულებრივი ფორმისაა, ისეთი საიდუმლოებითაა მოცული და გონებისათვის იმდენად მიუწვდომელია, რომ არავითარი იეროგლიფები და სხვა მსგავსი ნიშნები ვერ შეედრება მათ, — ამბობდა ინგლისელი მოგზაური ჰერბერტი.

— ეს დამწერლობა კი არა, მოხატულობაა, — კატეგორიულად განაცხადა XVIII საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა აღმოსავლეთ-მცოდნემ ჰაიდმა. — იქნებ მოქანდაკეს აზრად მოუვიდა შეემოწმებინა, რამდენი კომბინაციის შედგენა შეიძლება ამ ერთი მარტივი ფიგურისაგან?

მის სიტყვას ყურად იღებდნენ. იგი დიდი მეცნიერი იყო და „მსოფლიოს სიამაყეს“ უწოდებდნენ.

ორნამენტის წაკითხვის ცდა დროისა და ენერჯის უაზრო ფლანგვაა, — ბანს აძლევდა მას გამოჩენილი დანიელი აღმოსავლეთმცოდნე მიხაელისი.

იყვნენ ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც ამ ფანტასტიკურ ნაწერებში ჭიების მოქმედების ნაკვალევს ხედავდნენ და ფიქრობდნენ, მრავალი ათასწლეულის განმავლობაში უღრღნიათო ეს ქვები ჭიებს.

მაგრამ უფრო შორსმჭვრეტელ მკვლევარებს ესმოდათ, რომ ჭიები აქ არაფერ შუაშია. მათ არ ასვენებდათ აზრი, როგორ წაეკითხათ ლურსმული დამწერლობა, გაეგოთ, რას აღნიშნავდა იგი, ჩასწვდომოდნენ საიდუმლოებას.¹

იტალიელი ვაჰრისა და დანიელი მაცნიერის ჩანახატავი

ლურსმული წარწერები ევროპელებმა პირველად ნახეს არა ერაყში, სადაც ბოტა, ლეიარდი, და სხვები აწარმოებდნენ გათხრებს, არამედ მეზობელ ქვეყანაში — ირანში. იქ ლურსმული წარწერები არ იყო დამარბული მიწის ქვეშ, ისინი გამოკვეთილი იყო უზარმაზარ კლდეებზე და ძალაუნებურად ყველას ყურადღებას იქცევდა.

როდესაც გვერდს ჩაუვლით პერსეპოლისს — სპარსეთის მეფეთა ძველ დედაქალაქს — სცადეთ არ შეამჩნიოთ საუცხოო ქვის ამფითეატრი თავისი ტერასით, რომელიც თითქოს ჰაერშია დაკიდებული! იგი გადაკიმულია ნახევარ კილომეტრზე და 200 მეტრზე მეტი სიგა-

¹ ლურსმული წარწერების გაშიფრასთან დაკავშირებით მკითხველს შეუძლია წაიკითხოს აგრეთვე აკადემიკოს გ. მელიქიშვილის მეცნიერულ-პოპულარული წიგნი „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები“, თბილისი, 1961. — რედ. შენიშვნა.

ნე აქვს. ტერასაზე ამავალი უზარმაზარი კიბეები, მარმარილოს ფილები, რითაც მოპირკეთებულია ტერასა, ნანგრევების ფონზე აღმართული მძლავრი კოლონადა და, ბოლოს, გიგანტური ლომები, ამფითეატრის შესავალს რომ იცავენ, — ყველაფერი ეს აძულებს მგზავრს მათ წინ შეჩერდეს.

ტერასაზე დაეხეტებოდა და დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალთვრებდა ნანგრევებს იტალიელი ვაჭარი და მოგზაური პიეტრო დელა ვალე. მან გულმოდგინედ გადმოიხატა კოლონებსა და კედლებზე ამოკვეთილი საკვირველი ნიშნები. მეგობართან გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა:

„ზოგს უკვირს, რომ ორი ისეთი მარტივი რამისაგან, როგორცაა ხაზი და კუთხე, შეიძლება მრავალი სხვადასხვა ნიშნის შედგენა, — მე ასზე მეტი ასეთი ნიშანი დავთვალე. მაგრამ, კაცმა რომ მკითხოს, არა მგონია, აქ რამე იყოს საკვირველი. ჩვენი ასოებიც ხომ, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ორი ელემენტისაგან — სწორი ხაზისა და მრუდის, ან მარყუჟისაგან — შედგება. ეს ნიშნები იმდენად მკაფიოდან ამოკვეთილი, რომ მათი გარჩევა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ რა ენაზეა შედგენილი ეს წარწერა, ვერავინ იტყვის, რადგან ეს ნიშნები არ ჰკავს აქამდე ცნობილ რომელიმე დამწერლობას. ისინი არ იწერება გადაბმულად, როგორც ჩვენ ვაბამთ ასოებს, თითოეული ნიშანი ცალ-ცალკეა. ამიტომ ვფიქრობ, ყოველი ნიშანი მთელ სიტყვას გამოხატავს, ისე როგორც ჩინური იეროგლიფები. თუმცა, შესაძლებელია, ვცდები კიდევ. ლურსმნის დახრილი მიმართულება, თუ პირამიდების მიმართულება წვერით მარჯვნივ, მგონი, იმის მაჩვენებელია, რომ ეს ტექსტები იწერებოდა და იკითხებოდა მარცხნიდან მარჯვნივ, ისევე როგორც ჩვენი ნაწერი და არა პირიქით, როგორც ძველებრაული ან არაბული“.

ეს მოხდა 1621 წელს. აი, ის პირველი ხუთი ნიშანი. რომლებსაც ვერაპელები გაეცნენ პიეტრო დელა ვალეს წყალობით:



მას შემდეგ ირანი ინახულა ბევრმა მოგზაურმა, ვაჰარმა, მეცნიერმა. ზოგერთ მათგანს აგრეთვე ჩამოჰქონდა ევროპაში სხვადასხვა ლურსმული ტექსტების პირები. მაგრამ რამდენად სწორად იყო ეს ტექსტები გადმოხატული, ან როგორ იკითხებოდა — მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ, თუ ზემოდან ქვემოთ, — არავის შეეძლო ეთქვა. არ იყო არავითარი „ხელმოსაჰილი“, საიდანაც შეიძლებოდა დაგვეწყო ამ ხლართის გახსნა.

1765 წელს დანიელმა მეცნიერმა კარსტენ ნიბურმა მოინახულა პერსეპოლისის ნანგრევები, რამდენიმე კვირა უტრიალა უცნაურ წარწერებს. მან რიგრიგობით გადმოხატა ნიშნები. სარკესავით გაკრიკალებული ქვის ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივები სჭრიდა თვალს. მაგრამ მეცნიერი დაჟინებით განაგრძობდა თავის საქმეს. იგი დილიდან გვიან საღამომდე მუშაობდა. არაფრად აგდებდა საფრთხეს, მის მხედველობას რომ ემუქრებოდა.

მას არც ერთი სიტყვის წაკითხვა არ შეეძლო, არ ესმოდა არც ერთი ნიშნის მნიშვნელობა. მაგრამ ისინი საიდუმლოებით მოცული და გაუგებარი აღარ ეჩვენებოდა.

იგი ჰქვე ადვილად არჩევდა ერთ ნიშანს მეორისაგან და შეეძლო ბევრი მათგანი ზეპირად დაეწერა. ნიბურის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შენიშნა, რომ დროდადრო თითქმის ზუსტად მეორდებოდა ნიშნების ცალკეული ჯგუფები. ამით მან მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინა: ალბათ, ეს სამენოვანი წარწერაა — სამ სხვადასხვა ენაზე.

ასეთი რამ იმ გარემოებამ აფიქრებინა, რომ ზედა სტრიქონები აშკარად განსხვავდებოდა შუა და ქვედა სტრიქონებისაგან. ზედაში ნიშნები მეტი იყო, ვიდრე დანარჩენში, მაგრამ ნიშნები უფრო მარტივი ჩანდა.

ნიბურმა განაგრძო ზედა, შუა და ქვედა სტრიქონების შედარება და დაადგინა, რომ ქვემოთ უფრო რთულდებოდა ნაწერის ხასიათი. მის წინ სამი სისტემა იყო. პირველში 42 ასო დათვალია, მეორეში — 111, მესამეში რამდენიმე ასეული.

მამასადამე, ესენი ასოები კი არა, მთელი სიტყვებია, — დაასკვნა ნიბურმა. ყოველი ნიშანი მთელ სიტყვას აღნიშნავს, ისევე როგორც ჩინურ იეროგლიფებში. შუა სტრიქონებში მარცვლები უნდა იყოს; ყოველი სიტყვა მარცვალია, ისე როგორც იაპონურ დამწერ-

ალფაბეტური დამწერლობა, მეორეში — მარცვლოვანი, ხოლო მესამეში — იეროგლიფური, ესე იგი ისეთი დამწერლობა, სადაც ერთი ნიშნით მთელი სიტყვაა გამოხატული.

ნიბურმა მაინც ვერ შეძლო პერსეპოლისის წარწერების მთლიანი გადაღება. დღითი დღე სულ უფრო ძლიერად სჭირდა მზე თვალბსმის თანამგზავრებს მუსრი გაავლო ავადმყოფობამ. ბოლოს იგი მართო დარჩა და ნაჩქარევად დასტოვა ირანი.

რამდენიმე წლის შემდეგ ნიბურმა გამოაქვეყნა ყველა ლურსმული წარწერა, რომელთა გადმოხატვაც მოასწრო პერსეპოლისში. მაშინ საბოლოოდ გაქარწყლდა ლეგენდა საოცარ ორნამენტებსა და ჭიებზე, რომლებიც თითქოსდა ღრღნიდნენ ქვას. ცნობილი გახდა, რომ ეს დამწერლობის სისტემა და ისიც არა ერთი, არამედ სამი.

დანაცხული მათემატიკოსი

ოც წელზე მეტი გავიდა, ვიდრე ნიბურის მიერ გადაღებულ პირებს გამოიყენებდნენ მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ გაერკვიათ დაწერილის შინაარსი. პირველად ამ საქმეს ხელი მოჰკიდა აღმოსავლური ენების მასწავლებელმა გერმანელმა ტიჰსენმა. მან არითმეტიკით დაიწყო.


ტიჰსენმა იცოდა, რომ სხვადასხვა ასო თანაბარი სიხშირით როდი მეორდება ტექსტში. ერთნი უფრო ხშირად გვხვდებიან, მეორენი — უფრო იშვიათად.

გადაშალეთ წიგნის რომელი გვერდიც გნებავთ. ყოველ სტრიქონში უსათუოდ შეგხვდებით ასოები „ო“ და „ა“, მაგრამ შესაძლოა მთელი გვერდი ჩაიკითხოთ და არსად არ შეგხვდეთ ასო „ჩ“. გამოანგარიშებულია რომ, მაგალითად, რუსულ ტექსტებში ყოველ ათას ასოზე საშუალოდ 112 „ო“ და 75 „ა“ მრდის, ე. ი. ორ ასოს (ოცდათორმეტი ასოდან) მთელი ტექსტის თითქმის ერთი მეხუთედი უკავია. სხვა საკმაოდ გარკვეული კანონზომიერება არსებობს ინგლისურ ენაში, განსხვავებული — გერმანულში, უფრო სხვანაირი — ფრანგულში და ასე შემდეგ.

სწორედ ამის გამოყენება სცადა ტიჰსენმა, თუმცა. არ იცოდა


წარწერების ენა და მაშასადამე — არც მისი კანონზომიერებანი. მაგრამ იგი ვარაუდობდა, რომ ხმოვნები ყველა ენაში თანხმოვნებზე ხშირად გვხვდება, ამასთან „ა“ და „ე“ ყველაზე ხშირად.

ტიჰსენი შეუდგა საქმეს. მან შენიშნა, რომ ნიბურის პირებში

ყველაზე ხშირად გვხვდება ნიშანი  „ეს არის ალბათ „ა“, —

გაიფიქრა მან. ასევე თვითნებურად მონათლა პირველი რიგის ყველა ნიშანი და ასოებთან გააიგივა.

ტიჰსენის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დახრილმა

ლურსმანმა, რომელიც  ყოველთვის ცალკე იდგა და ყოვე-

ელი 5-6 ნიშნის შემდეგ მეორდებოდა. „ეს წერტილი ან მძიმეა, — გადაწყვიტა მან, — ან, უფრო სწორად, სიტყვათა გამყოფი“.

მაგრამ სტატისტიკამ დიდ შეცდომაში შეიყვანა მეცნიერი. მის მიერ „გაშიფრული“ პერსეპოლისის წარწერების დასაწყისი ასე იკითხება:

„ომ პატშა ოშ აქსაკ ზასე, ოშ აქსაკ ახა ი მალკეიუშ, ოშ აქსაკ იუკა ოუა იოაუხაშაკ“.

ტიჰსენს არ გაკვირვებია ასეთი ქდერადობა. როგორი ენა არ არსებობს ქვეყნად! ეს/წარწერა მან „თარგმნა“ კიდევ და დაახლოებით შემდეგი მიიღო: „ესაა მბრძანებელი, (ან მეუფე) აქსაკ დიდი, ესაა აქსაკი, ბელადი და მეფე, ესაა ღვთაებრივი აქსაკი, ღვთითკურთხეული, საოცარი“.

რის საფუძველზე განმარტა ტექსტი ტიჰსენმა, მან ხომ არ იცოდა ენა? საიდან და რატომ მიიღო ასეთი თარგმანი?

მას ამ კითხვებზეც ჰქონდა თავისი პასუხი.

ნიბურის წიგნიდან ტიჰსენმა იცოდა, რომ წარწერის გვერდით არის გამოსახულება ალბათ რომელიმე მეფისა. და მან ივარაუდა, რომ სამეფოს გამეორებული სიტყვა „აქსაკი“ სახელია სწორედ ამ ძველი დროის უცნობი მბრძანებლისა. ხოლო ყველა სხვა სიტყვა მეფის ტიტულს უნდა ნიშნავდეს. მან ეს ტიტული იმ ნიშნების მიხედვით შეადგინა, რომელიც ძველი დროის წიგნებში გვხვდება.

უნდობლად და დაცინებით შეხვდნენ მეცნიერები ტიქსუნის ვა-
რაულებს. მთელი მისი მტკიცება ქვიშაზე იყო აშენებული. ასე
შეიძლება წაიკითხო და თარგმნო ყველაფერი, რაც მოგეპოიანება.
ამისათვის მხოლოდ ცოტაოდენი ფანტაზიაა საჭირო.

სწორი გზით

სულ სხვანაირად მიუდგა ლურსმული წარწერების ამოკითხვას
დანიელი მეცნიერი მიუნტერი. მან ისტორია მოიშველია. მეცნიერ-
მა გადაწყვიტა: საჭიროა გაირკვეს, რომელ ხალხს ეკუთვნოდა ეს
წარწერები და რომელ ეპოქაში იყო შესრულებული. „ამის ცოდნის

გარეშე აზრი არა აქვს მათი წაკითხვის
კლას“, — ამბობდა იგი და მართალიც
იყო.



აქემენიანთა სამეფო
ბეჭედი.

მიუნტერი საგულდაგულოდ შეუდ-
გა პერსეპოლისში ნამყოფი ხალხის წიგ-
ნების შესწავლას. იგი დაინტერესა
მრავალფიგურიანმა გამოსახულებამ,
რომელთა ჩანახატები და აღწერილობა
მოცემული იყო ნიბურისა და სხვა მოგ-
ზაურთა წიგნებში.

მაღალ ტახტზე ზის რომელიღაც დი-
დი კაცი, მას ხშირი წვერი აქვს. ფიგურ-
ის ზომისა და მდიდრული ჩაცმულო-

ბის მიხედვით შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მეფე
ან ბელადი. ასეთ დასკვნას ადასტურებს სურათის საერთო კომპო-
ზიციაც. ყველა დანარჩენი ადამიანის ფიგურა ბევრად უფრო მცი-
რეა. მათი პირმოთნე მზერა მიპყრობილია ტახტზე მჯდომისაკენ და
ყველა მათგანს მოაქვს ძღვენი.

„ხომ არ შეიძლება ტანსაცმლის მიხედვით განესაზღვროთ, ვინ
არის აქ გამოსახული?“ — გაიფიქრა მიუნტერმა.

ძველი ბერძენი ისტორიკოსების ნაწერებში მან წაიკითხა, რომ
სპარსელები ატარებდნენ გრძელ და მძიმე ტანსაცმელს და მა-

ხვილს მარჯვენა მხარეს იკიდებდნენ და არა მარცხენაზე, როგორც ეს მიღებულია ახლა.

ამ დიდებულის ჩაცმულობა ზუსტად ემთხვეოდა ბერძნების მიერ აღწერილ ჩაცმულობას.

„მამასადამე, აქ გამოსახულია. სპარსეთის მეფე“, — დაასკვნა მიუნტერმა.

მაგრამ სპარსელებს ძალიან ბევრი მეფე ჰყავდათ. ხომ არ შეიძლება დაახლოებით შაინც განვსაზღვროთ ეპოქა, რომელსაც ეს გამოსახულება ეკუთვნის?

დაკვირვებულმა მკვლევარმა ამ კითხვის პასუხსაც მიაგნო.

სპარსეთის მეფესთან ძღვენით მოსულ პირთა შორის, მან შენიშნა აფრიკის წარმომადგენლები — ეგვიპტელი, ნუბიელი და ზანგი. ისტორიულად ცნობილი იყო, რომ მხოლოდ აქემენიანების დინასტიის მეფობის დროს აფრიკის კონტინენტი სპარსეთის იმპერიის სახელმწიფო საზღვრებში შედიოდა. მამასადამე, პერსეპოლისის კედლებზე გამოსახული სპარსეთის მეფე ეკუთვნოდა აქემენიანების დინასტიას, რომელიც მეფობდა VI—IV საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქედან გამომდინარეობდა შეუძლებელი დასკვნა: პერსეპოლისის წარწერა გაკეთებულია ძველსპარსულ ენაზე.

როგორ წავიკითხოთ იგი? ხომ არ დაგვეხმარება ამ საქმეში თანამედროვე სპარსული ენა? არა, ვერ დაგვეხმარება, — დაასკვნა მიუნტერმა. ორი ათასწლეულის განმავლობაში, რაც თანამედროვე ირანს აქემენიანების დროინდელი სპარსეთისაგან ყოფს, ძირეულად შეიცვალა ამ ქვეყნის ენა.

ხომ არ არსებობს ძველსპარსული ენის ახლო მონათესავე რომელიმე სხვა ენა?

ძველსპარსულ ენასთან თითქმის ყველაზე ახლოსაა „ავესტის“ — ძველი სპარსელებისა და ინდოელების „წმინდა“ წიგნის ენა, — ფიქრობდა მიუნტერი.

ამ დროისათვის „ავესტა“ თარგმნილი და შესწავლილი იყო.

დიდი კვლევითი მუშაობის შემდეგ, რაც მიუნტერმა წინასწარ გასწია იმ ხალხის ისტორიის შესასწავლად, ვისაც ეს წარწერები ეკუთვნოდა, მიუნტერს შეეძლო გამოეყენებინა არითმეტიკა, როგორც ეს ტიპსენმა სცადა. ეს უკვე აბსტრაქტული არითმეტიკა კი

არ იყო ენისა — უგვარტომო, ეპოქის გარეშე დარჩენილი ენისა, არამედ, ეს იყო იმ კონკრეტული ენის არითმეტიკა (უფრო ზუსტად — სტატისტიკა), რომელიც ყველა მონაცემის მიხედვით ახლოს უნდა ყოფილიყო ძველსპარსულ ენასთან.

„ავესტის“ ენის სტატისტიკამ დაგვანახა, რომ ყველაზე უფრო ხშირად აქ გვხვდება ხმოვანი, უჩვეულო ბგერა — „ა“-სა და „ე“-ს შორის რაღაც საშუალო. შემდეგ, სიხშირის მიხედვით ყველაზე ხშირად მეორდებოდა გრძელი „ო“, და მოკლე „ო“. ეს კანონზომიერება მან პერსეპოლისის წარწერებზეც გაავრცელა.

მიუნტერი სწორ გზას ადგა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამით დასრულდა მისი გამოკვლევები. მან არ მოჰკიდა ხელი „ავესტის“ ენის შესწავლას, ხოლო ამ ენის ცოდნის გარეშე არ შეიძლებოდა ძველსპარსული წარწერების გასაშიფრად სტატისტიკური მეთოდი გამოეყენებინა. მაგრამ ის, რაც მიუნტერმა გააკეთა, შემდგომ სხვა მეცნიერებს გამოადგათ.

რეპუსი ამოხსნილია

გერმანულ ქალაქ გეტინგენის ლიციეში მსახურობდა ბერძნული და ლათინური ენის ახალგაზრდა მასწავლებელი გეორგ გროტეფენდი. მას ბავშვობიდანვე იტაცებდა თავსატეხები, რებუსები, შარადები, საიდუმლოებით მოცული სურათები. იგი გაიწაფა მათ ამოცნობაში, და თითქოს არ იყო ისეთი ძნელი ამოცანა, რომლის ამოხსნაც მას არ შეეძლებოდა. თავის პატარა ქალაქში გროტეფენდი ამ საქმის ერთგვარ ჩემპიონად იყო მიჩნეული.

1802 წლის ზაფხულზე გროტეფენდმა შემთხვევით გაიგო „რეპუსის“ — პერსეპოლისის წარწერების შესახებ, რომლის ამოცნობაზეც მეცნიერები უკვე რამდენიმე ათეული წელი იმტვრევდნენ თავს. მეტად საინტერესო იყო გამოეცადა თავისი ძალები ამ სარბიელზე და სიძნელეც გადაელახა.

წიგნებით გარემოცული გროტეფენდი შეუდგა რეპუსის ამოხსნას. მან მოიშველია ყველა მეცნიერი და მოგზაური, — უფრო სწორად მათი თხზულებები, ვინც კი ოდესმე დაინტერესებულა ლურსამული დამწერლობით. მან კვლავ მიმართა ბერძენ ავტორებს,



სპარსეთის მეფე დარიოს I ტახტზე. იგი უქირავთ დამორჩილებული ხალხების წარმოჰადეხლებს. ქვედა რიგში, მარცხნივ, ჩანს ზახგი.

რომლებიც ბევრს წერდნენ ბერძენ-სპარსელთა ომებზე. შეისწავლა სპარსეთის ადრეული შუა საუკუნეების ისტორია.

გროტეფენდი ბევრ რამეში დაეთანხმა ტიპსენსა და მიუნტერს.. სრულიად სარწმუნო იყო დახრილი. ლურსმნის მიჩნევა სიტყვათა გამოყოფად. მართებული ჩანდა ტიპსენის ის ვარაუდიც. რომ პერსეპოლისის წარწერების დასაწყისი შეიცავდა სპარსეთის მეფეთა ტიტულატურას. მაგრამ მან ტიპსენის უაზრო გაშიფრვა და თარგმანი, რა თქმა უნდა, უარყო. სარწმუნო ჩანდა მიუნტერის აზრი, რომ წარწერა ეკუთვნოდა აქემენიანთა ეპოქას და რომ მხოლოდ „ავესტის“ ენაზე დაყრდნობით შეიძლებოდა იმის გაგება, თუ როგორ გამოითქმოდა ძველსპარსული სიტყვა.

გროტეფენდმა შეარჩია ორი პატარა, თითქმის ერთნაირი წარ-

ა
 5

შ	ნ	ე	ი	კ-	ა	ე	ა	ღ	ღ	მ	კ	ი	ი	კ-	ა		
ა	ე	ა	ი	ე	ა	ღ	ღ	მ	კ	ი	ი	კ-	ა	ღ	ღ	მ	
კ	ი	ი	კ-	მ	ა	ღ	ღ	მ	კ	ი	ი	კ-	ა	ღ	ღ	მ	
შ	ღ	კ	ღ	ღ	მ	ა	ღ	ღ	მ	კ	ი	ი	კ-	ა	ღ	ღ	მ
მ	ღ	მ	ღ	ღ	მ	ღ	ღ	მ	კ	ი	ი	კ-	ა	ღ	ღ	მ	
კ	ღ	ღ	ღ	ღ	მ	ღ	ღ	მ	კ	ი	ი	კ-	ა	ღ	ღ	მ	

ბ

ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ

სპარსული ლურსმული წარწერები,

ა. — დარიოს მეულისა, ბ. — მეფე ქსერქსესი.

წერა, რომლებშიც რამდენჯერმე მეორდებოდა ნიშნების ერთი და იგივე ჯგუფი. უცბად მოაგონდა როგორ ტიტულს ატარებდნენ სპარსეთის მეფეები სასანიანთა დინასტიიდან, რომლებიც ახალი წელთაღრიცხვის III—VII საუკუნეებში მეფობდნენ: „ესა და ეს, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, ამა და ამ მეფის ძე, სასანიანი“. გროტეფენდის დროსაც კი სპარსეთის მეფეები დაახლოებით ასეთსავე ტიტულს ატარებდნენ, რის გამოც მან დაასკვნა, რომ რამდენიმეჯერ განმეორებული ნიშნების ჯგუფი სიტყვა „მეფეს“ უნდა ნიშნავდეს. ახლა უკვე ხელთ ჰქონდა რებუსის ამოხსნის გასაღები.

«**𐎠𐎡𐎢𐎣𐎤𐎥𐎦𐎧𐎨𐎩𐎪𐎫𐎬**»

«**𐎠𐎡𐎢𐎣𐎤𐎥𐎦𐎧𐎨𐎩𐎪𐎫𐎬𐎭𐎮𐎯𐎰𐎱**»

ლურსმული წარწერები, რომლებიც გროტეფენდმა გაშიფრა. ზემოთ სიტყვა „მეფე“, ქვემოთ — „მეფეთა“.

შემდგომ იგი ასე განაგრძობს მსჯელობას: პერსეპოლისის წარწერებში, ისევე როგორც სასანიურ ტექსტებში, პირველ ადგილზე დგას მეფის საკუთარი სახელი. მეორე ადგილზე — ნიშნების ჯგუფი, რომელიც მან გაიგო როგორც სიტყვა „მეფე“. მესამე ადგილზე იყო უცნობი სიტყვა. გროტეფენდმა იგი, სასანიანთა ტიტულატურის ანალოგიით, პირობით თარგმნა, როგორც „დიდი“.

შემდეგ ისევ ნაცნობი სიტყვაა: „მეფე-მეფე“, თუმცა მეორე სიტყვა „მეფეს“ ერთვის კიდევ რაღაც ნიშანი. „ეს სიტყვის გრამატიკული დაბოლოება უნდა იყოს — ნათესაობითი ბრუნვა და მრავლობითი რიცხვი“, — იფიქრა გროტეფენდმა და თარგმნა: „მეფე მეფეთა“.

შემდეგ მოდიოდა ნიშნების უცნობი ჯგუფი, რომლის ბოლოს იყო ჩვენთვის ნაცნობი სიტყვა „მეფე“, კვლავ რაღაც დამატებით. „ესეც წაკითხული უნდა იქნეს ნათესაობით ბრუნვაში — „მეფის“, — გაიფიქრა გროტეფენდმა, ხოლო წინა ნიშნები, როგორც

სასანურ წარწერებშია, ამ მეფის საკუთარი სახელი უნდა იყოს. თუ ეს ასეა, ბოლო ორი სიტყვა უნდა ნიშნავდეს „ძეს“ და „აქემენიანს“ — სასანიანთა წარწერის ანალოგიის მიხედვით. და მან მიიღო ასეთი ფრაზა:

„ესა და ეს, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, ამა და ამ მეფის ძე, აქემენიანი“.

იგი შეუდგა მეორე წარწერის ამოკითხვას. ეს წარწერა ცოტათი განსხვავდებოდა პირველისაგან. საკუთარი სახელები, რომლითაც წარწერა იწყებოდა, სხვადასხვა იყო და გარდა ამისა, მეორეში სიტყვა „მეფე“ მოხსენიებული იყო არა ოთხჯერ, არამედ სამჯერ.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ ერთ-ერთი სახელი ორჯერ მეორდებოდა. პირველ წარწერაში იგი მეორე ადგილზე ეწერა და აღნიშნავდა მეფის მამის სახელს („ამა და ამ მეფის ძე“), მეორე წარწერაში კი მას პირველი ადგილი ეკავა, — ამ სახელით იწყებოდა წარწერა.

ყველა ფაქტის შეპირისპირებით გროტეფენდი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ორ წარწერაში მოხსენიებულია შვილი, მამა და პაპა. უფრო მეტიც. ნათელი გახდა, რომ მეფეები იყვნენ მხოლოდ შვილი და მამა, ხოლო პაპა არ იყო მეფე, რადგან მეორე წარწერაში მისი სახელის შემდეგ არ იყო ნიშნების ჯგუფი, რომელსაც იგი კითხულობდა როგორც „მეფე“.

ახლა უნდა გაეგო ძველი სპარსეთის ისტორიიდან ამ დინასტიის დამაარსებელ მეფეთა სახელები და ჩაესვა იმ პირის სახელი, რომელიც უპასუხებდა მის მიერ მიგნებულ ფორმულას: შვილი და მამა მეფეა, ხოლო პაპა — არაა მეფე.

აქემენიანების დინასტიის სპარსეთის მეფეთა სახელები დიდი ხანია ცნობილი იყო. აი, ისინიც: კიროსი, კამბიზი, დარიოს I, ქსერქსე I, არტაქსერქსე I, ქსერქსე II, დარიოს II, არტაქსერქსე II, არტაქსერქსე III და დარიოს III.

ამ მეფეთა შორის მხოლოდ ორი — კიროსი და დარიოს I იყვნენ ისეთები, რომელთა მამა არ იყო მეფე. ამრიგად, ჩვენს წარწერებში შეიძლება ყოფილიყო მოხსენიებული შემდეგი პირები:

კ ა მ ბ ი ზ ი — კ ი რ ო ს ი — კ ა მ ბ ი ზ ი .
(შვილი) (მამა) (პაპა)

ქსერქსე I — დარიოს I — ჰისტასპი.
(შვილი) (მამა) (პაპა)

კამბიზისა და ქსერქსე I პაპები — კამბიზი და ჰისტასპი — არ იყვნენ მეფეები.

აქედან გამომდინარე, წარწერები შეიძლება შემდეგნაირად წაგვეკითხა:

პირველი ვარიანტი

პირველი წარწერა: კამბიზი, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, მეფე კიროსის ძე, აქემენიანი.

მეორე წარწერა: კიროსი, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, კამბიზის ძე, აქემენიანი.

მეორე ვარიანტი

პირველი წარწერა: ქსერქსე, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, დარიოს მეფის ძე, აქემენიანი.

მეორე წარწერა: დარიოსი, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, ჰისტასპის ძე, აქემენიანი.

რომელ ვარიანტს მივანიჭოთ უპირატესობა? რომელია მათ შორის სწორი?

რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ გროტეფენდმა უარყო პირველი ვარიანტი. იგი აშკარად მიუღებელი იყო, რადგან სახელები „კიროსი“ და „კამბიზი“ ერთი და იმავე ასოთი იწყება. წარწერაში კი ნიშნები, რომლითაც ეს სახელები იწყება, სხვადასხვაა. გარდა ამისა, სიტყვა „კიროსი“ მოკლეა, წარწერაში კი, სადაც ეს სახელი უნდა ჩაგვესვა, ნიშნების რაოდენობა მეტია.

დარჩა ერთადერთი ვარიანტი. და გროტეფენდმა ახლა უკვე გაბედულად თარგმნა:

„ქსერქსე, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, დარიოს მეფის ძე, აქემენიანი“.

„დარიოსი, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, ჰისტასპის ძე, აქემენიანი“.

მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა არც ერთი ასო და არც ერთი სიტყვა, გროტეფენდმა ამ წარწერების სრულიად სწორი თარგმანი მოგვცა. რკინისებურმა ლოგიკამ, ისტორიისა და ძველი ენების ბრწყინვალე ცოდნამ, არაჩვეულებრივმა დაკვირვებულობამ და უნარმა, — შეენიშნა სხვებისათვის შეუმჩნეველი წერილმანი, — ამასთან ერთად, კეთილშობილურმა განზრახვამ და განსაკუთრებულმა გულმოდგინებამ, შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

მაგრამ წარწერების შინაარსის ამოხსნა — საქმის ნახევარია. საჭირო იყო მათი წაკითხვა, თითოეული ლურსმული ნიშნის მნიშვნელობის დადგენა, წარწერების სწორედ ისე ამეტყველება, როგორც უღერდა ძველსპარსული ენა. აქ გროტეფენდს „ავესტა“ დაეხმარა.

ჩვენ ბერძენი ავტორების მიხედვით ვამბობთ: „ქსერქსე, დარიოსი, ჰისტასპი“. მაგრამ როგორ წარმოთქვამდნენ ამ სიტყვებს ძველი სპარსელები? უეჭველია, ისინი მაშინ სხვაგვარად უღერდნენ. ავიღოთ, მაგალითად რუსული სახელები ივან, მიხაილ, პაველ. ფრანგი იტყვის: „ჟან, მიშელ, პოლ“, გერმანელი — „იოჰან, მიხელ, პაულ“ და ა. შ.

„ავესტის“ ენის უნარიანი გამოყენებით გროტეფენდმა მეფეთა სახელები შემდეგნაირად გამოთქვა:

ხშარშა (ქსერქსე), დარხეიშ (დარიოსი) ჰოშტასპ (ჰისტასპი).

ამრიგად, ძველსპარსული ანბანის თორმეტი ასო — ხ, შ, ა, რ, დ, ე, ი, პ, რ, ტ, ს, ჰ, — დადგენილი იქნა.


როგორც შემდეგ გამოიჩვენა, ამათგან ცხრა ასო, გროტეფენდმა ზედმიწევნით სწორად განსაზღვრა.

გერმანიაში არაფრად ჩააგდეს გროტეფენდის დიდი აღმოჩენა. პროვინციულ გეტინგენშიც კი უარი უთხრეს დაებეჭდათ მისი ტრაქტატი სპარსული ლურსმული წარწერების ამოკითხვის შესახებ. გეტინგენის აკადემიის სწავლულებმა არ ისურვეს, რომ მათი ღრმააზროვანი გამოკვლევების გვერდით დაბეჭდილიყო ვიღაც მასწავლებლის შრომა, რომელიც არც აღმოსავლეთმცოდნე იყო და არც პროფესორი. მაგრამ ბევრი გეტინგენელი პროფესორის უბად-

რუკი ნაშრომები დღეს ყველასათვის უცნობია და მტკრის სქელი ფენით დაფარული აწყვია ბიბლიოთეკის თაროებზე. ისინი, ისე როგორც მათი ავტორების სახელები, დიდხანია დავიწყებას მიეცა, ხოლო გროტეფენდის სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მეცნიერების ისტორიაში და ცნობილია ყოველი მოსწავლისათვის.

გროტეფენდის ნაპვალეშე

ამრიგად, 1802 წელს ამოკითხულ იქნა ძველსპარსული ანბანის პირველი ცხრა ასო. მხოლოდ 35 წლის შემდეგ სპარსული ენის კარგმა მცოდნეებმა ბიურნუფმა და ლასენმა შეძლეს ამოეკითხათ მთელი ანბანი.



აღებასტრის ლარნაკი. წარწერა შესრულებულია ოთხ ენაზე. ნიშნები მარცხნივ გამოსახულია ლარნაკის უკანა მხარეზე.

ოდესღაც ისინი ერთად სწავლობდნენ და მუშაობდნენ, მაგრამ შემდეგ დასცილდნენ ერთმანეთს. ბიურნუფი სისტემატურად ატყობინებდა თავისი ყრმობის მეგობარს ლასენს, როგორ მუშაობდა ძველსპარსულ ლურსმულ წარწერებზე: ერთ-ერთ წერილში მან უამბო, როგორ შეძლო ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ამოკითხვა, მეორე წერილში გაუზიარა თავისი აზრი რამდენიმე ნიშნის მნიშვნელობაზე, მესამეში კი ხუმრობით ლურსმული ნიშნებით მოაწერა ხელი.

ვიდრე დინჯი ბიურნუფი თავის გამოკვლევას გამოსაცემად ამზადებდა, ყოჩაღი ლასენი უქმად როდი კარგავდა დროს. მან ისარგებლა ბიურნუფის მონაცემებით და მთელი ძველსპარსული ანბანი

გაშიფრა, რაც დაუყოვნებლივ აცნობა მეგობარს და გაუგზავნა უკვე დაბეჭდილი წიგნი...

ძველსპარსული ლურსმული წარწერები აღარ იყო საიდუმლოებით მოცული, მათ უკვე თავისუფლად კითხულობდნენ. გროტეფენდის გენიალური მიხვედრა ყოველ ნაბიჯზე დასტურდებოდა.

დიდი ხანია ცნობილი იყო ალექსანდრიის ვაზა ოთხ ენაზე შესრულებული წარწერით. მათ შორის ეგვიპტურად და ძველ სპარსულად. ბიურნუფისა და ლასენის დროს კი ეგვიპტურ იეროგლიფებს უკვე კითხულობდნენ. ვაზაზე აღნიშნული სახელი ქსერქსე ეგვიპტურად უღერდა როგორც ხშიარშა, რაც ძალიან წააგავს ძველსპარსულ ხშიარშას.



ალექსანდრიის ლარნაკზე ქსერქსეს სახელის ეგვიპტური იეროგლიფური გამოხატულება. ქვემოთ ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ეგვიპტური წარწერების ვაშლილი სტრიქონი.

თოკით ცანა და ღვინაიყვან შორის

როგორც ზემოთ აღინიშნა, პერსეპოლისის წარწერები სამ ენაზე იყო შესრულებული, ე. ი. დამწერლობის სამი სისტემა იყო გამოყენებული. როგორღა წაიკითხეს სხვა ნაწილები, დაწერილი, მართალია, ლურსმულით, მაგრამ უფრო რთული ლურსმულით?

ღეიარდს ჰყავდა გამოცდილი უფროსი და მასწავლებელი — ჰენრი რაულინსონი.

იგი სულ რაღაც შვიდი წლით იყო ლეიბორისტული უფროსი. მართალია, ლეიბორისტების ჩინი ჰქონდა, მაგრამ დიდ საქმეებს ატრიალებდა.

უბრალო და გულკეთილი ახალგაზრდა კაცის ნიღაბს ეფარებოდა ინტელიჯენს სერვისის (სახელმწიფო დაზვერვის სამმართველოს) გამოცდილი მშვერავი.

იგი ოსტატურად აბამდა ინტრიგების ქსელს. მის ძირითად ამოცანას შეადგენდა აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთი და ავღანეთი, და ამავე დროს უთანხმოება ჩამოეგდო სპარსელებსა და ავღანელებს შორის. მან ცოტა ძალღონე როდი შეაღია ამ ქვეყნებში მცხოვრებ სხვადასხვა ერებს შორის შუღლის ჩამოგდებას. არც კავკასიის ხალხები გამორჩენია მხედველობიდან. რაულინსონი ყველა დამპყრობელთა გამოცდილი მეთოდით მოქმედებდა — „გათიშე და იბატონე“. იგი ოფიციალურად მსახურობდა სპარსეთის არმიაში, მაგრამ გაცხოველებით ამზადებდა შეთქმულებას სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ, ვისგანაც ჯამაგირს იღებდა.


ამ ქვეყანაში მოგზაურობის დროს რაულინსონმა ძალიან მალე მიაქცია ყურადღება ვეებერთელა, ათასმეტრიანი სიმაღლის კლდეს, მარტოდმარტო რომ აღმართულიყო ქერმანშაჰიდან. (სპარსეთი) ბაღდადისაკენ. (ერაყი) მიმავალ გზაზე. ეს გახლდათ სახელგანთქმული ბისუტუნის კლდე. მისი ქონგურებიანი მწვერვალი ღრუბლებში იკარგებოდა. „ველური ბუნების რა საოცარი ქმნილებაა, — ფიქრობდა რაულინსონი, როცა რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან უზარმაზარი მთის მრისხანე სილუეტს უმზერდა. — იგი აქ მიუვალ ციხე-სიმაგრესავითაა აღმართული“.

გზამ მკვეთრად შემოუხვია, და თითქოს ეს ფრიალო კლდე ფასადით შემოაბრუნა მისკენ. რაულინსონმა დაინახა ათობით პატარა ფიგურებით გარშემორტყმული ვეებერთელა გოლიათის გამოსახულება. „რომელი ბუმბერაზის ხელმა გამოჰკვეთა კლდეში ასე მეტრის სიმაღლეზე ეს ქანდაკებები?“ — ფიქრობდა გაოცებული რაულინსონი.

როდესაც ქვის მთასთან ახლო მივიდა, ცხადად გაარჩია ქანდაკებებს ქვეშ ამოკვეთილი ლურსმული წარწერები. „ტაიმისის“ მთე-

ლი ილუსტრირებული ნომერი ამოუკვეთიათ კლდეზე, — გაიფიქრა მან და გაეღიმა. — რამდენი საინტერესო ისტორიაა ალბათ მოთხრობილი ამ ქვის მატრიანეში! ტყუილებრალოდ ხომ არ ამოკვეთავენ ამ წარწერებს. ქვეყნის შუაგულში, ხალხმრავალ სავაჭრო და სამხედრო შარავზაზე...“

რაულინსონს ხშირად ჰქონდა საქმე საიდუმლო დოკუმენტებთან. იგი იოლად აგნებდა ყველაზე ძნელი შიფრის გასაღებსაც კი. „ადრე თუ გვიან ამ წარწერებს წავიკითხავ“, — გადაწყვიტა რაულინსონმა.



ბისუტუნის ლურსმული წარწერები.


მან ამოიღო ღურბინდი და დიდხანს ათვალიერებდა გიგანტური ქვის ლოზუნგს. „მგონი, ეს წარწერები ამოკვეთილი კი არაა კლდეში, არამედ სწორკუთხა ფილებითაა შედგენილი. გარკვევით ჩანს თრთოეულის მონაზულობა. როგორ აიტანეს ასეთ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე?“

თავგადასავლის მაძიებელ ახალგაზრდას გაუხარდა, რომ შემ-

თხვევა მიეცა, გამოეჩინა თავისი ძალა და სიმარღე და გადაწყვიტა. რადაც უნდა დასჯდომოდა კლდეზე ასულიყო.

მართლაც ღირდა თავის გამეტება.

რაულინსონმა იცოდა, რარიგ გაიზარდა ამ დროისათვის ინტერესი აღმოსავლურ სიძველეთა მიმართ. მან იცოდა, რომ მეცნიერები დიდი მონღომებით დაეძებენ უძველეს ტექსტებს. აქ შესაძლებელია სახელის მოხვეჭა. თუ წარწერებს გაარკვევს, იგი დაუყო-



გამოსახულება ბისუტუნის კლდეზე. სპარსეთის მეფე დარიოსთან მიჰყავთ ტყვეები.

ნებლივ გაითქვამს სახელს, გახდება ცნობილი კაცი, ხოლო ამისათვის კი საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დაებატრონოს ბისუტუნის წარწერებს.

ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა. ყოველთვის, როცა კი თავისუფალ დროს მოისელთებდა, მოახტებოდა ცხენს და ბისუტუნისაკენ მიჰყენებდა. წარწერების ოდნავ ქვემოთ მან შვერილი შენიშნა. „აქ, მგონი, შეიძლება ასვლა და ტექსტის პირების გადაღება...“

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წუთს ემუქრებოდა ჩამოვარდნის საფრთხე, რაულინსონი მიცოცავდა ციკაბო კბოდეებზე, ებლაჟებოდა ყოველ 'უსწორმასწორო ადგილს. შვერილს როცა მიაღწია, ნახა, რომ ეს არის საკმაოდ ფართო გზა, რომელიც თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევდა წარწერებს. წარწერებს კი მართლაც უზარმაზარი ადგილი ეკავა, სიგრძით ოცი და სიმაღლით შვიდი მეტრი.

ნელნელა მიუყვებოდა წარწერას და გულმოდგინედ იხატავდა ყოველ ნიშანს. გადიოდა კვირეები, თვეები. მისი უბის წიგნაკი თანდათან ივსებოდა სულ ახალი და ახალი პწკარებით. იგი იცნობდა გროტეფენდის, ბიურნუფისა და ლასენის შრომებს და ამიტომ ადვილად დაადგინა, რომ აქაც დამწერლობის იგივე სამი სისტემაა, რაც პერსეპოლისში. მაგრამ აქ იყო არა ორი ათეული სიტყვა, რომელიც ხელთ ჰქონდა გროტეფენდს, და არა თიხის ფირფიტების ნატეხები რიჩის კოლექციიდან, არამედ ოთხასი ოცმეტრიანი ლურსმული სტრიქონი. ეს ხომ მთელი სიმდიდრეა! და ის ერთადერთი პატრონია ამ სიმდიდრისა! მართალია, ბისუტუნის წარწერების ყველა ნაწილის პირი ჯერ არ გადაუღია, მაგრამ დროთა განმავლობაში საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

რაულინსონი სულ ტყუილად ფიქრობდა, რომ იგი ფლობს ბისუტუნის წარწერების მონოპოლიას. ოთხი წლით ადრე, ვიდრე ის მუშაობას დაასრულებდა, ბისუტუნი რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ ვ. დიტელმა მოინახულა. მაგრამ მან ვერ შეძლო აქ დიდხანს დარჩენა, რადგანაც მოგზაურობის მკაცრი გეგმა ჰქონდა შედგენილი. დიტელმა ზუსტად შეაფასა ბისუტუნის მნიშვნელობა და მას „სპარსეთის პირველხარისხოვანი ძეგლების თანაბარი მნიშვნელობის ძეგლი“ უწოდა.

დიტელი დაინტერესა აგრეთვე ბისუტუნზე გამავალმა გზამ. „მე ყურადღება მივაქციე ქვეყნის ტოპოგრაფიულ მხარესაც, — წერს იგი, — რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ ლაშქრობათა გზების განსაზღვრისათვის...“

გადიოდა მშფოთვარე საქმიანობით აღსავსე წლები. რაულინსონი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ. იგი ამხილეს როგორც სპარსეთის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზატორი, დაკარგა სპარსეთის არმიის სამხედრო ინსტრუქტორის ოფი-

ციალური თანამდებობა და სპარსეთიდან ერაყში გაგზავნეს. ახლა მხოლოდ ხანგამოშვებით, თავისუფალ დროს შეეძლო გაეგრძელებინა ბისუტუნის წარწერებზე მუშაობა.

პირების გადაღება სულ უფრო ძნელდებოდა. ზოგიერთი სტრიქონი სრულიად მიუწვდომელი იყო.

მან მოახერხა შვერილზე გრძელი კიბის ათრევა, ცდილობდა სხვადასხვა მდგომარეობიდან ჩაეწერა ტექსტები, — ხან ზედა საფეხურებზე იდგა, და კედლის გაყოლებით სწევდა კიბეს... მისი თანამგზავრები შეძრწუნებული უყურებდნენ, თუ როგორ ქანობდა თათქმის ვერტიკალურად მიდგმულ კიბეზე. იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა წონასწორობა და ერთმანეთის მიყოლებით იწერდა უბის წიგნაკში ნიშნებს. ეს მოგვაგონებდა სახითათო ჯამბაზურ ნომერს, რომელიც ცირკში სრულდება და ისიც დამცველი ბადის გამოყენებით.

მაგრამ დადგა წამი, როცა კიბემაც ველარ უშველა. შვერილი ჩაპოინგრა...

ბისუტუნის წარწერის ყველაზე მიუდგომელი ადგილების პირების გადაღება წილად ხვდა უცნობ ქურთის ბიჭს. მან გააკეთა ის, რაც ვერ შეძლო რაულინსონმა.

თოკზე ჩამოკიდებული ყმაწვილი გაქანდა, ერთი შვერილიდან მეორეზე გადახტა და პირდაპირ დანიშნულების ადგილზე აღმოჩნდა. აქ მან კლდის ნაპრაღში ჩაარკო ხის სოლი, მიაბა ქვემოდან მოწოდებული კიბე. ავიდა ზედ და საქმეს შეუდგა: იგი წარწერაზე აფარებდა სველ, საკმაოდ სქელ მუყაოს, რომელსაც მაგრად აჭერდა კლდეზე და იღებდა ლურსმული ნიშნების ზუსტ ანაბეჭდს.

რამდენიმეჯერ მოუხდა უფსკრულის თავზე გადაფრენა, რათა ყველა ანაბეჭდი აეღო. ერთადერთი საყრდენი წერტილი ამ ფრენის დროს იყო ხის სოლები, რომლებიც ადვილად შეიძლებოდა ამოვარდნილიყო ნაპრაღიდან.

ამრიგად, 1847 წლისათვის ბისუტუნის წარწერა მთლიანად გადაიღეს. ბოლოს და ბოლოს რაულინსონს ხელთ ჰქონდა ის, რასაც ესწრაფვოდა თორმეტი წლის განმავლობაში. მან განიზრახა, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო აქედან.

ბისუტუნის მატინის ტექსტში მოხსენიებულია ორასამდე საკუთარი სახელი და გეოგრაფიული სახელწოდება. ამან შესაძლებელი გახდა არა მარტო ძველი სპარსული დამწერლობისა და ენის შესწავლა; არამედ ლურსმული დამწერლობის სხვა სისტემების წაკითხვაც. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ბისუტუნის კლდის ტექსტების გამოქვეყნება, რასაც სულ არ აპირებდა რატულინსონი. მაშინ ხომ იგი აღარ იქნებოდა ამ წარწერების ერთადერთი პატრონი; მათი ამოკითხვის პატივი სხვებისათვის უნდა გაენაწილებინა.


და რატულინსონმა უსინდისო თამაში წამოიწყო. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა გაეჭიანურებინა ტექსტის გამოქვეყნება და ამავე დროს ფრთხილად ცდილობდა შეეტყო ბიზრნუფის, ლასენისა და სხვა მეცნიერებისაგან, რა მეთოდით ხდებოდა ამოკითხვა. იგი იყენებდა სხვების მასალებს. მაგრამ თავის მუშაობაზე არათუ რაიმე ცნობებს აწვდიდა მათ, არამედ უმაღავდა ისეთ მონაცემებსაც კი, რომლებიც ღებდად დაეხმარებოდა ამ მეცნიერებს თავი დაეღწიათ მრავალი შეცდომისა და სიძნელისაგან, არ დაეკარგათ ზედმეტი დრო და ენერგია.

სულ უფრო დაეინებოთ მოითხოვდა მსოფლიოს ყველა მეცნიერი — გამოექვეყნებინათ ბისუტუნის წარწერები. რატულინსონის ყოველგვარმა უარმა და ხრიკმა აზრი დაკარგა. იგი იძულებული გახდა შეესრულებინა მათი მოთხოვნა.

მის მიერ გამოქვეყნებულ შრომაში არაფერი იყო ახალი ძველსპარსული ტექსტის გაგების თვალსაზრისით. მეტიც, მან სხვისი სახელის მითვისება სცადა — დააპირა სხვისი აღმოჩენების მისაკუთრება.

ჰინქსმა აღმოაჩინა, რომ ძველსპარსული ანბანის ზოგიერთი თანხმოვანი სხვადასხვაგვარად იწერებოდა — ეს დამოკიდებული იყო ხმოვანზე, რომელიც მას მოსდევდა. რატულინსონმა ეს შეიტყო ერთ-ერთი პროფესორის წერილიდან, რომელიც ინგლისიდან მიიღო მას შემდეგ, რაც საკუთარი შრომა ლონდონს გაგზავნა.

მან დაუყოვნებლივ შეადგინა და გაგზავნა თავისი შრომის „და-



ბისუტუნის წარწერის ლურსმული ნიშნები.

მატება“. რაულინსონი ატყობინებდა ლონდონს საკუთარ „აღმოჩენას“, რომელიც წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ჰინქსის აღმოჩენას.

ატყდა ერთი დავიდარაბა. რაულინსონს ბრალად სდებდნენ პლაგიატობას — ლიტერატურულ ქურდობას. მაგრამ იგი იოლად გადაარჩა, რადგანაც წინასწარ მოემზადა. მას ყალბი საფოსტო ბეჭედი ჰქონდა დასმული მიღებულ წერილზე და ამით „დაამტკიცა“, რომ თავისი „დამატება“ ბაღდადიდან უფრო ადრე გაგზავნა, ვიდრე ინგლისიდან წერილს მიიღებდა.

მეცნიერებმა არ იცოდნენ, რომ მათი კოლეგა რაულინსონისათვის ყალბი ბეჭედებისა და ხელმოწერების კეთება ჩვეულებრივი, ადვილი საქმე იყო და დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ამოიცნეს ეს „საიდუმლოება“ და ტყუილიც გამომჟღავნდა.

გაბილონური დაჟვარლობის საიდუმლოებაანი

ასე იყო თუ ისე, ბისუტუნის წარწერების სამენოვანი სრული ტექსტის გამოქვეყნებამ (მართალია, მრავალი წლის დაგვიანებით) შესაძლებელი გახადა წასულიყო წინ ლურსმული დამწერლობის სხვა სისტემების ამოკითხვის საქმე.

ძველსპარსულის შემდეგ გაერკვნენ ასურულ-ბაბილონურ დამ-

წერლობაში, თუმცა იგი ოთხასზე მეტ ნიშანს შეიცავდა. რაც შეეხება ბისუტუნის წარწერის მეორე რიგს, რომელიც სულ რაღაც ასზე ცოტა მეტი ნიშნისაგან შედგებოდა, მისი ამოკითხვა დროებით გადაიდო. საქმე ისაა, რომ ბისუტუნის წარწერის მეორე რიგის ნიშნების წაკითხვა შედარებით იოლი იყო.

გაცილებით ძნელი აღმოჩნდა იმ ენის გაგება. რომელზეც შესრულებული იყო წარწერის ეს ნაწილი: მეცნიერებმა არ იცოდნენ სხვა მისი მონათესავე ენა. მრავალი ათეული წელი გავიდა, ვიდრე მეცნიერები გაერკვეოდნენ ამ ნაწერში და დაადგენდნენ, რომ იგი შესრულებული იყო ელამურ ენაზე.

...ირანის სამხრეთ-დასავლეთ მთიან ნაწილში ბინადრობდა მეომარი ხალხი — ელამელები. ელამურმა ენამ, რომელზეც ეს ხალხი. ლაპარაკობდა, მოაღწია ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუაწლებამდე. ამ ენაზე ლაპარაკობდნენ მას შემდეგაც, რაც ელამელთა სახელმწიფომ დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა და სპარსეთის მონარქიის შემადგენლობაში შევიდა. შემდეგ ელამელები აირივნენ სპარსელებში და დაივიწყეს თავიანთი ენა.



ელამელი.

როცა ბისუტუნის წარწერების მესამე რიგის ამოკითხვას შეუდგნენ, მკვლევარებმა ძალიან მალე დაადგინეს, რომ ამ რიგის ნიშნები ზუსტად ემთხვევა ხორსაბადის, ნიმრუდისა და ქუიუნჯიქის გათხრების დროს ბარელიეფიან ფილებსა და თიხის ფირფიტებზე აღმოჩენილ დამწერლობას.

ცნობილი იყო, რომ იმ ადგილებში, სადაც გათხრები მიმდინარეობდა, ოდესღაც ცხოვრობდა მეომარი ხალხი — ასურელები, ხოლო ცოტა სამხრეთით: ბაბილონელები და ქალდეელები. დიდად გაიხარეს მეცნიერებმა, როდესაც ბისუტუნის წარწერის საკუთარ სახელთა შორის ჰეროდოტეს ნაშრომებიდან ცნობილ ასურულ-ბაბილონურ სახელებს წააწყდნენ, — ეს იყო მნიშვნელოვანი აღმოჩენა.



ასუჩელი.



ქალღეული.



არაბი.

ისტორიული ფაქტების შეპირისპირებითა და საკუთარ სახელთა შედარებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასურელები, ქალდეელები და ბაბილონელები სემიტები იყვნენ. მაშასადამე, ისინი ლაპარაკობდნენ რომელიღაც სემიტურ ენაზე. ბევრი სემიტური ენა — არაბული, ძველებრაული, სირიული და სხვები — კარგად იყო ცნობილი. ეს გარემოება საგრძნობლად აადვილებდა ასურულ-ბაბილონური ენის შესწავლას.

წარმოვიდგინოთ მეცნიერი, რომელმაც კარგად იცის რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ბულგარული და ჩეხური ენა, მაგრამ არ იცის პოლონური. შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ იგი პოლონურ ენასაც ძალიან მალე შეისწავლის, რადგანაც ეს ენა სლავური ენების ოჯახს ეკუთვნის. ასევე მოხდა ასურულ-ბაბილონური ენის შესწავლის დროსაც.

ასურულ-ბაბილონური დამწერლობის ამოკითხვა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა. მეცნიერები ყოველთვის ჩიხში ექცეოდნენ.

მართლაც, რით უნდა აიხსნას ის უცნაური გარემოება, რომ ერთი და იგივე მარცვალი გადმოცემულია სულ სხვადასხვა ნიშნით? ანდა, პირიქით, ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვანაირად, იკითხება? მაგალითად: მარცვალი „ლი“ ხუთნაირად

შეიძლება დაიწეროს. ამავე დროს ნიშანი 27 იკითხება ზო-

გჯერ როგორც „თამ“, ზოგჯერ „ფარ“, სხვა შემთხვევაში როგორც „ლახ“, ხოლო ზოგჯერ როგორც „ხიმ“. ასევე, ეს ნიშანი გადმოს-
ცემს მთელ სიტყვას, მაგალითად, „შამშუ“-ს (მზე) ან „უმუ“-ს
(დღე).

დიდ საგონებელში ჩააგდო მკვლევრები ისეთმა ნიშნებმა, რომ-
ლებსაც შეიძლება „მუნჯი“ ვუწოდოთ. ტექსტიდან ჩანდა, რომ
ისინი აშკარად ზედმეტია და არ უნდა იკითხებოდეს.

იქნებ ესენი სასვენი ნიშნების — წერტილისა და მძიმის — მოვა-
ლობას ასრულებდნენ? არაფერი ამის მსგავსი! ასურულ-ბაბილო-
ნურ ტექსტს, საერთოდ, მიყოლებით წერდნენ, სიტყვებს არ აცი-
ლებდნენ ერთმანეთს, არ ხმარობდნენ სასვენი ნიშნებს, არ იყენებ-
დნენ ირიბულ ნიშანს — სიტყვათა გამყოფს, როგორც სპარსულ
ტექსტებში გვხვდება. ეს თავის მხრივ აძნელებდა წარწერების ამო-
კითხვას.

აბა, სცადეთ ასეთი ფრაზის წაკითხვა:

ესთავისმხრივადძნელებდაწარწერებისამოკითხვასაბასცადეთასეთი
ფრაზისწაკითხვა.

ყოველი თქვენგანი ჩაფიქრდება, თუმცა ძალიან კარგად იცის
ასობიცი, სიტყვებიცი, ენაცი და თვით ფრაზაც კი ნაცნობია: თქვენ
იგი ეს-ეს არის წაკითხეთ.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ მთლიან ტექსტში აქა-იქ ჩამატე-
ბულია რაღაც სიტყვები, რომლებიც არღვევენ ტექსტის მთლიან
აზრს და რაღაც აბლაუბდა გამოდის. აი, მაგალითად, თქვენ წააწყ-
დით ასეთ ტექსტს:

„სამი დედაკაცი ქალი როს შეღამდა,

ხე ფანჯარასთან ნართს ართავდა.

„მე რომ ვიყო დედაკაცი დედოფალი“ —

ამბობს მათში ერთი დედაკაცი ქალი, —

„ყველას ვინც სცნობს ქრისტეს მცნებას,

გავუმართავ საკმელი წვეულებას“.¹

¹ ლექსები თარგმნა ირაკლი ნანუკაშვილმა.

დიდი შრომა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ სიტყვები: „დედაკაცი“, „ხე“ და „საჭმელი“ აქ აშკარად ზედმეტია. ისინი არღვევენ პუშკინის მშვენიერი ლექსის სტრუქტურას. და მეცნიერები, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ლურსმული წარწერების ამოკითხვას, დიდხანს იმტვრევდნენ თავს იმის გასაგებად, თუ საიდან გაჩნდა, ან რისთვის იყო საჭირო ზედმეტი სიტყვები, მით უმეტეს, რომ რიგსხვა შემთხვევებში ისინი სრულიად არ არის ზედმეტი. შეუძლებელი იყო მათი ამოღება ისე, რომ არ დარღვეულიყო ფრაზის აზრი და მნიშვნელობა.

სხვა მრავალ ძნელად გასარკვევ საკითხს შეიცავდა ასურულ-ბაბილონური ლურსმული დამწერლობა. მაგრამ მეცნიერებმა ბოლოს და ბოლოს ამოიციან ამ ძნელი დამწერლობის ყველა საიდუმლო და ახლა თავისუფლად კითხულობენ ასურულ-ბაბილონურ ტექსტებს.

დადგინდა, რომ ლურსმული დამწერლობა ასურელებმა და ბაბილონელებმა კი არ გამოიგონეს, არამედ უფრო ძველმა ხალხმა — შუმერებმა, რომელთა ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა მ. ვ. ნიკოლსკიმ. ამ დამწერლობას შორეულ ათასწლეულებში აქვს ფესვები გადგმული, მაშინ, როცა ადამიანები ჯერ კიდევ არ წერდნენ, არამედ ხატავდნენ. თუ საჭირო იყო დაეწერათ სიტყვა „სახლი“ — ხატავდნენ სახლს, თუ უნდოდათ დაეწერათ სიტყვა „ცხვარი“ — ხატავდნენ ცხვარს. ეს იყო ნახატი სიტყვები.

მაგრამ ასეთი „სიტყვებით“ ძალიან ცოტა რამის გადაცემა შეიძლება. როგორ უნდა დაეწერათ ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას — „სვლა“, „ტირილი“, „ნიჩბის მოსმა“? ხერხს მიაგნეს. ორი გადადგმული ნაბიჯის სქემატური გამოსა-

ხულება



ნიშნავდა „სვლას“, ცრემლიანი თვალი



— „ტირილს“. ნიჩბიანი ხელი



გადმოგვცემდა ცნება

„ნიჩბის მოსმას“.

	I	II	III	IV
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				

თანდათანობით გადასვლა ნახატი დამწერლობიდან ლურსმულ დამწერლობაზე. 1. უძველესი ნახატი—დამწერლობა, 2. იგივე დამწერლობა, მაგრამ ჩამდენადმე სქემატიზირებული და შებრუნებული 90°; 3. უძველესი ლურსმული დამწერლობა, 4. გვიანდროინდელი ლურსმული დამწერლობა.

მაგრამ წერის ეს ხერხიც არ იყო უნაკლო. არ შეიძლებოდა გადმოგვეცა როლის ხდებოდა მოქმედება (მივდიოდი, მივდივარ, წავალ), ანდა გადმოგვეცა ნაცვალსახელი (მე, შენ, ეს, ჩემი; შენი; მისი...); ბრუნვა (სახლი, სახლს, სახლით...); განყენებული ცნებები (სიკეთე, ახალგაზრდობა, ჭეშმარიტება...) და მრავალი სხვა. ამიტომ ნახატი თანდათან იქცევა ნაწერად ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ეს მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო. ერთი მხრივ, მარტივდებოდა ნახატები. „სახლი“, „კაცი“, „ხე“, „ძროხა“ თანდათან სულ უფრო სქემატურად, რამდენიმე ხაზით გამოისახებოდა. ბოლოს და ბოლოს ამ „ნახატებმა“ სრულიად დაკარგეს მსგავსება იმ საგნებთან, რასაც ისინი გამოხატავდნენ. მიუხედავად ამისა, ადამიანები უშეცდომოდ კითხულობდნენ: „სახლი“, „კაცი“, „ხე“, „ძროხა“.

მეორე მხრივ, ბგერის ქღერადობა დასცილდა სურათს. მაგალითად, „ხე“ გამოიყენებოდა როგორც მარცვალნიშნის რთულ სიტყვებში „ხერხეა“, „ხეხილი“, „ხელმწიფე“, „უხერხული“ და ასე შემდეგ. ამავე დროს „ხე“ ინარჩუნებს თავის პირდაპირ მნიშვნელობას, ე. ი. აღნიშნავს მცენარეს.

ამრიგად, წერის საშუალებით აზრის გადმოცემის შესაძლებლობა საგრძნობლად გაიზარდა. მარცვალნიშნების შეერთებით შეიძლებოდა მიგველო ახალი სიტყვა. მაგალითად „ქინძი“ და „თავი“-ს შეერთებით ვიღებთ „ქინძისთავს“. სიტყვები „ბუ“ და „ხარი“ გვაძლევს „ბუხარს“ და სხვ.

რა თქმა უნდა, ახალ სიტყვას არავითარი აზრობრივი კავშირი არ ჰქონდა იმ სიტყვებთან, რომლებსგანაც იგი მივიღეთ. ისევე, როგორც სიტყვებს „ბუს“ და „ხარს“ არავითარი აზრობრივი კავშირი არა აქვს „ბუხართან“.

შუმერებისაგან ნასესხებ დამწერლობას ბაბილონელები და ასურელები ორნაირად კითხულობდნენ — შუმერულადაც და ასურულ-ბაბილონურადაც. სიტყვა „სახლი“ შუმერულად ქღერდა

როგორც „ე“ და გამოიხატებოდა ნიშნით

როგორც ბაბილონელებმა, ასევე ასურელებმა ეს ნიშანი გამოიყენეს ბგერა „ე“-ს გამოსახატავად. მაგრამ ასევე იყენებდნენ მას სიტყვა „სახლის“ გამოსახატავადაც, რაც ასურულ-ბაბილონურად უდერს როგორც „ბითუ“. ამრიგად, ეს ნიშანი მრავალი უღერადობის შქონე გახდა. იგი სხვადასხვანაირად იკითხება.

მაგრამ ნიშან



—ს რომ მხოლოდ ორი მნიშვნე-

ლობა („ე“ და „ბითუ“) ჰქონდა, წარწერების გაშიფვრა საგრძნობლად გაიოლდებოდა. სინამდვილეში ამ ნიშანს სულ ცოტა ოთხი მნიშვნელობა კიდევ ჰქონდა: „ბით“, „ფით“, „ბიდ“, „ფიდ“.

როგორღა მოხდა, რომ ერთი და იგივე ბგერას გამოხატავდნენ სხვადასხვა ნიშნით?

მეცნიერებმა ესეც გაარკვიეს.

ავიღოთ, მაგალითად, ქართული სიტყვა „თვალ“. კონტექსტის გარეშე ვერ იტყვიot, ნიშნავს იგი ადამიანის თვალს, ჩვეულებრივი გლეხური ურმის თვალს, ბელღის თვალს თუ ბექდის თვალს. ესენი ომონიმებია, ე. ი. ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთნაირად გამოითქმება, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობისაა.

შუმერულ ენაში ძალიან ბევრი ომონიმი იყო. მაგალითად, სიტყვა „ა“ ნიშნავდა ხელს და წყალს. თავდაპირველად ხატავდნენ ერთსაც და მეორესაც, მაშინ შეუძლებელი იყო ისინი ერთმანეთში არეულიყო. მაგრამ შემდგომ, როდესაც ნიშანმა დაკარგა მსგავსება ნახატთან, მას იყენებდნენ არა მარტო „წყლისა“ და „ხელის“, არამედ ბგერა „ა“-ს გამოსახატავადაც. ამრიგად, ერთი და იგივე ბგერა სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა გამოგვეხატა.

საიდანღა გაჩნდა „მუნჯი“ სიტყვები და რა როლს ასრულებდნენ დამწერლობაში? ძალიან დიდს. ისინი აადვილებდნენ კითხვას. ნიშნების ასეთი სიუხვის დროს (რამდენადაც ჩვენ ვიცით, 400-ზე მეტი ნიშანი იყო), როცა ყოველი მათგანი მრავალნაირად იკითხებოდა, სულ ადვილად აგებნებოდათ თავგზა ამ ლურსმული ნიშნების ერთიან მწკრივში. ამიტომ იყენებდნენ სიტყვა-განმსახლვერელებს, სიტყვა-ნიშნებს. ისინი უჩვენებდნენ, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ესა თუ ის ნიშანი.

ეს საგრძნობლად აადვილებდა კითხვას. განმსაზღვრელი ერთ-გვარი სიგნალს აძლევდა მკითხველს: ახლა იქნება საგნის სახელი, ქვეყნის სახელი, მდინარის სახელი, ქალაქის სახელი, ცხოველის სახელი და ასე შემდეგ.

ახლა ჩვენთვის გასაგებია, ასურელებს რომ თავიანთი ლურსმულით ჩაეწერათ პუშკინის ზემოთმოყვანილი ლექსი, რატომ ჩაუმატებდნენ „დედოფალისა“ და „ქალიშვილის“ წინ განმსაზღვრელს „დედაკაცი“, სიტყვა „ფანჯარას“ წინ — განმსაზღვრელს „ხე“, „წვეულების“ წინ განმსაზღვრელს „საჭმელი“. სიტყვა-განმსაზღვრელები იწერებოდა აგრეთვე საკუთარი სახელების, ქვეყნების, ქალაქების, მდინარეების, ცხოველების, მცენარეების, სამკაულების და მრავალი სხვა სიტყვის წინ.

დროთა განმავლობაში სიტყვა-განმსაზღვრელები ერთ ადგილას გაიყინენ და ყოველთვის სწორად ვეღარ გადმოსცემდნენ იმ საგნის ნიშნებს, რომლებსაც ისინი განსაზღვრავდნენ. ზოგჯერ საქმე კუროზამდე მიდიოდა.

ასურეთის მეფეთა მატიანებში, როგორც წესი, ჩამოთვლილია მათ მიერ მიტაცებული ნადავლი. საგნებს შორის მოხსენებულია სპილოს ძვლის საწოლები და ოქროს ხანჯლები. მაგრამ მათ წინ დგას განმსაზღვრელი „ხე“. სწორედ ასეა ჩაწერილი: „ხე სპილოს ძვლის საწოლები“, „ხე ოქროს ხანჯლები“.

აქ გასაკვირიც არაფერია. იყო დრო, როცა საწოლები და ხანჯლები ხისგან კეთდებოდა. ცხოვრება წინ წავიდა, ტექნიკა განვითარდა, გაჩნდა ოქროს ნივთები, ვერცხლი, რკინა, სპილოს ძვალი, ხოლო განმსაზღვრელი, ძველი ტრადიციის გამო, დარჩა ძველებური — „ხე“.

მეცნიერთა გამოცდა

ლურსმული წარწერების ამოკითხვა ერთი რომელიმე მეცნიერის დამსახურება როდია. სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარების ერთობლივი ძალით მოხერხდა უზარმაზარი სიძნელის დაძლევა და წერის ერთ-ერთ ყველაზე რთულ სისტემაში გარკვევა. მრავალი წლის შრომა შეაღიეს მეცნიერებმა ასურულ-ბაბილონური ტექსტების შესწავლას.

მაგრამ ყველას როდი სჯეროდა მათი. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ასირიოლოგია არ მიაჩნდათ მეცნიერებად, ეპქვეშ აყენებდნენ ტექსტების ამოკითხვის სისწორეს.

— თქვენ კი არ კითხულობთ ტექსტს, არამედ მარჩიელობთ, — ეუბნებოდნენ ასირიოლოგებს. — აქ ფართო ასპარუზია ფანტაზიისათვის, ყველას შეუძლია თავისებურად თარგმნოს.

ერთმა შემთხვევამ ხელი შეუწყო ბოლო მოღებოდა ასირიოლოგიისადმი, როგორც მეცნიერებისადმი, უნდობლობას.

1857 წელს ლონდონში შემთხვევით აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის ოთხი დიდი მეცნიერი-ასირიოლოგი. მათ გადასცეს ყველასათვის უცნობი ვრცელი წარწერის პირები. საჭირო იყო დაედგინათ, ვისია ეს წარწერა, რომელ ეპოქას ეკუთვნის, და უნდა მოეცათ ზუსტი თარგმანი. ამასთან, მეცნიერებს წაუყენეს მოთხოვნა: ყოველ მათგანს უნდა ემუშავა დამოუკიდებლად, ერთმანეთთან ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდათ.

დანიშნულ დღეს კომისიის თანდასწრებით, რომელთა შემადგენლობაში დიდი ავტორიტეტული მეცნიერები შედიოდნენ, გაიხსნა ოთხი დაბეჭდილი კონვერტი. კონვერტებიდან ამოიღეს ამ ლურსმული წარწერის ოთხი თარგმანი. სიტყვასიტყვით, სტრიქონ სტრიქონ შეაჯერეს მეცნიერებმა წარმოდგენილი თარგმანები. გაოცებული და აღფრთოვანებული უსმენდა მათ რიცხვმრავალი აუდიტორია და რწმუნდებოდა, რომ თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვეოდა ერთმანეთს, განსხვავება იყო მხოლოდ წვრილმანებში, იერში, შტილში. ეს გასაგებიცაა. მიეცით გერმანული, ფრანგული ან ინგლისური ტექსტი გამოცდილ მთარგმნელებს და თითოეული თავის ვარიანტს წარმოგიდგენთ. მათ შორის აღმოჩნდება განსხვავება, მაგრამ ყოველი თარგმანი სწორი იქნება.

ტექსტი, რომლითაც მეცნიერები გამოსცადეს, ეკუთვნოდა ტიგლათფილესერ I, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წ. XII საუკუნეში. ეს არის მისი მეფობის პირველი ოთხი წლის დაწვრილებითი მატრიანე, სადაც მოთხრობილია საომარ ლაშქრობაზე, სხვათა მიწების დაპყრობაზე, ურჩების დასჯაზე. მეფე ტრაბახობს სუსტ მეზობლებზე გამარჯვებას.

„გრიგალივით ვეკვეთე მტერს, დავაყრევინე თავები, მათი გვა-

მებით ავავსე მთის ხეობები. დავანგრეე მათი ქალაქების კედლები. ხელთ ვიგდე მონები, ქონება, უთვალავი განძეული... მათი ქალაქები დავაქციე, გადავწვი და ნანგრევების გროვად ვაქციე“.

ასეთივე „გმირობებითაა“ სავსე მთელი მატთანე.

ერთი ან ორი სტრიქონის თარგმანი რომ დამთხვეოდა, კიდევ შეიძლებოდა გველაპარაკა ბედნიერ შემთხვევითობაზე. მაგრამ როცა ემთხვეოდა რთული ტექსტის ათობით და ასობით სტრიქონის თარგმანი — შემთხვევით წარმატებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო. ასირიოლოგები რომ. კითხულობდნენ ლურსმულ წარწერებს — ეს ყველასათვის ნათელი გახდა.

ახლაგაზრდა, ახლახან დაბადებული მეცნიერება — ასირიოლოგია ყოველ ნაბიჯზე ბრწყინვალე გამარჯვებებს იმკვიდრებდა.

ასურეთის მეორე მეფის ასურბანიფალის ანალებში (მატიანეებში) რაულინსონმა ამოიკითხა, რომ ამ მეფემ ტიგროსის სათავეებთან კლდეზე ამოაკვეთინა თავისი გამოსახულება მისი შორეული წინაპრის — მეფე ტიგლათფილესერის გამოსახულების გვერდით. მაშინ იმ ადგილებში შემთხვევით იმყოფებოდა ერთი მოგზაური... რაულინსონმა მისწერა მას: „მოძებნეთ კლდეებზე ორი მეფის გამოსახულება“. მართლაც, ეს გამოსახულებები მალე იპოვეს, და სწორედ იმ ადგილას, რომელიც აღნიშნული იყო მატთანეში. უდავო იყო, რომ ის გამოსახულებები ეკლთვნოდა სწორედ ამ მეფეებს და არა სხვას. კლდეზე ამოკვეთილი წარწერები პირდაპირ ასახელებდნენ მათ — ასურბანიფალი და ტიგლათფილესერი.

ასირიოლოგებს სრულიად მოულოდნელად შარში ამოუდგინეთი მეცნიერება, რომელსაც თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა ასირიოლოგიასთან. ეს იყო ასტრონომია.

ქუთუნჯიქში ნაპოვნი ფირფიტების გარჩევისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ნატეხზე, მოხსენებულია ცის მნათობები. მათი პირები გაუგზავნეს ცნობილ ასტრონომს, რომელიც ლურსმულ წარწერებში კარგად ერკვეოდა. მან წაიკითხა ასობით ნაწყვეტი და მათ შორის შეარჩია სამი. მისი აზრით, ეს სამი ნაწყვეტი ოდესღაც ერთ მთლიან ტექსტს წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებდა მის მიერ გაკეთებული ასტრონომიული გამოანგარიშებანი.

ასტრონომმა თავისი დასკვნები აცნობა ბრიტანეთის მღზეუმს.

სადაც ინახებოდა ეს ფირფიტები. რარიგ გაოცდნენ მეცნიერები, როდესაც შეაერთეს სამი თიხის ნატეხი და დარწმუნდნენ, რომ ისინი ისე ზუსტად ემთხვეოდნენ ერთმანეთს, თითქოს ფირფიტა ახლახან გატყდა.

დიდმა რუსმა ქიმიკოსმა დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევმა იწინასწარმეტყველა ისეთი ქიმიური ელემენტების არსებობა, რომლებიც ჯერ არავისთვის არ იყო ცნობილი. მეტიც, მან დაწვრილებით აღწერა მათი თვისებები, განსაზღვრა ატომური და კუთრი წონები, დნობის ტემპერატურა, თითქოს თავისი თვალით ენახოს და საკუთარ ლაბორატორიაში გამოეკვლიოს ეს ნივთიერებები. გავიდა რამდენიმე წელი და აღმოაჩინეს ახალი, მანამდე უცნობი ელემენტები. მათი თვისებები ზუსტად ისეთი იყო, როგორც ეს მენდელეევმა აღწერა.

პლანეტა ურანის მოძრაობას როცა სწავლობდა, პეტერბურგელმა ასტრონომმა ლეკსელმა შენიშნა, რომ ურანის გზა მთლიანად არ ემთხვეოდა იმ გზას, რასაც თეორიული გამოთვლით ვარაუდობდნენ. რაშია საქმე? გადახრა, მართალია, უმნიშვნელო იყო, მაგრამ ამას ხომ უნდა ჰქონოდა თავისი მიზეზი? მამინ მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ გადახრის მიზეზია რომელიღაც უცნობი პლანეტა, რომლის მიზიდულობის ძალითაც ურანი გადაიხრება თავისი ორბიტიდან მზის გარშემო.

ფრანგი მათემატიკოსი ლევერიე შეუდგა გამოანგარიშებას. რთული გამოთვლების საშუალებით მან განსაზღვრა ცაზე ის ადგილი, სადაც ამჟამად უნდა ყოფილიყო ეს უცნობი პლანეტა. და როგორ გგონიათ? 1846 წელს, სწორედ ამ ადგილზე გერმანელმა ასტრონომმა ჰალემ მძლავრი ტელესკოპის საშუალებით აღმოაჩინა მანამდის უცნობი პლანეტა. ეს იყო ნეპტუნი. ამ შესანიშნავ შემთხვევას რომ აფასებდა, ფ. ენგელსი წერდა, ნეპტუნი „კალმის წვერით“ აღმოაჩინესო.

უნებლიეთ გაგონდებათ მეცნიერული წინასწარხედვის ეს საოცარი მაგალითები, როდესაც ძველბაბილონური კანონების აღმოჩენის ისტორიას ეცნობით. ეს იყო შედარებით უფრო მცირე მნიშვნელობის, მაგრამ მაინც მეცნიერული წინასწარპყვრეტა.

თიხის ფირფიტებს შორის ნახეს ნამტვრევები, რომლებზედაც

ამოკვეთილი იყო რომელიღაც დადგენილების ნაწყვეტები. რაუ-
ლინსონმა გადაწყვიტა, რომ ისინი შედგენილი იყო ასურეთის მე-
ფის ასურბანიფალის მიერ, რადგანაც მის სასახლეში იპოვეს. მაგ-
რამ მეორე ასირიოლოგმა — ფ. დელაჩამა, ყურადღებით გამოიკე-
ვია ეს დოკუმენტები და სხვა დასკვნამდე მივიდა:

— ეს კანონები არის ბაბილონური და არა ასურული, შედგენი-
ლია ასურბანიფალის დაბადებამდე ათასზე მეტი წლის წინათ. ამ
კანონების ავტორია ბაბილონეთის მეფე ხამურაბი. ესაა კანონთა
მთელი კრებული, მთელი კოდექსი.

გავიდა სამი წელი და იპოვეს შავი ბაზალტის სვეტი, რომელ-
ზეც ამოკვეთილი იყო მეფე ხამურაბის კანონების 282 მუხლი-
ტექსტის ზემოთ გამოკვეთილი იყო მისი შემდგენლის გამოსახუ-
ლება.¹

შეუძლებელი იყო ამის შემდეგ დაეჭვება, რომ ასირიოლოგია
ნამდვილ მეცნიერებად იქცა! მისი წყალობით ახლა ჩვენ შეგვიძ-
ლია ჩავიხედოთ კაცობრიობის შორეულ წარსულში, რომელიც არც
ისე დიდი ხნის წინათ მიუწვდომელი იყო.

1857 წელი, როდესაც დაბეჭდილი კონვერტებით გამოცდა
ბრწყინვალე წარმატებით ჩატარდა, მიჩნეულია ასირიოლოგიის —
ასურულ და ბაბილონურ სიძველეთა შემსწავლელი მეცნიერების—
დაბადების თარიღად.

ამ დროიდან იწყება გაცხოველებული გათხრები. მათ აწარმოებ-
დნენ ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა აღმოსავლური სიძველის
პოვნა, — ერაყში და მცირე აზიაში, ირანსა და სომხეთში, სირიასა
და ეგვიპტეში.

თითქმის ყოველდღე მოდიოდა ცნობები ახალ-ახალი აღმოჩე-
ნების შესახებ.

იხრიდნენ მთელ ქალაქებს დიდებული სასახლეებითა და ტაძრე-
ბით, ფართო ქუჩებითა და მრავალსართულიანი კოშკებით. პოუ-
ლობდნენ ქანდაკებებსა და ბარელიეფებს; იპოვდნენ საოჯახო
ქურკელს, სახელოსნო იარაღებს და მეფეთა სამკაულებს. შუამდი-

¹ ხამურაბის კანონები ამჟამად მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ
შორის — ქართულადაც. იხ. ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი,
თბილისი, 1960, გვ. 24—64.—რ. ე. ლ. შ. ნ. ი. ნ. ა.



მეფე ხამურაბი (მარცხნივ) იღებს კანონებს შისა და მართლმსაჯულების
ღმერთ შამაშისაგან. გამოსახულება ბაზალტის სვეტის ზედა ნაწილზე.

ნარეთის ტერიტორიაზე ასურეთის გვიანდელი დედაქალაქის — ნინევიის გარდა, გათხარეს ბაბილონი, აშური, აქადი, ლარსა, ური, ურუქი, შურუფაქი, ლავაში, და სხვ. თავის დროზე ბევრი მათგანი დიდი სახელმწიფოს¹ დედაქალაქები იყო, როგორც მაგალითად, აქადი, ური, ბაბილონი!

¹ ლურსმული დამწერლობის გაშიფვრაზე საუბარია აგრეთვე მრავალ პოპულარულ ნარკვევში, რომლებიც წინამდებარე წიგნის ბოლო გამოცემის შემდეგ გამოქვეყნდნენ. ზოგიერთი მათგანი დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა ფართო წრეებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. კერამის ცნობილი წიგნი „ღმერთები, აკლდამები, მეცნიერები,“ რომელიც მალე ქართულადაც გამოვა. იხ. აგრეთვე *Э. Дольхофер, Знаки и чудеса, М., 1963; Э. Перен, Библейские холмы, М., 1966.*

სამამულო მეცნიერების სასახელოდ

სააზიო მუზეუმი

1720 წელს პეტრე I-მა უბრძანა ციმბირის გუბერნატორს, პეტერბურგის კუნსტაკამერაში გადმოეტანა ყველა ღირსშესანიშნავი აღმოსავლური საგანი. იმავე დროს მეფის ბრძანებით შეიძინეს პირველი აღმოსავლური წიგნები და „რეალიები“ (იშვიათობანი).

ამრიგად, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთში ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლურ სიძველეთა შეგროვებასა და შესწავლას.

კუნსტაკამერის აღმოსავლური კოლექციები სწრაფად იზრდებოდა და ივსებოდა. 1818 წელს მათ საფუძველზე შეიქმნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმი. ეს მუზეუმი ძალიან მალე იქცა აღმოსავლური წიგნების, ხელნაწერებისა და იშვიათობათა ერთ-ერთ ყველაზე დიდ საცავად მსოფლიოში. იგი გახდა რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის მნიშვნელოვანი ცენტრი.

დროთა განმავლობაში მუზეუმში იმდენი ექსპონატი დაგროვდა, რომ ნივთების შესანახად საჭირო გახდა ახალი სპეციალური დაწესებულების — ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის გახსნა. ეს მუზეუმი ამჟამად სახელგანთქმული რუსი მოგზაურის მიკლუხო-მაკლაის სახელს ატარებს. სააზიო მუზეუმში კი მხოლოდ წიგნები და ხელნაწერები დარჩა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ეს უძველესი სამეცნიერო დაწესებულება გადაკეთდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტად და ამჟამად წამყვანი ადგილი უკავია აღმოსავლეთის ქვეყნების შესწავლის საქმეში.

სააზიო მუზეუმთან ერთად რუსეთში აღმოსავლეთმცოდნეობის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცა პეტერბურგის, მოსკოვისა და ყაზანის ძველი უნივერსიტეტები. ამ უნივერსიტეტების ბევრმა პროფესორმა და აღზრდილმა გაითქვა სახელი არა მარტო როგორც ცოცხალი აღმოსავლური ენების დიდმა მცოდნემ, არამედ როგორც მკვლარი ენების გრამატიკის, ლექსიკისა და დამწერლობის აღმდგენმა, როგორც ძველი სამყაროს გამოჩენილმა ისტორიკოსმა. ლურსმულ წარწერებში მათ დაინახეს უტყუარი საშუალება შეედწით დროის სიღრმეში და გაეფართოებინათ ჩვენი ცოდნა აღმოსავლეთის ქვეყნების შორეულ წარსულზე.

„ლურსმულ წარწერებს თავიანთი სიძველით, სიმრავლითა და იმ ადგილების დიდი მნიშვნელობით, სადაც ეს წარწერები გვხვდება, აგრეთვე ისტორიული ინტერესის თვალსაზრისით, პირველი ადგილი უკავიათ აღმოსავლეთის ღირსშესანიშნაობათა შორის“, — წერდა რუსი აღმოსავლეთმცოდნე ი. ბერეზინი.

ეს სიტყვები ნათქვამია 110 წლის წინათ, როცა პერსეპოლისის წარწერების ამოკითხვის მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმებოდა. მეცნიერთა ყურადღება უმთავრესად მიპყრობილი იყო პირველ სისტემის წარწერებზე. მაგრამ ჯერ კიდევ იმ დროს ბერეზინი ბეჯითად ჰკიდებს ხელს ლურსმული წარწერების სხვა სისტემების ამოკითხვას. მისი აზრით, ექვსი ასეთი სისტემა არსებობდა. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი შრომა — „მეორე სისტემის ლურსმული წარწერები“, რომელიც მრავალ საყურადღებო დაკვირვებას შეიცავს.

ი. ბერეზინმა ვერ ამოხსნა ძველი ელამური დამწერლობა — ეს მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოხერხდა. მაგრამ მისმა შრომებმა სამსახური გაუწია მეცნიერთა შემდგომ თაობას. მეცნიერებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მასალების შეკრებას და მის წინასწარ დამუშავებას. ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანის აღმოჩენა. მეცნიერების ისტორიაში დამსახურებულ ადგილს იკავებს არა მარტო ის, ვინც პირველმა აღმოაჩინა, არამედ ისიც, ვინც ნიადაგი მოუმზადა ამ აღმოჩენას.

მესოპოტამიაში მოგზაურობის დროს ი. ბერეზინი წერდა: „მოგზაურის ყურადღებას კიდევ უფრო მეტად იპყრობს (ვიდრე სპარსეთში) სიძველეთა ძეგლების სიუხვე... ინტერესისა და სიძველის მხრივ აქაც პირველი ადგილი ეკუთვნის ნაშთებს ლურსმული წარწერებით. ბაბილონის ნანგრევები ევფრატის ნაპირებზე, ქალაქ ჰილესთან (ბაღდადის მახლობლად), შედგება რამდენიმე შენობის ნაშთებისაგან, ამ შენობების დანიშნულება შეიძლება მხოლოდ მიახლოებით განისაზღვროს. ამ ნანგრევებში გვხვდება აგურები და ქვები, რომლებზეც არის წარწერები, შესრულებული ბაბილონური ლურსმული სისტემით. ეს სისტემა ყველაზე ძველი და რთულია. არც ერთი ნიშანი არაა ამოცნობილი. ნინევიის ნანგრევები ტიგროსის ნაპირზე, მოსულის მახლობლად, მხოლოდ გორაკებისაგან შედგება, რომლებშიც პოულობენ ქვებს ლურსმული წარწერებით, შესტულლებულს ასურული და ბაბილონური სისტემით“.

ბერეზინი ხატოვნად აგვიწერს ხორსაბადში ნაპოვნი ნივთებს, რომლებსაც ვ. დიტელზე გვიან გაეცნო. ხორსაბადის სკულპტურული გამოხატულების შესწავლის შემდეგ ბერეზინი ასკვნის: „ეს ბარელიეფები მკაფიოდ მეტყველებენ ასურული ხელოვნების სასარგებლოდ. უცნობ დამპყრობთა გამარჯვებები აქ უფრო დიდი ოსტატობითაა გამოკვეთილი, ვიდრე პერსეპოლისის კედლებზე, თუმცა მოსულის ქვა რბილია და აადვილებს მუშაობას. ზოგიერთ ციხე-სიმაგრეზე ამოკვეთილი ლურსმული წარწერა ალბათ ციხე-სიმაგრის სახელწოდებაა და ამიტომ ასურული ლურსმული წარწერების წაკითხვა რამდენადმე საალბათოდ შეიძლება მივიჩნიოთ“.

მხოლოდ ათი წელი გავიდა მას შემდეგ და ეს „ალბათობა“ სიმამღვილედ იქცა.

ი. ბერეზინის აზრს ლურსმული წარწერების მნიშვნელობის შესახებ მთლიანად იზიარებს ვ. დიტელი. 1849 წელს გამოქვეყნებულ შესანიშნავ ნარკვევში თავის მოგზაურობაზე რუსი აღმოსავლეთმცოდნე მწარედ დასცინის იმ გონებაშეზღუდულ მეცნიერებს, რომლებმაც ვერ გაიგეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლურსმულ დამწერლობას ისტორიული მეცნიერებისათვის.

უკანასკნელ დრომდე, — წერს ვ. დიტელი, — ისინი (ე. ი. ლურსმული წარწერები): მოგზაურთა ნაკლებ ყურადღებას იქცევდნენ და

ამიტომ ზოგიერთ ღრმადგანსწავლულ ადამიანს კედლის უბრალო მხატვლობა ეგონა. ფიქრობდნენ, რომ ესაა ბარბაროსული, არაფრის გამომხატველი ნიშნები, ან დროისა თუ განსაკუთრებული სახის მწერების მიერ დატოვებული კვალი. ეს წარწერები გამოიჩინევა არაჩვეულებრივი სწორი ხაზებით და თავისებური სინატიფით; მაგრამ რა საქმე გვაქვს მათთან? გადაწყვეტილია, რომ ეს მწერების ნაკვალევია და ამ სწავლული ქინკლების „სახელიც კი განსაზღვრეს“, — ირონიულად ამბობს იგი.


შემდეგ აგვიწერს ლურსმული წარწერების ამოკითხვის საქმეში მიღწეულ წარმატებებს და ამბობს: „მიუხედავად ამისა, ლურსმული წარწერების ამოკითხვა შეუძლებელია ამაზე შეჩერდეს, ამოკითხული წარწერები ეკუთვნიან უმარტივეს ჯგუფს, რომელსაც პირველი ჯგუფი ანუ პერსეპოლური ეწოდება. მეორე ჯგუფის წარწერები ბევრად უფრო ძნელია, — უფრო რთულია. ამ ტექსტებში ასოები გაცილებით მეტი რაოდენობის ნიშნებისაგან შედგება, და ისინი სხვადასხვა მიმართულებით დგანან...“

ყველაზე ძნელია წარწერების მესამე ჯგუფი თავისი არაჩვეულებრივი სიმჭიდროვის გამო...“

მან აქვე დასახა ამ წარწერების ამოკითხვის სწორი გზა: „პროვინციების, ქალაქების, ზღვების, სხვადასხვა პირთა საკუთარი სახელების ვარჩევა შესაძლებელია ანბანის დახმარებით, და ისეთ ყველაზე ცნობილ სახელებზე დაყრდნობით, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ახლოს დგანან უძველეს ისტორიულ წყაროებთან, მთავარია მოიძებნოს ორი-სამი საკუთარი სახელი და მათ მიხედვით გაიკრვეს რამდენიმე ასო“.

როგორც ვიცით, სწორედ ამ გზით წავიდნენ შემდეგში მეცნიერები. უეჭველია, მათ შორის იქნებოდა დიტელიც, მაგრამ ქოლერამ ნაადრევად გამოასალმა წუთისოფელს. ჯანდონით სავსე, შესანიშნავი მეცნიერი ოცდათორმეტი წლის ასაკში ვარდაიცვალა.

ჩვენ აღარ შეგჩერდებით მის აღმოჩენებზე პერსეპოლისსა და ნიმრუდში. უნდა დავუმატოთ მხოლოდ, რომ ვ. დიტელმა შეისწავლა ძველი მსოფლიოს მსხვილი ცენტრის — ბაბილონის ნაშთებიც. მან საგულდაგულოდ აზომა ერთ-ერთი ბორცვი და დაამტკიცა, რომ იგი არის ბაბილონის დმერთის—ბელის სახელგანთქმული ტაძრის ფუნდამენტი.



ლომის ქანდაკება, რომელიც ამშვენებდა ნიმრუდში გათხრილი ერთ-ერთი ტაძრის შესასვლელს.


როდესაც გონების თვალს გადაავლებ ყოველივე იმას, რაც ვ. დიტელმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე გააკეთა, გოცებთ ამ მეცნიერის იშვიათი შრომისუნარიანობა. ვ. დიტელის სამწლიანი მოგზაურობის შედეგებს რომ აჯამებდა, მისი ერთი უცნობი თანამედროვე სამართლიანად წერდა:

„პროფესორ დიტელის¹ მოგზაურობა ყველაზე უფრო შესანიშნავია რუსების მიერ მუსლიმანურ აღმოსავლეთში მოწყობილ მოგზაურობათა შორის“.

¹ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიტელი დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორად.



ჩუქურთმა სპილოს ძვალზე. ნიმრუდის გათხრების დროს ნაპოვნი ნატეხი.



აგური ბაბილონური ლურსმული წარწერით.

გადის წლები და რუსეთს მოევლინა აღმოსავლეთმცოდნეთა ახალ-სახელოვანი თაობა. საგრძნობლად ფართოვდება მეცნიერული ინტერესი. იკვლევენ ახალ გეოგრაფიულ მხარეებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შეუსწავლელი იყო.

მოწინავე რუს აღმოსავლეთმცოდნეთა ყურადღების ცენტრშია ჩვენი სამშობლოს ვრცელი განაპირა რაიონები. ეს რაიონები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ძველი მსოფლიოს ისტორიაში.

უ რ ა რ ტ უ

XIX საუკუნიდან იწყება აღმოსავლურ სიძველეთა ძებნა ამიერ-კავკასიაში. ასურეთის მეფეთა მატეანეებიდან ცნობილი გახდა, რომ პირველ ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ასურეთის ჩრდილო მეზობელი ყოფილა ურარტუს მძლავრი სახელმწიფო. იგი ერთ ხანს განადგურებასაც კი უქადადა ასურეთს. ყველა მონაცე-

მიდან ჩანდა, რომ ურარტუს ძველი სახელმწიფო ამიერკავკასიაში მდებარეობდა. ეს ვარაუდი მართლაც დადასტურდა.

არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა და ენათმეცნიერებმა ფარდა ახადეს თავისებურ კულტურას, რომელიც ნაირფრად ყვაოდა ძველი სომხეთის ტერიტორიაზე. მალე იმის დადგენაც მოხერხდა, რომ ურარტუს სამეფო უძველესი სახელმწიფოა.

ჩვენ დრომდეა შემორჩენილი არხები, ხელოვნური ტბები და კლდეში გამოკვეთილი ურარტული ციხე-სიმაგრეები. ურარტელთა სამშენებლო ტექნიკის განსაცვიფრებელი ნიმუშია სამი ათასი წლის წინათ აგებული შამირამის არხი, რომლითაც სასმელ წყალს იღებდა ქვეყნის ძველი დედაქალაქი ტუშუა. ეს არხი სრულ წესრიგშია. მისი სიგრძე 70 კილომეტრს აღემატება, გზაზე იგი გადაკვეთს ხრამებსა და ხეობებს, კლდეებსა და მდინარეებს. დაბლობ ადგილებში იგი აწეულია ოცი მეტრის სიმაღლეზე გიგანტური ქვის წყობით; მდინარეებზე გადადის ხის ღარებში, ხოლო კლდეებში წყალი გრძელი გვირაბებით მიექანება.

ძველი ურარტელები საუცხოოდ იყვნენ დაუფლებული სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების ხელოვნებას. ურარტუში დამზადებულ იარაღს, ავეჯს, სამკაულს შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი.


ურარტულ ენაზე შესრულებული ვრცელი ლურსმული წარწერები გვიამბობდნენ აყვავებულ ქალაქებსა და სარწყავ ნაგებობებზე; სამხედრო ლაშქრობებსა და სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

ურარტუს კულტურის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მ. ვ. ნიკოლსკის. რუსული ასირიოლოგიის მამა ამავე დროს დიდი ურარტოლოგი იყო.

იგი დადიოდა ამიერკავკასიაში, თხრიდა ბორცვებს, ადიოდა კლდეებზე და იხატავდა ურარტუს მმართველთა წარწერებს. მისმა ნაშრომებმა „რუსეთის ფარგლებში აღმოჩენილი ვანის მეფეთა ლურსმული წარწერები“ და „ამიერკავკასიის ლურსმული წარწერები“ მთელი მსოფლიოს სწავლულთა ყურადღება მიიპყრო და უმდიდრესი მასალა მოგვცა ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესასწავლად.

პირველ წიგნში დაწვრილებითაა მოთხრობილი ასურეთსა და ურარტუს შორის ურთიერთობაზე, მოცემულია ვრცელი სურათი იმ სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლებისა, რომლებიც ამ ორ სახელმწიფოს შორის ასზე მეტი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მეტად დიდია ამ ნაშრომის მნიშვნელობა. რუსეთის იმპერიაში ნაპოვნი წარწერები პირველად გამოქვეყნდა ლუქსემბურგის შრიფტით.

მ. ვ. ნიკოლსკის მეორე, კიდევ უფრო კაპიტალური ნაშრომი, რომელშიც აღწერილია ამიერკავკასიაში ნაპოვნი ძვირფასი ურარტული წარწერები, ავსებს ისტორიულ სურათს.



ქალაქი ვანი, საერთო ხედი.

მიმზიდველად აგვიწერს მ. ვ. ნიკოლსკი ურარტუს მეფეთა საომარ ლაშქრობებს, მოგვითხრობს მათ შორის უფრო სახელოვან ლაშქრობათა შესახებ, უზარმაზარი კლდეებით დაცული ვანის სახელმწიფოს დედაქალაქზე (ძველ ტუშფაზე). „ასურეთის დიდი მონარქიის წინააღმდეგ ხანგრძლივად და შეუპოვრად რომ იბრძოდნენ, წერს იგი, — ვანის მეფეები, ამავე დროს, ენერგიულად და დიდი წარმატებით ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას ჩრდილოეთზე, ძლევდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას.


...ორი მეფობის განმავლობაში მათ შეძლეს მცირე კავკასიონის ოლქების დაპყრობა, და ჩვენ აშკარად ვხედავთ მათ განზრახვას —

ეწვიონ თავიანთი იარაღით კიდევე უფრო შორს, დიდი კავკასიონის მწვერვალებს“...

დიდი პატივისცემით მოიხსენიებს მ. ვ. ნიკოლსკი ამ ხალხის ძველ კულტურას. იგი ამტკიცებს, რომ ურარტუს მბრძანებლები „ყველაფერში ეტოქებოდნენ ასურელებს და არ ჩამორჩებოდნენ მათ თავიანთი საქმიანობისა და, განსაკუთრებით, თავიანთ ლაშქრობათა და დაპყრობათა უკვდავოფის საქმეში. ამ მიზნით აგებდნენ მონუმენტურ ნაგებობებს, ჰკვეთდნენ კედლებსა და შენობებზე წარწერებს, რომლებიც მოგვითხრობდნენ მათ საქმეებზე“.

ამ მეცნიერის წყალობით ათობით ასეთი წარწერა რუსული და მსოფლიო კულტურის კუთვნილებად იქცა.

მ. ვ. ნიკოლსკის შრომებმა ყველასათვის ცნობილი გახადა, რომ ძველ აღმოსავლეთში თავის დროზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა ურარტუს. ასევე ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან ძველ-აღმოსავლურ საზოგადოებათა შესწავლისას შეუძლებელია ყურადღება არ დაეთმოს ურარტუს, როგორც ამას აქამდე აკეთებდნენ.



მითოლოგიური გამოსახულება ურარტული ლურსმული ნიწნებით.
ცილინდრული საბეჭდავის ანაბეჭდი.



ურარტელთა საბრძოლო ეტლები და მხედრობა.
მეფე, სარდურის მუხარადის კედური გამოსახულება.

ამრიგად, მ. ვ. ნიკოლსკის შრომების წყალობით, ურარტუ--ჩვენს სამშობლოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფო — მოექცა მსოფლიო ისტორიის ჩარჩოებში, და მის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ამეამად, საბჭოთა არქეოლოგებისა და აღმოსავლეთმცოდნეთა შრომებმა კიდევ უფრო გააფართოვეს მსოფლიო ისტორიის ჩარჩოები. დავიწყებას გადაურჩა ხვარაზმის (შუა აზიის), ფიანჯიქენტის (ახლანდელი ტაჯიკეთის სსრ) და აღმოსავლეთის სხვა ზალხების შესანიშნავი ცივილიზაციები.

მეფის ხელისუფალთა დაუდევრობის გამო უცხოელი არქეოლოგები ცდილობდნენ გაეზიდათ საზღვარგარეთ ამიერკავკასიის უძვირფასესი ძეგლები. მათ ამოტყუეს კლდიდან ძვირფასი ურარტული წარწერები, რომლებმაც ათასწლეულებს გაუძლეს. მ. ვ. ნი-

კოლსკის დიდი შრომა დასჭირდა, რათა ბოლო მოეღო უცხოელთა თავნებობისათვის და შეენარჩუნებინა ჩვენი სამშობლოსათვის ის. რაც მისი კანონიერი კუთვნილება იყო.

ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

ამიერკავკასიაში მოგზაურობის დროს მ. ვ. ნიკოლსკის ერთგული თანამგზავრი იყო ცნობილი რუსი არქეოლოგი ა. ა. ივანოვსკი. მან სამჯერ მოინახულა ამიერკავკასია და მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოაჩინა.

სევანის ტბის კლდიან ნაპირებზე ამოკვეთილია ლურსმული წარწერები, მათ შორის ზოგი მეტად ძნელად მისადგომ ადგილზეა. არქეოლოგმა შეძლო გადაეღო ამ წარწერების ზუსტი ანაბეჭდები — ესტამპები.

არარატის მთის ძირში, სოფელ თაშბურტუნის მახლობლად, მან აღმოაჩინა ძველი ქალაქის მიწით დაფარული ნაშთები. თურქეთის ერთ-ერთ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეში ა. ა. ივანოვსკიმ მიაგნო შესანიშნავ ბარელიეფს და კლდეში გამოკვეთილი ვიწრო სენაკების წყებას, — თავისებურ „სიმაგრეს სიმაგრეში“, — რომელიც მტრისაგან თავდაცვის საიმედო საშუალება იყო. ერევნის მახლობლად მას ბედმა გაუღიმა და იპოვა ახალი ურარტული ლურსმული წარწერა, რომელიც ამოიკითხა და აღწერა მ. ვ. ნიკოლსკიმ. ამ დაუღალავ არქეოლოგს უნდა ვუმაღლოდეთ აგრეთვე რიგ ურარტულ ციხე-სიმაგრეთა და ძველებური სამარხების აღმოჩენას, საიდანაც ამოიღეს უამრავი ბრინჯაოს ნაკეთობანი და თიხის ჭურჭელი. ისინი ამჟამად ამშვენებენ თბილისის, ერევნისა და ლენინგრადის მუზეუმებს.

განსაკუთრებით თავსატეხი გაუჩინა მეცნიერებს ურარტუს მეფის რუსა I-ის ცნობილმა წარწერამ. იგი ამოკვეთილია მაღალ კლდეზე, ისე რომ ტექსტი ტბისკენაა მიქცეული. ბევრჯერ სცადეს ახლოს მისვლა და პირების გადაღება, მაგრამ ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა.

ა. ა. ივანოვსკიმ საგულდაგულოდ გამოიკვლია კლდე და ის იყო გადაწყვიტა ხარაჩოების აგება, რომ იძულებული გახდა უარეყო ეს

აზრი: ახლომახლო არსად იყო ხის მასალა, ხოლო მისი მოზიდვა ათობით კილომეტრიდან, იმ დროს მეტად რთული საქმე იყო.

განუხორციელებელი აღმოჩნდა მეორე იდეაც — აღემართათ კლდის მახლობლად ქვის დიდი გორაკი და ასე მიეღწიათ სასურველ წარწერამდე. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად საჭირო იყო დიდი დრო, ძალა და სახსრები.

ბოლოს, მეტად ორიგინალური გამოსავალი მონახეს. ურემში ორი კამეჩი შეაბეს და წყალში შერეკეს. „ჩვენი მიზანი ის იყო, — წერს ა. ა. ივანოვსკი თავისი ექსპედიციის ანგარიშში, — რომ კამეჩებს შემოევლოთ უზარმაზარი ლოდებისათვის, რომლებიც ნაპირზე ეყარა და შეუძლებელს ხდიდა ურმით გავლას, რათა მიეღწიათ კლდემდე, სადაც ამოკვეთილი იყო წარწერები. მრავალი ამბო ცდის შემდეგ (ძალიან გაგვიძნელდა კამეჩები წარწერებისკენ გაგვერეკა) როგორც იქნა, მივალწიეთ მიზანს და ურემი აღმოჩნდა წარწერებიანი კლდის ძირში. ურემზე დავდგით მაგიდა, მაგიდაზე — ტაბურეტი, ტაბურეტზე — სკამი, სკამზე კიდევ ერთი პატარა ტაბურეტი. ყველაფერი ეს, როგორც იქნა, შევკარით იმ ღვედებით და ბაწრებით, რაც ხელთ გვქონდა, და წუთში უკვე წარწერის პირისპირ ვიდექი“.

ამ არამყარ ნაგებობაზე მდგარი მეცნიერი დაღამებამდე წმენდა და რეცხდა დროყამისა და მტვრისაგან დაზიანებულ ლურსმულ ნიშნებს. უამისოდ შეუძლებელი იყო ტექსტის ზუსტი ანაბეჭდების აღება.


მთელი მეორე დღე დასჭირდა ტილოზე წარწერების გადაღებას სპეციალური ჯაგრისის, ლილვაკისა და ტიპოგრაფიული საღებავის საშუალებით. ყოველივე ეს მეტად ძნელი და საჩახირო სამუშაოა.



ურარტული საბეჭდავი (ზეპოთ) მისი ცილინდრული ნაწილის ანაბეჭდი (ცენტრში) და ქვედა ნაწილის ანაბეჭდი (ქვემოთ).

„ასე იყო თუ ისე, — აღნიშნავს ა. ა. ივანოვსკი, — საქმე ნელ-ნელა ჰაინც წინ მიიწევდა. საღამოს ექვსი საათისათვის ესტამპაჟი ბითქმის მთავრდებოდა. მაგრამ, საუბედუროდ, ამ დროს დაბერა საკმაოდ ძლიერმა ქარმა, ტილო ააფრიალა, მოსცილდა კლდეს. რაც ძალა და ღონე მქონდა ვჩქარობდი სამუშაოს დამთავრებას. მაგრამ უცაბედად ქარმა საშინლად დაღებრა და ვიდრე რამეს მოვისახრებდი, კლდიდან მოგლიჯა ჩემს მიერ გადაღებული სურათი და გაიტაცა. სრულიად გადამავიწყდა, რომ არამყარ ნიადაგზე ვიდექი და დავაპირე დამეჭირა ტილო. მაგრამ დავკარგე წონასწორობა და სკამიან ტაბურეტიანად წყალში გავადინე ზღართანი. ამ დროს ჩემს მიერ გადაღებული სურათი გოგჩის (სევეანის) ტბის მუქლურჯ ტალღებზე დასცურავდა, ქარს ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ მიჰქონდა და მალე სრულიად მოეფარა თვალს. ასეთი სამწუხარო შედეგით დასრულდა იმ დღეს ჩვენი მუშაობა“.

მაგრამ წარუმატებლობამ გული ვერ გაუტეხა ა. ა. ივანოვსკის. მეორე დღეს იგი კვლავ შეეცადა გადაეღო ამ ძნელმისადგომი წარწერის ესტამპი, და, როგორც იქნა, მიაღწია საწადელს.



ა. ა. ივანოვსკის მიერ გადაღებული ურარტუს ლურსმულო წარწერების ესტამპი.




ურარტუს მეფის სარდურის კაპარკის ზედა ნაწილი. ინახება
ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟში.

ვრცელი ტექსტი, რომელიც მ. ვ. ნიკოლსკიმ ამოიკითხა, მოგვი-
თხრობს ურარტელების მიერ დაპყრობილ 28 ქვეყანაზე, ძვ. წ.
VIII საუკუნის მეორე ნახევარში. ქალაქ თეიშებაინის მშენებლობა-
ზე. ამ წარწერების გამოქვეყნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფ-
ლიოს ასირიოლოგთა და ურარტოლოგთა შორის.

საკმაოდ წარმატებით დაიწყო ურარტულ სიძველეთა შესწავლა
თურქულ სასაზღვრო სიმაგრე ბაიაზეთში. გათხრები დიდ იმედებს
იძლეოდა, მაგრამ თურქეთის ხელისუფალთ კჳუაში არ დაუჯდათ
რუსი არქეოლოგის საქმიანობა. მას ყველა მეცნიერული ჩანაწერი
ჩამოართვეს და აუკრძალეს შემდეგში გათხრების წარმოება.

თურქებმა მუშაობის შესაძლებლობა მოუსპეს არქეოლოგს და
სამშობლოში დაბრუნებაც აუკრძალეს. „გენერალ-გუბერნატორის
ბრძანება ზუსტად შესრულდა, — არცთუ ირონიის გარეშე იგონებს
მეცნიერი. — აღაშქერათისკენ (თურქული სოფელი) მიმავალ გზაზე
და რუსეთის საზღვარზე ცხენოსანთა თითო რაზმი ჩააყენეს. ხოლო
ბინას, სადაც ვცხოვრობდი, იცავდნენ „ზაპტიები“ (ყანდარები),
რომლებიც ფხიზლად მადევნებდნენ თვალყურს და სადაც არ უნდა
წავსულიყავი, თან დამყვებოდნენ“.

ა. ა. ივანოვსკიმ გააცურა თავისი ფხიზელი დარაჯები და ირანის გავლით რუსეთში დაბრუნდა... იგი ფარულად გადავიდა თურქეთ-ირანის საზღვარზე და აღმოჩნდა იქ, სადაც თურქ ხელისუფალთ ხელი არ მიუწვდებოდათ. მძიმე და არახელსაყრელ პირობებში მუშაობდა ნიჭიერი რუსი არქეოლოგი. ფინანსური სიციწროვის გამო, ხშირად თანამშემწეებიც არ ჰყავდა, რაც ესოდენ აუცილებელი იყო მისთვის. ბევრი ადგილი, რომელსაც იგი სწავლობდა და გათხრებს ეწეოდა, დაუსახლებელი იყო. ვერსად ნახავდით საცხოვრებელ სახლს, არ ჩანდა გზებიც. სოფელ ნადეჟდინოდან სევანის ტბის აღმოსავლეთ ნაპირამდე გზას რომ აგვიწერს, ა. ა. ივანოვსკი იგონებს: „მთელი ეს ნაწილი, თვით ჩრდილოეთ ნაპირამდე, სრულიად უკაცრიელია, და ძნელია წარმოდგინოთ უფრო ველური, უფრო უდაბნო და უფრო გაუვალი ადგილი, ვიდრე ესაა... არაა არც გზები, არც ბილიკები და ამიტომ ხშირად ისეთ ადგილებში აღმოვ-



ურარტუს მეფის სარდურის ფარი. კელური გამოსახულება.

ჩნდებოდით, საიდანაც თავის დაღწევას რამდენიმე საათი სჭირდებოდა“.

ა. ა. ივანოვსკის თანმხლები მხატვარი სასტიკი ციებ-ციხელებს მსხვერპლი გახდა. შემდეგ მძიმე დაავადებამ ლოგინზე მიაჯაჭვა თვით არქეოლოგიც. უბედურება დაავიროგვინა სტამბაში გაჩენილმა ხანძარმა, სადაც იბეჭდებოდა ამ ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიში. ცეცხლმა გაანადგურა მეცნიერის ხელნაწერთა დიდი ნაწილი... საჭირო გახდა მათი ხელახლა შედგენა. ამ საქმეს მრავალი თვე დასჭირდა.

ა. ა. ივანოვსკის კაპიტალური მონოგრაფია „ამიერკავკასიაში“ მხოლოდ 1911 წელს გამოვიდა. ამ წიგნში დაბეჭდილია მის მიერ გათხრილი ციხე-სიმაგრეების, შენობების, ყორღანების, საფლავების ათობით გეგმა და ფოტოსურათი. ეს ნაშრომი წარმოადგენს მამაცი არქეოლოგის მრავალწლიანი მოღვაწეობის ამომწურავ ანგარიშს. წიგნში მოთავსებულია მის მიერ ნაპოვნი ნივთების — ბრინჯაოს მახვილების, ხანჯლების, „შუბების, სამაჯურების, ბეჭდების, ქანდაკებების, კერამიკული ვაზების, დოქების, თასების, იასპის და სხვა ქვების ნაკეთობათა სურათები. იგი გახდა მეტად ძვირფასი დამხმარე სახელმძღვანელო ურარტუს ისტორიის ყველა შემსწავლელისათვის.

ნაშუიანი თაფლის კვირი და ხორსაბაღული ცხანები

ამ სათაურს რომ წაიკითხავს, ზოგიერთ მკითხველს ალბათ გაახსენდება ანდაზა: „ერთი ალთას, მეორე ბალახს“. ჩვეულებრივ ასე ამბობენ ხოლმე, როცა სურთ ხაზი გაუსვან, რომ ზოგ ნივთებს, აზრებს, საგნებს არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან. მართლაც, თითქოსდა რა საერთო უნდა იყოს ნაყშიან თაფლის კვერსა — რუსულ ხალხურ ყელის ჩასაკოკლოზინებელსა — და ხორსაბაღში გათხრების დროს ნაპოვნი ასურულ ბარელიეფებს შორის?

ვთხოვოთ ვლადიმერ ვასილის ძე სტასოვს — ხელოვნების დიდ მკვლევარს — პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. მის სიტყვას ჩვენთვის განსაკუთრებული წონა ექნება. შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე, ამავე დროს, გატაცებული იყო არქეოლოგიით და კარგად იცნობდა აღმოსავლურ სიძველეებს.

აი, რას წერდა ვ. ვ. სტასოვი 1877 წელს ჟურნალ „რუსკაია სტარინაში“:

„რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენგანს თავის სიცოცხლეში ათასჯერ უნახავს თავლის პურის ცხენი, რომელიც ეგზომ გავრცელებულია უბრალო ხალხში. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ეს სასაცილო ნაყშიანი კვერი უმნიშვნელო რამ, ღარიბი გაუთლელი ხაბაზის ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, (მათ თავადაც არ იცოდნენ რას ძერწავდნენ ცომისაგან), არამედ ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონეა, ვინაიდან იგი ძველრუსული წარმართული მითოლოგიის ერთ-ერთი გადარჩენილი ნიმუშია“.

შემდეგ ვ. ვ. სტასოვი აგვიწერს თავლის პურის ცხენს, რომელიც მას „ყოველგვარი არჩევანის გარეშე უყიდია გლეხის ფარულში“ და აღნიშნავს:

„პირველი ნახვისთანავე თვალში მომხვდა მისი დეტალების მსგავსება უძველესი წარსულის ძეგლებთან, სახელდობრ, ასურულ ბარელიეფებზე გამოსახული ცხენების ორნამენტებთან. შეხედეთ ჩვენი ცხენის მკერდს, იგი მთლიანად დაფარულია ზიგზაგური ორნამენტებით, რომლებიც ერთი შეხედვით გაურკვეველია, ვერ გვადებთ, რას ნიშნავს ეს ხაზები. მაგრამ ასურული ცხენების გამოსახულებანი, მაგალითად ხორსაბადის სასახლის კედელზე... შესაძლებლობას გვაძლევენ გავერკვეთ ამ ორნამენტების მნიშვნელობაში. აქ გამოსახული ცხენების მკერდი დაფარულია ზუსტად ასეთივე ორნამენტებითა და ზიგზაგებით. და ეს ზიგზაგები სხვა არა არის რა, თუ არა ფოჩების წყება, რომლებიც მკვეთრად გამოირჩევა ზოგიერთ ბარელიეფებზე“.

ვ. ვ. სტასოვის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გვხვდება შესანიშნავი შრომები, რომლებიც ეძღვნება ზეპირ ხალხურ შემოქმედებას, ორნამენტებსა და სახეებს, ხის ჩუქურთმებს, ქარგვას, მხატვრულ ხელოსნობას. ხალხური ხელოვნების ყოველმხრივი ცოდნა არაერთხელ დაეხმარა მას აღმოეჩინა შორეული წარსული ისეთ ყოველდღიურ მოვლენებში, რომლებიც სულ მუდამ თვალწინ გვებლანდება და რომლებსაც ყველა გულგრილად უვლის ზვერდს, არაფერს უფიქრდება. მოაზროვნე მხატვრის ღრმად დაკვირვებული თვალი ამჩნევდა შორეულ კულტურებს შორის კავ-

შირსა და ურთიერთზემოქმედებას. მისი გამოკვლევა ნაყშიანი თაფლის პურზე მხოლოდ ერთი მაგალითია მრავალთა შორის.

ასეთივე გაბედულ და მოულოდნელ შეპირისპირებას ხშირად ვხვდებით მის შრომებში, რომლებიც მიძღვნილია რუსული ხალხური შემოქმედებისა და ძველი სამყაროს ხელოვნებისადმი.

დღემდე უცნობია ვ. ვ. სტასოვის მრავალი ნაშრომი ძველ აღმოსავლეთზე, მაშინ როცა ბევრი რამ მათში გამოსადეგი და საინტერესოა დღესაც.

ზოგიერთმა არ იცის, რომ სტასოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1872 წელს ქერჩის მახლობლად აღმოჩენილ ძველი ფრესკებიანი კატაკომბების შესწავლაში. მისმა მონოგრაფიამ ორიათასი წლის წინანდელ ფრესკებზე მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო.

სტასოვი ამ ნაშრომისათვის არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

მან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება უძველეს ურარტუს. მის მიერ ჯერ კიდევ 1871 წ. დაწერილი შრომა „შენიშვნები ვანის ტბის მახლობლად ნაპოვნი ორი ძველბრინჯიერი ქანდაკების შესახებ“, ჩვეულებრივი საყურნალო „შენიშვნები“ კი არ არის, არამედ დიდი მეცნიერული გამოკვლევაა.

ვ. ვ. სტასოვი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავისი დროის ყველა ცნობილ არქეოლოგთან, რომლებიც მესოპოტამიასა და ეგვიპტეში აწარმოებდნენ გათხრებს. იგი მხურვალედ ეხმაურებოდა ყოველ დიდ აღმოჩენას, ყურადღებით ადევნებდა თვალს ძველ აღმოსავლეთზე გამოცემულ მეცნიერულ ლიტერატურას, არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. თავის სტატიებში მხარს უჭერდა პროგრესულად განწყობილ მეცნიერებს და სასტიკად კიცხავდა რეაქციონერებს მეცნიერებაში, რომლებიც ეჭიდებოდნენ ძველ, დახავსებულ წარმოდგენებს.

სტასოვი ასაბუთებდა უკლებლივ ყველა ხალხის ძველი ისტორიის შესწავლის დიდ მნიშვნელობას და წერდა: „კაცობრიობის ბედი ყველგან თანაბრად ღირსია ყურადღებისა“. მან ბევრი გააყეთა არქეოლოგიურ სამუშაოთა მოცულობის გასაფართოებლად რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში. გათხრები, — წერდა იგი, —

„აღადგენს იმას, რაზედაც დუმს ისტორია, რაც გამოტოვებულია მის ფურცლებზე, ან რაც გაქრა, გადიშალა, დაიკარგა, რამაც ფერი იცვალა საუკუნეთა მძლავრი სუნთქვის ზეგავლენით“.

„ლურსმული სივალი“

ახლო აღმოსავლეთისა და ძველი სამყაროს ლურსმული დამწერლობისა და კულტურის შემსწავლელ მეცნიერთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ო. ი. სენკოვსკის პიროვნება, რომელიც რუსული ეურნალისტიკის ისტორიაში ცნობილია „ბარონ ბრამბელსის“ ფსევდონიმით. რეაქციონერი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე მრავალი აღმოსავლური ენის კარგი მცოდნე იყო. 22 წლის სენკოვსკის პეტერბურგის უნივერსიტეტის არაბული და თურქული ფილოლოგიის პროფესორის. თანამდებობა ეკავა.

მას მოვლილი ჰქონდა ეგვიპტე, სირია და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები, სადაც ორი წელი დაჰყო. სენკოვსკი მოგზაურობდა არა როგორც მდიდარი ტურისტი, რომელიც აღმოსავლური ეგზოტიკის შორიდან მზერით ტკბება, არამედ როგორც ნამდვილი მეცნიერი. იგი ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ახალ მასალებს. სენკოვსკი იცვამდა არაბულ ეროვნულ ტანსაცმელს, რომ არაფრით გამორჩეულიყო არაბებისაგან. ცხოვრობდა მათთან ერთად. არ ერიდებოდა არც მომთაბარე ბედუინების კარვებს და არც ფელაჰების ღარიბ ქოხებს.

გროტეფენდის, ბილრნუფის, ლასენის და სხვათა აღმოჩენებს სენკოვსკი გამოეხმაურა დიდი გამოკვლევით „დარიოს პისტასპის ძის მანიფესტი და სპარსეთის ძველ მეფეთა ქვის დამწერლობის სხვა ძეგლები“. 1848 წელს გამოქვეყნებულ ამ ნაშრომში ნაჩვენებია პირველი სისტემის დამწერლობის ამოკითხვის ისტორია. ნაჩვენებია აგრეთვე პერსპექტივები, რომლებიც ამჟამად იშლება საისტორიო მეცნიერებათა წინაშე.

თავის ჭეშმარიტად უსაზღვრო ფილოლოგიურ ცოდნაზე დაყრდნობით სენკოვსკი ანალიზს უკეთებს წარწერის ყოველ ასოს და ყოველ სიტყვას. იგი იშველიებს მასალებს სხვადასხვა ენებზე და მთელ რიგ მახვილგონივრულ ვარაუდებს გამოთქვამს.

სენკოვსკი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბისუტუ-
ნის წარწერებს მეცნიერებისათვის და კომენტარს უყეობს ძველი
ისტორიის ამ ძვირფას დოკუმენტს. ამასთან, იგი ჯეროვან ყურად-
ღებას უთმობს „ოსტინდოელ მაიორს რაულინსონს“, „რომელიც
მოწყენილობამ გადაისროლა სპარსეთის ლუქსმულსიტყვაობაში“
(ასე უწოდებს ხატოვნად ლურსმულ დამწერლობას სენკოვსკი) და
რომელმაც „ამ საიდუმლო დამწერლობისადმი კემმარიტი დი-
პლომატიური ამოკითხველის დაუოკებელი მისწრაფება იგრძნო“.

ამ საინტერესო გამოკვლევას აქვს ქვესათაური: „პირველი სტა-
ტია“. მეორე სტატიაში მას განზრახული ჰქონდა ახალი ენის ორთო-
გრაფიის ახსნა, „ურომლისოდაც არასოდეს არ იქნება ტექსტის კი-
თხვა უტყუარი და წაკითხულის აზრის გაგების სრული რწმენა“. სამ-
წუხაროდ, ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

ბოტას, ლეიარდისა და სხვა არქეოლოგების აღმოჩენებს სენ-
კოვსკიმ უძღვნა დიდი მეცნიერული ნაშრომი — „ნინევიის ძეგლე-
ბი“. იგი იწყება აღფრთოვანებული სიტყვებით: „აზიის შუაგულში
აღმოჩენილ იქნა ახალი პომპეი — და მერე როგორი პომპეი!.. სამყა-
როს ნათელი და დიდებული გარიჟრაჟის უზარმაზარი ძეგლი...“

ჯეროვნად აფასებს რა გათხრების მნიშვნელობას ნინევიასში,
რომელიც იყო „მეზობელი და მეტოქე ბაბილონისა“, სენკოვსკი
ბევრ რამეში ეყამათება არქეოლოგებს. ედავება მათ ახლადაღმოჩე-
ნილი ხალხების ისტორიის საკითხებში, ასურეთის ქალაქების სი-
დიდებზე, მათი წარმოშობის ეპოქაზე, ძველ სამშენებლო ტექნიკაზე.

ო. ი. სენკოვსკი წერდა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არა-
მედ მასობრივი მკითხველისათვის. ფართო საზოგადოებრიობისა-
თვის იყო განკუთვნილი, მაგალითად, მისი სტატია „ლუქსმული სი-
გელი“. იგი დაიბეჭდა იმ დროის ყველაზე პოპულარულ გამოცემა-
ში — „ინციკლოპედიურ ლექსიკონში“.

პირველი ასურული ლექსიკონი

ასირიოლოგიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ცნო-
ბილმა რუსმა მეცნიერმა ვ. ს. გოლენიშიჩევმა. 1888 წელს მან გამოს-
ცა მსოფლიოში პირველი ასურული ენის გრაფიკული ლექსიკონი.
ამ შესანიშნავ წიგნში გულმოდგინე ხელით გამოყვანილია მრავალი

ათასი ლურსმული ნიშანი — დაწყებული ყველაზე მარტივიდან დამთავრებული ყველაზე უფრო რთულით, აქ არის მოცემული როგორც ცალკე ნიშნები, ასევე ნიშანთა დიდი ჯგუფები. ზოგიერთ ნიშანს რუსულ ენაზე შეესატყვისება ცალკეული მარცვლები, ზოგს — სიტყვები და მთელი წინადადებებიც კი.

ჩვენ ვიცით, რომ ასურულ-ბაბილონურ ლურსმულ დამწერლობაში ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვაგვარად შეიძლება იკითხებოდეს. ბერს — ათზე მეტი ბგერითი მნიშვნელობა აქვს. ყველა ეს ნიშანი მოყვანილია ვ. ს. გოლენიშჩევის ლექსიკონში. უფრო მეტიც, მან მოგვცა იმ დროისათვის არა მარტო ყველაზე უფრო სრული თარგმანი ასურულ-ბაბილონური სიტყვებისა (მთელი თავიანთი ელფერით), არამედ უჩვენა წყაროებიც. ყოველ სიტყვასთან (ფრჩხილებში) ნაჩვენებია სად ან რომელ ლურსმულ დოკუმენტებში გვხვდება ეს სიტყვა.

რუსეთის არც ერთ სტამბას არ შეეძლო მაშინ ამ წიგნის დაბეჭდვა. ჯერ კიდევ არ არსებობდა ლურსმული შრიფტები — იგი გაჩნდა უფრო გვიან მ. ვ. ნიკოლსკის წყალობით. რა უნდა ექნათ?

გოლენიშჩევი იძულებული გახდა, ხელით გადაეწერა მთელი წიგნი და ლითოგრაფიული წესით გამოეცა.

მსოფლიოში პირველ გამოცემას ავტორმა მორიდებით უწოდა „გრაფიკულად განლაგებული ასურული ლექსიკონის ცდა“. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასირიოლოგიის განვითარების ისტორიაში.

სამიოდე წლის შემდეგ ვ. ს. გოლენიშჩევმა გამოსცა მცირე აზიაში ნაპოვნი ეგრეთწოდებული „კაპადოკიური“ ფირფიტები¹. ეს ტექსტები მეტად ძნელი გასაგები აღმოჩნდა, რადგანაც დაწერილი იყო არა ლიტერატურულ ასურულ-ბაბილონურ (აქადურ) ენაზე, არამედ აქადური ენის ძველასურულ დიალექტზე. ვ. ს. გოლენიშჩევმა ასირიოლოგთა შორის პირველმა შეისწავლა მეცნიერებისათვის მანამდე

¹ სულ 24 წარწერა. 1968 წელს იგივე ფირფიტები, ლენინგრადსა და მოსკოვში დაეულ სხვა მრავალ „კაპადოკიურ“ ტექსტთან ერთად, ხელახლა გამოაქვეყნა თარგმანებითურთ ნ. იანკოვსკაიამ. Н. Б. Я н к о в с к а я, Клинописные тексты из Кюль-тепе в собраниях ССР, Москва, 1968, რედ. შენიშვნა.

უცნობი ეს დიალექტი, რომელსაც ახლაც დიდი ინტერესით იკვლევ-
ვენ.

იგი ყურადღებას აქცევდა ურარტოლოგიასაც. ასე, მაგალი-
თად, ჯერ კიდევ 1901 წელს ვ. ს. გოლენიშჩევმა გამოსცა ურარტუს
მეფის რუსა II-ის წარწერა, რომელიც ზვარტნოცის ტაძრის გა-
თხრების დროს იპოვეს. ამ წარწერაში მოთხრობილია მინდვრებზე,
ბაღებსა და ვენახებზე, სამშენებლო სამუშაოებსა და არხის გაყვა-
ნაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს არხი, რომელიც გვირაბის
სახითაა გაკრილი ორი ათას ხუთასი წლის წინათ, კარგადაა შენახუ-
ლი და მას დღესაც იყენებენ. იგი გადის ძველი ურარტუს ციხე-სი-
მაგრის — თეიშებაინის მახლობლად, რომლის გათხრებსაც აწარ-
მოებს ჩვენი საბჭოთა მეცნიერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
ბ. ბ. პიოტროვსკი.

თავის მრავალრიცხოვან მოგზაურობათა და არქეოლოგიური ექს-
პედიციების დროს ვ. ს. გოლენიშჩევმა ბევრი შესანიშნავი ასურულ-
ზაბილონური დოკუმენტი და ხელოვნების ძეგლი შეიძინა, რომლე-
ბიც საფუძვლად დაედო მოსკოვის პლჰინის სახელობის სახვითი
ხელოვნების მუზეუმის ძველი აღმოსავლეთის განყოფილების შექმ-
ნას.

აპადემიკოსი ბ. ა. ტურაევი

მ. ვ. ნიკოლსკიდან მოკიდებული რუსულმა ასირიოლოგიამ ფარ-
თო გაქანება ჰპოვა და არაჩვეულებრივად სწრაფად ვითარდებოდა.
მოკლე დროში მან წამოსწია ნიჭიერ მეცნიერთა პლეადა, რომლებ-
მაც მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი ასირიოლოგიას.

წარუშლელი კვალი დატოვა ძველი აღმოსავლეთის შესახებ
რუსულ და მსოფლიო მეცნიერებაში აკადემიკოსმა ბორის ალექ-
სანდრეს ძე ტურაევმა. მან მხოლოდ 52 წელი იცოცხლა, მაგრამ
ხუთასამდე მეცნიერული შრომა გამოაქვეყნა. საოცარია, როგორ
შეასრულა ერთმა ადამიანმა იმდენი სამუშაო, რაც მეცნიერთა
მთელ კოლექტივსაც კი გაუჭირდებოდა.

ბ. ა. ტურაევის ძირითადი ნაშრომი, რომელსაც მან მთელი თა-
ვისი ნიჭი და ენერჯია შეაღია, იყო ორტომიანი კლასიკური კურსი
„ძველი აღმოსავლეთის ისტორია“.

კლასიკურ ნაშრომებს ისეთ წიგნებს ვუწოდებთ, რომლებიც სანიმუშონი გახდნენ. ასეთია ბ. ა. ტურაევის ეს ნაშრომიც. იგი მოიცავს კაცობრიობის ისტორიის ხუთ ათასწლეულს.

როცა დიდი მხატვარი სურათის შექმნას ჩაიფიქრებს, იგი ერთ-ბაშად როდი შეუდგება სამუშაოს. ზოგჯერ მთელი წლები სჭირდება მასალების შერჩევასა და შესწავლას, მონახაზების, ეტიუდების, ესკიზების შედგენას. ასე ამზადებდა თავის „ძველი აღმოსავლეთის ისტორიას“ ბ. ა. ტურაევიც.

იგი საგულდაგულოდ სწავლობდა და გამოსცემდა ძველადმოსავლურ ძეგლებს, რომლებიც ინახებოდა რუსეთისა და უცხოეთის მუზეუმებში; იკვლევდა და თარგმნიდა ძველ ტექსტებს, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლევს და ჩვენამდე მოაღწიეს; სრულყოფდა თავის ცოდნას ასურულ-ბაბილონურ ლურსმულ დამწერლობასა და ეგვიპტური იეროგლიფების ამოკითხვაში; სწავლობდა ახალ-ახალ ენებსა და დამწერლობის სისტემებს.

იგი წერდა და აქვეყნებდა მონოგრაფიებს, იცავდა დისერტაციებს, კითხულობდა ლექციებს, ანალიზს უკეთებდა დასავლეთ ევროპელი მეცნიერების შრომებს. წლობით აგროვებდა ახალ მასალებს და მხოლოდ ამის შემდეგ, ღრმა ცოდნით შეიარაღებულმა, ჰოჰკიდა ხელი თავისი ყოვლისმომცველი შრომის წერას. მან აღმართა-თავისი გრანდიოზულობით ჰემმარიტად განსაცვიფრებელი შრომა — „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ კურსი. და აი, უკვე არმოც წელზე მეტია, რაც ეს შრომა ნიადაგსახმარი წიგნია ყველა მათთვის, ვინც სწავლობს ძველ ისტორიას.

როგორც დიდი მხატვარი, იგი დაუღალავად ხვეწდა, აუმჯობესებდა და სრულყოფდა თავის ნაწარმოებს მისი გამოქვეყნების შემდეგაც. „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ ყოველი ახალი გამოცემა შევსებული და უფრო სრულყოფილი იყო წინა გამოცემასთან შედარებით.

ამ წიგნის შესავალში ბ. ა. ტურაევი აღნიშნავს, რომ „გეოგრაფიული რაიონი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, გადაჭიმულია კავკასიონის ქედიდან და შუა აზიიდან სპარსეთის, ყურემდე, სამხრეთ არაბეთამდე, აფრიკის ტბების ქვეყნებამდე, ირანის და ინდოეთის ბჰეებიდან ჰერკულესის სვეტებამდე (გიბრალტარის სრუ-

ტემდე)“. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ცხოვრობდნენ ათობით ხალხები. ჰქონდათ ისტორია, კულტურა, დამწერლობა. ბ. ა. ტურაევი ცდილობდა, რაც შეიძლება სრულყოფილად გაეშუქებინა ძველი აღმოსავლეთის ყველა საზოგადოების ცხოვრება. მას მიაჩნდა, რომ ყოველმა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა კაცობრიობის ისტორიაში.

შეხედულებათა ასეთი ფართო ჰორიზონტის მქონე რუსი ისტორიკოსი მკვეთრად განსხვავდებოდა დასავლეთევროპელ მეცნიერთაგან, რომლებიც ძველი აღმოსავლეთის ხალხებს „ისტორიულ“ და „არაისტორიულ“, „მაღალ“ და „დაბალ“ ხალხებად ყოფდნენ, აზვიადებდნენ ზოგიერთი ხალხის როლსა და დამსახურებას და უგულვებელყოფდნენ სხვათა ისტორიასა და კულტურას.

ცხადია, ბ. ა. ტურაევი შორს იდგა მარქსიზმისაგან, ისევე როგორც იმდროინდელი მრავალი სხვა მეცნიერი. მისი საერთო შეხედულებანი კაცობრიობის ისტორიის განვითარების მსვლელობაზე მიუღებელია ჩვენთვის, მაგრამ უამრავ ფაქტიურ მასალას, რომელიც მან შეაგროვა და დაამუშავა, დღემდე არ დაუქარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

თავისი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი ბ. ა. ტურაევი სიყვარულით უქერდა მხარს რუსული ისტორიული მეცნიერების განვითარებას, ახარებდა ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარების წარმატებას. იმ დროს, როდესაც მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად ჩაგრადა აღმოსავლეთის განაპირა მხარეების მოსახლეობას, არ აძლევდა მას ეროვნული კულტურის განვითარების საშუალებას, ბ. ა. ტურაევმა საჭაროდ აღიარა ამ ხალხების სახელოვანი ისტორიული წარსული. „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ ფურცლებზე გაბედულად განაცხადა, რომ „ჩვენი ქვეყნის განაპირა მხარეების დიადი წარსულის შესწავლა — ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა — როგორც ამ ხალხების, ისე მეცნიერების წინაშე“.

რამდენიმე ფინიკიური დოკუმენტის უბადრუკი ნაწყვეტების მიხედვით ბ. ა. ტურაევი 1903 წელს ამტკიცებდა, ფინიკიელებს მდრდარი ლიტერატურა ჰქონდათ. იმ დროს აღმოსავლეთმცოდნეები უნდობლად ეკიდებოდნენ და დასცინოდნენ კიდევ ასეთ მტკიცებას. მაგრამ გავიდა 26 წელი, და სირიულ სოფელ რას-შამრაში გათ-



კარმირ-ბლურის გორაკის საერთო ხედი.

ხარეს ტაძრის არქივი, სადაც აღმოჩნდა ძველი ფინიკიური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

აი, შესანიშნავი მაგალითი იშვიათი უნარისა აღადგინოს მთლიანად მწყობრი სურათი ერთი, შემთხვევით მოღწეული, დეტალის მიხედვით!

ბ. ა. ტურაევის დროს დასავლეთევროპული ისტორიული მეცნიერება მოწამლული იყო პანბაბილონიზმის მანკიერი იდეებით.

პანბაბილონიზმმა ძველი ბაბილონი ყველა კულტურულ ფასეულობათა ერთადერთ შემქმნელად გამოაცხადეს, ხოლო დანარჩენი ხალხები — მის მოწაფეებად და წამბაძველებად. მაგრამ ბაბილონიეთმა თავად კი არ შექმნა კულტურა, არამედ მზამზარეულად გადმოიღო შუემერებისაგანო, — ამტკიცებდნენ ისინი.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ პანბაბილონიზმისაგან ურჯულ კულ რასისტულ თეორიამდე „მაღალი“ და „დაბალი“ რასების შესახებ — მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ბ. ა. ტურაევმა გადაჭრით გაილაშქრა მოღუერი პანბაბილონიური აბღაუბდის წინააღმდეგ და უწყალოდ გაამათრახა მისი მქადაგებლები — დიდი გერმანელი მეცნიერები.

ბოლოს, ბ. ა. ტურაევმა შემოუწინა ჩვენს ქვეყანას ვ. ს. გოლე-

წიშჩევის პირველხარისხოვანი კოლექცია, რომელიც კინალამ საზღვარგარეთის ერთ-ერთ მუზეუმს მიჰყიდეს. მან დიდი შრომა და ენერგია მოახმარა ამ კოლექციის მასალების შესწავლასა და გამოქვეყნებას.

დაუნარელი ვაზიანის ფურცელი

დიდად განვითარდა სამამულო ასირიოლოგია ჩვენს დროში. საბჭოთა მეცნიერები განსაკუთრებით გულმოდგინედ და ბევრს მუშაობენ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალური ისტორიის, უბრალო ადამიანების ისტორიის შესასწავლად, იმ ადამიანებისა, რომლებიც საკუთარი ხელებით ქმნიან მსოფლიოს მთელ სიმდიდრეს.

სახელმწიფო არ ზოგავს თანხებს გათხრების საწარმოებლად ამიერკავკასიაში. გათხრების მსვლელობას ინტერესით ადევნებს თვალყურს მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ბ. ბ. პიოტროვსკის ხელმძღვანელობით მრავალი არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო, რამაც კარგი შედეგები მოგვცა.

1939 წელს, როდესაც ბ. ბ. პიოტროვსკი პირველად შეუდგა კარმირ-ბლურის გორაკის გათხრას ერევნის მახლობლად, იგი მეტად დააღონა მცირე წარუმატებლობამ, რომელიც გათხრების პირველ დღესვე თავს დაატყდა. კოკისპირულმა წვიმამ აიძულა შეეწყვიტა მუშაობა.

მეორე დღეს ამაოდ დამაშვრალი არქეოლოგი გაეშურა გათხრების ადგილისაკენ.

ორგვლივ ყველაფერი წყლის კრიალა გუბურებს დაეთარა, საქმის დაუყოვნებლივ დაწყებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

დიდხანს იდგა ჩაფიქრებული მეცნიერი და ათვალიერებდა მიდამოს. მოუთმენლად ელოდა, როდის ჩაიხედავდა წითელი გორაკის სიღრმეში, (კარმირ-ბლურ სომხურად წითელ გორაკს ნიშნავს), როდის გადააცლიდა ზედა ფენებს და შეუდგებოდა თხრას,

ვიდრე ბარი არ მოხვედებოდა ძველი ურარტული ციხე-სიმაგრის სქელ აგურის კედლებს. დარწმუნებული იყო, რომ ამ ადგილას ოდესღაც აღმართული იყო ციხე-სიმაგრე — ამაზე მეტყველებდა არქეოლოგიური დაზვერვის მონაცემები. ეჩვენებოდა, თითქოს ხედავს ციხე-სიმაგრის სქელ კედლებს და დიდ ნაგებობებს.

მეცნიერი თვალთ ბურღავდა მიწას, და ზოგჯერ მირაჟი, ციხე-სიმაგრის მაცდური ლანდი, იმდენად აშკარად გამოისახებოდა, რომ პიოტროვსკი თითქმის ველარ არჩევდა, ყოველივე ამას სინამდვილეში ხედავდა, თუ ზმანება იყო.

არა, ეს ზმანება არ იყო. ბორცვის ზედაპირზე თანაბარ სწორკუთხედად გამოსახულ იყო ციხე-სიმაგრის გეგმა. იგი დახაზა წვიმის წყალმა, რომელმაც სქელი სწორი ხაზები შემოავლო კედლებს.

არაჩვეულებრივი აღმოჩენით აღელვებულმა მეცნიერმა სასწრაფოდ ჩაიხაზა ქალაქის ფურცელზე მიწისქვეშა ციხე-სიმაგრის გეგმა, რომელიც წვიმამ შთააგონა. გონებაში უკვე მწიფდებოდა უცნაური შემთხვევის ლოგიკური ახსნა.

წვიმის წყალი ბევრად უფრო სწრაფად გადიოდა მიწაში, რომლითაც ამოვსებული იყო ციხე-სიმაგრის შიგნითა ნაწილი, ვიდრე სქელ აგურის კედლებში. ამიტომ იქ, სადაც აგურის წყობა იყო, სინოტივე შეიმჩნეოდა, გარშემო კი ნიადაგი თითქმის გამშრალი იყო.

ამრიგად, ჯერ კიდევ გათხრის დაწყებამდე, მაშინ როცა არ იყო ამოყრილი არც ერთი კუბური მეტრი მიწა, ბ. ბ. პიოტროვსკის უკვე ხელთ ჰქონდა ძველი ციტადელის საერთო გეგმა, რამაც ძალიან გააადვილა და დააჩქარა შემდგომი გათხრები. იგი უკვე ბრმად კი არ თხრიდა, სრულიად დარწმუნებული იყო, რადგან ხელთ ჰქონდა 16 000 კვადრატული მეტრის ფართობის უზარმაზარი ნაგებობის მიახლოებითი გეგმარი.

როგორც შემდეგ მეცნიერებმა დაადგინეს, ციხე-სიმაგრის კედლების მშენებლობაზე (მისი სიმაღლე ზოგან 10 მეტრს აღწევს) დახარჯულია დაახლოებით ორი მილიონი აგური. მაგრამ ეს იყო არა ჩვეულებრივი აგური, რომლითაც ახლა ვაშენებთ სახლებს, არამედ მთლიანი ლოდები. ამ ლოდების სიგრძე ნახევარ მეტრს აღწევდა. კარმირ-ბლურის აღმოჩენებისთვის ბ. ბ. პიოტროვსკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო სახელი მიენიჭა.

ეს გათხრები დღესაც არ დამთავრებულა. ყოველ წელს მეცნიერება ახალ-ახალი აღმოჩენებით მდიდრდება.

აქ ჩვენ გიამბობთ მხოლოდ ერთ ეპიზოდზე — ძველი ციხე-სიმაგრის თეიშებიანის უკანასკნელ დღეებზე, რომლის გათხრები აწარმოეს ბ. ბ. პოტროვსკიმ და სხვა საბჭოთა არქეოლოგებმა.

მემატიანემ არ შემოგვინახა იმ ტრაგიკული ამბების აღწერა, რომლებიც მოხდა ამ ადგილებში ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში — ურარტუს მნიშვნელოვანი ცენტრის ალყასა და განადგურებაზე. ყოველივე ეს გვაუწყა არქეოლოგების მიერ ნაპოვნმა ნივთებმა. რა ძნელია გაიგო მათი ენა და რამდენი რამის ცოდნა საჭირო ამისათვის!

ციხე-სიმაგრის ფსადის გათხრისას, ოთხი მეტრის სისქის ჩრდილო-დასავლეთ კართან, ჩამონგრეულ მიწაში, არქეოლოგებმა იპოვეს ბრინჯაოს ისრის პირები. მეცნიერებმა ნახვისთანავე განსაზღვრეს, რომ ეს სკვითური ისრის პირებია. ამ დროისათვის ურარ-



ღვინის სარდაფი.

ტელები უკვე რკინის ისრის პირებს იყენებდნენ. ფორმაც სხვანაირი ჰქონდათ მათ. გადალუნული და გადატეხილი ისრის პირები მოწმობდა, რომ ქვის წყობაზე იყო მოხვედრილი. ერთი ისრისპირი თიხის საგოზავში აღმოჩნდა.

მტერი ქალაქში მთავარი, მკვიდრად ნაგები კარებიდან კი არ შემოჭრილა, არამედ გვერდის კარიდან. ამას ამტკიცებს შემდეგი: გათხრის დროს მთავარ ალაყაფთან მტრის არც ერთი ისრის პირი არ აღმოჩნდა. სკვითებმა ციხე-სიმაგრის აღებამდე, წინასწარ დაიპყრეს მახლობლად მდებარე ქალაქი.

ციხე-სიმაგრეში აღმოჩნდა ქუნჯუთის ზეთსახდელის დიდი სახელოსნოს ნაშთები, ბრინჯაოს ზოდები, ვეებერთელა ღვინის სარდაფები, მარცვლეულის საწყობები. ეს საწყობები ათასობით ტონა ხორბალს, ქერს, ფეტვსა და სხვა მრავალ საწოვავს იტევდა. ამით სავსებით დადასტურდა ვარაუდი ამ ქალაქისა და ციტადელის ხასიათზე. აქ თავს იყრიდა აუარებელი ხარკი, რასაც ნაწილობრივ გადაამუშავებდნენ და ურარტუს დედაქალაქში გზავნიდნენ.

ბ. ბ. პიოტროვსკიმ დაადგინა, რომ დაღუპვის წინ ქალაქს დაცემის პერიოდი ჰქონდა. ხარკი არარეგულარულად მოდიოდა და ციხე-სიმაგრის საკუქნაოები ხშირად ცარიელი იყო. ცარიელი იდგა აგრეთვე უზარმაზარი ღვინის ქვევრები, რომლებიც არქეოლოგთა გამოანგარიშებით, 250 ათას ლიტრ ღვინოს იტევდა.

მეცნიერი აღწერს ქალაქის დაღუპვის დრამატულ სურათს. ალყა დიდხანს არ გაგრძელებულა, ეს ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ალყაშემორტყმულთა საცხოვრებელ ბინებში დიდძალი საწოვავი აღმოჩნდა. შიმშილმა როდი აიძულა ისინი დანებებულიყვნენ!

ავვისტოს ერთ ღამეს ციტადელზე მოულოდნელად გადამწყვეტი შეტევა მიიტანეს. სკვითებმა ცეცხლმოკიდებული ჩირაღდნები დაუშინეს ციხე-სიმაგრეს და შეიჭრნენ შიგ, როცა ხანძარი მძვინვარებდა. იქცეოდა სახურავები და მცხოვრებლები მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ, ცარიელ-ტარიელნი გარბოდნენ ცეცხლ-მოკიდებული სახლებიდან, ვერ ასწრებდნენ ვერაფრის წაღებას.

ყველაფერი ცხადი გახდა, როცა საცხოვრებელ სახლებში ქალის ძვირფასი სამკაულები და იარაღი აღმოჩნდა.

ზოგიერთ ბინაში ნივთები იმავე სახით დახვდათ, როგორც

მტრის თავდასხმის დროს დატოვეს. ეს იმიტომ, რომ ჩამონგრეულ-
მა ავურებმა სქელი საფარველი შექმნეს. შიგ ვერ აღწევდა ვერც
წყალი და ვერც ჰაერი.

როგორ დაადგინეს არქეოლოგებმა, რომ ციხე-სიმაგრეზე იერი-
ში აგვისტოს თვეში, უფრო ზუსტად — აგვისტოს პირველ ნახევარ-
ში მიუტანიათ?

ეს დადგინდა ურარტელთა სურსათის მარაგის მიხედვით. პური
უკვე აღებულია, ხოლო „ყურძენი ჯერ არაა მწიფე და აქ ნაპოვნი
ყურძნის წიპწა ალბათ ქიშმიშისა ან შემთხვევით მოხვედრილი და-
უმწიფებელი მტევენისა იყო“ — წერს ბ. ბ. პიოტროვსკი. ეს სურათი
ამ ადგილებში ივლისის დასასრულისა და აგვისტოს დასაწყისისათ-
ვისაა დამახასიათებელი. გარდა ამისა, დანახშირებული ბალახის შემ-
თხვევით გადარჩენილ კონაში აღმოჩნდა ყვავილები, რომლებიც
სწორედ ამ დროს ჰყვავის. და, ბოლოს, ხანძრის დროს დაღუპული
ცხოველების კუჭში იპოვეს აგვისტოს თვის ბალახი...

საინტერესოა, რა ვითარებაში დაიღუპნენ ცხოველები. ამის
აღდგენაც მოახერხეს მეცნიერებმა. ჩამოქცეულ სახურავებზე ეყარა
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხენებისა და სახედრების ჩონ-
ჩხები: ჩონჩხების მდებარეობისა და დამსხვრეული ძვლების მიხე-
დვით დამტკიცდა, რომ ცხოველები დიდი სიმძლიდან, ალბათ შე-
ნობის სახურავიდან გადმოცვივდნენ. როგორ მოხვდნენ ისინი იქ?

ციხე-სიმაგრის გარემოცვის დროს მეტი უშიშროების მიზნით
ისინი დაფერდებულ სახურავზე არეკეს. როდესაც სახურავს
ცეცხლი მოედო, დაფეთებულმა საქონელმა აიწყვიტა, ერთხანს
აქეთ-იქით აწყდებოდა გამძვინვარებულ ცეცხლში და შემდეგ სა-
ხურავთან ერთად ძირს დაენარცხა...

ცოცხალი ფერებით აღადგენს ბ. ბ. პიოტროვსკი ციხე-სიმაგრის
გაძარცვის ცალკეულ მომენტებს.

არქეოლოგი ამტკიცებს, რომ სკვითები ძალიან ჩქარობდნენ და
მსოლოდ ის გაიტაცეს, რაც ხელთ მოხვდათ. შენობა საგულდაგუ-
ლოდ არ გაუსინჯავთო, ამისათვის მას მეტად სარწმუნო საფუძველი
აქვს.

სკვითები ჩვეულებრივ ნადავლის ძებნისას საკუქნაოების ია-
ტაკსაც აყრიდნენ ხოლმე. აქვე ღვინის ერთ-ერთ სარდაფში გადამა-
ლული იყო 98 შესანიშნავი ბრინჯაოს თასი — ყველა თასი გადარჩა

და არქეოლოგს ხედა წილად. ღვინის მეორე სარდაფში ხელუხლებელი იყო შესანიშნავი ფარები, ძვირფასი ჩაფხუტი, მდიდრული კაპარკი. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სკვითები ჩქარობდნენ. და არცაა გასაკვირი, — ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

მაგრამ როგორ მოხდა ღვინის სარდაფში ეს ძვირფასი ნივთები, რომლებსაც არავითარი საერთო კრა აქვთ ამ სარდაფთან?

არქეოლოგებმა ამ კითხვაზეც გასცეს პასუხი.

თვით მეკუქნავეებმა ისარგებლეს პანიკით და ხელი მიჰყვეს ციხე-სიმაგრის საღწევათა ძარცვას, დატაცებული განძეული უკეთესი ღვინის მოლოდინში ღვინის სარდაფებსა და საკუქნაოებში გადაშალეს.

ასე თანდათანობით აღადგინეს ძველი ურარტული ციხე-სიმაგრის განადგურების სურათი. ის, რისი ვაკეთებაც თავის ღვინოზე ვერ მოასწრო მემკვიდრეებმა, ორი ათას ხუთასი წლის შემდეგ გააკეთეს საბჭოთა არქეოლოგებმა¹.

უკანასკნელი წლების გათხრებმა საგრძნობლად გაზარდა ჩვენი ცოდნა ურარტელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ: ახლა ჩვენ კარგად ვიცით, მაგალითად, როგორ გამოიყურებოდნენ მათი მეომრები. არქეოლოგებმა იპოვეს ჩაფხუტები, ფირფიტებიანი ჯავშნები, ფარები, ისრებიანი კაპარკები, რკინის მახვილები და ხანჯლები. ვიცით, რომ ლითონის დამუშავებაში ურარტელები განსაკუთრებით იყვნენ დაოსტატებული. ამაზე მეტყველებს, კერძოდ, 1953 წელს ნაპოვნი მეფე სარდურის ბრინჯაოს ფარი და მეფე არგიშთის ჩაფხუტი (ძვ. წ. VIII საუკუნე). ხარებისა და ლომების გამოსახულება და ფაქიზი გრავირება, რომლითაც შემკულია ფარი, ადასტურებს რომ პირველხარისხოვანი ოსტატისა და მხატვრის ნახელავია. 1954 წელს ნაპოვნი ცხენის აღჭურვილობაც — საშუბლე ფირფიტა, საყურეები, ლაგამი, ეჭენები, აკაზმულობის მრგვალი ბალთები, — ცხადყოფს ურარტელი მჭედლების უზადო ოსტატობასა და საუკუნეების მანძილ-

¹ თავისი მრავალწლიანი მუშაობის შედეგები ბ. პიოტროვსკიმ განაზოგადა ფუნდამენტურ მონოგრაფიაში, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის მაგიდის წიგნად გადაიქცა. იხ. Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), Москва, 1959, რედ. შენიშვნა.

ზე დაგროვილ გამოცდილებას. ყველა ამ ნივთზე ამოკვეთილია ლურსმულად არგიშთისა და სარღურის სახელები.

მკედლებს როდი ჩამორჩებოდნენ ჩამომსხმელები და ოქრომკედლები. ამას მოწმობს არქეოლოგების მიერ გათხრილი ჩამოსასხმელი ფორპები, ლომის თავებით შემკული საუცხოო ოქროს სამაჯური, სარდიონის ნაკითობანი.

ამჟამად ვიცი, რომ რკინას 'ფართოდ იყენებდნენ ურარტელები; რომ ისინი დაუფლებული იყვნენ მინის საუკეთესო ნაკეთობათა დამზადების ტექნიკას; ძვალზე სჭრიდნენ საუცხოო ჩუქურთმას, აშენებდნენ ნაზმატყლიან ცხვარს... ყოველივე ეს და სხვა მრავალი ვიცი, არა ურარტელთა ისტორიული წიგნებიდან, რომლებიც ალბათ, არც დაწერილა, არამედ გათხრების შედეგად ნაპოვნი მასალებიდან, შემთხვევით გადარჩენილი ნივთების, ან ამ ნივთების ნაწილებიდან. გოცებას იწვევს ურარტელთა ყოფა-ცხოვრებას ის წვრილმანი, რასაც არქეოლოგები გვიამბობენ. ისინი ისეთი დამაჯერებლობით ლაპარაკობენ მათ შესახებ, თითქოს საქმე ეხებოდეს ჩვენს თანამედროვეებს, და არა თითქმის სამიათასი წლის წინ მცხოვრებ ადამიანებს.

საქმეში ჩაუხედავ კაცს ზოგი ნაპოვნი შესაძლოა უმნიშვნელოდ მოეჩვენოს. მაგრამ ისინი ძვირფასია მეცნიერებისათვის, მაგალითად, ურარტელები ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენებას რომ მისდევდნენ, არქეოლოგებმა გაიგეს მატყლის მცირე ნაშთების აღმოჩენის შედეგად...

მართალია, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის ურარტული ლურსმულით ნაწერი ფირფიტების არცერთი არქივი, მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ არქივები არსებობდა და დროთა განმავლობაში მათაც აღმოაჩენენ ჩვენი არქეოლოგები.

თიხის წიგნები

როცა ასურულ-ბაბილონური ლურსმული დამწერლობა ამოიკითხეს, თიხის ფირფიტებს, რომლებსაც წინათ ესოდენ მცირე ყურადღებას უთმობდნენ, 'ერპბაშად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. არა მარტო ქანდაკებები, ბარელიეფები, კურკლუელობა, საყოფაცხოვ-

რებო საგნები და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები იზიდავდნენ არქეოლოგებს, არამედ ახლა წარწერებზეც გაჩაღდა ნადირობა. ყოველი წარწერა, რაზედაც არ უნდა ყოფილიყო იგი შესრულებული — ქვაზე, თიხაზე, ლითონზე, ჭურჭელზე, ბეჭედსა თუ ბარელიეფზე, — საგულდაგულო შესწავლის საგნად იქცა.

გამოირკვა, რომ ლურსმული დამწერლობა — უნივერსალური დამწერლობა იყო ძველ აღმოსავლეთში.

შუმერები. ტიგროსისა და ევფრატის ველებში, ურარტელები ამიერკავკასიაში, სპარსელები ინდოეთის საზღვრებთან და ფინიკიელები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ხეთები მცირე აზიაში და ელამელები ირანის ზეგანიდან — ყველანი იყენებდნენ ლურსმულ დამწერლობას. ყველა ხალხი შუმერების მიერ გამოგონილ ლურსმულ დამწერლობას უსადაგებდა თავიანთ საკუთარ ენას.

ასურულ-ბაბილონური დამწერლობის ცოდნამ საშუალება მოგვცა გავრკვეულიყავით ლურსმული დამწერლობის ყველა დანარჩენ სისტემაში.

განსაკუთრებულ სიძნელეებს წააწყდნენ მეცნიერები ხეთური ლურსმული წარწერების ამოკითხვის დროს. მათი წაკითხვა საკმაოდ



თიხის ფილა ლურსმული წარწერით.

იოლი იყო, მაგრამ წაკითხულს ვერ იგებდნენ, რადგან ტექსტები უცნობ ენაზე იყო შედგენილი. დიდი შრომა შეაღიეს ასირიოლოგებმა ხეთურ წარწერებს. მხოლოდ ჩეხმა მეცნიერმა ბედრეიხ ჰროზნიმ შეძლო ჩაწვდომოდა ამ ენის საიდუმლოებას, რი-

თაც მსოფლიო დიდება მოიპოვა. ეს ნიჭიერი მკვლევარი ხეთური იეროგლიფური ტექსტების ამოკითხვაზეც მუშაობდა!

ლურსმული წარწერების ამოკითხვამ საგრძნობლად უცვალა ხა-

1 ბ. ჰროზნის ემოქალური აღმოჩენის შესახებ ბევრი სტატია და წიგნი დაიწერა. ბოლო ხანებში დიდი პოპულარობა მოიპოვა კ. კერამის ნაშრომმა, რომელიც ქართულადაცაა ნათარგმნი (იხ. კ. კერამი, ხეთების საიდუმლოება, თბ., 1966), და სლოვაკელი მწერლის ვ. ზამაროვსკის წიგნმა (იხ. В. Замаровски и др., Тайны хеттов, Москва, 1968), ამ ნაშრომებში ფაქტობრივად არის გაშუქებული ბ. ჰროზნის როლი ხეთური დამწერლობისა და ენის კვლევის საქმეში. — რ ე დ შ ე ნ ი შ ე ნ ა .

სიათი არქეოლოგიურ გათხრებს. ამიერიდან ნაპოვნ თიხის ფირფიტებს განურჩევლად კი არ აქუჩებდნენ, არამედ საგულდაგულოდ ახარისხებდნენ, წმენდდნენ მიწისა და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ მუზეუმებსა თუ ინსტიტუტებში გზავნიდნენ. არა მარტო ფირფიტებს, არამედ ყოველ ნატებს აგროვებდნენ და სწავლობდნენ: ხომ შეიძლებოდა, იგი რომელიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ნაწილი ყოფილიყო. ასირიოლოგები ხშირად ახერხებდნენ ნატეხებიდან მთელი ფირფიტის შედგენას. ზოგჯერ ამას წლები სჭირდებოდა.

რა ბედი ეწიათ „დამტვრეული აგურებით“ სავსე კალათებს, რომლებიც ოდესღაც ბრიტანეთის მუზეუმს გაუგზავნეს?

კალათები ოცი წელი ეყარა ერთ ადგილას. შემდეგ ნელ-ნელა შეუდგნენ მის გარჩევას. ჯერ ერთ, მერე მეორე, მერე მესამე ფირფიტას უბრუნდებოდა სიცოცხლე. დასტებად იწყობოდა ფირფიტები ასირიოლოგების მაგიდაზე და მოუთხრობდა მათ ძველი დროის ხალხზე, რომელმაც ეს მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა; ამ ხალხის ცხოვრებაზე, სარწმუნოებაზე, წეს-ჩვეულებებზე, აგრეთვე სხვა ხალხების ცხოვრებაზეც, რომლებიც უხსოვარ დროს მოსახლეობდნენ მესოპოტამიაში.

რა არ იყო მოთხრობილი ამ თიხის ფირფიტებზე! ძველი ლეგენდებისა და თქმულებების გვერდით ეწყო ციურ მნათობთა მოძრაობის ასტრონომიული გამოთვლები. გეოგრაფიულ ლექსიკონებს მოსდევდა გრამატიკული თხზულებანი და ქრესტომათიები, ისტორიულ ქრონიკებს — ტრაქტატები მაგიასა და მედიცინაზე.

ეს გახლდათ მთელი ბიბლიოთეკა, მსოფლიოში უძველესი ბიბლიოთეკა.

უზარმაზარი წიგნთსაცავი, რომელიც ათობით ათას თიხის ფირფიტას იტევდა. მუზეუმში მოტანილი კალათები თიხის „წიგნების“ ძვირფასი კოლექციის (კოდნის ყველა დარგში) მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა. ეს „წიგნები“ შეკრებილია ასურეთის მეფის ასურბანიფალის ბრძანებით ოცდაექვსი საუკუნის წინათ.



ხეთური იეროგლიფური
წარწერა.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

მუშა — მსოფლიო მნიშვნელოვანი მაცნეიარი

ჯორჯ სმითი სპრის ლურსმულ წარწერებს

ვინ მიაქცია პირველად ყურადღება მტვრიან, ტალახში ამოსვრილ დამტვრეული აგურებით სავსე ყუთებს? ვინ დაადგინა, რომ იგი ნაწილია ასურეთის მეფის ასურბანიფალის სასახლის დიდი ბიბლიოთეკისა? ვინ შეაფასა ღირსეულად ის აურაცხელი საგანძური, რომელიც ოცი წელი მივიწყებული ეყარა ბრიტანეთის მუზეუმის საწყობებში?

ეს გახლდათ უბრალო მუშა, გრავიორი ჯორჯ სმითი.

1854 წელს „ბრანდბერისა და ევანსის“ საგრავიოროში ხელობის შესასწავლად მიამარეს თოთხმეტი წლის ბიჭი. ღარიბი მშობლების შვილი, პატარა ჯორჯი სკოლაში სიარულის ნაცვლად იძულებული იყო საკუთარი შრომით ეშოვა ლუკმაპური.

ბიჭი არაჩვეულებრივად გონიერი გამოდგა, მალე მას რთული სამუშაოები მიანდეს. საათობით იჯდა თავდახრილი და ჩაჰკირკიტებდა რომელიმე ძნელმინახვედრ მოხატულობას ან ხვეულ ვენზელს. მაგრამ ფიქრებით სულ სხვაგან იყო. გაზეთები იტყობინებოდნენ ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე შორეულ მესოპოტამიაში. სმითი დღე და ღამე ამაზე ფიქრობდა.

რა საოცარი ამბები ხდება ქვეყნად! იმ ღატაკ ერაყელ ფელაქებს, გორაკებზე რომ თავიანთ ყანებს ამუშავებდნენ, ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ გორაკების ქვეშ იმალება ბრწყინვალე სასახლეები, ქუჩები და ქალაქები! რამდენი საინტერესო მოგვითხრეს ბარელიე-

ფების ლურსმულმა წარწერებმა, რომლებიც, ბოლოს, როგორც იქნა, წაიკითხეს.

მთელ თავისუფალ დროს ჯორჯ სმითი ბრიტანეთის მუზეუმში ატარებდა; გაოცებული და მოკრძალებული ათვლიერებდა ფრთიან ხარებს და სხვა საოცარ ნივთებს. და იგი ბედნიერად რაცხდა თავს, როცა ამ მუზეუმში გრავიორად მოეწყო. იმ დროს მუზეუმში მზადდებოდა „დასავლეთ აზიის ლურსმული წარწერების“ ხუთტომეულის გამოცემა და დასჭირდათ დახელოვნებული გრავიორი, რომელსაც ზუსტად უნდა აღედგინა ასურულ-ბაბილონური დამწერლობის ასობით ნიშანი.

ნიჰიერი თვითნასწავლი

მოღსვენარი კაცი იყო ბრიტანეთის მუზეუმის ახალი გრავიორი.. იგი მექანიკურად, დაუფიქრებლად არ გამოსახავდა ლითონზე ერთფეროვან ლურსმულ ნიშნებს. უსათუოდ უნდოდა გაეგო, რას გამოხატავდნენ ისინი. ცდილობდა წაეკითხა ის, რისი პირებიც მისსაქრეთელს ქვიდან და თიხიდან გადმოჰქონდა. სმითი ეკლებდა ტანსაცმელს და საჭმელსაც კი, ზოგავდა თითოეულ პენსს და ასირიოლოგების წიგნებს იძენდა. მთელი ღამეები წიგნების კითხვაში ათენებდა. უფიქრდებოდა ყოველ სტრიქონს, ხელახლა უბრუნდებოდა გაუგებარ ადგილებს. გაოცებული იყვნენ მისი ნათესავები და მეგობრები, ამდენს როგორ მუშაობსო. ფიქრობდნენ, ასე ხომ მალე ბოლო მოეღებო.

მართლაც, ჯორჯ სმითი არ იყო დიდი ჯანმრთელი კაცი. მაგრამ მაინც არ აპირებდა თავი მიენებებინა ლურსმული დამწერლობისათვის. ვაჭრების, მეფაბრიკეებისა და ლორდების შვილებს შეუძლიათ იარონ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, მან კი, რაკი სურს შეისწავლოს ლურსმული წარწერები, დამოუკიდებლად უნდა იმუშაოს, სხვა გამოსავალი არა აქვს.

და დადგა დღე, როცა იგი თავისუფლად კითხულობდა და თარგმნიდა ლურსმულ ტექსტებს. მაგრამ, თავისდა გასაოცრად, მას შემდეგ, რაც არაერთი წიგნი წაიკითხა, სმითი ამჩნევდა, რომ ჩვენი ცოდნა იმ ხალხზე, ვინც ამ ლურსმული ნიშნებით წერდა, არასრული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და არასრულყოფილია. ასურეთისა და

ბაბილონეთის ისტორიული პერიოდების ერთადერთი წყარო ბიბლია იყო, სმითი კი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ენდობოდა ამ წიგნს.

მან იცოდა, რომ ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ შავ ობელისკზე გამოკვეთილი იყო გამოსახულებათა ხუთი რიგი. ისინი გამოხატავდნენ, თუ როგორ მიჰქონდათ პატარ-პატარა ვასალ მეფეებს ხარკი ასურეთის მონარქ სალმანასარ III-ისათვის. ერთ-ერთი წარწერა იუწყება: „მე მივიღე ხარკი... ომრის ძე იეგუსაგან“.

ეკვი არ იყო, ომრის ძე იეგუ ის პატარა მეფე გახლდათ, რომელზეც მოახრობილია ბიბლიაში. თუ მოხერხდებოდა ამ ამბის ზუსტი თარიღის დადგენა, სმითს ხელთ ექნებოდა ასურული ქრონოლოგიის გასაღები.

ზედმეტი როდია დავათვალიერო მღზეუმების საწყობები. იქნებ გაურჩეველი წარწერების გროვაში მოხერხდეს სალმანასარზე კიდევ რაიმე ცნობის პოვნარ.


ბოლოს, სმითმა გადაწყვიტა მუზეუმის დირექტორისათვის მიეწერა.

წერილში იმდენი გონივრული დაკვირვება იყო მოყვანილი და ავტორი საქმის ისეთ ღრმა ცოდნას ამჟღავნებდა, რომ იფიქრებდით, იგი დაწერა არა უბრალო გრავიორმა, არამედ ასირიოლოგიის ბრწყინვალე მცოდნემო. სმითს ნება დართეს ევლო მუზეუმის საწყობებში, სადაც ინახებოდა თიხის ფირფიტები.

საოცნებო საწყობებში

გულის ფანქვლით გადააბიჯა სმითმა მდიდარი მუზეუმის საწყობების ზღურბლზე. აქ ისეთი სისუფთავე როდი იყო, როგორც მუზეუმის გამოფენის მდიდრულ დარბაზებში. ძვირფასი თიხის ფირფიტები ჭუჭყის სქელ ფენას დაეფარა. მათი გარეცხვა არ შეიძლებოდა წყლითა და სპნით, როგორც თიხის ჭურჭელს რეცხავენ. ჭუჭყი დიდი სიფრთხილით უნდა მოეცილებინა, რათა არ დაზიანებულიყო ფირფიტის ზედაპირი.

დიდი მონღომებით ჩაჰკირკიტებდა ფირფიტებს, ფრთხილად



ასურეთის მეფის სალმანასარ III შავი ობელისკი (ძვ. წ. IX საუკ.).

აცილებდა მიწას თიხაში ამოტვიფრულ ლურსმულ ნიშნებს. თვალწინ ედგა ასურელი მწერალი, რომელსაც თხელი ჯოხით სწრაფად გამოჰყავდა ეს ნიშნები რბილ თიხაზე. თიხის ფირფიტის გაწმენდას ზოგჯერ, მგონი, იმაზე მეტი დრო სჭირდებოდა, რაც მისი დამზადებისათვის იყო საჭირო.

მისი გულმოდგინება ჯეროვნად დაფასდა. იგი წააწყდა ვრცელ წარწერას, რომელიც მოგვითხრობდა სალმანასარ III-ის სირიაში ლაშქრობის ამბავს. სხვათა შორის ამ წარწერაში ნათქვამია: სალმანასარ III-ის მეფობის მეთვრამეტე წელს მეფე იეგუმ მას ხარკი მიაართვაო.

ეს სხვათაშორის მოხსენებულ შენიშვნა გახდა გასაღები ასურული ქრონოლოგიისა, რომელსაც სმითი ასე დაჟინებით ეძებდა და რისთვისაც არ დაიზარა გადაესინჯა ფირფიტებით სავსე მრავალი ყუთი. მის ხელთ იყო საყრდენი წერტილი. ერთი თაჩილი მტკიცედ დადგინდა. ახლა შეიძლებოდა შედგომოდა ასურეთის ისტორიის სხვა თარიღების განსაზღვრას.

ამ აღმოჩენის მოკლე ანგარიში დაიბეჭდა 1866 წელს. ეს გახლდათ გრავიორ ჯორჯ სმითის პირველი მეცნიერული ნაშრომი.

იგი ხანდახან სალამობითაც არჩევდა ფირფიტებს.

მისი ყურადღება მიიპყრო გვარიანად დაზიანებულმა თიხის ცილინდრმა, რომელზეც წვრილი ლურსმულით ეწერა ასურეთის მეფის ასურბანიფალის მატთანე. ჯორჯ სმითმა განიზრახა ამ ცილინდრის მთლიანი ტექსტის აღდგენა. „თიხის წიგნების“ ნამტკვრეებიდან არჩევდა ისეთებს, რომლებიც, მისი აზრით, ამავე მატთანის ტექსტი იყო. გაფანტული ნატეხების შედარებითა და შეჯერებით მითი მიხვდა, რომ ასურბანიფალის მატთანეს რამდენიმე პირი ქონდა. ბოლოს და ბოლოს, მან შეძლო ყველა ხარვეზის შევსება აა სრული ტექსტის დადგენა.

ეს სამუშაო განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან იშვიათ შრომისმოყვარეობასა და რკინისებურ ნებისყოფასთან ერთად მოითხოვდა სპეციალურ ცოდნასაც.

არაჩვეულებრივ გრავიორს ყურადღება მიაქციეს. მას შესაძლებლობა მისცეს, ხელი მოეკიდა მეცნიერული მუშაობისათვის. „დასავლეთ აზიის ლურსმული წარწერების“ მორიგი ტომის შემდგენელს (ამ ტომებს მუზეუმი აზნადებდა გამოსაცემად) დასჭირდა ნიჭიერი თანაშემწე და გადაწყვიტეს, რომ სმითი სავსებით შესაფერი იყო ამ საქმისათვის.

ეს მოხდა 1867 წელს, როცა იგი ოცდაშვიდი წლისაც არ იყო.

ჯორჯ სმითი თანაშემწედ ითვლებოდა, მაგრამ მალე ეს ახალგაზრდა მეცნიერი უდიდესი ავტორიტეტი გახდა ასირიოლოგიაში. იგი ზედინზედ ახდენდა აღმოჩენებს და ასურბანიფალის ბიბლიოთეკის ბევრმა დაზიანებულმა წიგნმა გაანდო მას თავისი საიდუმლო.

წარმოიდგინეთ ათასობით დახეული წიგნის პატარ-პატარა ნაფლეთების გროვა. სცადეთ მათ მიხედვით აღადგინოთ მთლიანი ტექსტი, რომელიც ოდესღაც იყო ამ ფურცლებზე. დაახლოებით ასეთი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა ჯორჯ სმითი, როდესაც ლურსმული წარწერების ბიბლიოთეკის გარჩევას შეუდგა. ამოცანა, რომლის გადაჭრაც მან ნებაყოფლობით იკისრა, არაჩვეულებრივად ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ ჯორჯ სმითს, გუშინდელ მუშას, არ ჰჩვეოდა სიძნელეთა წინაშე უკან დახევა. ცხოვრებამ აღჭურვა იგი დიდი გამოცდილებით, რომელიც სწორედ ახლა გამოადგა.


აი, როგორ ახასიათებს სმითს ერთი ცნობილი ისტორიკოსი:

„იგი იყო ენერგიული, მტკიცე, დიდი მოთმინებისა და ალღოს ადამიანი, ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული უნარი მიეგნო და შეერჩია ფირფიტები. ამ დროს სმითი პირდაპირ გენიალური იყო მის არაჩვეულებრივად მახვილ თვალს შეეძლო გაერჩია ხელწერაც კი, რომლითაც დაწერილი იყო ნიშნები“.

ასურულ-ბაბილონური ქრონოლოგიისადმი მიძღვნილ შრომებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ერთ-ერთ „თიხის წიგნში“ მოხსენებულია მზის დაბნელება, და სმითმა მტკიცედ დაადგინა, რომ მზის დაბნელება მოხდა ძვ. წ. 763 წლის 15 ივნისს; მანვე შეავსო ტიგლათფილესერ III მატთანის არსებითი ხარვეზები. და ბოლოს, აღმოაჩინა ასურული კალენდარი, სადაც თვე დაყოფილია ოთხ კვირად, ხოლო კვირა შვიდ დღედ.

1870 წელს სმითმა დაამთავრა ასურბანიფალის მეფობის პერიოდისადმი მიძღვნილი კაპიტალური ნაშრომი. ამ გამოკვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა ყველამ ერთხმად აღიარა, მაგრამ გამოქვეყნება შეფერხდა, ბრიტანეთის მუზეუმში არ კისრულობდა ხელნაწერის გამოცემის ხარჯებს, ხოლო თვით სმითს ფული, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. ერთ წელზე მეტი გავიდა, ვიდრე მისი შრომა დაიბეჭდებოდა; გამოქვეყნების ხარჯები კერძო პირებმა გადაღეს.

1872 წლის შემოდგომაზე ჯორჯ სმიტს ხელში ჩაუვარდა ფირფიტის ნატეხი, რომელიც მაშინვე ამოიკითხა: „ხომალდი ნიცირის მთას მიაღდა. ნიცირის მთამ შეაკავა ხომალდი და არ მისცა რყევის საშუალება... მეშვიდე დღეს გამოვიყვანე მტრედი და გავუშვი (იგი). გაფრინდა მტრედი. იფრინა, იფრინა, მაგრამ ვერ ნახა (ხმელეთი) ადგილი და დაბრუნდა უკან...“



ჯორჯ სმიტის მიერ აღმოჩენილი თიხის ფილის ნატეხი, სადაც წერია მითი წარღვნაზე.

მეცნიერი განაცვიფრა ამ ნაწყვეტის მსგავსებამ ცნობილ ბიბლიურ ლეგენდასთან წარღვნის შესახებ.

ყველა ინგლისელმა ბიჭმა იცის ლეგენდა წმინდა ნოეზე — ერთადერთ კაცზე, რომელიც გადაურჩა „მსოფლიო წარღვნას“. კიდობანი, რომელშიც იგი იყო, მიაღდა არარატის მთას. იმის გასაგებად, გრძელდებოდა თუ არა წყალდიდობა, ნოემ კიდობნიდან გაუშვა მტრედი.

მაგრამ მალე მტრედი უკან დაბრუნდა, რადგან გარშემო ყველგან წყალი იდგა.

ჯორჯ სმიტი დაუყოვნებლივ შეუდგა ფირფიტის დანარჩენი ნაწილების ძებნას.

სამწუხაროდ, ვერაფერი აღმოაჩინა, თუმცა მთელი ბიბლიოთეკა გადაქექა. სამაგიეროდ მან შეძლო დაედგინა, რომ ეს ნატეხი ეკუთვნის დიდი ხალხური ეპოსის მეთერთმეტე ფირფიტას უცნობ, გილგამეშად წოდებულ, ძველი დროის გმირზე. მთელი ეპოსი ჩაწერილი იყო თიხის თორმეტ წიგნ-ფირფიტაზე.

საგაზეთო შენიშვნამ, სადაც სმიტის აღმოჩენაზე იყო ლაპარაკი, დიდი ხმაური გამოიწვია. თავისი დროის მოწინავე ადამიანები მიხედნენ, რომ ბაბილონური მითი ექვეყნეშ აყენებს ბიბლიას. ცხადია, ბიბლიამ მითი წარღვნის შესახებ ბაბილონელებისაგან ისესხაო. იქ-

ნებ, სხვა ბიბლიური „სასწაულებიც“ იქიდანაა ნასესხებიო, ვარაუდობდნენ ისინი.

1872 წლის 3 დეკემბერს ჯორჯ სმითი გამოვიდა საჯარო მოხსენებით. დარბაზი გაქედილი იყო. მეორე დღეს სმითი ცნობილი კაცი გახდა.

მასზე წერდნენ ყველა გაზეთში, საზოგადოებას აღელვებდა მწვავე საკითხი: ნახავენ თუ არა ნატეხებს, სადაც ჩაწერილია შითის დანარჩენი ნაწილი, თუ სამუდამოდ დაიკარგა ისინი.

სმითმა დაამტკიცა, რომ მეთერთმეტე ფირფიტის ნატეხები უდავოდ გადარჩენილია, და საჭიროა მათი ძებნა ქუთიუნჯიქში, იქ, სადაც აღმოჩნდა ასურბანიფალის ბიბლიოთეკა.

მასაქედისა ფირფიტის ნატეხების მოსაძიებად

გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ მფლობელები მიხვდნენ, რომ ამ საქმეში ხელის მოთხოვა შეიძლებოდა და იკისრეს ქუთიუნჯიქის ახალი ექსპედიციის დაფინანსება. ექსპედიციას სათავეში უნდა ჩასდგომოდა ჯორჯ სმითი. მისგან ბევრს არაფერს მოითხოვდნენ: დრო და დრო უნდა მოეწოდებინა გაზეთისათვის კორესპონდენციები გათხრების მსვლელობაზე. „დეილი ტელეგრაფის“ პატრონებმა იანგარიშეს, რომ უმნიშვნელო თანხა, 1000 გირვანქა სტერლინგი, რომელიც სმითის ექსპედიციის მოსაწყობად გაიღეს, მალე ანაზღაურდება ხელმოწერათა გაზრდის ხარჯზეო. ასეც მოხდა.

ჩვენს დროში ლონდონიდან ქალაქ მოსულს გამგზავრება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მოგზაურებს შეუძლიათ ისარგებლონ ჩქარი მატარებლით, კომფორტაბელური გემებით და თვითმფრინავებითაც კი... იმ დროს სხვა მდგომარეობა იყო. კონსტანტინოპოლამდე საკმარად იოლად მიაღწევდით, შემდეგ კი მხოლოდ ჯორებით, სახედრებითა და აქლემებით შეიძლებოდა გაგეგრძელებინათ გზა. ხოლო მდინარეებზე პრიმიტიული მრგვალი ნავტიკებით ან ტიკებით უნდა გადასულიყავით. მარტო მგზავრობა სახიფათოც იყო. ამიტომ, ჩვეულებრივ, იკრიბებოდა ქარავანი, რომელიც ძალიან ნელა მიიზღაზნებოდა. რამდენიმე კვირის განმავლო-

ბაში ასეთი მგზავრობა, ისიც მცხუნვარე მზის დაუნდობელ სხივებ-
ქვეშ, ძალიან დამქანცველი იყო.

სმითმა, როგორც იქნა, მიადწია ქუიუნჯიქს და ნახა, რომ ერთ-
ერთი მიწისქვეშა სასახლე ქვის სამტეხლოდ გადაექციათ. აქედან
მიჰქონდათ მასალა ახალი ხიდის მშენებლობაზე. თხრილები ამოვ-
სებული იყო აგურის ნამტვრევებითა და ღორღში არეული ფუნდა-
მენტის ლოდებით.

როცა ეს ქაოსი იხილა, სმითი სასოწარკვეთილებას მიეცა. განა
შესაძლებელია აქ იპოვო ფირფიტის ნამტვრევები, რომლებისთვის-
საც ასეთი ხანგრძლივი და დამქანცავი მოგზაურობა წამოიწყო? ეს
ისევე შეუძლებელია, როგორც თივის ზვინში ნემსის პოვნა.

მაგრამ მას ბედი სწყალობდა. როდესაც რამდენიმე ლოდი გა-
ჭირვებით დაძრეს ადგილიდან, გამოჩნდა თიხის ფირფიტის მოზრ-
დილი ნაჭერი. სმითმა დიდი სიფრთხილით ამოიღო იგი ნაგვიდან.
თვალის ერთი შევლებით ნათელი იყო, რომ მას ხელში ჩაუვარდა
მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ეს იყო მეფეთა გაფრთხილება
უკანონობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმ-
დეგ...

„ოჰო, — გაიფიქრა სმითმა, — ნეტავ ვინაა ამ მრისხანე დოკუ-
მენტის ავტორი? და რა აქვს მხედველობაში, როცა „კანონსა“ და
„უკანონობაზე“ ლაპარაკობს?...“

რარიგად გაიხარა სმითმა, როცა ამ შესანიშნავი ფირფიტის მეო-
რე ნახევარიც აღმოაჩინა. ერთი-ორი დღის შემდეგ კვლავ დიდი
წარმატება ელოდა. როცა მუშების მიერ ნაპოვნ ახალ ნადავლს არ-
ჩევდა და ტალახისაგან წმენდდა, უცებ წააწყდა ფირფიტის დიდ ნა-
ტეხს, რომელზეც ეწერა მითი წარღვნაზე. მის წინაშე იყო ახალი,
საინტერესო ტექსტის ათობით სტრიქონი.

ახლა ხელთ ჰქონდა თითქმის მთელი ბაბილონური ლეგენდა. მან
იპოვა სწორედ ის, რისთვისაც მოეწყო ეს ექსპედიცია.

ადვილი გასაგებია მისი აღფრთოვანება. სმითი ლონდონიდან
ქუიუნჯიქს გამოემგზავრა არა სასახლეებისა და ტაძრების საძებნე-
ლად, არამედ თიხის ფირფიტის ნატეხის საპოვნელად. მან გათხარა
ქუიუნჯიქის ვებერთელა ბორცვი, რომლის წრეწირი რამდენიმე
კილომეტრია. ღორღით, ნაგვითა და მიწით სავსე ლაბირინთებში,

ოთახებსა და სათავსოებში ეძებდა ამ ნატებს და მართლაც იპოვა. მიაგნო „ნემსს თივის ზვინში“.

მაგრამ განა მხოლოდ „წარმატებამ“ და „ბედის წყალობამ“ უშველა? რა თქმა უნდა, არა. ალბათ, ვერასოდეს ვერ იპოვიდა სპი-თი ამ ფირფიტებს, ცოდნით შეიარაღებული რომ არ მოსულიყო აქ. თუმცა მანამდე არ ყოფილა ქუიუნჯიქში, მაგრამ თავის წინამორ-ბედთა შრომებიდან ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ააურბანიფა-ლის სასახლე და მტკიცედ იცოდა, სად უნდა გაეთხარა.

გადიოდა დღეები და თითოეულ მათგანს ახალი მონაპოვარი მოჰქონდა. ესენი იყო თიხის წიგნები, ხშირად ძლიერ დაზიანებული. ზოგს არ ჰქონდა არც დასაწყისი და არც დასასრული, მაგრამ მათ მეცნიერებისათვის შესანიშნავ ბარელიეფებსა და ფანტასტიკურ ფრთიან ხარებზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდათ.

დასავლეთევროპელ არქეოლოგთა შორის პირველი იყო სმითი, რომელმაც აქვე, ადგილზე წაიკითხა და ჯეროვნად შეათასა თი-თოეული ფირფიტა, თითოეული ნატეხი. ზოგჯერ იგი ნატეხისაგან ადგენდა მთელ დოკუმენტს, არკვევდა, ვინ იყო ავტორი, საზღვრავ-და ეპოქას.

თავისთავად ცხადია, რომ ჯორჯ სმითმა დაუყოვნებლივ გაუგზავ-ნა დეპეშა გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“, ბაბილონური მითის დაკარ-გული ნაწილი ნაპოვნიაო, სჯეროდა, ეს წარმატება შესაძლებლობას მისცემდა გაეფაროებინა გათხრების მასშტაბი და მოუთმენლად ელოდა პასუხს. სმითს ეგონა, რომ „დეილი ტელეგრაფის“ მეკა-ტრონეები არ იძუნწებდნენ. მან ხომ აცნობა, ქუიუნჯიქის გორაკი წარღვნის მითზე არა ნაკლებ საინტერესო დოკუმენტებს ინახავსო.

გაზეთმა მხურვალედ მიულოცა სმითს ბრწყინვალე წარმატება, უსურვა ყოველგვარი სიკეთე და აცნობა, გათხრების შემდგომი და-ფინანსება წყდებაო. „დეილი ტელეგრაფმა“ გაინალდა თავისი, ხელმომწერთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, ხოლო ქუიუნჯიქის დოკუმენტების ბედი აღარ აინტერესებდა.

სმითის მოულოდნელ გამოწვევასთან დაკავშირებით საზოგადო-ებრიობის აზრი რომ შეემზადებინათ (სმითი უკვე დიდი პოპულარო-ბით სარგებლობდა), გაზეთის მკატრონეებმა თაღლითურ ხერხს მი-მართეს: სმითის ტელეგრაფში ჩაუმატეს ფრაზა, რომელიც მას არ

დაუწერია: „გათხრების სეზონი დასრულდა“. სინამდვილეში კი არა-
ქელოლოგიური სეზონი ის-ის იყო იწყებოდა...

ჯორჯ სმითი ძლიერ დააღონა საქმის ასე შემობრუნებამ. იგი
საესე იყო ნათელი იმედებით. ის იყო გააჩაღა მუშაობა და აი, უკვე
იძულებულია თავი მიანებოს და დაბრუნდეს ინგლისში...

ვიდრე გასამგზავრებლად ემზადებოდნენ, ვიდრე საგულდაგულ-
ლოდ ფუთავდნენ ფირფიტებსა და ნივთებს, ეძებდნენ ტრანსპორტს,
სმითი კვლავ დაძაბულად მუშაობდა ქუიუნჯიქის ტრანშეებში, ვერ
სცილდებოდა გორაკს, რომელიც, მისი აზრით, ფარავდა კიდევ ათა-
სობით საინტერესო დოკუმენტს. გამგზავრებამდე ორი-სამი დღით
ადრე იპოვა ფირფიტა — შუმერულ-ბაბილონური ლექსიკონის ერთი
„გვერდი“.

ამ მონაპოვრის მნიშვნელობის გასაგებად, უნდა ითქვას, რომ
ნინევიის ბიბლიოთეკის შემქმნელისა და მბრძანებლის — ასურბანი-
ფალის დროს შუმერული ენა უკვე მკვდარი იყო.

ფირფიტის ჯერ ერთი ნატეხი იპოვეს, მერე მეორე. როდესაც
სმითმა ამ „გვერდის“ პირველი ნახევარი იპოვა, ძალიან ბევრი ქვა
გადაზიდა, უამრავი ღორღი და ნაგავი გადაჩხრიკა და მანამ არ დამ-
შვიდდა, ვიდრე მისი მეორე ნახევარიც არ იპოვა. სმითის მიერ ნა-
პოვნი ლექსიკონი დაეწმარა ასირიოლოგებს კიდევ ერთი ძველი
ენის — შუმერული ენის შესწავლაში.

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, სმი-
თი შევიდა ქვის სამტეხლოდ ქცეულ სასახლის ლაბირინთებში. არა-
ბებმა ფუნდამენტის ქვები ამოტეხეს და ამით კედლებს საიშედო
საყრდენი გამოაცალეს. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მათი ჩა-
მოქცევა. საფრთხეს აძლიერებდა უწესრიგოდ დახროვებული ქვის
ლოდები. ოდნავი გაუფრთხილებლობა და შეიძლება ჩამონგრეული-
ყო კედლები და ცოცხლად დაემარხათ მამაცი მკვლევარი. მაგრამ
სმითი არაფრად აგდებდა საფრთხეს და ჯეროვანი ჯილდოც მიიღო.
შრომისათვის.

მან იპოვა ფირფიტა, სადაც აღწერილი იყო ელამელების ლაშქ-
რობა ბაბილონეთში. ეს გახლდათ დოკუმენტური დადასტურება
უძველესი ისტორიის მნიშვნელოვანი ამბისა, რომლის შესახებაც
მან უკვე იცოდა ასურბანიფალის „ანალებიდან“. გავიხსენოთ, რომ

ჯორჯ სმითმა პირველმა წაიკითხა ეს მატრიანე. ფირფიტა იტყობინებოდა, რომ ელამელებმა ბაბილონეთი დაარბიეს დაახლოებით 1635 წლით ადრე, ვიდრე ასურბანიფალი გაილაშქრებდა ელამელებზე¹. ნაპოვნი ფირფიტაც ადასტურებდა ამ ამბავს. დიახ, ასეთი ფირფიტისათვის ღირდა რისკის გაწევა!

მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო. მის კოლექციას შეემატა გილგამეშის ეპოსის მეექვსე ფირფიტის ორი ფრაგმენტი. ამრიგად, მასალები ამ ლეგენდარულ სახალხო გმირზე სულ უფრო იზრდებოდა. სმითს ხელთ ჰქონდა ძველი შუამდინარეთის საუკეთესო ლიტერატურული ძეგლის თითქმის სრული ტექსტი.

1873 წლის 9 ივნისს, ქუიუნჯიქში ერთი თვის მუშაობის შემდეგ, ჯორჯ სმითი ლონდონს გაემგზავრა.

კვლავ ნინევიაში

სმითის კოლექციამ ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ ბრიტანეთის მუზეუმს, რომელიც ამ კოლექციის პატრონი გახდა, უკვე აღარ შეეძლო უყურადღებობა გამოეჩინა. სმითს გამოუყვეს თანხა ქუიუნჯიქში ახალი ექსპედიციის მოსაწყობად.

ლონდონიდან ქ. მოსულამდე გზაში გატარებული ხუთი კვირა ძალიან გაგრძელდა. მაგრამ როცა დანიშნულ ადგილს მიადწია, სმითმა გაიგო, რომ თურქეთის ხელისუფალთ აეკრძალათ გათხრები. იგი დაუყოვნებლივ გაეშურა თურქეთის ფაშასთან.

— თქვენი ნადავლის ნახევარი თურქეთს უნდა გადაეცეს.

— თქვენ ამით ვერაფერს ისარგებლებთ, ჩემი მუშაობა კი აზრს დაკარგავს. თიხის ფირფიტა იგრივია, რაც წიგნი. რა სარგებლის მოცემა შეუძლია დახეულ ფურცლებს? მე სწორედ იმიტომ დავბრუნდი, რომ შევკრიბო „თიხის წიგნების“ ის ნაწილები, რომლე-

¹ ახლა უკვე დადგენილია, რომ ასურბანიფალმა პირველად ილაშქრა ელამში ძვ. წ. 652—648 წ. წ. ელამი მან გაანადგურა და გაძარცვა ძვ. წ. 639 წ., როცა მიწასთან იქნენ ვასწორებული სუზა, მადაქთუ და ხალთემაში. ელამელები დროდადრო იკრებოდნენ შუამდინარეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. დაწერილებით იხ. Ю. Б. Ю с и ф о в, Элам. Социально-экономическая история, Москва, 1968. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ბიც აკლია ლონდონის მუზეუმში დაცულ მასალებს. სიხარულით გიჩვენებთ იმ ადგილს, სადაც სიძველეთა ის შესანიშნავი ძეგლებია და დახმარებასაც გაგიწევთ.

მაგრამ რამდენიც არ უმტკიცა სმითმა, ფაშა მაინც თავისას გაიძახოდა:

— ყველაფერი თანაბრად უნდა გაიყოს, თითოეული ნაპოვარი — შუაზე.

ხელცარიელი გამობრუნდა მისგან სმითი.

მალე შენიშნა, რომ ფეხდაფეხ დასდევს ფაშას აგენტი. მის მუშებს მეთვალყურენი მიუჩინეს. სმითის მიერ დაქირავებულ ხალხს ხელისუფლების წარმომადგენლები იბარებდნენ და მკაცრ დაკითხვას უწყობდნენ, ძვირფასი ნივთები ხომ არ გიპოვიათო.

ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ სმითს ნება დართეს ეთხარა იქ, სადაც წინათ ლეიარდი მუშაობდა.

თავის გამოკვლევების ცენტრად სმითმა აქცია პატარა ოთახი, რომელშიც ლეიარდი პირველად წააწყდა ნინევიის ბიბლიოთეკის ნაშთებს. მან გადაწყვიტა საფუძვლიანად გამოეკვლია მთელი შენობა, რომელიც ბიბლიოთეკის გარშემო 30—40 მეტრის რადიუსზე მდებარეობდა.

მართალია, თანხებითა და დროით მეტად შეზღუდული იყო, მაგრამ სმითმა განიზრახა მთლიანად გაეწმინდა ყველა ოთახი, დარბაზი, გასასვლელი, და დერეფანი, რომლებიც მის მიერ წარმოსახულ ორასმეტრიანი წრეხაზის ფართობის შიგნით მდებარეობდა.

ეს იყო უზარმაზარი სამუშაო. სმითის წინამორბედები მხოლოდ კედლის გასწვრივ თხრიდნენ და ხელუხლებლად ტოვებდნენ შენობის შიგნით ვეება მთებს.

მას უნდა ამოეზიდა მრავალი ათასი კვადრული მეტრი მიწა, ქვა და დორლი. არა მარტო ამოეზიდა და გადაეყარა, არამედ საგულდაგულოდ გაესინჯა მიწის ყოველი პეშვი, ყოველი კენჭი, აგურის ყოველი ნატეხი, რათა თიხის წიგნების ერთი ნაწილიც არ დაკარგულიყო ამ გროვაში.

ექვსასი მუშა ჯგუფებად დაჰყო, და ნაკვეთებზე გაანაწილა. გაჩაღდა მუშაობა.

უკვე ურიცხვი ქვა და ათასობით კალათა მიწა ამოწიდეს ზემოთ, მაგრამ პოვნით ვერაფერი იპოვეს. სმითი იმედს არ კარგავდა, იცოდა, რომ ფირფიტები მიწის ქვედა ფენებშია დამარხული.

ერთიმეორის მიყოლებით აცლიდნენ ფენებს გამაგრებულ მიწის საფარველს — და აი, გამოჩნდა უამრავი თიხის ფირფიტით დაფარული იატაკი...

ერთი თვალის გადავლებით აღგენდა სმითი თითოეული „წიგნის“ ხასიათს. რა არ იყო აქ! საბოლოო ჯამში ეს ფირფიტები თავისებური ენციკლოპედია, ძველ ასურელთა ცოდნის კრებული იყო.

აი, მას ხელთ აქვს ფირფიტის ნატეხი და კითხულობს:

„როს მალა ზეცას
ჭერ არ ჰქონდა“ თვისი სახელი,
და დაბლა მიწას
არ გააჩნდა სახელწოდება,
დასაბამიდან აფსუ არი
მათი მშობელი,
თიამათმა და მუმუმ შექმნეს
ქვეყნად ყოველი,
და თავის წყლები
ერთმანეთში გადაურთეს...¹⁴

რა საოცარი მსგავსებაა სამყაროს შექმნის ბიბლიურ ლეგენდასთან.

აი, სხვა ფირფიტა:

„მეფეს, ჩემს ბატონს, გეტყვის შენი მონა აბელიშთარი...“

...რაც შეეხება მთვარის დაბნელებას, რაზედაც მეფე, ჩემი მბრძანებელი, მწერდა მე, (საქმე ასეა) ქალაქებში აქადსა, ბორსიფსა და ნიტურში აწარმოეს დაკვირვება... და დაბნელება მოხდა... მე ვატყობინებ მეფეს, ჩემს ბატონს, იმას, რაც საკუთარი თვალით ვიხილე...“

ნუთუ არ მოხერხდება დადგინდეს მთვარის ამ დაბნელების თარიღი? ეს დაგვეხმარებოდა ასურული ქრონოლოგიის დაზუსტებაში.

აი, მესამე ფირფიტაც. მასზე წერია:

¹ აფსუ, მუმუმ, თიამათი — ძველ ლეთაებათა სახელებია.

„...ქალწული ანადალათი,
საიარაღუს ასული,
გაიყიდა და აქითილიმ —
სეფექალმა იყიდა იგი
დალიისავან

ნახევარ მინა ვერცხლად“ (დაახლოებით 250 გრამი). .

არცთუ დიდი ფასია ადამიანისათვის.

დიდხანს დაჰყურებდა სმითი ძვირფას ფირფიტებს. მას უცნაური გარემოება აოცებდა: ერთი და იგივე ფირფიტის ნატეხებს ზოგჯერ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან იზოლირებულ შენობებში პოულობდა. „ეს რა ჯანდაბაა, — ფიქრობდა იგი! — რომელმა ავმა სულმა გაფანტა ისინი სხვადასხვა ოთახში“.

დაფიქრდა და მიხვდა: ასურბანიფალის ბიბლიოთეკა წინათ იქ კი არ იყო, სადაც იპოვეს, არამედ მეორე სართულზე. სასახლე რომ იწვოდა, წიგნის თაროები ჩამოინგრა, ფირფიტები დაიმტვრა და სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. შემდეგ როცა სართულშორის გადახურვა ჩამოიქცა, მთელი ბიბლიოთეკა ზატყით ძირს წამოვიდა. ერთი და იგივე ფირფიტის ნაწილები სხვადასხვა ოთახში აღმოჩნდა.

სმითის ეს ვარაუდი შემდეგში სავესებით დადასტურდა. ახლი დადგენილია, რომ ასურელებს ჩვეულებად ჰქონდათ თავიანთი თიხის წიგნები ზემო სართულებში შეენახათ, რათა დაზიანებისა და ნესტიანსაგან დაეცვათ.

არც ამჯერად მიეცა საშუალება ჯორჯ სმითს ეწარმოებინა გათხრები. ადგილობრივი ხელისუფლება სულ მუდამ ხელს უშლიდა. როგორც მას, ისე მის ხალხს რას არ აბრალებდნენ.

ამიტომ სმითი არაერთხელ აიძულეს შეეწყვიტა სამუშაოები. დამახასიათებელია, მაგალითად, ასეთი შემთხვევა:

ერთხელ სმითთან მივიდა ქუთუნჯიქის გორაკზე მდებარე ერთ-ერთი ნაკვეთის პატრონი და მოსთხოვა 250 გირვანქა სტერლინგი საფლავების დანგრევისათვის.

სმითმა სამართლიანად უარყო ეს მოთხოვნა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ ნაკვეთისათვის ფული უკვე გადახდილი ჰქონდა, მეორეც, არავითარი საფლავები არ დაუნგრევია. მიუხედავად ამისა, სასამართლოში რომ არ წასულიყო და დრო არ დაეკარგა, იგი დასთანხმდა მიეცა თურქისათვის 10 გირვანქა სტერლინგი. მაგრამ მოსარჩლე გაჯი-

უტრა და სმითი იძულებული გახდა სასამართლოსათვის მიემართა: გამოძიებით დადასტურდა, რომ მთელი ბრალდება მოჩმახულია. რა გადაწყვიტა სასამართლომ? გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: სმითი, მართალია, მოვალე არაა გადაიხადოს ფული, მაგრამ... რადგანაც სმითი დათანხმდა მიეცა 10 გირვანქა სტერლინგი, დაე გადაიხადოს თორმეტი!

ჯორჯ სმითი დარწმუნდა, რომ შარიანობას ბოლო არ მოეღებოდა და არ მოასვენებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, შეეწყვიტა მუშაობა და ინგლისს დაბრუნებულყო. ამასთან, ბრიტანეთის მუზეუმის მიერ მიცემული მცირე რესურსები უკვე საბოლოოდ იწურებოდა. მაგრამ არც ისე ადვილი იყო ქ. მოსულიდან წამოსვლა. ფაშა მოითხოვდა ყველა ნაპოვნი ფირფიტისა და ნივთის ნახევარს. უყოყმანოდ გადასცა სმითმა თურქ ხელისუფალთ საუცხოო ნაწი, რამდენიმე შესანიშნავი სკულპტურა, დიდი ქანდაკება და სხვა მრავალი რამ, მაგრამ გადაჭრით უარყო გაეყო მათთვის ფირფიტები.

თითქმის მთელი თვე არ გაუშვეს სმითი მოსულიდან. ბოლოს, როგორც იქნა, კონსტანტინოპოლიდან მოვიდა მის მიერ ნაპოვნ სიძველეთა გაზიდვის ნებართვა. მეტიც, მას ნება დართეს კიდევ ექვს კვირას ეწარმოებინა გათხრები, მაგრამ სმითს არ შეეძლო განეგრძო გათხრები, რადგან ფული აღარ ჰქონდა.

საუკეთესო შედეგებით დამთავრდა სმითის მეორე ექსპედიცია. მოკლე დროში — თითქმის ორ თვეში — მან, მიუხედავად იმისა, რომ თურქი ხელისუფალნი ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს და თან მეტეოროლოგიური პირობებიც ცუდი იყო, შეკრიბა თიხის ფირფიტების მდიდარი კოლექცია. სამხრეთის ამ მხარეში, სადაც არ იცის ზამთარი, მაშინ ქარიშხალი და ქარბუქი მძვინვარებდა, შთის კალთები ყინულის საფარველმა დაფარა და სმითის მუშები სიცივისა და ყინვებისაგან იტანჯებოდნენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს სმითის მიერ აღმოჩენილ ასურეთისა და ბაბილონეთის სინქრონული ისტორიის ნაწყვეტებს. იქ თანდათანობით, წლიდან წლამდე მოთხრობილია ამ ორი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. ძველი უამთაღმწერელი ერთმანეთს უპირისპირებს ამ მოვლენებს (სინქრონიზმი ნიშნავს ორ ან რამდენიმე მოვლენის ერთდროულად მიმდინარეობას). ეს დიდად დაეხმა-

რა ასერიოლოგებს მრავალი ისტორიული თარღის დაზუსტებაში.

ლურსმული დამწერლობის განვითარების შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფირფიტას, სადაც ახსნილია ასურეთისა და ბაბილონეთის მთავარი ქალაქების იდეოგრაფები. (იდეოგრაფია ცნების გამომხატველი პირობითი ნიშანია).

საქმე ისაა, რომ ასურეთსა და ბაბილონეთში ქვეყნების, მდინარეებისა და ქალაქების სახელწოდება, მეფეთა სახელები როგორც იწერებოდა, ისე არ იკითხებოდა. მაგალითად, ქალაქი ბაბილონი გამოითქმოდა როგორც „ბაბილი“, ხოლო იწერებოდა „ბაბდინგირრაქი“; მდინარე ევფრატი, ასურულად — „ფურათუ“, იწერებოდა — „უდქიბნუნქი“. ამბობდნენ „ნიფური“ (ქალაქი ბაბილონის მახლობლად), წერდნენ „ანენლილქი“. როგორც ხედავთ, სიტყვების დაწერასა და გამოთქმას შორის საერთო არაფერია.

ეს გარემოება აიხსნება შემდეგნაირად:

როდესაც ბაბილონელებმა შუმერებისაგან ლურსმული დამწერლობა გადმოიღეს, ქვეყნების, მდინარეებისა და ქალაქების სახელებს შუმერულად წერდნენ, ხოლო გამოთქვამდნენ თავისებურად, ე. ი. ბაბილონურად. ეს იგივეა, რომ, მაგალითად, გერმანელმა დაწეროს „ლენინგრადი“ და წაიკითხოს „ლენინშტადტ“. სიტყვა „ბაბილი“ ისე როგორც სიტყვა „ბაბდინგირრაქი“ ნიშნავს ქართულად „ღვთის ქარს“.

სმითოს საინტერესო მონაპოვართა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ჩვენთვის უკვე ცნობილი ლეგენდა აქადის მეფე სარგონ აქადელზე.

ჩვენ ვახსენეთ სმითის კოლექციის სამი ფირფიტა, მან კი სამი-ათასამდე სულ სხვადასხვა შინაარსის „თიხის წიგნი“ შეკრიბა. ბევრ მათგანზე შემდგომ თავებში მოგითხრობთ.

ჯორჯ სმითის დაღუპვა

არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა ჯორჯ სმითის წიგნს, რომელშიც აღწერა თავისი ექსპედიცია. მოკლე დროში იგი შვიდჯერ გამოიცა.

მაგრამ სმითს თავბრუ როდი დაახვია სახელმა და დიდებამ. მშვენივრად იცოდა, რომ ასურბანიაფალის ბიბლიოთეკის ათასობით ფირფიტა ჯერ კიდევ ჩამარხულია ქუიუნჯიქის გორაკში.

ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა და მისი დაჟინებითი მოთხოვნით მოეწყო მესამე ექსპედიცია ქუთუნჯიქში. იგი უკანასკნელი აღმოჩნდა სმითისათვის...

იმ დროს ახლო აღმოსავლეთში ქოლერა მძვინვარებდა, იქ გამგზავრება მეტად სახიფათო იყო, მაგრამ საფრთხემ ვერ შეაჩერა სმითი. იგი მხოლოდ ერთ ფიქრს შეეპყრო: რაღაც არ უნდა დაჯდომოდა აღედგინა ასურბანიფალის მთელი ბიბლიოთეკა. მან ეს ამოცანა ცხოვრების მიზნად დაისახა, და არავითარ დაბრკოლებას და სიძნელეს არ შეეძლო. მისი ნებისყოფის დაძლევა.

სმითი ზშირად ვერ პოულობდა თავშესაფარს და ცის ქვეშ ათევდა ღამეებს: ადგილობრივ მცხოვრებლებს ეწინოდათ, რომ იგი სენს გადასდებდა მათ. ბევრჯერ შიმშილობდა კიდევ, ზოგჯერ პურის ნატეხი უგემრიელეს კერძად მიაჩნდა. გაჭირვებული ბავშვობა, ცხოვრების აუტანელი პირობები, დღედაღამ უზომოდ მუშაობა... ყოველივე ამან შეაჩუჩა სმითის ჯანმრთელობა, იგი ეპიდემიის მსხვერპლი გახდა. 1876 წლის 19 აგვისტოს გარდაიცვალა ჯორჯ სმითი შორეულ უცხო მხარეში. იგი 36 წლისაც კი არ იყო.

მოკლე, ძუნწი ფრაზებით მოგვითხრობს სმითის დღიური უკანასკნელი ექსპედიციის გაუგონარ სიძნელებზე. აი, სიკვდილის წინ მისი დაუძლურებული ხელით ჩანაწერი:

„ცუდადაა საქმე. ექიმი რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა გამომჯობინება, მაგრამ სად არის ექიმი; თუ ეს აღსასრულია, შემინდეთ... მე სულითა და გულით ვიღვწოდი მეცნიერებისათვის: ჩემს კოლეგციებში კვლევის ფართო ასპარეზს იპოვის მკვლევარი. თავად ვაპირებდი მათ დამუშავებას, მაგრამ ახლა მსურს ყველა მკვლევარს მიეცეს საშუალება ისარგებლოს ჩემი შენიშვნებითა და სიძველეთა ძეგლებით. მე მოვიხადე ჩემი ვალი, როგორც შემეძლო...“

ჯორჯ სმითმა, ამ ხალასმა ნიქმა, რომელმაც კაპიტალისტური მონობის მძიმე პირობებში გრავიორის დაზვიდან მეცნეერების მწვერვალებს მიადწია, მთელი ეპოქა შექმნა ასარიოლოგიაში. მან იპოვა, წაიკითხა და გამოიკვლია ბევრი შესანიშნავი ძველი მითი და ლეგენდა, ისტორიული ძეგლები, მეცნიერული, იურიდიული და სამეურნეო დოკუმენტები. მსოფლიოში უძველესმა თიხის წიგნების ბიბლიოთეკამ კვლავ განაახლა არსებობა. ოცდახუთი საუკუნის ძილის შემდეგ იგი მსოფლიო მეცნიერების კუთვნილებად იქცა.

როგორ ამზადებდნენ თიხის წიგნებს

ლუჩსიული დამწერლობის წარმოშობა

რატომ წერდნენ ძველ შუამდინარეთში თიხაზე? რატომ იყო წიგნები თიხისა და არა ქაღალდისა, როგორც ჩვენი წიგნებია?


ძალიან უბრალო მიზეზის გამო: მესოპოტამიაში თიხის გარდა არ მოიპოვებოდა სხვა მასალა, რაც შეიძლებოდა საწერად გამომდგარიყო.

ეგვიპტეში წერდნენ განსაკუთრებული ლერწმისაგან დამზადებულ პაპირუსზე. ასეთი ლერწამი უხვად ხარობდა ნილოსის ნაპირებზე. ჩინეთში წერდნენ ბამბუკზე, ხოლო ძვ. წ. მეორე საუკუნიდან ბრინჯის ქაღალდზე, რომელიც პირველად ჩინელებმა დაამზადეს. რომში წერდნენ პერგამენტზე, პაპირუსზე და გასანთლულ ფირფიტებზე. დიდ ნოვგოროდსა და ძველი რუსეთის სხვა ქალაქებში წერდნენ არყის ხის ქერქზე — იაფ და მკვიდრ მასალაზე, რომელიც მისაწვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

მესოპოტამიაში არც ერთი მათგანი არ იყო.

სამაგიეროდ შუამდინარეთში საუკეთესო თიხაა. და რას არ აკეთებდნენ მისგან ძველ დროში! მდიდრულ სასახლეებსა და უბადრუკ ქოხებს, მკვიდრად ნაგებ ბელეებსა და ნატიფ ლარნაკებს, ღვინის კასრებსა და ბავშვის სათამაშოებს. თიხისგან ნამგლებსაც კი ამზადებდნენ და მას ძვლის, კაყის ან ლითონის კბილებს უკეთებდნენ. უხსოვარი დროიდან დაიწყეს მისგან აგრეთვე წიგნების — თიხის ფირფიტების დამზადება. მასალა რამდენიც სურდათ ხელთ, უფრო სწორად ფეხთ, ჰქონდათ.

იღებდნენ თიხის ნაჭერს, კარგად ზელდნენ, სქელი, ბლანტი ცომი რომ მიეღოთ. აძლევდნენ მას სასურველ, — ხშირად, სწორკუთხა



ასე წერდნენ თიხის ფილებზე

ფილების ფორმას. ჩვეულებრივ, მათი სიგრძე ერთნახევარჯერ-ორჯერ მეტი იყო სიგანეზე. თიხა რომ ოდნავ შეშრებოდა, — „ქაღალდი“ საწერად მზად გახლდათ. ისლა რჩებოდა, მასზე საპირო ტექსტი გადაეტანათ.

„ფანქრები“ და „კალმები“ განუსაზღვრელი რაოდენობით იყო. ლერწმის ჯოხი ცვლიდა ჩვენს საწერ მოწყობილობას.

ყველაზე მოხერხებული იყო კალმისთვის კვეთში სამკუთხედის

ფორმა მიეცათ: ∇ ამ შემთხვევაში ნიშნები უფრო გარკვეული გამოდიოდა და „ფანქარიც“ არ ტრიალებდა ხელში, უფრო იოლად იმორჩილებდნენ.

სცადეთ ასეთი ჯოხით თიხაზე წერა, — ყველა ხაზი ზემოთ ოდნავ შესქელებული გამოგივათ. ეს გასაგებიცაა. ქაღალდზეც ვერ ვწერთ სავსებით სწორი ხაზებით. დახედეთ, რომელსაც გნებავთ, ჩაწერილ ტექსტს და ადვილად შეამჩნევთ შესქელებას, რასაც კალმის არათანაბარი დაჭერა იწვევს. ეს კიდევ უფრო შესამჩნევია თიხაზე. როცა ნიშნის გამოყვანას იწყებდა, მწერალი უნებურად პირველ

მომენტში უფრო აჭერდა ხელს და თიხაზე რჩებოდა სამკუთხედის ანაბეჭდი — სოლი (ლურსმული ნიშანი).

აი, საიდან დაიწყო ლურსმული წერა. ეს განაპირობა მასალის ხასიათმა, რომელსაც იყენებდნენ ძველი შუამდინარეთის მცხოვრებნი.

ნიშნების სოლისებური ფორმა შენარჩუნებულ იქნა ქვაზე, ბრინჯაოზე, ვერცხლსა და სხვა მყარ ლითონებზე წერის დროსაც. ეს ფორმა დაკანონდა, საყოველთაოდ მიღებული გახდა.

მწარეალთა სოლვაი

ძალიან ძნელი იყო ლურსმული წერა-კითხვის სწავლა. ამ საქმეში თითო-ორი კაცი თუ დახელოვნდებოდა. ტაძრებთან არსებობდა საგანგებო სკოლები, სადაც მწერელებს ამზადებდნენ. არქეოლოგებმა გათხარეს რამდენიმე სკოლის შენობა და აღმოაჩინეს მოსწავლეთა მრავალი „რვეული“ (ცხადია, თიხის) ორთოგრაფიული შეცდომებით და მასწავლებლების მიერ შესწორებული...

ქურუმთა სკოლებში სწავლა იწყებოდა ყველაზე მარტივით: პატარა მწერელს ასწავლიდნენ როგორ მოემზადებინა თიხის გუნდისაგან თიხის ფირფიტა. შემდეგ იგი უნდა დაეხაზათ, რათა სტრიქონები სწორი გამოსულიყო. ამას ძალიან უბრალოდ აკეთებდნენ წვრილი თოკის დახმარებით. საკმარისი იყო გაჭიმული თოკით შეხებოდნენ ფირფიტის ზედაპირს, და ხაზი უზადოდ სწორი გამოვიდოდა. შემდეგ მოსწავლეს ხაზზე უნდა გამოესახა ცალკეული ნიშნები — ვერტიკალური, ჰორიზონტალური, ირიბი. დიდი ხნის ვარჯიშის შემდეგ, როცა იგი დაოსტატდებოდა ნიშნების სწრაფად, ლამაზად და წესიერად გამოსახვაში, ასწავლიდნენ სოლების შეერთებით შეედგინა მარცვალი, სიტყვა, ციფრები, მთელი წინადადება.

პატარა ფირფიტას მოსწავლე ხელში იჭერდა, ხოლო დიდს დებდა განსაკუთრებულ ქვესადგარზე. ერთ გვერდს რომ შეავსებდა, გადააბრუნებდა და მეორე გვერდზე განაგრძობდა წერას. ამას ერთბაშად როდი ახერხებდა. საჭირო იყო თიხის „რვეულის“ ხმარების გარკვეული ჩვევების გამომუშავება. ხდებოდა, რომ ფირფიტის გა-

დაბრუნებისას მოსწავლე ჩაქექყავდა თიხას. ამასთან ერთად იქექ-
ებოდა და გაურკვეველი ხდებოდა ლურსმული ნიშნები, რისთვისაც
პატარა გამოუცდელ მწერელს ასეთი დაუდევრობისათვის ალბათ
გვარიანად მოხვდებოდა ხოლმე ქურუმებისაგან და ყველა-
ფერს თავიდან იწყებდა.

ჩვენი რვეულებისაგან განსხვავებით, თიხის რვეულები შეიძლე-
ბოდა მეორეჯერ გამოეყენებინათ, საჭირო იყო მხოლოდ თიხის გა-
დაზელა და ახალი ფირფიტის გაკეთება.

ზოგიერთ თიხის რვეულზე გარკვევით ჩანს იმ თითების ანაბეჭ-
დი, რომელთაც სამი ათასი წლის წინათ ხელში ეჭირათ ეს ფირფი-
ტა. ამ ანაბეჭდებით შეიძლება განვსაზღვროთ ვინ წერდა ფირფიტა-
ზე — ბავშვი თუ მოზრდილი. აქა-იქ ლურსმული წარწერების ჩა-
ღრმავებულ ადგილებში შეიმჩნევა ლერწმის ჯონის ბოჭკოების
„გრიფელის“ კვალი.

მაგრამ ისმება კითხვა: როგორ გავხადოთ თიხის „გვერდები“
საკმაოდ „გამძლე“, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს ვისარგებლოთ
„წიგნით“ თუ „რვეულით“, ისე რომ წარწერა არ დაეზიანოთ? ეს
ძნელი როდია: ფირფიტა უნდა გამოიწვას ღუმელში და იგი აგური-
ვით მაგარი გახდება.

სწორედ ასე იქცეოდნენ ძველ დროში ასურელები. ბაბილონე-
ლები, შუმერები და სხვა ხალხები, რომლებიც თიხაზე წერდნენ.

მაგრამ გამოსწვავდნენ არა ყველა თიხის ფირფიტას, არამედ
იმას, რომელიც დიდხანს უნდა შეენახათ, დანარჩენებს მზეზე აშ-
რობდნენ.

არქეოლოგებმა მრავალი ათასი გამოუწვავი ფირფიტა იპოვეს.
გადაწყვიტეს ახლა გამოეწვათ ისინი, რომ უფრო კარგად შენახული-
ყო. ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, თუმცა ფირფიტების დამზადე-
ბიდან მათ გამოწვამდე რამდენიმე ათასი წელი გავიდა.

ასურბანიფალის სასახლეში აბობოქრებულმა ხანძარმა ვერ მოს-
პო ბიბლიოთეკები. ჩამოინგრა სახურავი, დაიწვა წიგნების თაროე-
ბი, ხოლო „წიგნები“ ვადარჩა. გავიდა ათასეული წლები, ჩვენ კი
მათ ისევე ვკითხულობთ, თითქოს გუშინ დაეწერათ.

მაგრამ თიხის წიგნები და რვეულები მეტად მძიმე და დიდრონი
იყვნენ. ყოველი თქვენგანი სკოლაში წასვლისას ადვილად ათავსებს

ჩანთაში სასწავლო სახელმძღვანელოებს და რვეულებს. მაგრამ ისინი რომ თიხის ფირფიტებზე გადავწეროთ, ვერც ერთი მოსწავლე ვერ დაძრავდა ასეთ ტვირთს — წიგნები სკოლაში ფორჩხით უნდა გვეტარებინა.

პირველკლასელის ანბანი, რომელიც სულ რაღაც ორმოცდაათი-ოდე გვერდია, თიხაზე რომ გადაგვეწერა, დაახლოებით 50 კილოგრამს აიწონიდა.

იმ დროში ამას არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მოსწავლეებს შინ არ დაჰქონდათ სახელმძღვანელოები, რადგან სწავლება მიმდინარეობდა მწერელთა სკოლებში, სადაც პატარა მწერელები ადრიაანი დილიდან გვიან ღამემდე რჩებოდნენ. თიხას, როგორც საწერ მასალას, ისინი საკმაოდ მოხერხებულად იყენებდნენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად წერდნენ ვერტიკალურ სტრიქონებზე — ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ. ხოლო შემდეგ დაიწყეს ისე წერა, როგორც ჩვენ ვწერთ — ჰორიზონტალურ სტრიქონებზე, მარცხნიდან მარჯვნივ. ძნელი არაა იმის გაგება, როგორ მოხდა ეს.

სცადეთ წეროთ მეღნით ისე, როგორც ასურელი მწერელი წერდა, — ვერტიკალურ სტრიქონებზე, მარჯვნიდან მარცხნივ. თქვენ იძულებული იქნებით, მარჯვენა ხელი სისტემატურად ჰაერში, მაღლა აწეული გეჭიროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაშლით პირველად დაწერილ სტრიქონებს. ეს ძალიან უხერხულია, ხელი მალე დაგელდებათ.

ძველი დროის მწერელებმა იპოვეს გამოსავალი: 90 გრადუსით შეაბრუნეს ფირფიტა საათის ისრის საწინააღმდეგოდ. მაშინ ვერტიკალური სტრიქონები ჰორიზონტალურად იქცნენ და იძულებული შეიქნენ მარცხნიდან მარჯვნივ ეწერათ. მართალია, ყველა ნიშანი დახრილი გამოდიოდა, მაგრამ წაკითხვისას ფირფიტას ისევ შეაბრუნებდნენ 90 გრადუსით საწინააღმდეგო მხარეს და კითხულობდნენ ვერტიკალური სტრიქონების მიხედვით მარჯვნიდან მარცხნივ.

გადიოდა წლები, დამწერლობა მარტივდებოდა. დამკვიდრდა ნიშნების დაწოლილი ფორმა. ახლა უკვე არა მარტო წერდნენ ჰორიზონტალურად მარცხნიდან მარჯვნივ, არამედ ასევე კითხულობდნენ.

დავუბრუნდეთ მწერელთა სკოლას და გადავხედოთ უფროსი კლასის მოსწავლეთა რვეულებს. ისინი თურმე დიდ დროს უთმობდნენ გრამატიკის სავარჯიშოებს. ჯერ კიდევ მაშინ ესმოდათ, რომ არ შეიძლება გახდეს ნასწავლი კაცი, თუ არ იცი მშობლიური ენის გრამატიკა. მოსწავლეთა ხელთ იყო ყველა სახის ლექსიკონი, ნიშნებისა და სინონიმების სიები და ასე შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ მწერელთა სკოლებში ასწავლიდნენ, არა მარტო მშობლიურ ენას, არამედ შუმერულსაც, რომელიც იმ დროისათვის უკვე მკვდარ ენად ითვლებოდა. საქმე ის იყო, რომ ლიტერატურული ძეგლების დიდი ნაწილი დაწერილი იყო შუმერულ ენაზე და მისი ცოდნის გარეშე მწერალი იოლად ვერ წავიდოდა.

ყველა ამ დამხმარე სახელმძღვანელომ კარგი სამსახური გაუწია ჩვენს ასირიოლოგებს. ისინი სწავლობდნენ ამ წიგნებით ისე, როგორც ოდესღაც ქურუმთა სკოლების აღსაზრდელები მეცადინეობდნენ.


საქიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ასურულ-ბაბილონურ ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებზე.

ლურსმული. დამწერლობის პირველი სახელმძღვანელოები შედგენილი იყო ბაბილონეთის ცნობილი მეფე-კანონმდებლის ხამურაბის ეპოქამდე ბევრად ადრე. ხამურაბი, როგორც ვიცით, ცხოვრობდა ძვ. წ. XVIII საუკუნეში¹. ამ სახელმძღვანელოებიდან ბევრმა რაიმე არსებითი ცვლილებების გარეშე მოაღწია ასურბანიფალის დრომდე, რომელიც თერთმეტი საუკუნით გვიან მეფობდა.

თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე ძველებური სიტყვარები და სახელმძღვანელოები. მათი მრავალი პირი იპოვეს იმავე ნინევიის ბიბლიოთეკაში.

ასურელთა ენას საუკუნეების განმავლობაში რომ არსებითი ცვლილება განეცადა, ისინი ვეღარ გამოიყენებდნენ ათასი წლის წი-

¹ მკვლევართა დიდი ნაწილი ამჟამად ვარაუდობს, რომ ხამურაბი მოღვაწეობდა ძვ. წ. 1792—1750 წლებში (ბაბილონეთის ტახტზე იგი 42 წელი იჯდა). სპეციილისტთა ერთი ჯგუფის მიხედვით, ხამურაბის მეფობის წლებია ძვ. წ. 1846—1804 წ. წ., ხოლო ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით — ძვ. წ. 1728—1686 წწ. — რ ე დ. შ ე ნ ი წ ე ვ ა.



შუმერულ-ბაბილონური ლექსიკონის „გვერდი“.

სიუჟეტის ბგერითი მნიშვნელობა	დაკრძალვი ნიშნების მოსაზრება	ნიშნების სახეწოდება
მყრ	⚡	ქიქინუ
ხარ	⚡	ქიქინუ
ქიქინ	⚡	ქიქინუ
ხუ	⚡	მუჟენუ
ბაბ	⚡	მუჟენუ
ფაქ	⚡	მუჟენუ
მუჟენ	⚡	მუჟენუ

ნათ დაწერილ ძველ სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს და სხვა „თიხის წიგნებს“. უბრალოდ ვერ გაიგებდნენ მათ შინაარსს, მაგრამ ეს არ მომხდარა.

საუკუნეთა განმავლობაში ეს ენა მდიდრდებოდა ახალი სიტყვებით. მისი შედგენილობიდან გამოდიოდა მოძველებული სიტყვები, სხვები იცვლიდნენ თავიანთ მნიშვნელობას.

ასურულ-ბაბილონური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, და ასევე მისი გრამატიკული წყობა, მართალია, განიცდიდა ზოგიერთ ცვლილებას, მაგრამ საერთოდ შენარჩუნებულ იქნა საუკუნეებისა და ათასწლეულის განმავლობაში. ამიტომ ასურბანიფალის დროინდელ მწერელთა სკოლის მოსწავლეს შეეძლო ემეცადინა იმავე სახელმძღვანელოებითა და ლექსიკონებით, რითაც სარგებლობდნენ მათი შორეული წინამორბედნი ათასი წლის წინათ,

როგორ ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებს იყენებდნენ იმ დროში?

რადგანაც ერთი და იგივე ლურსმული ნიშანი სხვადასხვაგვარად იკითხებოდა, აუცილებელი იყო დამხმარე სახელმძღვანელო, სადაც ნიშნების მონახაზსა და სახელწოდებასთან ერთად მოცემული იქნებოდა მათი სხვადასხვა ბგერითი მნიშვნელობა. ასეთი სამსვეტიანი „ანბანი“ მიჩნეული იყო უმარტივეს დამხმარე სახელმძღვანელოდ მწერელთა სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეთათვის.

ის მოსწავლეები, რომლებიც ანბანს აითვისებდნენ, უფრო რთულ საქმეს ჰკიდებდნენ ხელს — სწავლობდნენ იდეოგრაფებს, ე. ი. მთელი სიტყვის გამომხატველ ნიშნებს. ამასთან, მოსწავლეს არა მარტო უნდა დაემახსოვრებინა ჩიშნის მოხაზულობა, არამედ უნდა სცოდნოდა მისი წაკითხვა. როგორც ბაბილონურ, ისე შუმერულ ენაზე.

მაგრამ ყველაფერი ეს მოსამზადებელი საფეხური იყო ნამდვილი, უფრო ღრმა ცოდნისათვის. მწერელს მხოლოდ მაშინ შეეძლო ეფიქრა, რომ დაუფლებულია ლურსმული წერის ხელოვნებას, თუ მას ახსოვდა ლურსმული ნიშნების თორმეტ ათასზე მეტი კომბინაცია!

წლები სჭირდებოდა ლურსმული ნიშნების შესწავლას, დაზეპირებასა და დამახსოვრებას.

მწერელებდა და მწერელთა სკოლის მოსწავლეთა დასახმარებლად შედგენილი იყო მრავალრიცხოვანი ცნობარები: ერთში მოცემული იყო სინონიმების ვრცელი სია, რადგანაც ერთი და იმავე სიტყვების ხშირი გამეორება ცუდ სტილად ითვლებოდა. სხვა ცნობები შეიცავდა მზამხარეულ იურიდიულ ფორმულებს. მაგალითად: „როცა ფულს დააბრუნებს, მას შეუძლია შევიდეს თავის სახლში“, „როდესაც ფულს დააბრუნებს, მას შეუძლია დაიკავოს თავისი მინდორი“ და ასე შემდეგ. მესამეში ჩამოთვლილი ლურსმული ნიშნები აუცილებელი იყო ცხოველების, მცენარეულობის, ლითონის ნაქეთობათა, ჰერკულესის აღსანიშნავად. მეოთხე სავსე იყო ანდაზებით, მაგალითად: „ისე შიშინებს, როგორც ძველი ღუმელი“, „სხვის ქალაქში მოჯამაგირეც კი ბატონია“, „შენ წახველ და დაიპყარ მტრის მინდორი და მაშინ მოვიდა მტერი და დაიკავა შენო

მინდორი“. საგანგებო ცნობარებში ჩამოთვლილია ყველა ნათესავი, შორეულიც კი, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა ქონების მემკვიდრეობით გადაცემის დროს.

მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ადგილას ნაპოვნ ლექსიკონებს: შუმერულ-ბაბილონურს, კასიტურ-ბაბილონურს, შუმერულ-ბაბილონურ-ხეთურს და სხვ. შუამდინარეთის ბორცვებში ნაპოვნი ბრუნებისა და უღლების ცხრილები დაეხმარა მეცნიერებს ძველი ენების გრამატიკული წყობის შესწავლაში.

შესწავლილი ტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ ასურულ-ბაბილონურ ენაზე გარკვეული ზეგავლენა მოუხდენია იმ ხალხთა ენებს, რომლებთანაც უხდებოდათ ურთიერთობა ბაბილონელებსა და ასურელებს თავიანთი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ასურულ-ბაბილონურმა ენამ შეითვისა ასობით სიტყვა შუმერულიდან, ამორეელთა ენიდან, არამეულიდან და სხვა ენებიდან. მაგრამ ამით იგი სხვა ენად არ ქცეულა. პირიქით, ჩართო რა თავის ლექსიკონში უცხო სიტყვების გარკვეული რაოდენობა, კიდევ უფრო გამდიდრდა და გაძლიერდა.

ზუთას წელს ბატონობდნენ ბაბილონეთზე კასიტები, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მოესპოთ ან შეეცვალათ ბაბილონური ენა. ეს ადასტურებს ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას საერთოდ. ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით.

სკოლებში, სადაც მწერელებს ამზადებდნენ, მეორე ადგილი ეკავა მათემატიკას. მოსწავლეთა დასახმარებლად შედგენილი იყო გამრავლების ცხრილები და ერთიდან სამოცამდე რიცხვების კვადრატის ცხრილები. როცა საქმე დიდ რიცხვებთან ჰქონდათ, საგანგებო ცნობარებს იყენებდნენ.

სკოლებში აგრეთვე ისწავლებოდა ხაზვა და ხატვა. მოსწავლეს უნდა სცოდნოდა ფართობის გაზომვა, შენობის გეგმის ჩანახაზის შედგენა, არხის სქემის ჩახატვა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ისინი ხდებოდნენ პროფესიონალი მწერლები. სწორედ მათი ხელითაა დაწერილი ის ათასობით „წიგნი“ რომლებისგანაც შედგებოდა ნინევიის ბიბლიოთეკა.

ნინევის ბიბლიოთეაში წიგნები შემთხვევით როდი აკო თავ-
მოყრილი. ამ წიგნებს მრავალი წლის მანძილზე აგროვებდნენ დაუ-
ღალავად და გეგმაზომიერად მისი პატრონის — მეფე ასურბანიფა-
ლის განკარგულებით. ამ საქმეში ასურეთის მბრძანებელი მოიქცა
არა ისე, როგორც პტოლომეები — ელინიზმის ეპოქის ეგვიპტის
მეფეები, რომლებიც ძარცვავდნენ ძველ არქივებს.

ასურბანიფალის ვრცელი სახელმწიფოს ყველა კუთხეში დაი-
გზავნენ მწერელები. მეფემ მათ დაავალა გადაეღოთ იმ წიგნების პი-
რები, რომლებიც ინახებოდა სხვადასხვა სასახლეებსა და ტაძრებში.
ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში დაუშვებელი იყო მცირედი დაუდევე-
რობაც კი. მწერელი ვალდებული იყო გულმოდგინედ, თანმიმდევ-
რობით გადაეღო ყველა ნიშანი, გადმოეწერა წიგნის ტექსტი, და
არა მარტო გადმოეწერა, უნდა შეეჯერებინა ორიგინალთან. ამიტომ
ბევრ ფირფიტაზე გვხვდება წარწერა: „ქიმა ლაბირიშუ შატირმა
ბარი“, რაც ქართულად ნიშნავს — „გადაწერილია ძველი ხელნაწე-
რიდან და შემდეგ შედარებულია“.

ზოგჯერ სრულიად გაურკვეველი და გაუგებარი ნიშნები და სი-
ტყვები გვხვდება.

ზოგ ფირფიტაში ნიშნები ერთმანეთზე იყო ასხმული. ასეთ შემ-
თხვევაში, შესაძლებელია, გადამწერი გამადიდებელ შუშას იყენებ-
და. ერთი ასეთი ორმხრივ ამოზნეჭილი მინა, რომელიც ფორმით
ლინზას მოგვაგონებს, ნაპოვნია გათხრების დროს.

ზოგჯერ ლინზაც არ შველიდა საქმეს. მაშინ გადამწერი მიმარ-
თავდა სწავლულ ქურუმებს. მაგრამ ხანდახან ისინიც უმწეონი იყე-
ნენ და ვერ ამჩნევდნენ ზოგიერთ ადგილს. რა უნდა ექნათ? დაე-
წერათ რაც მოესურვებოდათ?

არა, ამაზე არც ერთი გადამწერი არ დასთანხმდებოდა, რადგან
შიშობდა ასურეთის მბრძანებლის რისხვა არ დაემსახურებინა. ასეთ
შემთხვევაში გადამწერი ამჯობინებდა გაეკეთებინა შენიშვნა: „გა-
დაშლილია“, „წარყვნილია“, „არ ვიცი“.

გადმოწერა არ ხდებოდა მექანიკურად, მოუფიქრებლად. —
იგი გააზრებული იყო. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ რო-

დესაც პირს იღებდნენ. ძველი დამწერლობით შესრულებული უძველესი ტექსტიდან, გადამწერი ცვლიდა მათ თანამედროვე, უფრო გასაგები ნიშნებით. ზოგჯერ გადამწერს ანდობდნენ უფრო სპასუხისმგებლო საქმესაც — მოკლედ გადმოეცა რომელიმე ვრცელი წიგნის შინაარსი, ზოგჯერ უნდა გაეკეთებინა ამონაწერი, ესე იგი გადმოეწერა ფირფიტის მხოლოდ რამდენიმე შედარებით უფრო საინტერესო, ან უფრო მნიშვნელოვანი ადგილი.

აი ამ გზით, შედარებით მოკლე ხანში, დაკომპლექტდა ბიბლიოთეკა, რომელშიც იმდროისათვის ცნობილი ყველა დარგის ათობით ათასი „წიგნი“ იყო. და ისე როგორც ყველა კარგ ბიბლიოთეკაში, აქ თითო ცალი კი არ ჰქონდათ, არამედ ორ-ორი, სამ-სამი და კიდევ მეტი. განსაკუთრებით ბევრი იყო წიგნები, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იყო. სწორედ ეს პირები დაგვეხმარა მრავალ შემთხვევაში აღგვედგინა ზოგიერთი ძლიერ დაზიანებული ფირფიტის სრული ტექსტი.

შტამპი, ხელა, სათაური, კატალოგები

ბიბლიოთეკა ძალიან უფროხილდებოდა „წიგნად“ ფონდს, რომელსაც დიდი გაჭირვებით მოუყარა თავი. ყველა თიხის ფირფიტას ესვა ბიბლიოთეკის შტამპი: „ექალ აშშურბანაფლა, შარ ქიშშათი, შარ მათ აშშურ“ — „სასახლე ასურბანიფალისა, სამყაროს მეფისა, ასურეთის მეფისა“.

აი როგორ გამოიყურებოდა იგი:



როგორ ერკვეოდნენ თიხის ფირფიტების ამ გროვაში? ჩვენი წიგნები აკინძულია, ჩასმულია ყდაში და შეუძლებელია ერთმანეთში აგერიოთ სხვადასხვა წიგნის ფურცლები, — მისცეთ მკითხველს ერთი რომანის დასაწყისი და მეორის დასასრული. ასურეთში კი ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო: თიხის „ფურცლებს“

ვერ შეეერთებ, ვერ მიამაგრებ ერთმანეთზე. მაგრამ ასურელებმა ნახეს გამოსავალი: ისინი ხმარობდნენ ხის ყუთებს ჩვენი ყდების მაგიერ.

ახლა ბიბლიოთეკარს დიდი შრომა როდი სჭირდება ჩამოიღოს წიგნი თაროდან და მიაწოდოს მკითხველს. ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში „წიგნის“ მიწოდება ასე იოლი როდი იყო. აბა სცადეთ აგურებით სავსე ყუთის აწევა!

თუკი ვინმე უნებლიეთ აურევდა ფირფიტებს, გადაანაცვლებდა სხვადასხვა წიგნის „ფურცლებს“, ეს არ იყო დიდი უბედურება. საკმაოდ იოლად შეიძლებოდა ერთმანეთის მიყოლებით გვერდების დალაგება და წიგნის აღდგენა. ყოველი ფირფიტის ბოლოს აღნიშნული იყო წიგნის სახელწოდება და თიხის ფურცლის ნომერი.

სხვათა შორის, ავტორს არ სჭირებოდა თავი შეეწუხებინა წიგნის სათაურისათვის. მას ავტომატურად იღებდნენ ნაწარმოების პირველი სიტყვებიდან. მაგალითად, სამყაროს შექმნაზე მითის შვიდივე ფირფიტაზე აღნიშნულია სათაური: „ენუმა ელიშ“ — „როცა მალა“. სწორედ ესაა პირველი სიტყვები, რომლებითაც იწყება მითი სამყაროს შექმნაზე. პირველ ფირფიტაზე წერია: „ენუმა ელიშ 1“, მეორეზე — „ენუმა ელიშ 2“ და ასე შემდეგ.

დღესაც რომ ასეთი წესი იყოს შემორჩენილი, ამ წიგნის სახელწოდება, რომელსაც ახლა კითხულობთ, იქნებოდა არა „თიხის წიგნები“, არამედ „ლენინგრადში, პეტროგრადის მხარეს“.

სხვათა შორის, ნაწარმოების პირველი სტრიქონის სახელწოდებად გამოყენების წესი რამდენადმე ახლაცაა შემორჩენილი. ვინ არ იცის ცნობილი სიმღერები და რომანსები: „ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო“, „საქართველოს მთებზე“, „დავეხეტები ქუჩის ხმაურში“. ესენია პუშკინის ლექსების პირველი სიტყვები, რომლებიც სათაურებად იქცა.

კიდევ ერთი წესი ჰქონდათ ასურელ მწერლებს. იგი აიოლებდა თიხის წიგნების ხმარებას. ყოველი ფირფიტის უკანასკნელი სტრიქონი მეორდებოდა მომდევნო ფირფიტის დასაწყისში. მაგალითად, შელოცვების წიგნის მეოთხე ფირფიტა მთავრდება სტრიქონით: „სამზინელი წყევლა დააცხრა აღამიანს, ვითარცა დემონი“. ამავდეს სტრიქონით იწყება მეხუთე ფირფიტა.

ნამდვილი ბიბლიოთეკა წარმოუდგენელია კატალოგის გარეშე. როგორ გავიგოთ სად არის საჭირო წიგნი, რომელ ოთახში, რომელ კარადაში, რომელ თაროზე? ხომ არ უნდა გადავქექოთ ერთის ძებნაში ათასობით წიგნი! თუ გვაქვს კატალოგი, მაშინვე ვიპოვით რომელი წიგნიც გვინდა: საკმარისია ამოვიღოთ კარტოთეკიდან საჭირო ბარათი და დავხედოთ შიფრს.

აი, ჩვენს წინა ბიბლიოთეკის წიგნი შიფრით სა. XXV 3/18. ეს ნიშნავს, რომ წიგნი ეკუთვნის საბავშვო ლიტერატურის სერიას, დევს ოცდამეხუთე კარადაში, მესამე თაროზე და მარცხნიდან მეთვრამეტეა.

წინევის ბიბლიოთეკაშიც იყო კატალოგი. ცხადია, იგი არ ჰგავდა ჩვენსას, მაგრამ იმავე ფუნქციას ასრულებდა — ეხმარებოდა საჭირო წიგნის მოძებნაში და სავსებით აკმაყოფილებდა ასურელ ბიბლიოთეკარებს. ამ კატალოგების დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ მითითებულია სტრიქონთა რა რაოდენობაა ამათუ იმ ფირფიტაზე.

თანამედროვე ბიბლიოთეკების ხელნაწერთა განყოფილებებში შემორჩენილია ასეთივე წესი. კატალოგში აღნიშნულია ყოველი ხელნაწერის სტრიქონთა რაოდენობა.

ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში „წიგნები“ განაწილებული იყო განყოფილებებად მათი შინაარსის მიხედვით. ყოველ თაროს მიმავრებული ჰქონდა ნეკისოდენა თიხის ეტიკეტი, სადაც აღნიშნული იყო, თუ ცოდნის რომელ დარგს ეკუთვნოდა წიგნების ეს ჯგუფი. ეს ეტიკეტები მოგვაგონებს ჩვენი ბიბლიოთეკების კარადაებზე მიკრულ წარწერებს: „ისტორია“, „მათემატიკა“, „მედიცინა“.

ბიბლიოთეკის საარქივო განყოფილება

წინევის ბიბლიოთეკა, ამავე დროს, არქივიც იყო. აქ აგროვებდნენ, ახარისხებდნენ და სათუთად ინახავდნენ სხვადასხვა დოკუმენტს: ხელშეკრულებებს, კანონებს, წერილებს, თანამდებობის პირთა მოხსენებებს, მთავრობის განკარგულებებს, ცნობებს საომარ მოქმედებებზე, ცნობებს შემოსულ ხარკზე, ყოველგვარ მოთხოვნებს, საჩივრებს და ასე შემდეგ. აქვე იყო მეფის მეურნეო-

შის ანგარიშწარმოებისა და საბუღალტრო წიგნები, შენობებისა და ახლების მშენებლობის ანგარიშები, ასტრონომთა მიერ მოწოდებული ცნობები ციურ მნათობთა მოძრაობაზე და მრავალი სხვა.


ამრიგად, აქ იყო არა მარტო თიხის წიგნები და თიხის რვეულები, არამედ თიხის წერილები, თიხის დოკუმენტები, თიხის ხელშეკრულებები.

თიხის წერილს ჩვეულებრივ, თიხისავე კონვერტში დებდნენ. წერილი რომ ამოგეღოთ კონვერტი უნდა გაგეტეხათ. წერდნენ ხშირად და ყველა საბაბით. წერდნენ მოხელეები და სამხედრო პირები, ელჩები და ოლქის მმართველები. წერილი იგზავნებოდა მეფისა და მისი დედის, ვაჟიშვილისა და ქალიშვილის, გავლენიან დიდებულთა და დიდგვაროვანთა მისამართით. ასურბანიფალის მიერ გაგზავნილი წერილებიდან იღებდნენ პირებს და ინახავდნენ ბიბლიოთეკის საარქივო განყოფილებაში. პირზე აღნიშნავდნენ იმ მალემსროლის გვარს, ვისი ხელითაც გაიგზავნა წერილი.

სხვადასხვა ფასეულობათა — პირუტყვის, იარაღის, ხორბლის, ტყავის, ღვინის, ქსოვილების გაგზავნისას, თან ატანდნენ თიხის ზედდებულს, სადაც აღნიშნული იყო ტვირთის სახელწოდება, რაოდენობა, ხარისხი და ღირებულება. ზოგიერთ საქონელს ჰკიდებდნენ თიხის საჭდეს, — მეფის არქივში მათთვისაც კი მოიძებნებოდა ადგილი. მონებისა და მონა ქალების გადაგზავნის დროს მათ უელზე ჰკიდებდნენ საჭდეს, სადაც აღნიშნული იყო მონისა და მისი პატრონის სახელი.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ნინევიასი გათხრილი მრავალრიცხოვანი ალუბასტრის ბარელიეფებზე. ვიცით აგრეთვე, რომ გამოსახულებას, როგორც წესი, თან ახლდა წარწერა, რომელიც განმარტავდა ამ გამოსახულებას. ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში ნაპოვნია ამ წარწერის შავი პირი. გასაგებია, თუ რად სჭირდებოდათ ეს პირები. მას ნიმუშად იყენებდნენ ქვისმთლელები, რომლებიც ალუბასტრის ფილებზე კრიდნენ ტექსტს. ასეთი შავად ნაწერები გამოსადეგი იყო ყოველგვარი სხვა წარწერებისათვის — ფრთიან ხარებსა და ლომებზე, მეფეთა სააღლუმო ეტლებზე, ღვთაებათა ქანდაკებებზე, ქვის ობელისკებზე წარწერების გასაკეთებლად.

როცა რომელიმე ტექსტის რამდენიმე ეგზემპლარი გვჭირდება, ჩვენ ხელით როდი გადაწერთ მას. ამ მიზნით ვიყენებთ საბეჭდ მანქანას და ერთბაშად ვიღებთ სამ-ოთხ პირს. ხოლო თუ სამი — ოთხი კი არა, ორმოცი-ორმოცდაათი ეგზემპლარია საჭირო, ასეთ შემთხვევაში საბეჭდი მანქანის გამოყენებას აზრი არა აქვს. უფრო იოლია ტექსტი როტატორზე ან მინით მბეჭდავზე გავამრავლოთ. როდესაც მრავალი ასეული ან ათასეული ანაბეჭდია საჭირო, მივმართავთ საბეჭდ დაზგას. სტამბა იოლად და სწრაფად დაბეჭდავს ნებისმიერი რაოდენობის ეგზემპლარს.



ბეჭედსამუღი საქმის დოკუმენტი. (ბეჭედი — ცენტრში).

როგორ იქცეოდნენ ასურელები, როცა ერთი და იმავე ტექსტის მრავალი პირი სჭირდებოდათ? როგორ მოქმედებდნენ, როცა საჭირო იყო, მაგალითად, სასწრაფოდ დაეგზავნათ მეფის ბრძანებულება ვეებერთელა სახელმწიფოს ყველა კუთხეში? ნუთუ ყოველ ეგზემპლარს ხელით გადაწერდნენ? არა, არ გადაწერდნენ. მშვენივრად იცოდნენ „წიგნის ბეჭდვაც“. ცხადია. იგი არ წავაგვდა საბეჭდ მანქანაზე, როტატორზე, ან საბეჭდ დაზგაზე ბეჭდვის ჩვენს წესს. მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც იბეჭდებოდა წიგნი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. ხდებოდა ტექსტის მექანიკური აღდგენა მრავალ ეგზემპლარად.

იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლებოდა რბილ თხაზე ბეჭდვა, საქმარისია გავიხსენოთ ლუქის ბეჭედი ან ტყავის კლომბი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ვიღებთ ანაბეჭდს ამობურცული ასოებით, რადგანაც ბეჭდებზე ასოები ჩაზნეჭილია. ბეჭედზე რომ ასოები ამობურცული იყოს, ანაბეჭდში მივიღებდით ჩაზნეჭილს. სწორედ ასეთ ბეჭედს იყენებდნენ ასურელები, როდესაც სურდათ ერთი და იმავე დოკუმენტის მრავალი ეგზემპლარის მიღება.

არ გეგონოთ, რომ ეს იყო პატარა ბექედი მოკლე ტექსტაა, როგორცაა ჩვეულებრივი დოკუმენტების მრავალი რეზინის პეკედები. ეს იყო უზარმაზარი შტამპები, ერთი დაწოლით მთელ „გვერდებს“, ე. ი. თიხის ფირფიტის ერთ მხარეს რამ ბექდავდნენ.

თიხაზე სწორი ფორმის ნიშნების მისაღებად, საჭირო იყო შტამპზე ამ ნიშნების შებრუნებული სახით ამოტვიფვრა, ეს გასაგებია. აიღეთ, რომელიც გნებავთ, წიგნი, მიიტანეთ სარკესთან, სცადეთ მისი წაკითხვა. ეს იოლი როდი იქნება — ყველა ასო შებრუნებული გამოჩნდება. თიხის „წიგნების ტექსტი“ შებრუნებული რომ არ გამოუსულიყო, საჭირო იყო შტამპზე ნიშნების შებრუნება.

ძველ შუამდინარეთში ესეც იცოდნენ.

ინტერესსმოკლებული არაა ითქვას, რომ შტამპებს არა მარტო თიხის „წიგნების საბეჭდად“ იყენებდნენ, არამედ ზოგჯერ მიაი საშუალებით მოჭიქურებულ აგურებზეც იღებდნენ ანაბეჭდს. ამ აგურებით აპირკეთებდნენ სასახლეებისა და ტაძრების კედლებს.

რაც უნდა პრიმიტიულად მოგვეჩვენოს წიგნის ბეჭდვის ასურული წესი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ წესს იყენებდნენ სამი ათასი წლის წინათ.

ჯამელი-ცილინდრი

ასურულ შტამპებს უფრო შორეულ წარსულში აქვს ფესვები ვადგმული და უშემრული ცილინდრ-ბეჭდების სახესხვაობას წარმოადგენს.

თავის დროისათვის იგი შესანიშნავი გამოგონება იყო.

მაგარი ქვის — იასპის, აქატის, სარდიონის, ონიქსის ან მთის ბროლის — მომცრო ცილინდრზე ამოჭრიდნენ სხვადასხვა, მეტწილად მითოლოგიური ხასიათის ნახატებს, ბეჭდის პატრონისა და მისი მფარველი ღმერთის სახელს. ცილინდრს ჰქონდა გამჭოლი ნახვრეტი ღერძის გასწვრივ, ნახვრეტში უყრიდნენ ჯოხს და ცილინდრს გააგორებდნენ რბილ თიხაზე. ფირფიტაზე იღებდნენ ნახატისა და წარწერის გარკვეულ ანაბეჭდს.

ყოველ მდიდარ კაცს ძველ შუამდინარეთში ჰქონდა თავისი ცილინდრული ბეჭედი. ამ ბეჭედით ამოწმებდნენ ყოველგვარ დო-



შუმერული ცილინდრული ბეჭედი. მარჯვნივ მისი ანაბეჭდი.

კუმენტს — ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, კონტრაქტებს. ბეჭედი მხარეთა ხელმოწერის მაგივრობას სწევდა. ვისაც საბეჭდავი არ ჰქონდა, დოკუმენტზე თავისი ფრჩხილის ანაბეჭდს ტოვებდა, გვერდით გადამწერი აღნიშნავდა, — „ამა და ამ კაცის ფრჩხილი“. ზოგიერთ ფირფიტაზე გაკეთებულია წარწერა: „ქუმ ქუნუქშუ სუფურშუ იშქუნ“ — „თავისი ბეჭდის ნაცვლად მან ფრჩხილი დასვა“.

ნაპოვნია ათასობით ოსტატურ ნახატებიანი ცილინდრ-ბეჭდები. ზოგჯერ გვხვდებოდა რთული სურათები, რომლებშიც მრავალი მოქმედი პირია. რაც უფრო მდიდარი და დიდგვაროვანია ბეჭდის პატრონი, მით უფრო უცნაურია ნახატები, დახვეწილია ჩუქურთმა და ცილინდრ-საბეჭდავის მასალაც უფრო ძვირფასია. იგი მუდამ კისერზე ან ქამარზე ეკიდათ. როცა ფირფიტაზე ცილინდრ-ბეჭდის ანაბეჭდი გვხვდება, არაასირიოლოგსაც კი დაბეჭითებით შეუძლია თქვას, რომ ეს არის ხელშეკრულება, კონტრაქტი, შეთანხმება, ხელწერილი — ერთი სიტყვით, რაღაც საქმიანი დოკუმენტი.

ეს დოკუმენტები ძალიან დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი არა მარტო ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში, არამედ სამეფო, საეკლესიო და კერძო არქივებშიც.

ტაძრების არქივებში ინახებოდა ათობით და ასობით ათასი თიხის ფირფიტა. მაგალითად, ბაბილონის მახლობლად, ნიფურის ტაძარში დაცული იყო სამი ათასწლეულის განმავლობაში შეკრებილი ათასზე მეტი დოკუმენტი! ესენია ტაძრის შემოსავლისა და გასავლის ნუსხები, შემოწირულებათა და საჩუქრების, სახლების მშენებლობისა და შეკეთების, ხეების დარგვის, მინდვრების მოწყვის, პირუტყვის ყიდვა-გაყიდვის, ტანსაცმლის წარმოებისა და სხვა მრავალი ანგარიში.

ასევე მდიდარია ჩელიციური და სამეცნიერო განყოფილებები, საიდანაც ასურბანიფალის ბიბლიოთეკისათვის მრავალი წიგნის პირი გადაიღეს.

მაგრამ ნიფურის ტაძარში მაინც მხოლოდ არქივი იყო და არა ბიბლიოთეკა. ლურსმულით ნაწერი ფირფიტები აქ თავს იყრიდა თანდათანობით ათასწლეულთა მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში ტაძარი მრავალჯერ დაინგრა, მრავალგზის აღადგინეს, გააფართოვეს და გადააკეთეს. განაახლეს, ზოგჯერ იმავე ადგილზე სრულიად ახალ შენობას აგებდნენ. თუმცა ამ გადაკეთებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია არქივის ბედზე. მას საგულდაგულოდ უფრთხილდებოდნენ, გადაჰქონდათ ძველი შენობიდან ახალში, ავსებდნენ ახალი წიგნებით, ბოლოს იმდენად გაიზარდა, რომ 80 ოთახი დასჭირდა. ოთახების ფართობი თითქმის სამ ჰექტარს აღწევდა.

კარგად იმუშავეს თიხის წიგნების უცნობმა ავტორებმა, ზოგი მათგანის სახელი ჩვენთვის ცნობილია, რადგან მოხსენებული არიან ფირფიტებში. ისინი თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას ეწეოდნენ და ალბათ არც კი ფიქრობდნენ, თუ რა დიდ სამსახურს უწევდნენ ისტორიას. არ იცოდნენ, რომ ათასწლეულთა გავლის შემდეგ მეცნიერები დაიწყებდნენ მათი ნაწერების გარჩევას, გაურკვეველ ხელნაწერზე ბევრ შრომას დახარჯავდნენ, ხოლო კალიგრაფიული ნაწერი დიდ სიამოვნებას მიანიჭებდათ.

აღსანიშნავია, რომ გადამწერთა შორის იყვნენ თავისი საქმის ოსტატები, რომლებსაც თავი მოჰქონდათ დიდი ხნის წინათ ხმა-რებიდან გამოსული ძველებური ხვეული ნიშნების ცოდნით.

ამ მხრივ, განსაკუთრებით სახელგანთქმულნი იყვნენ ასურბან-
ნიფალის ბიბლიოთეკის მწერელები.

თიხის წიგნების წყალობით გაცილებით უკეთ შევისწავლეთ სა-
მი ათასი წლის წინათ მომხდარი ამბები, ძალიან დიდი ხნის წინათ
ისტორიის ასპარეზიდან გამქრალი შუამდინარეთის ხალხების ცხოვ-
რება, ვიდრე ჩვენთვის ბევრად უფრო ახლო ეპოქისა. თიხის წიგ-
ნების წყალობით შეგვიძლია აღვადგინოთ ძველი ასურეთის ცხოვ-
რების სურათი და გავითვალისწინოთ ყოფის, ზნეობის, სარწმუნო-
ების, ჩვევების მრავალი წვრილმანი. შეგვიძლია აღვადგინოთ ას-
ურეთის ისტორიის ამბები, ჩავწვდეთ ძველი ხალხების სოციალ-ეკო-
ნომიურ ურთიერთობებს. გავეცნოთ მათ კულტურას, მეცნიერებას.
ხელოვნებას.

ამ საქმეში ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს ნინევიის ბიბ-
ლიოთეკა. იგი იქნება ჩვენი მეგზური იმ მოვლენათა რთულ ლაბი-
რინთში, რომლებიც დაკავშირებულია ასურეთის მეფის ასურბანი-
ფალის სახელთან.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ნიწევიის ბიბლიოთეკის მფლობელი და მისი ეპოქა

ასურბანიფალი საკუთარი პიროვნების შესახებ

„მე, ასურბანიფალი, ღმერთ ამურისა და ქალღმერთ ბელითის ქმნილება, მემკვიდრე პრინცი... დავეუფლე ღმერთ ნაბუს სიბრძნეს... ავითვისე მთელი ხელოვნება დამწერლობისა, ყველა ოსტატის წერის ხელოვნება. ვისწავლე მშვილდით სროლა, ცხენზე ჯდომა, ეტლის მართვა, სადავეების პყრობა. დიდი ღმერთების ბრძანებით, რომელთა სახელებიც ვახსენე, და რომელთა დიდებაც აღვაველინე, მე ვარ უძლიერესი კაცთაგანი, ღმერთ ამურისა და ქალღმერთ იშთარის რჩეული...“

ასეთი საზეიმო და მაღალფარდოვანი ტონით იწყებს თავის ანალებს ნინევიის ბიბლიოთეკის მფლობელი. ვერ ვიტყვით, რომ იგი განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოირჩევა. მათიანეები სავსეა ბაქიობით, როცა აღწერილია სამხედრო ლაშქრობები, ჩამოთვლილია მღიღარი ნადავლი, როცა ისინი მოგვითხრობენ სისხლიან და სასტიკ ანგარიშსწორებაზე ურჩთა მიმართ.

ყოველივე ეს შეზავებულია მაღალფარდოვანი განცხადებებით იმაზე, რომ მისი მმართველობის პერიოდი ასურეთისათვის იყო ოქროს ხანა, ყველგან სუფევდა სვესვიანობა და ბარაქა.

ასურბანიფალი გაკვირვებას გამოთქვამდა, რატომ არ ემორჩილებოდნენ მას დაპყრობილი ქვეყნები მასობრივი მკვლელობებისა და ძალადობისათვის, ქალაქების გადაბუგვისა და მათი ქონების დატაცებისათვის, აყვავებული ოლქების უდაბნოდ ქცევისათვის... პირიქით, ისინი აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ; ისწრაფვოდნენ გადაეგდოთ ასურეთის ბატონობის საძულველი უღელი; სულ უფრო და უფრო არყევდნენ ასურბანიფალის სამხედრო-პარაზიტულ სა-

ხელმწიფოს და, ბოლოს და ბოლოს, სრულ კატასტროფამდე მიიყვანეს იგი.

ასურბანიფალი იყო ასურეთის უკანასკნელი დიდი მეფე. მისი სიკვდილიდან ორი ათეული წლის შემდეგ ასურეთი გაანადგურეს და სახელმწიფომ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

ეს მით უფრო საოცრად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სწორედ ასურბანიფალისა და მისი წინაპრების მეფობის დროს, სულ რაღაც ასოცდაათი წლის განმავლობაში, ასურეთმა მიაღწია ძლიერების მწვერვალს, შთანთქა ყველა მეზობელი, ახლობელი თუ შორეული. არა მარტო აზიის, არამედ აფრიკის მატერიალზეც. ასურეთი უძლეველი ჩანდა. მისი სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა გარშემო მცხოვრებ ხალხებს. და მოულოდნელად ასე სწრაფი დაცემა... სრული სამხედრო და პოლიტიკური განადგურება, რომლის შემდეგაც იგი წელში ვეღარ გაიმართა.

როგორ მოხდა ეს? რატომ იყო გარდუვალი კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიო ბატონობის პირველი პრეტენდენტის — ასურეთის სახელმწიფოს დაღუპვა?

ამ საკითხებზეც კი პასუხს თიხის წიგნები იძლევა.

არმიის რეორგანიზაცია

ძვ. წ. 745 წელს, ასურეთის ტახტზე ავიდა ტიგლათფილესერ III. მის გამეფებას დიდი სოციალური, სამხედრო და პოლიტიკური რეფორმები მოჰყვა. ასურეთის სახელმწიფოს მიზნები კი იგივე დარჩა — საკუთარი და, რაც მთავარია, სხვა ხალხების ძარცვა. აზიაში, — წერდა კ. მარქსი, — უხსოვარი დროიდან არსებობდა მმართველობის მხოლოდ სამი დარგი: საფინანსო, უწყება, ანუ საკუთარი ხალხის ძარცვის უწყება, სამხედრო უწყება ანუ მეზობელი ხალხების ძარცვის უწყება, და ბოლოს საჯარო სამუშაოების უწყება¹. მაგრამ ამ მიზნების მიღწევის მეთოდები, რასაც ტიგლათფილესერ III იყენებდა, არსებითად შეიცვალა.

ადრე ყოველი მეომარი საკუთარი იარაღითა და ფორმით უნდა

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 347, 1932, (რუს).

გამოცხადებულიყო ლაშქრობაში. უფრო მეტიც, მას თვითონვე უნდა ეშოვა საკვებიც. გასაგებია, რომ სამხედრო სამსახურში შესვლა მხოლოდ შეძლებულ ხალხს შეეძლო.

ტიგლათფილესერმა შექმნა მუდმივი არმია სახელმწიფოს ხარჯზე. მან ფართოდ გაუღო თავისი ლეგიონების კარი გაღარიბებულ მოქალაქეებს. ამ გზით მან მოკლე დროში შექმნა მრავალრიცხოვანი არმია, რომლის მსგავსი ასურეთს არასოდეს ენახა.

ტიგლათფილესერის ჯარების ორგანიზაციული სტრუქტურა გაცილებით სჯობდა ძველს. წინათ ყოველი მეომარი რითაც შეეძლო, იმით იარაღდებოდა, ეს დამოკიდებული იყო მისსავე სახსრებზე. დიდკაცობა არმიაში მიდიოდა საკუთარი საომარი ეტლით, რომელშიც წყვილი კარგი ცხენი ება. ნაკლებად შეძლებულთ მიჰყავდათ საჯდომი ცხენები და მხედრები ხდებოდნენ. მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ლაშქარი შევსებას იღებდა საშუალო შეძლების ხალხისაგან, უმეტესობა კი მსუბუქად ცხადდებოდა — მშვილდისრით, ან უბრალოდ — მძიმე კომპლით. ეტლოვნებსა და ქვეით ჯარს შორის თანაფარდობა შემთხვევითობაზე იყო დამოკიდებული.

ტიგლათფილესერ III-მ დააწესა მტკიცე თანაფარდობა სხვადასხვა სახეობის მხედრობას შორის. ერთ ეტლზე მოდიოდა ორი მხედარი, ოთხი მძიმედ შეიარაღებული და რვა მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი.

ასეთმა წყობამ არაჩვეულებრივად გაზარდა ასურეთის არმიის შეტევეთი ძლიერება. იგი მთელი ძველი აღმოსავლეთის რისხვად იქცა.

ლაშქრის ყველაზე უფრო მოძრავი სახეობა იყო ცხენოსანი ჯარი, მას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მხედრები იჭრებოდნენ მოწინააღმდეგის ქვეით ჯარში, ირგვლივ შიშის-ზარს სცემდნენ, სიკვდილს თესავდნენ, კაფავდნენ მტერს, თელავდნენ ცხენების ფლოქვებით, არევ-დარევა შეჰქონდათ მათ რიგებში.

ასურელ ცხენოსანთა შეტევას ვერავინ უმკლავდებოდა, იგი დიდ როლს ასრულებდა აგრეთვე დამარცხებული და უკანდახეული მტრის დევნისას. ცხენოსანი ლაშქარი სწრაფად სდევნიდა მათ. არ არჩევდა გზებს, ცურვით გადადიოდა წყალში. მას ვერსად გაექცეოდი.

ტიგლათფილესერ III-მდე ცხენოსან ლაშქარს ასეთი მასშტაბით ჯერ არავინ იყენებდა. ეს გარემოება დიდ ტაქტიკურ უპირატესობას ანიჭებდა მას მოწინააღმდეგეთა არმიების წინაშე.

გაჩნდა აგრეთვე განსაკუთრებული „საინჟინრო“ ნაწილები. მათ ევალებოდათ გაემართათ მდინარეებზე გადასასვლელები და ხიდები ეტლებისა და საბარგულებისათვის, გაუყენათ გზები, გაეკეთებინათ განაკაფები ტყეებში, ჩაეღორღათ ჭაობები, ძირი გამოეთხარათ ალყაშემორტყმული ქალაქის კედლებისათვის, აღემართათ შიწაყრილები, რათა მოიერიშე ჯარს საშუალება ჰქონოდა პირდაპირ შებრძოლებოდა ალყაშემორტყმული ქალაქის დამცველებს. მებრძოლი ნაწილები თავისუფლდებოდნენ მძიმე, „შავი“ საქმისაგან და საშუალება ეძლეოდათ ეკეთებინათ თავიანთი პირდაპირი საქმე, ე. ი. ებრძოლათ. მესანგრეთა ყველა სამუშაოს ახლა მოლაშქრენი, ხოლო ნაწილობრივ სამხედრო ტყვეები ასრულებდნენ, რომლებსაც „საინჟინრო“ ჯარებშიც იყენებდნენ.

გაძლიერდა არმიის ტექნიკური აღჭურვილობა, პირველად გაჩნდა თავისებური საარტილერიო იარაღი, ეგრეთწოდებული ლოღ-მტყორცნები.

ეს იყო მარტივი, მაგრამ იმ დროისათვის საშინელი იარაღი. სახელურისა და მსხვილად შეგრეხილი ჩალიჩების დახმარებით, რომლებსაც ხარის ძარღვებისაგან ამზადებდნენ, მძიმე, ათკილოგრამიან ქვის „ყუმბარას“ ტყორცნიდნენ ხუთასი მეტრის მანძილზე. ზოგჯერ ქვებთან ერთად მტრის ციხე-სიმაგრეს უშენდნენ ცეცხლგამჩენ „ყუმბარებს“ — ცეცხლმოკიდებული ფისით საესე ჭურჭლებს. დატემის დროს თიხის ჭურჭელი იმსხვრეოდა, ცეცხლმოკიდებული ფისი იღვრებოდა და ხანძარს უჩენდა ხის ნაგებობებს. ხანძარი პანიკას იწვევდა ალყაშემორტყმულთა შორის და ასუსტებდა მათ წინააღმდეგობას.

კიდევ ერთმა ტექნიკურმა სიახლემ ჰპოვა მასობრივი გავრცელება ასურეთის არმიასში. ეს იყო ურნალი ანუ კედლის სანგრევი იარაღი. ალყის დროს მათ მიაყენებდნენ ქალაქის კედელს და შეანგრევდნენ, ამ შენგრეული კედლიდან ქალაქში მოიერიშე რაზმები შედიოდა.

ასურელთა ურნალის მოქმედების პრინციპი მოგვაგონებს ჩვე-

ნებურ საქანელას. მაღალ ხარაჩოზე ჰკიდებდნენ მორს, რომელსაც წვერზე ლითონის ბუნიკი ჰქონდა წამოცმული. ათობით ხელი აქანებდა ამ მორს. იგი დიდი ძალით სცემდა კედელს, ანგრევდა ფშენიდა აგურს და, ბოლოს და ბოლოს, კედელს ხვრეტდა.

მთელი ეს მოწყობილობა დაფარული იყო ხის სახურავით, რაც იცავდა მოიერიშეებს ალყაშემორტყმულთა ისრებისა და ქვებისაგან.

ურნალი ბორბლებზე იდგა და ადვილად გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე.

შორს გამიზნული პოლიტიკა

სამხედრო გარდაქმნებზე არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ასურეთისათვის ტიგლათფილესერ III-ის პოლიტიკურ რეფორმებს. მისი წინაპრები შეუბრალებლად ხოცავდნენ მტრის ჯარისკაცებს არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ მას შემდეგ, როცა ისინი იარაღს ყრიდნენ და ტყვედ ნებდებოდნენ. ისინი დაუნდობლად ანადგურებდნენ დაპყრობილი ქვეყნების მშვიდობიან მოსახლეობას, ბავშვებსა და ქალებს, ანგრევდნენ სოფლებსა და ქალაქებს. ვინც ცოცხალი გადარჩებოდა, ბორკილებს ადებდნენ და მონებად აქცევდნენ.

საშინელი სანახავი იყო ის ადგილები, სადაც ფეხს დაადგამდა ასურული ჯარისკაცი. დანგრეული და გადამწვარი სახლები, ყანები, გათელილი, ბაღები და ვენახები გაჩეხილი... აი, ასურეთის მეფეთა მატრიანების ჩვეულებრივი ფორმულა: „ალყა შემოვარტყი, დავიპყარი, დავამსხე, დავანგრეი, გადავბუგე ცეცხლით და ვაქცეე უდაბნოდ და ნანგრევებად“.

ეს არ იყო ლიტონი ფრაზა. ცნობილია, მაგალითად, რომ ტიგლათფილესერ III-ის ერთ-ერთმა წინამორბედმა სალმანასარ II-მ თავისი მეფობის პირველ შვიდ წელს პირისაგან მიწისა აღგავა 900 დასახლებული პუნქტი. ასე იავარპყვეს ის მიწები, რომლებიც ასურეთმა შეიერთა. ცხადია, მტრის ტერიტორიის გაპარტახება უფრო დიდ მასშტაბებს აღწევდა.

ტიგლათფილესერ III შეცვალა დაპყრობილ ხალხებთან დამოკიდებულება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უფრო ჰუმანური გახდა. სრულიადაც არა: ასეთი დამოკიდებულება ახლა უფრო შეესაბამებოდა ასურეთის სახელმწიფო ინტერესებს.

ასურეთისათვის საჭირო იყო ხალხი. გაუთავებელი ომების შედეგად მცხოვრებთა რაოდენობა კატასტროფულად მცირდებოდა. უზარმაზარი დანაკარგების შევსება შესაძლებელი იყო მხოლოდ გადმოსახლებულთა ხარჯზე. ტიგლათფილესერ III კარგად ჰქონდა შეგნებული ეს.

იგი მიხვდა, რომ ვერც მასობრივი დასჯა, ვერც ტყვეების მორეკვა ვერ იხსნის ასურეთს. საჭირო იყო სხვა ღონისძიებანი, და მან გადაწყვიტა, შესდგომოდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მასობრივ იძულებით გადმოსახლებას მთელი თავიანთი ქონებით, საქონლითა და ბარგი-ბარხანით.

ეს გახლავთ შორსგამიზნული პოლიტიკა, ერთი მხრივ, იგი ართმევდა დაპყრობილ ოლქებს ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ ასურეთის წინააღმდეგ კვლავ აჯანყებულიყვნენ. მშობლიურ მიწას მოწყვეტილნი და სამშობლოდან ასობით კილომეტრით გადაკარგულნი, დამპყრობთა აზრით, დაკარგავდნენ ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარს, განიცდიდნენ ასიმილაციას და აირეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

მეორე მხრივ, გადმოსახლებულთ უნდა შეეფასათ ადამიანთა დანაკლისი, რაც მეტად საჭირო იყო ასურეთისათვის. მისი ქალაქები დაცარიელდა, მინდვრები დაუმუშავებელი რჩებოდა, ყველგან ჩანდა გავერანებისა და ნგრევის კვალი. ასურეთი ღრმა კრიზისს განიცდიდა, რაც ემუქრებოდა მის არსებობას.

ამ დროს საზღვრებზე გამოჩნდნენ მრისხანე მტრები: ჩრდილოეთით — ურარტუ, ჩრდილო-აღმოსავლეთით — მიდიელთა ტომები. სირია დაკარგეს. ახალი რეკრუტებით შევსება არმიისა, რომელზეც დაფუძნებული იყო ასურეთის სახელმწიფოს ძლიერება, სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა.

ტიგლათფილესერ III განსაკუთრებით აწუხებდა ჩრდილოელი მეზობლის — ურარტუს სამხედრო და პოლიტიკური წარმატებანი. ამ სახელმწიფომ ძვ. წ. VIII საუკუნის შუა ხანებში თავისი ძლიე-

რების ზენიტს მიაღწია. რაღაც ასიოდე წლის განმავლობაში იგი მრჩანანე მეტოქედ იქცა. ურარტუმ შორს გასწია თავისი საზღვრები ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ჩრდილოეთი სირიის შემოერთებით მან გადაჭრა მნიშვნელოვანი. სავაჭრო გზები, რომლითაც ასურეთი დაკავშირებული იყო ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან.

როგორც სისხლის გ. დასხმა კმატებს ახალ ძალებს დასუსტებულ ორჯ. ზმს, ისე ასიათასობით გაღმოსახლებულთ, რომლებსაც და-



სარგონი თვალს
თხრის ტყვეებს.

მორჩილებული ქვეყნებიდან მოერეკებოდნენ და ახალ ადგილებზე ასახლებდნენ, უნდა შეემატებინათ ახალი ძალა დაცემის პირად მისული ქვეყნის ეკონომიკისათვის.

აი რატომაა, რომ ასურეთის მეფეთა მატრიანებში ტიგლათფილესერ III-დან მოკიდებული ჩვეულებრივ ძველ გამოთქმებთან ერთად („მე ალყა შემოვარტყი, დავიპყარი, დავამხე, დავანგრეე, ცეცხლს მივეცე, უღაბნოდ და ნანგრევებად ვაქციე“), ვხვდებით ახალ ფორმულას: „ამდენი და ამდენი ადამიანი წამოვიყვანე და მივუმატე ასურეთის მოსახლეობას“.

გაღმოსახლება მასობრივად ხდებოდა და ისტორიაში მანამდე არჩანულ მასშტაბებს აღწევდა. მაგალითად, ტიგლათფილესერ III ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ ასურეთში გადაასახლა 154 ათასი კაცი. ასურეთის მეორე მეფემ — სარგონ II — 90 ათასი, ხოლო ასურბანიფალის პაპამ სინაქერიზმა — 200 ათას კაცზე მეტი. და ეს მხოლოდ ერთი სამხედრო ლაშქრობის შემდეგ!

მრავალრიცხოვან ბარელიეფებს შორის, რომლებიც ამკობდა შესახლებების კედლებს, ვხედავთ მოსახლეობის გარეკვისა და მასობრივი გაღმოსახლების რეალისტურ სურათებს.

აი, ერთმანეთს მიჰყვება ბარგი-ბარხანით დატვირთული ურმები, მწყემსები მიერეკებიან ჯოგს, მილასლასებენ დაღლილი, არაჩათვა-

მოცლილი ქალები და ბავშვები: ბოლო არ უჩანს დამქანცველ გზას; ვინ იცის, რამდენ კვირას დაჰყოფენ გზაში.

ასობით და ათასობით ადამიანი ალბათ გზაში დაიღუპება ავადმყოფობით, შიმშილით და წყურვილით. მაგრამ დანარჩენები დაპყვიდრდებიან ახალ ადგილებში. მომავალი თაობა დაივიწყებს მამაპაპათა ენას და წეს-ჩვეულებებს, იქცევა ასურელებად, ერთგულ სამსახურს გაუწევს დამპყრობლებს, ვინც 'ცეცხლსა და მახვილს' მისცა მათი წინაპრების კერა.

ასე ფიქრობდნენ ასურეთის მბრძანებლები. თუმცა მათ ვარაუდებს როდი ეწერა გამართლება. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ტიგლათფილესერ III ღროებით გამოიყვანა ასურეთი ღრმა კრიზისიდან, რასაც ძვ. წ. IX და VIII საუკუნეებში განიცდიდა. ასურეთმა პირველობა მოიპოვა ძველ აღმოსავლეთში. მისი გადახლსეხული და მრავალრიცხოვანი რეკრუტებით შეესებულნი არმა-გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა ყველა მიმართულებით.

პირველი დარტყმა თავს დაატყდა ურარტუს — ასურეთის სამეფოს მრისხანე მეტოქეს. ტიგლათფილესერ III ყოველწლიურად შეჰყავდა თავისი პოლკები ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის მთებსა და ფლატეებში და ურარტელებს დამარცხებას დამარცხებაზე აგვიშვებდა.

შემდეგ ტიგლათფილესერ III ილაშქრებს აღმოსავლეთით, მოუსვენარი მიდიელი ტომების წინააღმდეგ. შედარებით იოლად ახერხებს მომთაბარეთა დამორჩილებას და ბოლოს უღებს მათ გამანადგურებელ შემოსევებს.

ტიგლათფილესერ III „ეხმარება“ ბაბილონეთს, სადაც სამხრეთიდან შეიჭრნენ არამეელთა და ქალდეელთა ტომები, ამარცხებს მათ და ასახლებს აღმოსავლეთში. ეს „დახმარება“ კი ბაბილონეთმა დამოუკიდებლობის დაკარგვით ზღო. ამის შემდეგ იგი შეიჭრება ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიაზე და იმორჩილებს მას. ამრიგად, ასურეთმა კვლავ მიიღო ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელი და ხელთ იგდო უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები. დაბოლოს, ძვ. წ. 732 წელს ტიგლათფილესერ III გასტეხა დამასკოს ხანგრძლივი და შეუპოვარი წინააღმდეგობა და გზა გაუხსნა ასურეთის ჯარებს პალესტინისა და ეგვიპტისაკენ.

ასურეთის მთელი შემდგომი ისტორია — ეს არის სისხლისმღვრელ ბრძოლათა და მძარცველურ ლაშქრობათა უწყვეტი ჯაჭვი.

ტიგლათფილესურ III-ის შეიღს საღმანასარ V-ს, რომელიც რალაც ხუთიოდე წელს მეფობდა, სამი წლის განმავლობაში ალყაშემორტყმული ჰქონდა სამარია. მისმა მემკვიდრემ სარგონ II (არუნდა შეგვეშალოს სარგონ აქადელში, რომელიც თექვსმეტი საუკუნით ადრე ცხოვრობდა) დაასრულა ამ მიუვალი ციხე-სიმაგრის განადგურება. იგი ებრძვის ეგვიპტეს და ეთიოპიას, ებრძვის ქალდეელებს ჰბაბილონეთის ხელში ჩასაგდებად.

თავისი მეფობის მერვე (ძვ. წ. 714) წელს სარგონ II-მ წამოიწყო დიდი ლაშქრობა ურარტუს წინააღმდეგ.

მოწინააღმდეგეს რომ მოულოდნელად დასხმოდა თავს, იგი პირდაპირ როდი დაიბრა ჩრდილოეთისაკენ, არამედ ღრმა შემოვლითი მანევრი განახორციელა. იგი გაეშურა აღმოსავლეთისაკენ, თითქოს მიდიის დასალაშქრავად მიდიოდა. შემდეგ მოულოდნელად, ღამით, მკვეთრად შეცვალა მიმართულება და რჩეულ ცხენოსან ათასეულებს წაუძღვა ჩრდილო-დასავლეთით ურმიის ტბისკენ. მისი ჯარები თავს დაესხნენ ურარტუს მეფის რუსა II მძინარე ბანაკს. ურარტელებს არავითარი ეჭვი არ ჰქონდათ ასურელთა სიახლოვეზე. მტერმა ვთლიანად მოსრა ისინი. ამის შემდეგ სარგონ II ისე გაიარა მთელი ქვეყანა, რომ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია. გზადგზა არბევდა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს. უკან გამობრუნებისას დაანგრა ურარტელთა წმინდა ქალაქი მუსასირი, აქ მან დიდძალი ნადავლი იგდო ხელთ.

ომები შემოსავლიან საქმედ იქცა. იგი იძლეოდა ათიათასობით მონას და გადმოსახლებულთ. ასრათასობით პირუტყვს, ხის ძვირფას ჯიშებს მშენებლობისათვის, ოქროს, ვერცხლს, სპილენძს და სხვა ლითონს.

წარმატებით დაგვირგვინებული ყოველი ლაშქრობის შემდეგ ასურეთისაკენ მიემართებოდა დიდძალი საქონლით დატვირთული უთვალავი ქარავანი. ხარბ დამპყრობლებს მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ.

აი, პატარა ნაწყვეტი ასურბანიფალის პაპის სინაქერობის მატრი-

ანიდან: „ორას რვა ათასი კაცი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ცხენები, ჭორები, ვირები, აქლემები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და უთვალავი ცხვარი — დიდი ნადავლი — ვიგდე ხელთ და (წავიღე) ასურეთში. ჩემი ლაშქრობის დროს ქალაქ ხარარათეს მმართველ ნაბუ-ბელშუმათესაგან მივიღე მძიმე ხარკი: ოქრო, ვერცხლი, დიდი თუთის ხეები, ვირები, აქლემები, მსხვილფეხა რქიანი საქონელი და ცხვრები“.

ასურელთა ლაშქრობების მძარცველური მიზნები აქ მხილებულია დაუფარავი ცინიზმით.

ჩვენ არ შევუდგებით ასურეთის მეფეთა უთვალავი ბრძოლებისა და ომების აღწერას, რომლებიც წინ უსწრებდა ასურბანიფალის მეფობას, აქ შეეჩერდებით მხოლოდ სარგონ II შვილის სინაქერიბის ერთ-ერთ უკანასკნელ ლაშქრობაზე ბაბილონის წინააღმდეგ.

ხალხლის ბრძოლა

ბაბილონეთი თავისი უძველესი კულტურითა და თავისუფლები-სადმი დაუოკებელი მისწრაფებით განსაკუთრებით საძულველი იყო ასურეთის მონარქებისათვის. მისი შეუწინაღებელი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის გამოხმაურებას პოულობდა ათასობით და ათათასობით დამორჩილებულთა და დამონებულთა გულში — ასურეთის უზარმაზარი სამეფოს ყველა კუთხეში. ბაბილონეთი მათ უღვივებდა იმედს, რომ თავს დააღწევდნენ უცხოელ დამპყრობთა მონობის უღელს. აი, რატომ ცდილობდნენ ასურეთის მეფეები რა-დაც უნდა დასჯდომოდათ დაემორჩილებინათ ბაბილონეთი, დაემ-ცირებინათ იგი, წაერთმიათ მისთვის ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც მას წინა აზიის რელიგიურ და კულტურულ ცენტრად ჰქონდა, ექციათ იგი ასურეთის უბრალო პროვინციად. ასურეთის მეფეთა აზრით, ეს იქნებოდა კარგი მაგალითი ყველა სხვა ხალხის-თვის, რომელთაც სასტიკად სძულდათ თავიანთი დამმონებელნი.

სინაქერიბის დროს ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა. საკმარისი იყო ასურელებს თუნდაც მცირე მარცხი განეცადათ რომელიმე ფრონტზე, — ასურელები კი თითქმის შეუწყვეტლივ იბრ-

ძოდნენ მრავალ ფრონტზე ერთდროულად, — რომ ბაბილონელები ისევ და ისევ ჭანყდებოდნენ, იმბრობდნენ მოკავშირეებს, ქმნიდნენ სხვადასხვა კოალიციებს. ბაბილონელთა მოკავშირეებს შორის ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ვხვდებით ეგვიპტელებსაც, ფინიციელებსაც, სირიელებსაც, ელამელებსაც. განსაკუთრებით ხშირად, იბრძოდნენ მხარდამხარ საერთო მტრის წინააღმდეგ ბაბილონელები და ელამელები.

თიხის „წიგნებმა“ შემოგვიჩვენებს ხალხლის ცნობილი ბრძოლის მხატვრული აღწერა (ხალხლი იყო ქალაქი მდინარე ტიგროსზე ბაბილონის ჩრდილოეთით). აქ გაანადგურეს ელამელთა, ბაბილონელთა და ქალდეელთა ანტიასურული კავშირი. ეს აღწერა ასურეთის საისტორიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია. მივცეთ სიტყვა ძველ მემატრიანეს (მოგვითხრობს სინაქერიბი. მაგრამ, ცხადია, ასურეთის უწიგნური მეფე როდია ამ ანალების ავტორი).

„გაზაფხულზე შემოსეული უთვალავი კალიებივით დაიძრნენ ისინი შეერთებული ძალით ჩემთან შესაბამელად. მათი ფეხისაგან [აყენებული] მტვერი გადაეფარა ჩემს წინ ცის კაბადონს, ვითარცა მძვინვარე ქარიშხალი... ტიგროსის სანაპიროზე ქალაქ ხალხლის მახლობლად ისინი დაეწყვნენ საბრძოლო რიგებად და გადამიღობეს გზა [და] ლესავდნენ თავიანთ იარაღს.

მე შევევედრე აშურს, სინს, შამაშს, ბელს, ნაბუს, ნერგალს, იშთარ ნინევიელს, იშთარ არბაიელს — ჩემს მფარველ ღმერთებს, რათა მოეცათ ძლიერა ძლიერ მტერზე. მათ დაუყოვნებლივ ისმინეს ჩემი ვედრება და მომეშველნენ.

ლომივით გამძვინვარებულმა ჩავიცივი ჯავშანი და დავიდგი თავზე საბრძოლო მუზარადი, მრისხანებით აღსავსე სწრაფად გავემუჩრე საომარი ეტლით, რომელიც თავზარს სცემდა მტერს.

ავიტაცე აშურის მიერ ნაბოძები მძლავრი მშვილდი, ხელთ ავიღე მომაკვდინებელი იარაღები, გაშმაგებით დავჭექე, ვუხმობდი მხედართ ბოროტი მტრის ჯარების წინააღმდეგ. მე ვგრავინავდი როგორც (ქექა-ქუხილის ღმერთი) ადადი. დიდი მეუფის, ჩემი ბატონის, აშურის, ბრძანებით ვეკვეთე მტერს ფრონტიდან და ფლანგებიდან, ვითარც მრისხანე ქარიშხალი.

ჩემი მეუფის, აშურის, იარაღით და ფიცხელი შემტევი ბრძო-

ლით მე ვაიძულე ეჩვენებინათ ზურგი და დაეხიათ უკან. მტრის, მებრძოლებს ვმუსრავდი სათხედებითა და ისრებით, მათი გვაშეშებდა ცხავივით დავცხრილე. მე ვაგემე დამარცხება ხუმბანუნდაშს, ელამ-ელთა მეფის დაქირავებულ პირს, ნდობით აღჭურვილ კაცს, მისი ჯარების მთავარსარდალს და დიდ იმედს. შებოარკილი მსუქანი ხარებივით სწრაფად გავვლიტე მე ისინი თავიანთ [ხუმბანუნდაშის] თავადებთან ერთად, რომელთაც წელთ ერთყათ ოქროს ხანჯლები და ხელები წითელი ოქროს ბეჭდებით ჰქონდათ დაფარული. მე მათ კრავებივით გამოვლადრე ყელი და ძაფივით გავწყვიტე მათი ძვირფასი სიცოცხლე.

...მისი დანარჩენი დიდკაცობა (ბაბილონეთის მეფის) მეროდახ-ბალადანის შვილთან — ნაბუშუმშიშქუნთან ერთად, რომლებსაც შეეშინდათ ბრძოლისა და ხელები ასწიეს, ცოცხლად დავატყვევეე გახურებული ბრძოლის დროს. ბედის ანაბარად მიტოვებული ცხენ-შებშული ეტლები, რომელთა პატრონები შეტევისას დახოცეს, წინ და უკან დაქროდნენ უთავბოლოდ.

ხოცვა-ყლელთა შევწყვიტე მხოლოდ ორჯერ ორმაგი საათის გასვლის შემდეგ [როდესაც დადგა] დამე. თვით უმანშენანუ, ელამელთა მეფე, ბაბილონის მეფესა და ქალდეელ თავადებთან ერთად, რომლებიც მათ მხარეზე იბრძოდნენ, თავზარდაცემულნი იყვნენ ბრძოლის საშინელებით... მათ მიატოვეს თავიანთი კარვები და გაიქცნენ. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ისინი ფეხით თელავდნენ თავიანთი მეომრების გვამებს. გადადიოდნენ [ზედ]. მათი გული ფართხალებდა დაჭერილი მტრედის გულივით. კბილს კბილზე აცემინებდნენ.

მე ჩემი ცხენ-შებშული ეტლები დავადევნე მათ, და ოტებულთ, გაქცევით რომ ცდილობდნენ თავის გადარჩენას, იარაღით ხოცავდნენ იქ, სადაც მისწვდებოდნენ“.

ამ ნაწყვეტში, ისე როგორც სინაქერიბის მატიანეთა თითოეულ ფრაზაში, ნათლად ჩანს ასურელ მონათმფლობელთა, გულგრილ მკვლელთა მხეტური სახე, რომელთათვისაც ომი პროფესიად იქცა.

ბაბილონის დანგრევა

ხალულთან გამარჯვებამ, რაც ასურელებმა მოიპოვეს ძვ. წ. 691 წელს, შესაძლებლობა მისცა სინაქერიბს განეხორციელებინა დიდი

ზნის ჩანათყვი შურისძიებისა. თავისი სიმკაცრით მან გადააჭარბა ყოველივეს, რაც ასურეთის საისტორიო მატრიანეებიდან იყო ცნობილი.

689 წელს სინაქერიბმა ბაბილონისკენ დაძრა თავისი რაზმები, გატეხა მისი დამცველების შეუპოვარი წინააღმდეგობა და აიღო იგი. ათიათასობით მცხოვრები გაელიტეს, დანარჩენები მონებად გარეკეს, ან გადაასახლეს. სინაქერიბმა დაპყრობილი ქალაქი გასაძარცვად გადასცა თავის მეომრებს.

დიდხანს გაგრძელდა ძარცვა და ძალმომრეობა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ბაბილონის — ასურულ-ბაბილონური ცივილიზაციის აკვნის — სრული განადგურებისა.

როდესაც ქალაქის აურაცხელი საგანძური გაზიდეს, სინაქერიბმა ბრძანა, დაენგრიათ მშვენიერი ძველი დედაქალაქის თითოეული შენობა, თითოეული უბანი, თითოეული ქუჩა. ბრძანა დაენგრიათ და მოქთხარათ ციხე-სიმაგრე და გარეთა კედლები, ღმერთების ტაძრები მრავალსართულიანი კოშკებით, საცხოვრებელი სახლები და სავაჭრო შენობები, სამეფო პალატები და სახელოსნოები. ხოლო მთელი სამშენებლო ნაგავი ჩაეყარათ ქალაქის მთავარ არხში — ანახთუში, რომელიც ეფფრატს ტიგროსთან აერთებდა.

ქალაქში მძვინვარებდა ხანძარი, ინგროდა კედლები, ისმოდა ცეცხლმოკიდებულთა გოდება. ბაბილონი — უდიდესი ქალაქი, სადაც ასობით ათასი კაცი ცხოვრობდა, გიგანტურ კოცონად იქცა. ეს ცეცხლის ზღვა. შიშის ზარს სცემდა ახლომახლო ქალაქებსა და სოფლებს.

ქალაქს საბოლოოდ წყალმა მოუღო ბოლო. რაც ცეცხლს გადაურჩა, წყლის სტიქიამ შთანთქა.

სინაქერიბის ბრძანებით გააღეს ყველა რაბი, დაანგრიეს ჯებირები და ეფფრატის წყალი ეკვეთა გაუკაცრიელებული ქალაქის ნანგრევებს. 1

„მე იგი უფრო ძირისძირობამდე დავანგრიე, ვიდრე ამას გააკეთებდა წარღვნა, — ცინიკური გულახდილობით ადასტურებს თვით სინაქერიბი, — რათა მომავალში არავის შეძლებოდა მისი ადგილსამყოფელის, მისი ტაძრებისა და ღმერთების გახსენებაც კი. მე იგი წყლით წავლეყე“.

მაგრამ თავისი სისასტიკით ამ გაუგონარმა ანგარიშსწორებაზეც კი არ გამოიღო სასურველი შედეგი. აღიგავა პირისაგან მიწისა ბაბილონი, მაგრამ „შფოთის“ კერა — ხალხთა დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ — კვლავ დარჩა. სინაქერიზმა მანაც ვერ მიაღწია ბაბილონელთა და სხვა დაპყრობილი ხალხების საოცნებო მონურ მორჩილებას. მან სწორედ საწინააღმდეგო შედეგი მიიღო, — ასურელმა დამპყრობლებმა უფრო მწვავე სიძულვილი დაიმსახურეს.

ერთიმეორეს მისდევდა აჯანყებები და ამბოხებები. იგი თავს იჩინდა ასურეთის სახელმწიფოს ყველა მხარეში, არყევდა მის ძლიერებას. ხან იქ, ხან აქ, ძალით შეპოვებული მიწები დამოუკიდებლობას იბრუნებდნენ. სინაქერიზი მეფობის ბოლო წლებში, გაუთავებელ სამხედრო ლაშქრობათა მიუხედავად, მისი იმპერიის ტერიტორია მკვეთრად მცირდებოდა.

ძვ. წ. 681 წელს სინაქერიზი სამხედრო შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ამ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ მისი ვაჭიშვილებიც, რომლებიც შემდეგ ურარტუში გაიქცნენ.

სინაქერიზის მემკვიდრე — მისი შვილი ასარჰადონი — იძულებული გახდა უფრო მოქნილი პოლიტიკისათვის მიემართა, განსაკუთრებით ბაბილონეთის მიმართ. იგი მიხვდა, რომ მხოლოდ ძალადობითა და დამსჯელი ექსპედიციებით ვერ მიაღწევდა მორჩილებას. საჭირო იყო რაღაც, თუნდაც მოჩვენებითი დამოუკიდებლობის მინიჭება, უკიდურეს შემთხვევაში ისეთი მსხვილი ცენტრისათვის მაინც, როგორიც იყო ბაბილონეთი.

ბაბილონის აღდგენა

ასარჰადონი ცდილობდა მიემხრო ქურუმები, დიდკაცობა და ვაჭართა წრეები. ამიტომ ბაბილონეთის იმ დიდ ქალაქებს აღუდგინა შეღავათები, რომლებსაც მისმა წინამორბედმა მეფეებმა მოუსპეს. ქალაქები ნიფური, სიფარი და ზოგიერთი სხვა განთავისუფლდა ასურეთის სასარგებლო ხარკისა და სხვა ვალდებულებებისაგან. მეტიც, ასარჰადონმა გადაწყვიტა ისეთი გიგანტური ღონისძიების განხორციელება, რომელიც მოითხოვდა დიდი რაოდენ-

იოზი მუშახელს, სამშენებლო მასალებს და ფულად სახსრებს. მან განიზრახა აღედგინა მამამისის მიერ იავარქმნილი ბაბილონი.

ნანგრევებით დაფარულ, დაჭაობებულ ვაკე ადგილებში, გადაძმარ შამბნარში მორეკეს ათასობით მონა-სამხედრო ტყვე. მათ აღადგინეს დანგრეული არხები და, უწინარეს ყოვლისა, მთავარი არხი არახთუ. ამან შესაძლებელი გახდა, გზა მიეცათ დაგუბებული წყლისათვის და ამოეშროთ ადგილები. შემდეგ იწყება ტაძრების, სასახლეებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ქვეყნის საუკეთესო ხუროთმოძღვრები შრომობენ, რათა დაუბრუნონ ბაბილონს მისი ძველი სილამაზე და დიდება. კვლავ აღმოცენდნენ ახალი ბრწყინვალე არქიტექტურული ანსამბლები, რითაც ოდესლაც განთქმული იყო ეს ქალაქი.

სინაქერიბის მიერ გარეკილი ასიათასობით ბაბილონელი ბრუნდება ნასახლარზე. ბაბილონის დიდკაცობასა და ვაჭრებს აღუდგინეს ძველი პრივილეგიები ხარკისა და სხვა ვალდებულებათა მხრავ, ხოლო ბაბილონის ტაძრები არათუ განთავისუფლდა ყოველგვარი საერთო სახელმწიფო გადასახადებისაგან, არამედ მათ მიიღეს უფლება თავის სასარგებლოდ დაეხევათ ადგილობრივი მოსახლეობა და ჩაებათ შრომით ვალდებულებაში.

ასე თანდათანობით ცოცხლდება მკვდარი ქალაქი. და აი, კვლავ იწყება სისხლსავსე ცხოვრება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუმცა ასარჰადონი ბაბილონის მიმართ ახორციელებდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდა მამამისის მოქმედებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ცდილობს შეალამაზოს სინაქერიბის — ბაბილონის დამქცევის — საქციელი და გაამართლოს კიდევ შურისძიების ეს საშინელი აქტი. თურმე ბაბილონის დაქცევაში ბრალი მიუძღვის... ბაბილონის მთავარი ღვთაების მარდუქის რისხვას, რომელმაც თავის ქალაქს თავს დაატეხა დიდი სასჯელი მცხოვრებთა მიერ ჩადენილი ცოდვებისათვის. ასარჰადონის ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია, რომ მარდუქის ნება-სურვილით ქალაქი ნაცარტუტად იქცა. მან მიწასთან გაასწორა ქალაქი, არახთუს არხის წყალი მიუშვა და გაუვალ ჭაობად აქციაო. ამრიგად, გამოდის, რომ სინაქერიბის ბრალი არ მიუძღვის და უდანაშაულოა. იგი მხოლოდ და მხოლოდ

ღვთაებათა ბრმა იარაღი და მათი უმაღლესი ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო.

ამ საინტერესო დოკუმენტს, თავისი პირდაპირი და აშკარა აზრის გარდა, აქვს კიდევ სხვა, არაპირდაპირი აზრი. როცა ასარქადონი ბაბილონის დაქცევის მიზეზს ასახელებს, ცდილობს, ერთი მხრივ — გაამართლოს თავისი მამის მოქმედება, და, მეორე მხრივ — გააფრთხილოს მოუხსენარი ბაბილონელები მომავლისათვის: შემდეგში მაინც იყავით დამჯერნი და მორჩილნი, რათა კვლავ თავს არ დაგატყდეთ ღვთაება მარდუქის რისხვით.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასარქადონმა მთელი სიცოცხლე წინაპრების მიერ დანგრეული ქალაქების აღდგენას შესწირა. ბაბილონი იყო ერთადერთი გამოწვევის, რომლის მიმართაც მან უცილობლად მიიჩნია გამოეყენებინა მათრახისა და დაყვავების პოლიტიკა. რაც შეეხება ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს, ხალხებსა და ტომებს, მათ მიმართ მხოლოდ და მხოლოდ მათრახს იყენებდა.

ასარქადონი თავის წინაპრებზე არანაკლებ მკაცრი და დესპოტი იყო. მთელი მისი მეფობა, რაც ოცდაათ წელს გაგრძელდა, აისავენა განუწყვეტელი ომებით, მძარცველური ლაშქრობებითა და დამსჯელი ექსპედიციებით. მის მატიანებშიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ასურეთის მეფეთა საყვარელი ფორმულა: „მე შემოვარტყი ალყა, დავიპყარი, დავამხე, დავანგრეი, ცეცხლით გადავბუგე და ვაქციე უდაბნოდ და ნანგრევებად“.

ამ ასურელი მონარქის, ნამდვილი სახეა დახატული ცნობილი რუსი პოეტის ვალერი ბრიუსოვის 1897 წელს დაწერილ ლექსში „ასარქადონი“. აი ეს ლექსიც:¹

„მე — ცისქვეშელთა მეფეთ-მეფე ასარქადონი
ვბრძანებ: მეფენო, ავი ბედი სცანით ჩემს ხმაში
როს ფეხი შევდგი ტახტზე, აღსდგა ჩვენზე სიღონი.
მე ის დავამხე, ნანგრევები ჩაყარე ზღვაში.“

ეგვიპტეს ჩემი სიტყვა უნდა, ვით სჯულისდგმა,
და ელაშელი ბედს კერეტდა ჩემს გამოხედვაში.²

¹ ბრიუსოვთან „ასარქადონი“, მაშინ ასე წერდნენ.

მე მტრების ძვლებზე აღმიმართავს ტახტის დიდება.
ვბრძანებ: მეფენო, ავი ბედი სცანით ჩემს ხმაში!

ვის ძალუქს მძლიოს? ჩემი ტოლი ქვეყნად ვინ არი?
ხალხთა ფუსფუსი ჩემს საქმესთან ჩანს, ვით სიზმარი,
მათი ოცნება — ცელქი ბავშვის თამაშის მსგავსი.

ძირამდე შევსვი მიწიერი დიდების თასი.
დიდებით მთვრალი ვდგევარ მარტო, ქვეყნის პატრონი.
მე ცისქვეშელთა მეფეთ-მეფე ასარქადონი“.

აქ მოყვანილი ფაქტები აჯანყების ჩახშობისა და ფინიკიელთა ქალაქის — სიდონის დანგრევის, ეგვიპტისა და ელამის დამორჩილებაზე პოეტური ფანტაზიის ნაყოფი როდია. ლექსს საფუძვლად უდევს ასარქადონის ნამდვილი ისტორიული წარწერა, რომელიც ნაპოვნია ნარ-ელ-კელში (სირია) და შემონახულია ჩვენს დრომდე.

„სოფლიო“ სამხედრო-პარაზიტული სახელმწიფოს მემკვიდრე

ძვ. წ. 668 წელს, როდესაც ასარქადონის ძე ასურბანიფალი ტახტზე ავიდა, ასურეთში რთული ვითარება იყო.

სამეფო გვირგვინისათვის როდი ამზადებდნენ ასურბანიფალს. ასურეთის ტახტი თავდაპირველად განკუთვნილი იყო მისი უმცროსი ძმის, შამაშშუმუქინისათვის. ასარქადონი აშკარად მოწყალე თვალთ უცქერდა თავის ამ ვაჟს, რომელიც საყვარელი ცოლისაგან — ბაბილონელი ასულისაგან — ჰყავდა. სწორედ მას უნდებოდა ასურეთის ტახტი. ასურბანიფალს კი ქურუმის უბრალო ხვედრი ელოდა. პატარაობიდანვე მიაბარეს იგი ტაძრის მწერელთა სკოლაში, რათა შეესწავლა ლურსმული წერის საიდუმლოებანი. დიდი დრო შესწირა მან ასურულ-ბაბილონური და შუმერული ტექსტების კითხვას და გადაწერას.

როგორღა მოხდა, რომ ასურეთის მეფე გახდა ასურბანიფალი და არა შამაშშუმუქინი?

ასურეთის საგვარეულო და სავაჭრო დიდკაცობა დიდი ხანია აღმაცერად უცქეროდა, მისი აზრით, ასარქადონის მეტისმეტ კეთილმოსურნეობას ჰირვეული ბაბილონისადმი. ასურეთის ტახტის

მემკვიდრედ ბაბილონელი ქალის ვაყიშვილის — შამაშშუმუქინის — დანიშვნამ პირთამდე აღაუსო უკმაყოფილების ფიალა და აშკარა პროტესტი გამოიწვია. მწიფდებოდა მრისხანე ამბოხება. მოსალოდნელი იყო სასახლის გადატრიალება.

ასარჰადონს თვალწინ ესახებოდა თავისი მამის სინაქერიბისა, შაპის სალმანასარ V და ასურეთის სხვა მონარქების ბედი, შეთქმულების რისხვერპლნი რომ გახდნენ. და მას მეტი გზა არ ჰქონდა — დიდებულთა სასარგებლოდ უნდა შეეცვალა ადრე მიღებული გადაწყვეტილება. ასურეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოცხადდა ასურბანიფალი. შამაშშუმუქინს კი მხოლოდ ბაბილონეთი დაუტოვეს.



ასურბანიფალი.

აი, რა იყო იმის მიზეზი, რომ ასურეთის ტახტზე ბოლოს და ბოლოს ავიდა წერა-კითხვის მცოდნე მეფე. ეს გახლდათ პირველი (და, ფრჩხილებში შევნიშნავთ, — უკანასკნელი) განათლებული მეფე ასურეთის ტახტზე.

ასურბანიფალის მოღვაწეობაზე ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით, რადგანაც სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ მსოფლიოში უძველესი წიგნების ბიბლიოთეკის დაარსებას.

მწერელთა სკოლაში გაქნილ და ცბიერ ქურუმებთან გატარებულმა წლებმა წარუშლელი კვალი დატოვა მომავალ მეფეზე. სამხედრო-ისტორიული ნაწარმოებების, მეფეთა ქრონიკებისა და სხვა ლიტერატურული წყაროების გაცნობამ, რომლებიც ასურეთის, ბაბილონეთისა და შუმერის შორეულ წარსულზე მოგვითხრობენ, გააფართოვა ასურბანიფალის პორიზონტი, მოქნილი და მახვილგონიერი გახადა იგი.

მან კარგად შეიგნო, რომ მხოლოდ იარაღის ძალით ვერ განამტკიცებს თავის ძალაუფლებას ვრცელ სახელმწიფოში. არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა დაპყრობილი ქვეყნების შემომტკიცება,

მოწინააღმდეგის გეგმების დროულად გამოცნობა და ჩანასახშივე მოსპობა, მოწინააღმდეგეთა გათიშვა და მათი ცალ-ცალკე დამარცხება. რომაელთა ცნობილი გამოთქმა — „გათიშე და იბატონე“, იმ დროში არ იყო ზუსტად ფორმირებული, მაგრამ აზრი მშვენივრად გაიგო ასურბანიფალმა და ფართოდ იყენებდა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში.


განსხვავებით თავის წინაპართაგან, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მხედართმთავრები იყვნენ, ასურბანიფალი უმთავრესად დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ. საომარი ოპერაციების უშუალო ხელმძღვანელობას სიამოვნებით უთმობდა თავის სარდლებს, მაგრამ საგარეო პოლიტიკა მტკიცედ ეპყრა ხელთ.

მაცდური იყო მეფის გარეგნობა. მაღალი ტანი, მძლავრი აგებულება, გაბედული, ნათელი მზერა, არწივისებური ცხვირი; გრძელი ხვეული თმები გაფიქრებინებდათ, რომ ეს არის უეშმაყო, გულმართალი ადამიანი, სინამდვილეში კი იგი იყო იეზუიტური ბუნების პიროვნება, რომელსაც ადვილად შეეძლო კეთილი ღიმილითა და ალერსიანი სიტყვით დაეფარა ბოროტი და ცბიერი ზრახვები.

ეგვიპტეში გალაშქრება

ასურბანიფალი ტახტზე ავიდა მაშინ, როდესაც ეგვიპტე აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული. ეს ქვეყანა ძვ. წ. 671 წელს დაიპყრო და ასურეთს შეუერთა მისმა მამამ, მაგრამ ეგვიპტე განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. როგორც კი ასურეთის ჯარის მთავარმა ძალებმა დატოვეს ნილოსის ველები, დაუყოვნებლივ იფეთქა აჯანყებამ. ეს ჯერ კიდევ ასარჰადონის სიცოცხლეში მოხდა. მაგრამ ეგვიპტის „დამშვიდება“ ასურბანიფალს ხვდა წილად.

ჭაბუკმა მეფემ მყისვე დაამტკიცა, რომ იგი ასურეთის მონარქთა ღირსიული მემკვიდრეა. ანგარიშსწორება სწრაფი და დაუნდობელი იყო. „ხაისის, მენდესის, ტანისის. და სხვა ქალაქების მცხოვრებნი, — იტყობინება მემატიანე, ყველა, ვინც მათთან იყო და ბოროტი განზრახვა ჰქონდა, დიდი და პატარა, [ასურელთა ჯარებმა] იარალით.



ასურელები ატყაუებენ ცოცხალ ადამიანებს.

დანოცეს, მათგან ერთი კაციც კი არ გადაჩჩა, გვამები ჩამოკიდეს ბოძებზე, გაატყავეს და ტყავით დაფარეს ქალაქის კედელი“.

ამრიგად, მშვიდობიან მცხოვრებთა, მათ შორის მოხუცების, ქალებისა და ბავშვების გაელეტა ურჩთა დაშინების მიზნით ერთ-ერთი პირველი აქტია, რითაც აღინიშნა ასურბანიფალის გამეფება.

ასურბანიფალმა უფრო ხელსაყრელად მიიჩნია შეუწყნარებინა „შეთქმულებაში“ მონაწილე ზოგიერთი ეგვიპტელი თავადი. მან გადაწყვიტა მოეშინაურებინა ისინი, მოესყიდა მდიდრული საჩუქრებით, ექცია თავის ერთგულ მონებად, საიმედო დასაყრდენად, თუ კვლავ იფეთქებდა ახალი აჯანყება.

მათ შორის იყო ნებოც, რომელიც ეგვიპტის ერთ-ერთი დიდი პროვინციის მმართველად დანიშნა, და აგრეთვე მისი შვილი ფსამეტიქი.

„მე იგი (ე. ი. ნებო) შევმოსე ჭრელი ტანსაცმლით, — წერს ასურბანიფალი, — დაკვიდე სავეფო ნიშანი — ოქროს ჯაჭვი, ოქროს ზეპქლებით დაეფარე მისი თითები, ვუბოძე ოქროს ქარქაშნიანი რკინის ხანჯალი და ზედ ჩემი სახელი წავაწერე. მე მას ვუწყალობე ეტლები, ცხენები, ჯორები, რათა ატარონ მისი დიდებულება. მე

გავგზავნე ჩემი ნდობით აღჭურვილი პირნი და მოსაყდრენი მასთან სამხედრო კავშირის დასამყარებლად“.

სინამდვილეში კი, ცხადია, „ნდობით აღჭურვილი პირნი“ და „თანამოსაყდრენი“ გაიგზავნენ არა „სამხედრო კავშირის“ შესაკრავად, არამედ იმისათვის, რომ თვალყური ედევნებინათ ტყვე თავადისათვის, რომელსაც, როგორც პოლიტიკური ექსპერიმენტი, თავის მოკვეტის ნაცვლად, თავადის გვირგვინი გადასცეს.

ნეხოზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გაჭრა. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იგი ასურეთის ერთგული ქოფაყი იყო ეგვიპტეში. და როცა ამ ქვეყანაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, ნეხო თავისი სამშობლოს მტრების ბანაკში აღმოჩნდა და დაიღუპა თანამემამულეთა ხელით.

მოსყიდვა ყოველთვის როდი აღწევდა სასურველ მიზანს. ვიდრე ასურეთი ძლიერი იყო, მოსყიდული ვასალები ერთგულობდნენ მას. მაგრამ საკმარისი იყო ომის ჩარხი უკულმა დატრიალებულიყო ასურეთისათვის, რომ მის მიერ დაყენებული მოხელეები უყოყმანოდ გადადიოდნენ უფრო ძლიერი მტრის მხარეზე, და, თუ გარემოება ამის საშუალებას იძლეოდა, თავად უღებოდნენ სათავეში აჯანყებას.

ნეხოს ვაჟმა, ფსამეტიქ I-მა, ასურბანიფალის მიერ ასევე „გაბედნიერებულმა“, პირველი შესაძლებლობისთანავე ააფრიალა აჯანყების დროს, გაყლიტა ასურელთა გარნიზონი და თავი ეგვიპტის მეფედ გამოაცხადა.

მაგრამ ეს მოხდა საკმაოდ გვიან — დაახლოებით ძვ. წ. 650 წელს. მანამდე კი ასურბანიფალის მეფობაში მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ამბავი, რაც შეუძლებელია არ ვახსენოთ. იავარქმნილი იქნა თებე — ძველი ეგვიპტის დედაქალაქი.

აი, როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს ასურბანიფალი: „ჩემი მეორე ლაშქრობის დროს გავეშურე ეგვიპტისა და ეთიოპიისაკენ. ტანუატამონმა (ეთიოპიის მეფე), როცა გაიგო ჩემი ლაშქრობის ამბავი, და ის, რომ ეგვიპტის საზღვრებში შევედი, მიატოვა ქალაქი მემფისი და სიცოცხლის გადასარჩენად თებეში გაიქცა. მეფეები, მეფის ნაცვალნი და ზედამხედველები, რომლებიც ეგვიპტეში დაყავნენ, მებანლენ მე და ფეხები დამიყოცნეს. დავიძარი ტანუატა-

მონის კვალდაკვალ და მივადექი თებეს — მის მძლავრ ციხე-სიმაგრეს.

ჩემი მძლავრი შეტევა რომ იხილა, დატოვა თებე და კიპკიპიში (ქალაქი ეთიოპიაში) გაიქცა. ღმერთი აშურისა და ქალღმერთი იშთარის შემწეობით მე ის ქალაქი (თებე) მთლიანად ხელთ ვიგდე. ვერცხლი, ოქრო, ძვირფასი ქვები, მისი სასახლის მთელი სიმდიდრე, ჭრელი ტილოს ტანსაცმელი, დიდძალი ცხენი, ადამიანები — ქალი და კაცი, — ღია ფერის ოქროს შენადნობისაგან დამზადებული ორი მაღალი ობელისკი, ორივე 2500 ტალანტი წონით (75 ტონა), რომლებიც საკუროთხველის შესასვლელში იდგა, მოვთხარე ადგილიდან და ასურეთში წავიღე.

უთვალავი და უნგარიშო ნადავლი შეეკრიბე თებეს. ეგვიპტესა და ეთიოპიას ვაგემე ჩემი იარაღის სიმწარე და განვამტკიცე ჩემი გამარჯვება. ხელსავესე დავბრუნდი ნინევიასი — ჩემს საუფლო ქალაქში“.

ბერძნების მიერ „ასკარიან თებედ“ წოდებული ეგვიპტის უდიდესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ბარბაროსულმა აოხრებამ თანამედროვეებს კვლავ გაახსენა ასურბანიფალის ბაბუის მიერ ჩადენილი ასეთივე გაუგონარი შოროტმოქმედება — ბაბილონის დანგრევა.

ეგვიპტის კამპანიას მოჰყვა, ლაშქრობა ფინიკიელთა ქალაქის ტვიროსის წინააღმდეგ. მაგრამ ქალაქის აღება ვერ შეძლეს. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნაწილობრივ მატერიკზე და ნაწილობრივ ახლომდებარე კლდოვან კუნძულებზე, გაშენებული ქალაქი მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. მტრის ჯარების მოახლოებისას მთელი მოსახლეობა ქალაქის კუნძულის ნაწილში გადადიოდა და თავს უხიფათოდ გრძნობდა.

ასურბანიფალმა ბლოკადაში მოაქცია მთელი სანაპირო და კუნძულის მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშე დატოვა. ამან აიძულა ტვიროსის მეფე ვაალი ზავი ეთხოვა. მან მოახერხა მდიდრულ საჩუქრებით გამოეხსნა თავი.

შორეული ლიდიის (მცირე აზიის სახელმწიფოს) მეფე გიგი, რომელმაც მიაპიტად სთხოვა ასურეთს დახმარება ქვეყანაში შეჭრილი მომთაბარე ტომების — კიმერიელთა წინააღმდეგ, ასურბანიფალმა სცადა ვასალად ექცია. ლიდიელთა მიერ ასურეთისათვის

გულუბრყვილოდ შეთავაზებული თავდაცვითი კავშირი იქცა მხედრისა და ცხენის კავშირად... მაგრამ ეს „კავშირი“ ხანმოკლე აღმოჩნდა.

გიგიმ ასურეთის „მეგობრობა“ ღირსეულად შეაფასა და მალე ანტიასურულ ბანაკს მიემხრო.

მაგრამ ასურბანიფალის ყველა ეს და ზოგი სხვა ლაშქრობა მხოლოდ ეპიზოდებია იმ ომებთან შედარებით, რომლებიც მას ელამთან და ბაბილონეთთან ჰქონდა.

ელამის კამპანია

ელამი დიდი ხანია მტრობდა ასურეთს. ამიტომ ასურბანიფალმა სიამოვნებით მისცა თავშესაფარი ელამელთა მეფის თეუმანის ხუთ ლტოლვილ ძმისწულს. თეუმანი ამ ნათესავეებში ტახტის პრეტენდენტებს ხედავდა და მათი თავიდან მოცილება სურდა.

ასურბანიფალმა ივარაუდა, რომ სასურველია ყოველთვის გყავდეს ხელთ მორჩილი მარიონეტები მტრის ქვეყნის სამეფო სახლიდან, რომლებიც თუ შემთხვევა მოგეცა შეიძლება დასვა ხელისუფლების სათავეში. მაგრამ თეუმანმა უკან გამოითხოვა თავისი ძმისწულები. ამ მიზნით მან საგანგებო დიპლომატიური მისია გაგზავნა ნინევიას დიდებულების — უმბადარისა და ნაბუდაძიკის მეტაფრობით.

ასურბანიფალმა უარყო თეუმანის მოთხოვნა, ხოლო მისი ელჩები დააკავა.

ასე დაიწყო მორიგი, არავინ უწყის რიცხვით მერამდენე ომი ასურეთსა და ელამს შორის. ორივე მხარე დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდა ამ ომისათვის. ხოლო შერისხული ძმისწულების ეპიზოდის მხოლოდ საბაბი იყო ომის დასაწყებად.

ომი ელამელთა ჯარების სრული განადგურებით დასრულდა, დაიღუპა მეფე თეუმანიც.

აი, როგორ აგვიწერს ამ ამბავს ასურბანიფალი:

„ჩემი მეხუთე ლაშქრობისას გეზი ელამისაკენ ავიღე. მძაფრი



ბრილა მდინარესთან. ასირიული პარელიეფი.

ქარიშხალივით მოვედე და მთლიანად დაეიმორჩილე ელამელთა ქვეყანა. თავი მოვკვეთე თეუმანს, მათ გოროზ მეფეს, რომელიც ავს იზრახავდა. უთვალავი მეომარი გაველიტე, ცოცხლად [ვიგდე] ხელთ მისი მეზრძოლები, მათი გვაშებით დავფარე სუზის მიდამოები, ვითარცა ეკალბარდითა და ნარშავით, მათი სისხლი შევუერთე მდინარე ევლეის და წითელი მატყლივით შევღებე მისი წყალი.

ელამთა მეფის ურთაქუს ძე უმანიგაში¹, რომელიც გაექცა თეუმანს და ასურეთს შეაფარა თავი, ფეხებზე მომეხვია; იგი თან მოვიყვანე ელამს და დავსვი თეუმანის ტახტზე. თამარითუ, უმანიგაშის მესამე ძმა, რომელიც მასთან ერთად გამოიქცა, განვაწესე ქალაქ ხიდალუს მეფედ.

¹ ამ სახელის ელამური ფორმაა ზუმანიქაში. თეუმანის მეფობის წლებია - ქვ. წ. 663 — 653, ხოლო ურთაქუსი — 675 — 663. — რედ. შენიშვნა.

მას შემდეგ, რაც ელამელებმა იგემეს ღმერთ აშურის და ქალღმერთ იშთარის იარაღის ძალა, და მე მოვიპოვე გამარჯვება ელამზე, უკან დაბრუნებისას გავეშურე ღუნან გამბულელისაქენ, რომელიც ელამელებზე ამყარებდა იმედს.

მე ხელთ ვიგდე ქალაქი შაფიბელი — გამბულის ქვეყნის ციხე-ბურჯი. შევედი ამ ქალაქში და ბატკნებივით გამოვჭერი ყელი მის მცხოვრებთ. ღუნანი და სამგუნი (გამბულის მმართველები), რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩემს მეფობას, მე ჩავჭედე ხის ხუნდებსა და რკინის ბორკილებში... გამბულის ხალხი, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონელი, ვირები, ცხენები, ჯორები დავატყვევე. გამბულში [და გავრეკე] ასურეთში. ქალაქი შაფიბელი — მისი ციხე-ბურჯი დაეამხე, დავანგრიე და წყლით წავლეკე“.

ასურბანიფოსის სასახლის კედლებზე შემორჩენილია მრავალრიცხოვანი ბარელიეფები, რომლებზეც დეტალურადაა ილუსტრირებული ეს საშინელებანი.

აი, ერთ-ერთი ბარელიეფის შინაარსი. შდ. გვ. 201.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მოქმედება ვითარდება ოთხ სიბრტყეში ერთდროულად. სინამდვილეში კი ასურელი მხატვარი ამ წესით გადმოგვცემს სიღრმეს, პერსპექტივას, მეორე პლანს.

მარცხნივ, მეორე ზედა კუთხეში, ვხედავთ ხელებგაწვდილ მუხლმოყრილ კაცს. მის გვერდით დგას მეომარი მოზიდული მშვილდით. ეს არის ელამთა დაჭრილი მეფე თეუმანი და მისი შვილი, რომელიც ცდილობს დაიცვას მამა გარსმოსხვეული მტრებისაგან. ასურელმა მეომარმა უკვე მოუქნია ცული და ეს-ესაა დაჭრავს. თავში ელამელთა უფლისწულს. ამ სცენის შინაარსი ახსნილია მოკლედ, მაგრამ მეტყველი წარწერით:

„თეუმანმა მრისხანედ უბრძანა შვილს: „მოზიდე მშვილდი“.

ირველივ კი საშინელი ხოცვა-ჟლეტაა. ელამელთა მეომრები მდინარე ევლეიში გადაყარეს. მცირე ნაწილი მდინარეს გადასცურავს და თავს შველის. დანარჩენები გაუმძღარი, მტაცებელი თევზების ულუფა ხდებიან. ასურელი მხედრები ცხენის ფლოქვებით თელავენ და შუბზე აგებენ ყველას, ვინც ჯერ კიდევ ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას. მაგრამ ტყვედ დანებებულთაც არავინ ინდობს.

თეუმანზე გამარჯვების შემდეგ ნინევიასი ასურბანიფალი ზარ-ზეიმით შევიდა. აი, როგორაა აღწერილი ეს ამბები მის ერთ-ერთ ქრონიკაში:

„დიდებული ღმერთების აშურის, ბელის და ნაბუს დახმარებით მშვიდობიანად დავბრუნდი ნინევიას. ელამელთა მეფის თეუმანის თავი კისერზე დავკიდე ღუნანს (გამბულის მმართველს).

ელამელი ტყვეებითა და გამბულიდან წამოღებული ნადავლით. რომელიც აშურის ბრძანებით ჩემს ხელში მოხვდა, მომღერლებისა და მუსიკოსების [თანხლებით] მე შევედი მოზეიმე ნინევიასი.

ელამელთა მეფის დიდებულები უშბადარა და ნაბუდამიკი, თეუმანმა თავისა თავხედური ბრძატი რომ გამოატანა, მე დავაკავე ისინი ჩემს გადაწყვეტილებას ელოდნენ. ნინევიასი რომ თავიანთი მბრძანებელი მეფის თეუმანის მოკვეთილი თავი დაინახეს, გონება დაკარგეს. უშბადარა წვეკს იგლეჯდა, ხოლო ნაბუდამიკმა თავის ქამარზე სატარებელი ჩკინის ხანჯალი დაიცა. თეუმანის მოკვეთილი თავი მე გამოვკიდე ნინევიის კარიბჭის ფრონტალურ მხარეს რათა ელამელთა მეფის მოკვეთილ თავს დაედანსტურებინა და ეჩვენებინა ხალხსათვის, თუ რაოდენ ძლიერი არიან ჩემი მეუფენი — ღმერთები აშური და იშთარი“.

შემდეგ დაიწყო ტყეეთა მასობრივი საჯარო დასჯა. გაუგონარი სისასტიკე, რაც მათ გამოიყენეს ანგარიშსწორების დროს, მიზნად ისახავდა დაეშინებინა სხვა დაპყრობილი ხალხები. „ყველას ელამელთა ბედი ელის, თუ აჯანყებას განიზრახავენ“, — აი, რა იყო დასჯისა და წამების მთავარი აზრი. ყოველივე ეს დაწვრილებით და საქმის დიდი ცოდნითაა გამოსახული ასურბანიფალის სასახლის კედლის ბარელიეფებზე.

მაგრამ ვერც საშინელმა წამებამ, და ვერც მასობრივმა დასჯამ ვერ ჩაკლა ხალხთა მიწწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ასურეთის სამხედრო-პარაზიტული სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ დაპყრობილი ხალხების ძარცვით ცხოვრობდა. იგი მართლაც გაუმამღარი რამ იყო. მას არ აკმაყოფილებდა უკვე დაპყრობილი უზარმაზარი ტერიტორიები, რომლებიც გადაჭიმული იყო აღმოსავლეთით ირანის ზეგნიდან დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე, სამხრეთით ნილოსის კარიბჭეებიდან ჩრდილოეთით, მცირე

აზიამდე. ასურეთი ცდილობდა სულ ახალი და ახალი სახელმწიფოების ხელში ჩაგდებას.

როგორც კი მიწყდებოდა ომის აურზაური, მიყუჩდებოდა წამებულთა და დასჯილთა კენესა, მყისვე იწყებოდა საყოველთაო ძარცვა-გლეჯა.

ასურეთში მიერეკებოდნენ ურიცხვ ფარებს, მიჰქონდათ საკვები პროდუქტები, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ძვირფასი ჯიშის ხეები, ტანსაცმელი, საოჯახო ჭურჭლეულობა. ათობით და ასობით ათასი აღაჩიან მიჰყავდათ მონებად სასახლეებისა და ტაძრების მშენებლობაზე, ანდა ასახლებდნენ თავიანთი სამშობლოდან ასეული კილომეტრის დაშორებით.

მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, სამხედრო ნადავლი იყო. შემდეგ იწყებოდა ძარცვა „მძიმე ხარკის“, სხვადასხვაგვარი მისართმევეების, გადასახადებისა და ბეგარის სახით.

ასურეთის არმიის ალაღში მრავალი მოხელე იყო, რომელთა ამოცანას შეადგენდა აღერიცხათ დარჩენილი მოსახლეობა და მათი ქონება, რათა ვერავინ დამალოდა დაბეგვრას. როგორც ვამპირი ისე სწოვდა ასურეთი დაპყრობილ ოლქებს ყველა სასიცოცხლო ძალას. ძარცვა-გლეჯა მშვიდობიანობის დროს ცოტა რამით განსხვავდებოდა ომიანობის დროინდელი ძარცვისაგან.

აი, რატომ მოსდევდა აჯანყება აჯანყებას, შეთქმულება შეთქმულებას. არავითარ სისასტიკეს არ შეეძლო ჩაექრო ხალხში მისწრაფება — გადაეგდო ასურეთის მონობის უღელი.

მრისხანე კოალიცია

ასურეთმა ელაშქრა წინააღმდეგობა დაუნდობლად დათრგუნა, მაგრამ, მტკიცედ მაინც ვერ მოიკიდა ფეხი. დიდი ხანია თვით ასურეთის სახელმწიფოს წიაღში მწიფდებოდა ისეთი შეთქმულება, რომელმაც ყოფნა-არყოფნის საფრთხის ქვეშ დააყენა ამ „მსოფლიო“ იმპერიის არსებობა.

შეთქმულების ხული და გული კვლავ იგივე ბაბილონი იყო. იგი დაუკავშირდა არამელებსა და ქალდეელებს, სირიისა და ფინიკიის

მეფეებს. შეიპირა ეგვიპტისა და ლიდიის მხარდაქერა, კოალიციაში მოიხზრო ელამი.

აჯანყება მზადდებოდა მრავალი წლის განმავლობაში დიდად საიდუმლოდ. მისი მეთაურები იმდენად ოსტატურად მოქმედებდნენ, რომ ასურბანიფალის ჯაშუშებმაც კი, რომლებიც მას ყველა ქვეყანაში ჰყავდა, ვერაფერი ვერ გაიგეს. ასურეთის სამეფო კარზე გაზრდილმა ბაბილონის მეფემ შამაშშუმუქინმა, ძალიან კარგად იცოდა, როგორ მოქმედებდა ასურეთის დაზვერვა, — სწორედ ამიტომ შეძლო გვერდი აეველო მისთვის.

უკანასკნელ მომენტში, როცა აჯანყების დღე უკვე დანიშნეს ბაბილონელებმა ნინევიასი გაგზავნეს საგანგებო ელჩი მდიდრული საჩუქრებითა და მეგობრობის რწმუნებებით. ეს გაკეთდა განზრახ, თვალის ასახვევად, რათა მოედუნებინათ ასურბანიფალის სიფხიზლე.

ერთ მშვენიერ დღეს ასურეთი, თავისი მმართველებისათვის სრულიად მოულოდნელად, ცეცხლის რკალში აღმოჩნდა. შამაშუმუქინი სათავეში ჩაუდგა ასურეთის საწინააღმდეგო კავშირს. ასურეთის მარიონეტი — უმანიგაში, (თავის დროზე თეუმანისაგან დევნილმა აქ შეათარა თავი) შამაშუმუქინს შეუერთდა და ელამი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

ასურბანიფალის მიერ ეგვიპტეში დაყენებული ფსამეტიქ I ჩამოსცილდა ასურეთს და თავის ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა მთელი ეგვიპტე. შვებით ამოისუნთქეს და წელში გაიმართნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის მეფეები, გაერთიანებულ ეგვიპტეში ისინი ხედავდნენ დასაყრდენს ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეგვიპტელებთან აშკარა კავშირი დაამყარა აგჩეთვე ლიდიის სამეფომ...

ასურეთის იპერიას ყოველი მხრიდან მოედო აჯანყება ხანძარი. სახელმწიფო, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით კოწიწდებოდა და არცთუ ისე დიდი ხნის წინ მტკიცე და მყარი ჩანდა, დასანგრევად იყო გამზადებული.

ასეთ ვითარებაში ასურბანიფალის მონარქიას არ ასცდებოდა სრული განადგურება, აჯანყებულთა ბანაკში მოულოდნელად ვანხეთქილება რომ არ ჩამოვარდნილიყო.

ოფიციალური ქრონიკა — ასურბანიფალის ანალები — ნოვლე-

ნათა მსვლელობას უბრალოდ აგვიწერს. ასურბანიფალი შეეკედრა თავის ღმერთებს აშურსა და იშთარს და მათ უწყალობეს გამარჯვება „მოღალატე ძმაზე“ შამაშუმუქინზე. მაგრამ, ცხადია, ღმერთებს ერთი დღითაც კი არ შეეძლოთ გადაედოთ ასურბანიფალის დაღუპვა, ელაშელებს, ამ ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგეთა შორის, შფოთი რომ არ ამტყდარიყო.

ელაშელთა მეფის უმანიგაშის უმცროსმა ძმამ — თამარიტუმ ტახტიდან ჩამოაგდო თავისი ძმა და ხელთ იგდო ძალაუფლება. მართალია, იგი განაგრძობდა ბაბილონთან კავშირის პოლიტიკას, მაგრამ თვით გახდა მსხვერპლი სასახლის გადატრიალებისა, რომელიც თავადმა ინდაბიგაშმა მოაწყო.

თამარიტუ ძლივს გადაჩა ცოცხალი და თავისი მომხრეებით გაიქცა ასურეთს; რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ უღალატა. მემატინის სიტყვით იგი იძულებული გახდა განრთხმულიყო მეფის ფერხთა ქვეშ, წვერით მტვერი ეხვეტა და შეწყალება ეთხოვა.

ელაშელთა ამბები ასურბანიფალისათვის მხოლოდ სასარგებლო იყო. მას, ცხადია, ოდნავაც არ სჯეროდა თამარიტუს მონანიება, მაგრამ გადაწყვიტა თავი ისე დაეჭირა, თითქოს ენდობოდა მას, და დაიტოვა სასახლეში როგორც საპატიო სტუმარი. სინამდვილეში კი იგი ასურეთის მონარქის ტყვე გახდა.

ამჯერად მთელი თავისი ძალები ასურბანიფალმა ძირითადი, გადაწყვეტი ამოცანის — ბაბილონის განადგურებისაკენ მიმართა. მან იცოდა, რომ თუ მთავარ, მომაკვდინებელ საფრთხეს დასძლევდა, ყველა დანარჩენ მოწინააღმდეგეს სათითაოდ განადგურებდა.

მისმა ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბაბილონს და ქალაქის ყველა შესასვლელ-გასასვლელი დაკეტეს. ალყაშემორტყმულთა ბანაკში საშინელი შიმშილობა ჩამოფარდა. მატინე მოგვითხრობს: „იმ დროს შიმშილობამ მოიცვა აქადის (ბაბილონეთის) მცხოვრებნი, რომლებიც მხარს უჭერდნენ შამაშუმუქინს და ბოროტს იზრახვიდნენ. შიმშილობისაგან შეწუხებულნი სკამდნენ საკუთარი ვაეიშვილებისა და ქალიშვილების ხორცს და ხრავდნენ ტყავის ქამრებს“.

ბოლოს, ბაბილონი იერიშით აიღეს, ხოლო თვით შამაშუმუქინი გადაეშვა ცეცხლში, რომელიც მთელ ქალაქს მოსდებოდა, და ცოცხლად დაიწვა.

„ხოლო ისინი, ვინც ძმის მოღალატე შამაშუმუქინს ამ საქმის-
კენ აქეზებდა და ბოროტებას სჩადიოდა, — განაგრძობს მატია-
ნე, — ვისაც სიკვდილის შეეშინდა, ვერ დათმო სიცოცხლე და
ცეცხლში არ გადაეშვა თავის მბრძანებელ შამაშუმუქინთან ერ-
თად, ვინც გადაურჩა ფოლადის ბასრ მახვილს, შიმშილს, გაჭირ-
ვებას, მოგიზგიზე ცეცხლს, და თავშესაფარი იპოვა — (ისინი) გა-
ებნენ ჩემი მბრძანებელი ღმერთების მიერ დაგებულ მახეში, საი-
დანაც შეუძლებელია გაქცევა. ერთი მათგანიც ვერ გაიქცა. ვერც
ერთი ლტოლვილი ვერ დამისხლტა ხელიდან... ამ მეომრებს და-
ვაგლიჯე თავხედი ბაგეები, რომლითაც ბედავდნენ ჩემი ღმერთის
აშურის ძაგებას...“

კოალიციის სხვა მონაწილეებთან ანგარიშსწორებას, მას შეჰ-
დეგ, რაც ასურბანიფალმა მოსპო ბაბლონეთი, მხოლოდ დრო
სჭირდებოდა. კალეიდოსკოპურად ჩნდება სამეფო ქრონიკებში
ლაშქრობებისა და ბრძოლების აღწერა, განადგურებული ქალაქე-
ბისა და ოლქების სახელწოდებები, ჩამოგდებული, დატყვევებული
და მოკლული მეფეების და თავადების სახელები. ასურბანიფალის
დაყენებული პირი, მისი კაცი, თამართუ, რომელიც მეორედ დას-
ვა ელამის ტახტზე, კვლავ აუჯანყდა თავის მფარველს და კვლავ
მის ხელში ჩავარდა. მალე ამის შემდეგ ასურბანიფალმა პირისაგან
მიწისა აღგავა ელამი, სამეფო, რომელიც ორი ათას წელს არსე-
ბობდა.

ცეცხლითა და მახვილით გაიარა მთელი ქვეყანა, არ დაინდო
არც ერთი ქალაქი და არც ერთი სოფელი. „მე ივარჯყავ ელამი, —
გვიდასტურებს ასურბანიფალი, — ერთი თვისა და ოცდახუთი
ღღის საჯალ (სივრცეზე). მე დავფარე (მინდვრები) მარილითა და
სარეველა მცენარეებით... ერთ თვეში გავანადგურე ელამი მთლიან-
ნად. მოვსპე მის მინდვრებში ადამიანის ხმა, ფეხი ამოუვუკეთე
წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს. ჩავახშე მხიარული, აღფრ-
თოვანებული შეძახილები, კანჯარმა, ქურციკებმა და ტრამალარს
ნადირებმა დაიდეს იქ ბინა“.

საშინლად განადგურდა ელამელთა სატახტო ქალაქი — სუზა,
სადაც მანამდე მტერს ფეხი არ დაედგა. „თიხის წიგნებმა“ შთაბო-
მავლობას შემოუნახა განადგურების ვრცელი აღწერილობა. ასურ-

ბანიფალის ანალებში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ყველაფერი, რაც დაანგრიეს, მოსპეს, გაძარცვეს.

მეფე ტრამბახობს, რომ მან დაანგრია და მიწასთან გაასწორა სასახლეები და ტაძრები, გაჩეხა და გადასწვა წმინდა ხეივნები. ხელთ იგდო და წამოიღო დიდძალი ნადავლი: ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები, იარაღი, ტანსაცმელი, ქურჭლეულობა, პირუტყვი.

უციდურესი სისასტიკით გაუსწორდნენ ელამელებს, არ ინდობდნენ არც მოხუცებს, არც ქალებსა და არც ბავშვებს; ასახიჩრებდნენ არა მართო ადამიანებს, არამედ ქანდაკებებსა და სკულპტურულ ძეგლებს. ასე უხდიდა საჰაგიეროს ასურბანიფალი ელამელთა გარდაცვლილი მეფეების სულებს.

ელამის ტერიტორიის ასურეთთან საბოლოოდ სრული შეერთებისათვის რომ ხაზი გაესვა, ასურბანიფალმა თავისებური სიმბოლური აქტი ჩაიდინა: მან ნინევიას წაიღო ელამელთა დიდი ქალაქებიდან თითო პეშვი მიწა. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ მეფე:

„ქალაქების სუზის, მადაქტუს, ხალთემაშისა და მათი სხვა ქალაქების მიწა მე შევკრიბე ერთად და (თან) წამოვიღე ასურეთში“¹.

ასურბანიფალის უკანასკნელი დიდი სამხარი წამოწყება, რაზეც იგი თავის ანალებში გვიამბობს, იყო მისი ლაშქრობა არაბეთში.

ასურეთის მხედრობა არ შეუშინდა „უდაბნოს, უწყლო, მშვიერ ადგილებს, სადაც ცის ფრინველიც კი არ ჩანს, სადაც არ ძოვს კანჯარი და ქურციკი“. უდაბნომ, რომლის ქვიშიან სივრცეებს მიღმა არაბი ტომები თავს უხიფათოდ გრძნობდნენ, ვერ იხსნა ისინი განადგურებისაგან.

ასურეთისკენ მობრუნებული ასურბანიფალის მხედრობა წინ მოერეკებოდა ურიცხვ ტყვესა და პირუტყვს, განსაკუთრებით აქლემებს. „ერთკუზიანი აქლემები ცხვრებივით გავანაწილე ასურელთა შორის. ჩემი ქვეყნის შიგნით ერთკუზიანი აქლემები სავაჭრო კარზე იყიდებოდა ერთნახევარი[დან] ნახევარი სოკლი ვერცხლის ფასად [სოკლი — 8,4 გრამია]“.

¹ ყოველივე ეს მოხდა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ძვ. წ. 639 წელს — რ. ე. დ. შენიშვნა.

შემდეგ ლაპარაკია იმაზე, რომ ვაჭარი თავის საქონელში, მე-
ღუქნე ლულში, მებაღე ხილში იღებდა აქლემებსა და ადამიანებს.
მამასადამე, ადამიანები, (მონები) და აქლემები მაშინ ფულის ფუნქ-
ციას ასრულებდნენ. იმდენი „ცოცხალი ფული“ გაჩნდა ასურეთში,
და ისე დაეცა მათი ფასი, რომ ღუქნებში, სავაჭროებსა და სახე-
ლოსნობებში მათ ხურდა ფულივით იხდიდნენ...


ძვლებსა და სისხლზე

თავისი წინაპრების მაგალითისამებრ, ასურბანიფალმა სასახლე-
ებსა და ტაძრების მშენებლობაზე დიდი რაოდენობით მუქთი მუშა-
ხელი — მონები მოარეკა.

„თიხის წიგნები“ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ-
დროინდელ სამშენებლო ტექნიკაზე. ვიცით, როგორ ამზადებდნენ
ძველ დროში აგურს, როგორ აწყავდათ კედლები, ვიცით მრავალი
სასახლისა თუ ტაძრის ნაგებობათა გეგმები. არქეოლოგიურმა გა-
თხრებმა საშუალება მოგვცა ცხადად წარმოვიდგინოთ და თვალით
ვიხილოთ ის, რასაც მეფეთა ანალები მოგვითხრობენ. გრანდიო-
ზულ ნაგებობებს იმდროინდელ პრიმიტიულ ტექნიკას რომ ვუღა-
რებთ, ვრწმუნდებით, რომ ისინი აღმართულია ათიათასობით ბედ-
კრული მონის ძვლებსა და სისხლზე. სხვათა შორის, ამას არც ასუ-
რეთის მეფეები ფარავენ.

ასურბანიფალმა ხელახლა გადააკეთა თავისი პაპის სინაქერიზუს
სასახლე. მთლიანად დაანგრია ბევრი დაძველებული ნაგებობა და
უფრო ვრცელი და ახალი, დიდებული შენობებით შეცვალა ისინი.
როგორც ცნობილია, სწორედ ამ სასახლეში იპოვეს ნინევიის ბიბ-
ლიოთეკის ნაწილი.

უზარმაზარი შენობა აღმართული იყო ოცდაათი მეტრის სიმაღ-
ლის ვრცელ ხელოვნურ ტერასაზე, რომლის ფართობიც ათ ჰექ-
ტარს აღემატებოდა. იქ ვერ აღწევდა მწერების უთვალავი გუნდე-
ბი და ჭაობის მავნე ხაშში.



სასახლის დარბაზის შიდა ხედი. (სასახლე ააგო სინაქერიზმა და
გადააკეთა ასურბანიფალმა). რეკონსტრუქცია.

სასახლის გვერდით გაშენებული იყო იშვიათი ხეების პარკი, რომლისადაც აგურის ტერასაზე ღრმა ორმოები დატოვეს და ნოყიერი მიწით აავსეს. ხელოვნური არხებით მოწყავლად წყალი და ავსებდნენ გუბურებს, სადაც გედები დატურავდნენ.

სასახლეში ოთხმოცზე მეტი ვრცელი დარბაზი, ოთახი და დეკორატიული იყო. შესასვლელთან იდგა უზარმაზარი ფრთიანი ლომკაცებისა და ხარების ქვის ქანდაკებები.

ზოგიერთ ამ ფანტასტიკურ არსებას უცნაური თვისება ჰქონდა. ისინი თითქოს თვალს არ აცილებდნენ მომსვლელს, ყველა მხრიდან უთვალთვალავდნენ მას და როცა იგი სასახლის ალაყაფში წვიდოდა, — სწრაფად დგამდნენ ნაბიჯს წინ...

ასეთ გასაოცარ ეფექტს მოქანდაკემ მიაღწია იმით, რომ ქანდაკებას მუხუთე „მოძრავი“ ფეხი გაუკეთა, რომელიც არ ჩანდა, ვიდრე ადამიანი სასახლეს უახლოვდებოდა, მაგრამ მაშინვე გამოჩნდებოდა, როგორც კი გვერდს ჩაუვლიდა მას. ამით ექმნებოდა მოძრაობის ილუზია.

აი თურმე რად სჭირდებოდათ ფრთიან ხარკაცებსა და ლომკაცებს მუხუთე ფეხი, რამაც ასე განაცვიფრა არქეოლოგები! იმისთვის, რომ უჩინულებს კიდევ უფრო მეტად დაეშინებინათ ყველა, ვინც სასახლეს ავი ზრახვებით მოადგებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ასეთი ქვის ქანდაკება ასურეთის ცრუმორწმუნე მცხოვრებლებზე, განამტკიცებდა მათ რწმენას სამეფო ხელისუფლების დვთაებრივ წარმოშობაზე.

კიდევ უფრო მდიდრული იყო ასურბანიფალის ჩრდილოეთი სასახლე სახელგანთქმული „ლომებზე სანადირო ოთახით“, რომელიც მეფის ბიბლიოთეკის დანიშნულებას ასრულებდა. ეს სასახლე თავისი მოპირკეთებითა და მორთულობით, მდიდრული ქანდაკებებითა და ბარელიეფებით გაცილებით სჯობდა ყველაფერს, რაც კი ასურბანიფალამდე ასურეთის სატახტო ქალაქში აქმნებინათ.

სასახლის ყოველი სადარბაზო ოთახი თავისებური სურათების გალერეას წარმოადგენდა. ერთი ოთახის კედლებს ფარავდა ელამში ასურელთა ლაშქრობის გამოსახულებები, მეორე ოთახი მორთული იყო ხმელთაშუა ზღვის ხალხებთან ასურბანიფალის ბრძო-

ლის სცენებით. ბევრი ბარელიეფი ასახავდა სასახლის ყოველ-
დღიურ ყოფა-ცხოვრებას. აი, ერთი მათგანი — სახელგანთქმული
სცენა ვაზის ტალავერში.

ასურეთის მბრძანებელი წამოწოლილია ძვირფასი ხის მაღალ
სარეცელზე. გვერდით სავარძელში დიდკაცურად ზის მისი ცოლი.
ორივეს ბაგეებთან მიუტანიათ ღვინით სავსე თასი. მეფის სარე-
ცლის უკან მაგადაზე დევს მშვილდი, ისრებიანი კაპარჭი და მახ-
ვილი. მორჩილი მსახურნი მარათი ხელში დგანან თავიანთი მბრძა-
ნებლის ახლოს და ბუზებს უგერიებენ მას, სხვები სინით მიართმე-
ვენ სხვადასხვა საქმელს. შემდეგ დგანან მუსიკოსები, რომლებიც
სამეფო წყვილს მუსიკის ჰანგებით ატკბობენ. პალმებსა და კვიპა-
როსებს შორის ჩიტუნები დაფრინავენ.

ამ ოჯახურ იდილიას ავსებს ერთი დამახასიათებელი დეტალი,
რომელიც ასურელ მონარქთა გემოვნებას მთლიანად შეესაბამება:
ელამთა მეფის მოკვეთილი თავი დაკიდებულია ხეზე ისე, რომ
ასურბანიფალს მუდამ შეეძლო დამტკბარიყო მისი ცქერით.

მაგრამ ამ სასახლეში ყველაზე დიდებულისა მეფის ნადირობისად-
მი მიძღვნილი ოთახი. მხეცების გამოსახულებები შესრულებულია
ისეთი ოსტატობით და ისეთი დამაჯერებლობით, რომ სავსებით
სამართლიანად მიეკუთვნება ძველი აღმოსავლური ხელოვნების შე-
დევრებს.

თუ ამ გამოსახულებათა მიხედვით ვიმსჯელებთ, ასურბანიფალი
მეტად მაჰაცი მონადირე ყოფილა. იგი უშიშრად ებმებოდა ორთა-
ბრძოლაში მძვინვარე ლომებთან, გააფთრებულ ძუ ლომებთან, კან-
ჯართან. მაგრამ ამ „გამბედაობის“ საიდუმლოება ის იყო, რომ
მხეცებს წინასწარ იჭერდნენ და გალიით მოჰყავდათ მეფის სანა-
დრო ნაკრძალში. მხეცებს ყოველი მხრიდან გარს ეხვივნენ კბილე-
ბამდე შეიარაღებული მსახურები, რომლებიც ყოველ წუთს მზად
იყვნენ მიშველებოდნენ თავიანთ მბრძანებელს. მისი ამოცანა ამ
თავისებურ ნადირობაში არცთუ ისე რთული გახლდათ და განსა-
კუთრებულ სიმამაცეს არ მოითხოვდა. მეფეს უნდა მოეკლა უკვე
შეპყრობილი მხეცი, რომელსაც გალიიდან უშვევდნენ საგანგებოდ
იმისათვის, რომ ასურეთის მბრძანებლის ნადავლად ქცეულიყო.

ამრიგად, თითქოს ყველაფერი ხელს უწყობდა სარგონიდების დინასტიას — ჩვეულებრივ ასე უწოდებენ სარგონ II-ის შთამომავლობას — და აღუთქვამდა დღეგრძელ, სვესვიან მეფობას. ასურეთის უძლეველობას თითქოს საზღვარი არ ჰქონდა. მისი ძლიერება მთელი მსოფლიოსათვის რომ ეჩვენებინა, ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ ასურბანიფალი ნინევიაში ტრიუმფით შედიოდა. იგი იჭდა ეტლში, რომელშიც ცხენებიც ნაცვლად შებმული იყო მის მიერ დატყვევებული ოთხი მეფე...

მაგრამ სინამდვილეში ასურეთის სახელმწიფოს ძალები უკვე გამოფიტული იყო, მისი ძლიერება კი — მოჩვენებითი. იგი გახლდათ თიხისფახეიანი კოლოსი, რომლის დღეებიც დათვლილი იყო.

ასურეთს გარდუვალად ელოდა საკუთარ გამარჯვებათა სისხლში ჩახრჩობა. ყოველი ასეთი გამარჯვება დაუძინებელ მტრებს უმრავლებდა, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ შურისძიების უკმარსობას.

ყველგან, სადაც კი ასურეთის ლაშქარი ფეხს დაადგამდა, გადამწვარ მიწასა და ნახანძრალს ტოვებდა. ასურელები ქვეყნის სიღრმეში ერეკებოდნენ ტყვეებს, მონებსა და გადასახლებულებს. მათი რაოდენობა დროთა განმავლობაში იმდენად გაიზარდა, რომ ასურელები მათთან შედარებით უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ.

არმიაც კი — ასურეთის ძლიერების ბურჯი — დამარცხებულთა რიგებიდან იღებდა შევსებას, რაც, ცხადია, არ აუმჯობესებდა მის შეტევით ძალას. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. თვით ასურელები იმდენად შემცირდნენ, რომ უკვე აღარ შეეძლოთ იმ უზარმაზარი დანაკარგების შევსება, რაც გამუდმებულ; ომიანობას მოსდევდა. ისინი იძულებული გახდნენ მიემართათ დაქირავებული ჯარისათვის. ასურბანიფალის ასურულ ლაშქარში ვხვდებით ყველა ზალხის წარმომადგენლებს — ელამელებს, ქალდეელებს, არამეელებს, ბაბილონელებს და ბერძნებსაც კი.

საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტელმა ომებმა დააუძლურა ასურეთი. ასურელები მათ მიერ დაპყრობილ უზარმაზარ ტერიტორიებზე იყვნენ გაფანტული და პირდაპირ ჩაიკარგნენ უცხოელთა თვალუწვდენელ ოკეანეში. ასურულმა ენამ დაკარგა გაბატონე-

ზული მდგომარეობა ხალხის ფართო მასებში. იგი მხოლოდ ასურეთის საზოგადოების ზედა ფენებისთვის იყო გასაგები, მარტო ისინი იყენებდნენ.

თვით ასურეთის შეღარებით მცირე ტერიტორიაზედაც კი, დაპყრობილ ტერიტორიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არ იყო ერთობა. ასურეთის საზოგადოების შიგნით კვლავ მკაცრი შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობდა.

ასურეთის გლეხობა და ხელოსნები არამცთუ რაიმე სარგებელს ნახულობდნენ მრავალრიცხოვანი ომებიდან, პიროქით, ლატაკ-ღებოდნენ და მათხოვრებად იქცეოდნენ. ისინი განიცდიდნენ უმოწყალო ექსპლუატაციას. მათ სწყვეტდნენ ყოველდღიურ საქმიანობას და მიერეკებოდნენ შორეულ ქვეყნებში საომრად, არც კი ესმოდათ რისთვის იბრძოდნენ. ამ ხნის განმავლობაში მშობლიური მინდვრები დაუმუშავებელი რჩებოდა და ვალებში ჩაფლული მათი ოჯახის წევრები სავანშო კაბალასა და მონობაში ვარდებოდნენ.

ბრძოლის ველიდან შინ გამარჯვებით დაბრუნებული ასურელი მეომარი ზოგჯერ ვეღარც კი პოულობდა საკუთარ კერას. სახლი დანგრეული და გაყიდული, ხოლო ცოლ-შვილი უუფლებო მონებად ქცეული და უცხო მხარეს გარეკილი უხვდებოდა.

განა სასიხარულო იყო მისთვის ასეთი გამარჯვება, რომელმაც უოჯახოდ და უსახლკაროდ დატოვა და რომელიც უზომოდ ამდიდრებდა მეფესა და მის კარისკაცებს, სამხედრო და საგვარეულო ღიდეკაცობას, მოხელეებს, ვაჭრებსა და ქურუმებს?

ასეთ ვითარებაში საკმარისი იყო რამდენიმე მძლავრი დარტყმა გარედან, რომ თავი ეჩინა ასურეთის სახელმწიფოს შინაგან სიღამპლეს, გამომეღავენებულისო მისთვის დამახასიათებელი შეუჩინებელი წინააღმდეგობები და მოძრაობაში მოეყვანა უზარმაზარი ცენტრიდანული ძალები, რომლებიც ააფეთქებდნენ ასურეთის სახელმწიფოს.

და ეს მოხდა ასურბანიფალის სიკვდილიდან რაღაც ოციოდე წლის შემდეგ.

ასურეთის სახელმწიფომ ჯერ კიდევ ასურბანიფალის სიცოცხლეშივე დაიწყო რღვევა. მისი ძლევამოსილი მარში არაბეთში ასურეთის არმიის უკანასკნელი შეტევითი ლაშქრობა იყო. მას მოჰყვა სწრაფი დაცემა და დაქვეითება.

პირველად ეგვიპტემ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ეს მოხდა, როგორც უკვე ვიცით, დაახლოებით ძვ. წ. 650 წელს. მას მიჰყვა ლიდია, ურჩობა დაიწყეს სირიისა და ფინიკიის ქალაქებმაც...

გულისტკივილით აღევნებდა თვალს ასურბანიფალი სხვადასხვა ტომებისაგან შემდგარი იმპერიის რღვევას, რომლის შეკონწიწებასაც ამდენი შრომა შეალოა, მაგრამ აღარ შესწევდა ძალა შეეჩერებინა ეს პროცესი. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თავის ჯარს თუ შორეულ ეგვიპტეში გაგზავნიდა, ამით მეზობელი, ჯერ კიდევ ქედმოუხრელი ბაბილონეთის დაკარგვის რისკს გასწევდა. ხოლო თუ ჯარს ლიდიის დასამორჩილებლად წარგზავნიდა, უეჭველად დაჰკარგავდა ელამს.

ასურბანიფალის სიკვდილის შემდეგ ასურეთის რღვევა საოცარი სისწრაფით დაიწყო. და თუკი ამაზე ასურელი მათიანები არაფერს გვეუბნებიან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჩვეულება ჰქონდათ, ვრცლად და ბაქიბუქით აწერათ მეფეთა გამარჯვებები და „მორიდებული“ დუმილით აველოთ გვერდი მათი დამარცხებუბისათვის. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეული ასურეთის იმდროინდელი წერილობითი დოკუმენტები მეტად მცირეა. და ეს გასაგებიცაა.

როგორც კი იწყება დაცემის პერიოდი, ქრება წერილობითი და ნივთიერი ძეგლები. ვიღასა სცხელა რღვევისა და დაცემის პერიოდში შეადგინოს ანალები, დაამზადოს ობელისკები და ბარელიეფები?

ძვ. წ. 626 წელს, როგორც იქნა, განხორციელდა ბაბილონეთის საუკუნეობრივი ოცნება — ქვეყანამ მოიპოვა თავისუფლება. სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა დიდი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე ნაბუფალასარი. მან ბაბილონეთი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

ასურეთის მეფემ, ასურბანიფალის მემკვიდრემ ასურეთილილანიმ ველარ შეძლო წინ აღდგომოდა და ხელი შეეშალა ამისთვის.

მაგრამ ნაბუფალასარი არ დაკმაყოფილდა დამოუკიდებლობის მოპოვებით, მან გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო ასურეთისათვის, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში სასტიკად ჩაგრავედა ბაბილონეთს. ამ მიზნით ნაბუფალასარმა შეკრა სამხედრო კავშირი მიდიასთან.

ეს ქვეყანა იმ დროისათვის არ იყო ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო. იგი შედგებოდა მრავალრიცხოვანი ტომებისაგან, რომლებიც მისდევდნენ მეცხოველეობას და ნაწილობრივ მიწათმოქმედებას. მის მოსახლეობას არ ღრღნიდა მწვევე კლასობრივი წინააღმდეგობები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ ასურეთს და ძველი აღმოსავლეთის სხვა განვითარებულ მონათმფლობელურ საზოგადოებას. — მონობა აქ ახალი ჩასახული იყო.

მიდიის ახალგაზრდა სახელმწიფოს სახით, რომელიც ის-ის იყო, ყალიბდებოდა, ბაბილონეთმა ძლიერი მოკავშირე შეიძინა. მართალია, მიდიის არმიას პირველ ხანებში აკლდა ორგანიზებულობა და საბრძოლო წვრთნა, მაგრამ ასურეთთან პირველი შეტაკების შემდეგ, რაც მიდიელთა წარუმატებლობით დამთავრდა, მიდიელთა ტომების კავშირის ბელადმა კიაქსარმა არმიის რეორგანიზაცია მოახდინა. მან დაყო იგი იარაღის სახეობათა მიხედვით და აღჭურვა ასურეთის ჯარის მსგავსად, რითაც საგრძნობლად აამაღლა მისი ბრძოლისუნარიანობა.

მიდიასაც ყველა საფუძველი ჰქონდა, შეეძლებინა ასურეთი: — „ლომთა ბუნაგი“. ასურეთის მეფეებს არა ერთხელ მოუწყვიათ მძარცველური თავდასხმა მის ტერიტორიაზე, გაუტაცნიათ პირუტყვი, გაურეკიათ ტყვეები.

ასურეთს უკვე აღარ შესწევდა ძალა არ დაეშვა ბაბილონისა და მიდიის მრისხანე კოალიციის შექმნა, რომელიც სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა ასურეთის სახელმწიფოს. იგი იძულებული გახდა ერთდროულად ებრძოლა ორი ძლიერი მტრის: სამხრეთით — ბაბილონეთისა, ხოლო აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — მიდიის წინააღმდეგ.

მიდიელთა და ბაბილონელთა ჯარები გადავიდნენ შეტევაზე და

ჭულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ ნახევარ რკალს, რომელშიც მომწყვდეული იყო ასურეთი. იგი დიდხანს იგერიებდა მტერს და თავდაცვიდან კონტრშეტევაზე გადადიოდა.

დაჭრილი ასურელი მტაცებელი სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ ზოგჯერ ძლიერ დარტყმებს აგემებდა თავის მტრებს. ერთხელ ასურელებმა შეძლეს გაერეკათ ბაბილონელთა ჯარები და ერთ-ერთ სიმაგრეში მიემწყვდიათ. რაღაც ათიოდე დღის შემდეგ ალყაშემორტყმულ გარნიზონს მიეშველა ნაბუფალასარი და გაანადგურა ასურელები, რომლებიც თავგზააბნეულები გაიქცნენ.

ახლა უკვე საომარი მოქმედება თვით ასურეთის ტერიტორიაზე გადავიდა. ამჯერად, მისი მიწები ოხრდებოდა, მისი ქალაქები იწვოდა ცეცხლში. ასურელები საუკუნეების განმავლობაში მიჩვეულნი იყვნენ დაუსჯელად ეძარცვათ, გადაებუგათ და დაენგრიათ სხვისი კარმიდამო, ახლა კი საკუთარ ზურგზე იწვნიეს ომის ყველა საშინელება.

„ლომთა ბუნაგის“ — ნინევიის დამხობა

ძვ. წ. 614 წელს მიდიელთა ჯარებმა დაიპყრეს და გაძარცვეს ასურეთის სახელმწიფოს ძველი დედაქალაქი აშური, რომელიც ნინევიის სამხრეთით სამოცდაათი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. ბაბილონეთის ლაშქარი მეფე ნაბუფალასარის მეთაურობით მიიჩქაროდა თავისი მოკავშირის — მიდიელ ტომთა კავშირის ბელადის კიაქსარის დასახმარებლად, მაგრამ დააგვიანა: აშური გაძარცვეს და გადასწვეს მისი მონაწილეობის გარეშე, მდიდრული ნადავლი მხოლოდ მიდიელებს ხვდათ წილად.

ასურეთის ძველი სატახტო ქალაქის ნანგრევებზე შეხვდნენ ერთმანეთს ბაბილონელი ნაბუფალასარი და მიდიელი კიაქსარი. აქ შეიმუშავეს „ლომთა ბუნაგის“ — ნინევიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმა.

ორ წელს გაგრძელდა ასურეთის დედაქალაქის ალყა. იგი დასრულდა ნინევიის სრული განადგურებით, იმ ნინევიისა, რომლის ნაკვალევიც არქეოლოგებმა მხოლოდ ორი ათას ხუთასი წლის შემდეგ აღმოაჩინეს.

თანამედროვეებმა დაგვიტოვეს პარაზიტული სახელმწიფოს

„მსოფლიო“ დედაქალაქის — ნინევიის დამხობის მხატვრული აღწერა. ამ აღწერიდან გამოსჭვივის სასტიკი სიძულვილი ქალაქისადმი, რომელიც განასახიერებდა ასურეთის სიძლიერეს, და მისი დამხობით გამოწვეული უსაზღვრო სიხარული. დაჩაგრული ხალხები ნინევიის დაღუპვაში ხედავდნენ უდიდესი სამართლიანობის აქტის განხორციელებას, დამსახურებულ შურისგებას ყველა უგონარი ბოროტმოქმედებისათვის.

აი, როგორ აღწერს ნინევიის დაღუპვას ძველი დროის ერთი ავტორი:

„შემართულია შენს [ნინევიის] თავზე შემმუსვრელი ურო... ქუჩებში დაჰქრიან ეტლები, ისინი დაგრიალებენ მოედნებზე და ლაპლაპებენ, ცეცხლივით კაშკაშებენ ვითარცა ცის ელვა. მდინარეთა ჭიშკრები [რაბები] იღება, და ინგრევა სასახლე... დაიტაცეთ ვერცხლი, დაიტაცეთ ოქრო, [რამეთუ] აურაცხელია საუცხოო ნაკეთობანი და ყოველგვარი ძვირფასი ქურჭლეულობა. [ნინევიას] გავერანდა, გაიძარცვა და გაჩანაგდა. ვაი, სისხლისმსმელ ქალაქს, სიცრუისა და მკვლელობის ბუდეს, ბოლო არ უჩანს ძარცვა-გლეჯას, ისმის შოლტის ტყლაშუნი, ბორბლების რახრახი, ცხენების ჭიხვინი და გაქანებული ეტლების გრიალი...“

ბაბილონური ქრონიკა ნინევიის დაცემას უწოდებს ღმერთების მიერ მოვლენილ სასჯელს იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც ასურბანიფალის პაპამ სინაქერიბმა ჩაიდინა, — როცა დაანგრია ბაბილონი.

„მან [სინაქერიბმა] ბოროტი იზრახა ბაბილონის მიმართ.. მან დააქცია მისი ტაძრები, გაანადგურა ღმერთების გამოსახულებანი, წაბილწა წმინდა საპლოცველოები, იგი შეეხზო ღვთაება მარდუქის ხელს და წაიღო ასურეთში... ღვთაება მარდუქმა მისცა მას [ბაბილონის მეფე ნაბუფალასარს] თანაშემწე-უმანმანდების [მიდიელთა] მეფე, რომელსაც არ ჰყავს ბადალი... ზემოდან და ქვემოდან, მარჯვნივ და მარცხნივ აღიდებულ მდინარესავით მოედო და დაამხო მან ქვეყანა [ასურეთი], შური იძია ბაბილონისათვის... უმანმანდების უშიშარმა მეფემ დაანგრია აშურის ღვთაების ტაძარი“.

კიდევ დიდხანს, შვიდი წლის განმავლობაში იბრძოდა ასურეთი თავისი არსებობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ეს ბრძოლა წინასწარ იყო განწირული დამარცხებისათვის.

სასიკვდილოდ დაკოდილი მხეცის მსგავსად ასურეთი ტანჯვით დაღვდა სულს, ვიდრე ძვ. წ. 605 წელს ევფრატის პირას მდებარე ქალაქ ქარხემითან მომხდარმა ბრძოლამ ბოლო არ მოუღო მას. ამ დღიდან ასურეთი სამუდამოდ გაქრა ისტორიის ასპარეზიდან.

ასურეთის დანგრეული და გავერანებული ქალაქები — ნინეფია, აშური, ღურ-შარუქინი, ქალხუ და სხვები — ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში განისვენებდნენ მიწის სქელი ფენის ქვეშ. ვიდრე არქეოლოგის ბარმა არ აღმოაჩინა და არ გააცნო ისინი კაცობრიობას, ხოლო „თიხის წიგნებმა“ არ გვიამბეს იმ დრამატულ ამბებზე, რაც მოხდა ისტორიის გარიჟრაჟზე ტიგროსისა და ევფრატის ხეობებში.

ასურეთის სახელმწიფოს დაღუპვა გარდუვალი იყო. იგი წარმოადგენდა ცალკეული ქვეყნებისა და ოლქებისაგან შეკოწიწებულ სახელმწიფოს. თითოეულ ამ ქვეყანასა თუ ოლქს მთლიანად აკმაყოფილებდა საკუთარი შრომის პროდუქტები და ეკონომიურად არ იყო დამოკიდებული თავის მეზობლებზე. ამიტომ მათთვის არავითარი შინაგანი აუცილებლობა არ არსებობდა გაერთიანებულიყვნენ საძულველი ასურეთის ძალაუფლების ქვეშ.

მართალია, მან იარაღის ძალით დროებით გააერთიანა მრავალი ტომი და ხალხი, მაგრამ ასეთი გაერთიანება, ცხადია, არ შეიძლებოდა მყარი ყოფილიყო. სამხედრო წარმატებამ, ან ჯმა თუ იმ მხედართმთავრის სამხედრო ტალანტმა, შეიძლება ერთ შემთხვევაში არაჩვეულებრივად გაზარდოს ესა თუ ის სახელმწიფო თავისი მეზობლების ხარჯზე, ხოლო სხვა შემთხვევაში — მთლიანად დაანგრიოს იგი.

ქველი შუამდინარეთის მითები და თქმულებები


შავდავების მაჰივალი გილგამეშის თავდასასავალი

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჯორჯ სმითის შესანიშნავ ნაპოვნთა შორის იყო ბევრი თიხის ფირფიტა, რომლებზეც ჩაწერილია სხვადასხვა ლეგენდა და თქმულება. ერთი ასეთი „წიგნისათვის“, სადაც აღწერილია მითი წარღვნის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ. ლონდონის გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ საგანგებო ექსპედიციაც კი მოაწყო.

მაგრამ თუ გაზეთის ჯაქმოსნებისათვის ასეთი მითები და თქმულებები სენსაცია და ხელმომწერთა მოზიდვის საშუალება იყო და მეტი არაფერი, ჰემმარიტი მეცნიერებისათვის ამ უძველეს ლიტერატურულ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ, თვალი გადავავლოთ ქალაქა წარსულის ხალხურ შემოქმედებას. იმ ხალხების რწმენებს, ჩვევებსა და წარმოდგენებს, რომლებიც დიდი ხანია გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან.

შუამდინარეთის ზოგიერთი ძველი თქმულება, ისევე როგორც „ილიადა“ და „ოდისეა“, „თქმულება: იგორის ლაშქრობაზე“ და „კალევალა“, წარმოადგენს ხალხური მხატვრული შემოქმედებას პირველხარისხოვან ნიმუშს. მათ რიცხვს მიეკუთვნება სმითის მიერ ნაპოვნი გილგამეშის ეპოსი.

საუკუნეების და იქნებ ათასწლეულების განმავლობაში იქმნებოდა გილგამეშის ეპოსი. იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მამიდან შვილს, პაპიდან შვილიშვილს და, ბუნებრივია, სახეს იცვლიდა. ეპოსი მდიდრდებოდა ახალი ეპიზოდებით, მისი გმირების ახალი თავგადასავლებით. ეპოსის ზოგიერთი ნაწილი იკარგებოდა და



გილგამეში ლომით.

დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლეოდა. წინევის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი თორმეტი ფირფიტა, რომლებზედაც ჩაწერილია თქმულებები ლეგენდარულ გოლიათ გილგამეშზე, სხვა არაფერია. თუ არა ძველადმოსავლური თქმულების ერთი მრავალ ვარიანტთაგანი. იგი ჩაწერილია თიხაზე ასურბანიფალის ბრძანებით.

იმას, რასაც ჩვენ გილგამეშის ეპოსს ვუწოდებთ, ძველი შუამდინარეთის მცხოვრებლები სხვა სახელწოდებით იცნობდნენ. ისინი მას უწოდებდნენ თქმულებას მასზე „ვინც მოიარა მთლად სამყარო კიდით-კიდემდე“. ამ სიტყვებით იწყება პოემა და როგორც უკვე ვიცით, სწორედ პირველი სიტყვები ითვლებოდა ნაწარმოების სათაურად. ამიტომ ყველა თორმეტ ფირფიტაზე არის სათაური „ვინც მოიარა მთლად სამყარო კიდით-კიდემდე“.

რაზეა ლაპარაკი ამ ფირფიტებში?

ლაპარაკია გილგამეშის ცხოვრებასა და თავგადასავალზე. მას ბევრი საოცარი რამ გადახდა. მოიარა საუცხოო ქვეყნები და შეხვდა მრავალ ადამიანს, გმირს, ღმერთსა და სხვა ფანტასტიკურ არსებებს.

პოემა გილგამეშზე შესანიშნავი მოთხრობაა მასზე;

„ვინც მოიარა მთლად სამყარო კიდით კიდემდე,
ვინც განჰკრიტა ყოველივე, ყველაფერს ჩასწვდა.
ყველა ნაწერი წაიკითხა თავით-ბოლომდე
და მწიგნობართა დიდი სიბრძნე მთლიანად ახსნა.

ფარულს ხედავდა, იღუმალი ვველა იცოდა,
შემოგვინახა წარღვნამდელი ცნობა მრავალი,
შორი ელო გზები, დაიღალა, კვლავ დაგვიბრუნდა,
და ამოჰკვეთა ქვაზე თავის ღვაწლი ალალი“.

ნაწარმოების გმირი გილგამეში, რომელიც უხსოვარ დროში ქალაქ ურუქში მეფობდა, არა მარტო გონიერი მმართველი იყო, რომელმაც „მწიგნობართა დიდი სიბრძნე მთლიანად ახსნა“, არამედ გოლიათური ძალის პატრონიც. ის იყო ისეთი აღნაგობის კაცი, რომელთანაც ლომი კატის კნუტად ჩანდა. ერთი სიტყვით, გილგამეში ერთი მესამედი კაცია, ხოლო ოარი მესამედი — ღმერთი.

ურუქის მყუდროებას ქალაქი ქიში ემუქრება. გილგამეში კრებს

უხუცესია საბჭოს, რომელიც შედგება სავგარეულო დიდკაცობი-
საგან. ისინი შეწინებულნი ურჩევენ მას: „დავმორჩილოთ ქიშის
სამეფო სახლს“.

მაგრამ უბრალო ხალხი ასე არ ფიქრობს. სახალხო კრება ერთ-
სულოვნად აყენებს მოთხოვნას: „არ დავმორჩილდეთ ქიშის სამეფო
სახლს, ვძლიოთ იგი იარაღით“ და გილგამეში ხალხის მხარეზე
დგება¹.

ბედისწერა ახვედრებს გილგამეშს და ენქიდუსს. ენქიდუ თმით
შემოსილი გოლიათია, ნახევრად მხეცი, ნახევრად ადამიანი. ცხოვ-
რობს შორს უდაბნოში, და ზებუნებრივი ძალითა დაჯილდოებუ-
ლი; მეგობრობს მხეცებთან და იცავს მათ მონადირეთაგან. აი, რო-
გორაა აღწერილი იგი პოემაში:

„მთელი სხელი ბაღითა აქვს მას დაფარული
და თმებს ატარებს, ისე ვით ქალი.
ხშირ ხვეულებად, ვით ხშირია მინდვრად თავთავი.
არც კაცთა მოდგმას და არც მიწას იგი არ იცნობს.
და ვით ღვთაება სუმუქანი ატარებს სამოსს.
ნიაპორებთან წიწკნის ველად ნოყიერ ბაღებს,
მხეცებთან ერთად წყლის სასმელად დაიარება
და წყლის სულებთან მას ახარებს დროს გატარება.“

გილგამეში ეშმაკური ხერხებით შეიტყუებს ენქიდუსს ქალაქ
ურუქში და აზიარებს ადამიანურ კულტურას. ეს ერთბაშად როდი
ხერხდება. გაოცებული უცქერის ენქიდუ პურსა და ღვინოს — ადა-
მიანის შრომის ნაყოფს. ის ხომ მიჩვეულია მიიღოს ბუნებისაგან
მხოლოდ ის, რაც მზამზარეული სახით ხვდება.

„იგი მუდამ დღე ნადირთა რქეს შეეჭკოდა,
როდესაც პური მიაწოდეს და წინ დაუდეს,
გაოცებული იგი ერთ ხანს მას უცქეროდა,
რადგან არ იცის ენქიდუმ, პურს როგორა ჰკამენ,
და არც ის იცის ენქიდუმ, თუ ვით სვაშენ ღვინოს.“

¹ ეპოსის ამ ნაწილის გადმოცემისას, სმოთის მიერ ნინევიის ბიბლიოთეკა-
ში ნაპოვნი ფირფიტების გარდა, აეტორებმა გამოიყენეს ამას წინათ ნაპოვნი
თქმულების უფრო ძველი, შუმერული ფრაგმენტი.

ეტყვის ხარიმთუ, „ტაძრის ქალი“, სურს შეასმინოს:
„პური შექამე, ეს სიცოცხლის არის სათავე,
ღალი ღვინო, იგი მიწის საჩუქარია“.
მაშინ ენჭიდუ გვარიანად დანაყრდა პურით,
ზედ შეიდი თასი დააყოლა პირთამდე სავსე,
და გაუნათდა წას გონება, გამოხალისდა,
სული გალალდა, შემოენთო სახეს ალმური.
შემდეგ სხეულზე გადაისვა ძლიერი ხელი,
ნელსაცხებელით დაიზილა თმიანი ტანი
და შეიმოსა იგი ისე, ვით კაცთაგანი“.

გილგამეში შეებრძოლება ენჭიდუს. მალე გამოიკვცევა, რომ მათი ძაღლონე თანაბარია და არცერთს არ ძაღლძს მეორის ძღვევა. მაშინ გადაწყვეტენ, დაამყარონ ურთიერთშორის სამუდამო კავშირი.

მას შემდეგ გილგამეში და ენჭიდუ განუყრელი მეგობრები ხდებიან. ერთად ებრძვიან ლომებს, და სხვა მრავალ გმირობას სჩადიან. ბოლოს და ბოლოს ისინი გადაწყვეტენ მეტად სახიფათო საქმეს: შეებრძოლონ ხუმბაბას — ქალღმერთ იშთარის გამტაცებელ ტყის ურჩხულს.

და აი, გოლიათებმა მიაღწიეს ხუმბაბას სამფლობელოს, კედრის ტყეს ლიბანის მთებში.

„ისინი იღგენ და ტვერს უცქერდნენ
გაოცებულნი მაღალ კედრებით.
უცბათ შენიშნეს ღინჯი ნაბიჯით
მოდის ხუმბაბა ტყის ბილიკებით.
გზის პირობაზე გზა იყო კარგი.
ხედავდნენ კიდევ კედრების გორას,
ირინინას ბინას, ღმერთთა სამყოფელს.
მთის ძირს კი იღგა კედარი ერთი
ჰყენდა სააპო ჩრდილს, შვების მომგვრელს“.

ხუმბაბა ყველაზე მაღალ კედარზე მაღალია, მისი საომარი ყიჟინი გრიგალის გრგვინვას წააგავს. და მაინც ჩვენი მეგობრები გამარჯვებული გამოდიან ამ ურჩხულთან ბრძოლაში. ისინი ანადგურებენ მას.

ტყვეობიდან განთავისუფლებულ ქალღმერთ იშთარს შეუყვარ-

დება თავისი მხსნელი გილგამეში, მაგრამ იგი უარყოფს ქალღმერთის სიყვარულს.

შეურაცხყოფილი და განრისხებული ქალღმერთი შესჩივლებს თავის მამას, ცის ღმერთ ანუს, რომელიც გილგამეშის დასასჯელად შექმნის საშინელ ციურ ხარს და მიუსევს ქალაქ ურუქს. ამ ხარის ერთი ამოსუნთქვა მუსრს ავლებს ასობით ადამიანს.

გილგამეში და მისი მეგობარი უკანასკნელ გმირობას სჩადიან, — ერთად შეებრძოლებიან ხარს და კლავენ მას.

გამარჯვების აღსანიშნავად გილგამეში ქალაქ ურუქში დიდ ნაღიმს მართავს. სტუმრები გოცებული უცქერიან უზარმაზარ მოკლულ ხარს, მისი თითოეული რქა ოცდაათ მინას (დაახლოებით თხუთმეტ კილოგრამს) იწონიდა, ორჯერ ორი წყრთის (დაახლოებით ორი მეტრი!) სიგრძისა იყო და ექვს საწყაო ზეთს იტევდა. გვიან ღამემდე გრძელდება ზეიმი. ხალხი აღიდებს თავის გმირებს, ყველგან გაისმის შეძახილები:

„ვინ არის ბრწყინვალე მამაკაცთა შორის?
ვინ არის რჩეული მამაკაცთა შორის?
გილგამეშია ბრწყინვალე მამაკაცთა შორის!
ენჭიდუა რჩეული მამაკაცთა შორის!“

მაგრამ საშინელ დარტყმას უმზადებს ბედი გილგამეშს: კვდება მისი საუკეთესო მეგობარი ენჭიდუ. გილგამეში სასოწარკვეთილია. გულშიჩამწვდომი, ნაზი სიტყვებით დასტირის თავისი მეგობრის სიკვდილს:

„ენჭიდუე, ჩემო მეგობარო, ავაზავ ველთა!
ჩვენ მუდამ ერთად ვიმარჯვებდით, ავსულვართ მთებში,
ციური ხარი ქედმაგარი მოვდრიკეთ ერთად,
დავცით ხუმბაბა ბუმბერაზი კედრების ტერაში.
ესლა რა მოხდა, ეს რა ძილი დაგუფლებია,
ხმას რად არა მცემ, რად სდუმხაო და მოგიწყენია“?
ენჭიდუმ მაინც არ ახედა ერთგულ მეგობარს.
და გილგამეში დაიხარა ფრთხილად მის მეკრდთან,
მაგრამ ენჭიდუს გული უკვე აღარა ძგერდა.
მავინ სათუთად, როგორც სატრფოს, გადაათარა
მან საფარველი, და დაჰყვივის ვითარც არწივი,
როგორც ლეკვების დამკარგავი ღრიალებს ლომი.“



იშთარი ომის ქალღმერთის სახით

გილგამეშს პირველად გაუელვა თავში აზრმა სიკვდილის შესახებ. ნუთუ მასაც ასეთი ბედი ელის? ნუთუ ღრთთა განმავლობაში მისი სხეულიდანაც გამოდინდება მხურვალე სისხლი და მტკრად იქცევა?

გილგამეში გადაწყვეტს მიატოვოს ყველაფერი და ეძიოს უკვდავება თავისთვის და თავისი ხალხისთვის. მას სურს მიაგნოს უკვდავების საიდუმლოებას. იგი ოცნებობს საბოლოოდ განდევნოს სიკვდილი თავისი სამფლობელოებიდან, რათა მასზე ფიქრი აღარ აღონებდეს სიცოცხლეს.

გრძელი და სახიფათო გზა ელის გილგამეშს. იგი მიემგზავრება „ცხრა მთას იქით“, სადაც ცხოვრობს მისი წინაპარი უთნაფიშთი. ეს სახელი ღრმა აზრის შემცველია. იგი ბაბილონურად ნიშნავს „მან მოიპოვა სიცოცხლე“. უთნაფიშთი ერთადერთია ადამიანთა შორის, რომელსაც ღმერთებმა უკვდავება უბოძეს. და გილგამეში იმედოვნებს, გაიგოს შორეული წინაპრებისაგან მუდმივი სიცოცხლის საიდუმლოება.

მრავალი ხიფათი შეხვდა გილგამეშს გზაზე. მთის ხეობებში მას თავს ეხსმიან ლომები, — გილგამეშმა დახოცა ისინი. „სამყაროს დასალიერზე“ გზა გადაულობეს ადამიან-მორიელებმა:

„კარს სდარაჯობენ ადამიან-მორიელები,
სახით საშიშნი. მათ შერაში არის სიკვდილი.
მათი საზარი ელვარებით დრკებიან მთებში,
მზის ამოსვლას და ჩასვლას იცავს ეს ავი წყვილი“.

მაგრამ მათ ვერ შეძლეს დაეშინებინათ გილგამეში მომავალი შგზავრობის სიძნელეებით და ვერ აღუბინეს ხელი თავის გადაწყვეტილებაზე. ადამიან-მორიელები ხედავენ, რომ გილგამეში ურყევია და გმირს მთის კარით გაატარებენ.

დიდხანს იარა გილგამეშმა მთის ხეობებით უკუნეთ წყვდიადში, ვიდრე არ მიადწია საბოლოოდ ღმერთების დიდებულ ბაღს, სადაც ხეებს ნაყოფის ნაცვლად ძვირფასი ქვები ასხია. შემდეგ მიემართება ზღვის სანაპიროსაკენ, რომელიც ბაღს აკრავს და ხვდება ქალღმერთ სიდურ-საბითუს.

როდესაც ქალღმერთი შეიტყობს რა მიზნით წამოიწყო გილგამეშმა ეგზომ ძნელი და სახიფათო მოგზაურობა, ცდილობს ხელა აღუბინოს განზრახვაზე.

„ჰოი, გილგამეშ აბა მითხარ იჩქარი საით?
შენ რომ დაეძებ, იმ სიციხეს, ვერსადა ჰპოვებ!
როს ღმერთნი ჰქმნიდნენ კაცთა მოდგმას ღვთაებრივ ძალით,
იქვე უსაჯეს მას სიკვდილი გარდაუვალი,
და უკვდავება თავიანთთვის მათ დაიტოვეს.
შენაც, გილგამეშ, სვი და ჰამე, როგორც წესია,
ღლე და ღამ ღმერთნი, ნადიმებში განვლე სოფელი.
ცეკვა-ლაღობით დრო ატარე უმჯობესია.
არ არის იქეთ, გილგამეშო, გადასასვლელი.
ოდითგან არვის გადუეურავს ჟერაც ეს წყლები,
მხოლოდ შამაშმა უძლეველმა ზღვა გადაიარა.
ვინლა იქნება კვლავ ასეთი რამის შემძლები?
საეალად ძნელი, გასასვლელად მიუდგომელი.
სიკვდილის ღრმა წყლებს ჩაუკეტავენ იქ ყველა გზები!
როგორღა გინდა გადალახო შენ ეს ზღვა ვრცელი?
და რას აპირებ, როს შეგხვდება სიკვდილის წყლები?“

მაგრამ როგორ შეაშინებდა ამდენი გმირობის ჩამდენ გილგამეშს სიკვდილის წყლები? როგორ შეაჩერებდა საფრთხე მა-



მზის ღმერთი შამაში.

შინ, როცა ასე ახლო იყო სანუკვარ მიზანთან? არა იგი ვერ დამ-
შვიდდება, ვიდრე არ დაეუფლება უკვდავების საიდუმლოებს.

გილგამეში იმათგანი როდია, ვინც უკან იხევს საფრთხის წი-
ნაშე. მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა მისი ხასიათის ძირითადი
ნიშანია.

ქალღმერთი სიდურტი-საბითუ კეთილ რჩევას აძლევს გილგამეშს:
დაუმეგობრდეს მენავე ურშანაბის, რომელიც შესაძლოა დასთანხმ-
დეს და გადაიყვანოს იგი სიკვდილის წყლებზე.

გილგამეშმა მოძებნა მენავე და მისი დავალებით დაამზადა სა-
მოც წყრთიანი (30 მეტრიანი) ჭოკები. ეს ჭოკები ატცილებელია
ზღვის გადასაცურავად, ამ ზღვის წყალი უბრალო შეხებითაც კი
კლავს ადამიანს. გატეხილი ჭოკი დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს
ახლით.

როდესაც ეს ოცი ჭოკი გატეხა გილგამეშმა, როგორც იქნა, მი-

აღწია იმ მდინარის სათავეს, სადაც უკვდავი უთნაფიშთი ცხოვრობს. შინიდან გილგამეში ახალგაზრდა და ჭანმავარი წამოეღა. ხოლო აქ რომ მოაღწია, დალილი, ქანცგაწყვეტილი და დაბერებული იყო; ტანსაცმელი გაუცვდა და ძონძებად ექცა, შუბლზე ღრმანოკები გაუჩნდა, მძიმე ავადმყოფობამ ძალ-ღონე გამოაცალა.

უთნაფიშთის დიდად გაოცებული შეხვდა გილგამეშს, ჯერ არც ერთ მოკვდავს არ გადაელახა სიკვდილის წყლები. რატომ მოვიდა იგი აქ? რა სურს?

გილგამეში უკამბობს რისთვის ჩამოვიდა აქ. აჰას მოსდევს ბრძენი მოხუცის პასუხი:

„განა საუკუნოდ ვაშენებთ სახლებს? .

განა მუდმივია ბექედი ჩვენი?

განა სამუდამოდ იყრებიან ძმები?

განა საუკუნოდ ჩნდებიან ბავშვები?

განა მუდამაა მდინარე წყალუხვი?

განა ოდითვე არ მეფობს სიკვდილი?“

მაგრამ გილგამეში ეკითხება: "

„შენ როგორღა მოიპოვე უკვდავება?“

მაშინ უთნაფიშთი უკამბობს გილგამეშს ცნობილ მითს წარღვნის შესახებ, რომელიც ვახსენეთ ზემოთ. ეს ლეგენდა იპითაა საინტერესო, რომ გვიჩვენებს როგორ ხსნიდნენ ადამიანები შორეულ წარსულში ბუნების ისეთ სტიქიურ მოვლენას, როგორიცაა წყალდიდობა.

ეგფრატის სანაპიროზე ოდესღაც გაშენებული იყო ქალაქი შურუფაქი, სადაც ცხოვრობდა ალაღმართალი კაცი — უთნაფიშთი. როდესაც ადამიანებზე განრისხებულმა ღმერთებმა განიზრახეს წარღვნის მოვლენა, წყლის სტიქიისა და სიბრძნის ღმერთმა ეამ ეს უთნაფიშთის შეატყობინა.

შურუფაქელო კაცი,
უბარა-თუთუს ძვე,
დაშალე სახლი შენი,
ხოვალდი ააგე.
დათმე სიმდიდრე შენი,

ეძიე სიცოცხლე-
დასთმე საბადებელი,
მხოლოდ ხსნა სცადე სულის.
და აიყვანე გემზე
თესლი ყველა სულდგმულის“.

უთნაფიშთიმ ყურად იღო ეს რჩევა. ააგო ხომალდი.

ღმერთ ეას რჩევით უთნაფიშთი ვერაგულად მოიქცა. მან არ გაუმხილა თანამემამულეებს მისთვის განდობილი საიდუმლოება მოსალოდნელ წარღვნაზე. ქალაქის მცხოვრებლების შეკითხვაზე, თუ რატომ აშენებს ასე დაჩქარებით ხომალდს, უთნაფიშთი პასუხობს, რომ იგი სძაგს მიწის ღმერთ ენლილს და ამიტომ გადაწყვიტა დასახლდეს ზღვის ღმერთის ეას სამფლობელოში. დასაღუპად განწირულ შურუფაქელებს იგი უწინასწარმეტყველებს ყოველგვარ სიკეთეს. თავის სიტყვაში ხმარობს ორაზროვან ფრაზებს და მომავალ წარღვნაზე ისე ლაპარაკობს, რომ უბირი ხალხი ელის „ხორბლის წვიმას“ და არა დამღუპველ ღვართქაფს.

თადარიგიანმა უთნაფიშთიმ რაც კი შესაძლებელი იყო ყველაფერი თან წაიღო. ხომალდი დატვირთა ოქრო-ვერცხლით, გარეული და შინაური პირუტყვით, ყრველგვარი თესლით და აგრეთვე ხომალდზე გადაიყვანა თავისი ოჯახი და მშობლები.

ღვთის მიერ დადგენილ ღღეს ატყდა ქარიშხალი. გილგამეშის პოემაში მოცემულია ამ შემთხვევის მეტად ხატოვანი აღწერა.

„როგორც კი მოატანა განთიადმა, ჰორიზონტიდან დაიძრა შაჭი ღრუბელი. და დაიქუხა ქვექა-ქუხილის ღმერთმა] ადადმა. [ადადის თანამგზავრები, უფრო დაბალი რანგის ღმერთები], შულათი და ხანიში წინ მიდიან. მოდიან მთებისა და ველების წარმომადგენლები, ქვესკნელის ღმერთი] ირაგალი გლევს ანძებს, მოდის [ომის ღმერთი] ნინურთა და ერეკება ყველა შემხვედრს, ანუნაქებს — მიწისქვეშეთის სულებს] ხელთ უპყრიათ ჩირაღდნები, და მათი შუქით ანათებენ ქვეყანას. ადადის რისხვა ზეცამდე აღწევს, ყოველივე ნათელი წყვილიადმა მოიცვა... ძმა ძმას ვერ ხედავს, ზეცაში ველაქ ცნობენ ადამიანებს.

ღმერთები შეაშინა წარღვნამ, უკუიქცნენ და ზეცას, ღვთაება ანუს სამფლობელოს, მიაშურეს. ღმერთები ძალღებვივით ჩაცუტქულიყვნენ და მწუხარებას მისცემოდნენ. იშთარი მოსთქვამდა.

ექვს დღესა და შვიდ ღამეს მძვინვარებდა ქარი, წარღვნა, გრი-
გალი, და ანადგურებდა ქვეყანას. მეშვიდე დღეს მიწყნარდა გრი-
გალი, დასრულდა წარღვნა, ჩადგა ქარიშხალი.

ღამშვიდდა ზღვა, მიყუჩდა გრიგალი, დასრულდა წარღვნა“.


შემდეგ უთნაფიშთი უამბობს გილგამეშს: „გავხედე ამინდს. გარ-
შემო მყუდროებაა. მთელი კაცობრიობა თიხად ქცეულა. გათანაბ-
რებულია ზღვა და ველი. გავაღე სარკმელი
და შუქი სახეში მეცა. თავი დაეხარე, ჩამოე-
ჩექი და ავტირდი, ღაპა-ღუპით მდიოდა
ცრემლები“.

უთნაფიშთის ხომალდი განმარტოებულ
კუნძულს მიაღდა, ეს ნიცირის მთის მწვერ-
ვალი იყო. როგორც მეცნიერები ვარა-
უდობენ, ნიცირი ძველი სახელწოდებაა ზაგ-
როსის ქედის განტოტების ერთ-ერთი მთისა
ბაბილონის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

„ხომალდი ნიცირის მთას მიაღდა; ნიცირის
მთამ შეაკავა ხომალდი და არ მისცა რყევის
საშუალება... მეშვიდე დღეს მე გამოვიყვანე
მტრედი და გავუშვი [იგი]. გაფრინდა მტრე-
დი, იფრინა, იფრინა, მაგრამ ვერ ნახა [ხმე-
ლეთი] ადგილი და დაბრუნდა უკან. მე გა-
მოვიყვანე მერცხალი და გავუშვი. გაფრინდა
მერცხალი იფრინა, იფრინა, ვერ ნახა ხმელე-
თი და დაბრუნდა. გამოვიყვანე ყვავი და გა-
უშვი [იგი]. გაფრინდა ყვავი, ნახა რომ წყალი ჩავლილია და აღარ
დაბრუნებულა.

გამოვეყვი ოთხ ქარს და შევწირე ღვინო მსხვერპლად. მე ვაკ-
მიე საკმელი მთის მწვერვალზე, გავმართე შვიდი და შვიდი სამსხ-
ვერპლო და დაეყარე ლერწამი, კედარი და ფიჩხი. ღმერთებმა იყ-
ნოსეს კეთილსურნელება, და ბუზებივით მიეისვენენ შეწირულ
მსხვერპლს...“

ამ საინტერესო აღწერილობაში თვალში გვხვდება მეტად უპა-



აღადი — ქუხილის,
ელვისა და გრიგალის
ღმერთი.

ტივცემულო დამოკიდებულება ღმერთების მიმართ. შეშინებული ღმერთები „ძალღებოვით“ ჩაცუკუნენ. ღმერთებმა იყნოსეს კეთილსურნელება და „ბუზებივით მიესივნენ“... ამ ეპოსში სხვაგანაც გვხვდება ასეთი თავისუფალი გამოთქმები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ღმერთების ავტორიტეტი საკმაოდ შერყეული იყო.

— მიწის ღვთაება ენლილმა ჩემი ხომალდი რომ დაინახა, — განაგრძობს უთნაფიშთი, — გაცეცხლდა.

— არც ერთი ადამიანი არ უნდა გადარჩენილიყო! რომელმა გაბედეთ მომავალი წარღვნის საიდუმლოების გაცემა? — უყვირა მან ღმერთებს.

— ეს ეამ ჩაიღინა, — თქვა ომის ღვთაება ნინურთამ.

მაგრამ ბრძენმა ეამ მოახერხა თავის მართლებამ. მან უპასუხა ენლილს:

— მე არ გამიმჟღავნებია ღმერთების საიდუმლო უთნაფიშთისათვის. მე მხოლოდ წინასწარმეტყველური სიზმარი მოვევლინე მას. მაგრამ როგორ მოხდა, რომ შენ, ყოვლისშემძლე ენლილ, დაუფიქრებლად მოაწყვე წარღვნა? თუ ადამიანებს რაიმე დანაშაული მიუძღოდათ, შეიძლებოდა მათი შემცირება, მიგვესია ლომები, აფთარი, შიმშილი, ცეცხლი. რატომ უნდა დაიღუპოს მთელი კაცობრიობა?

ამ სიტყვებზე ენლილმა რისხვა მოწყალებით შეცვალა. მან უკვდავგვყო მე და ჩემი ცოლი, და მდინარის სათავეში დაგვასახლა.

მაგრამ ეს ნაამბობი არ აკმაყოფილებს გილგამეშს. იგი ცდილობს ბოლომდე ათქმევინოს სათქმელი. მაინც როგორ უნდა მოვიპოვო უკვდავება?

ამ კითხვას მოსდევს დამცინავი პასუხი: სცადე არ დაიძინო ექვს ღღესა და შვიდ ღამეს, თუ დასძლევ ძილს, იქნებ სძლიო სიკვდილიც, რომელიც ეგზომ წააგავს მას.

გილგამეში თანხმდება და... იქვე მკვლარივით ჩაეძინება. დაღლილობამ სძლია. გამოცდას ვერ გაუძლო.

მეშვიდე ღღეს უთნაფიშთიმ გააღვიძა გილგამეში, მაგრამ ჩვენი გმირი დარწმუნებულია, რომ მან წუთით ჩათვლიდა. ამის პასუხად უთნაფიშთი უჩვენებს მას ექვს პურს, მისმა ცოლმა რომ გამოაცხა იმ ღღეს, როცა გილგამეშმა დაიძინა. ერთი პური იყო

მთლად დაშლილი, მეორე—დაფშენილი, მესამე—ნოტიო, მეოთხე—
დაობებულნი, მეხუთე — დაძველებული, მეექვსე ხმელი.

აი, ყოვლის დამამხოველი დროის კვალი, ადამიანის ორგანიზ-
მის თანდათანობითი და გარდუვალი დაშლის სიმბოლო!

გილგამეში სასოწარკვეთილებას ეძლევა. მას ისღა დარჩენია,
შინ ხელცარიელი დაბრუნდეს. მაგრამ იგი შეიბრალა მისმა შორე-
ულმა წინაპარმა — უთნაფიშთის ცოლმა. უთნაფიშთიმ გაუმელავენა
მას „სანუკვარი საიდუმლო“.

როგორც ირკვევა, უკვდავება ოკეანის ფსკერზე ქელიან ბალახ-
შია დაფარული. ვინც ამ სასწაულმოქმედ მცენარეს დაეუფლება,
ის უკვდავებას მოიპოვებს.

გილგამეში წუთითაც არ დაფიქრდება, გამოიბამს ფეხებზე მძი-
მე ქვებს და ეშვება ოკეანის ფსკერზე. იგი მთლად დაიკაწრავს ხე-
ლებს, მაგრამ მოიპოვებს საოცნებო ბალახს. შეიხსნის მძიმე
ქვებს და გამოსცურავს ნაპირზე.

თავის უსაზღვრო სიხარულს იგი უზიარებს მენავე ურშანაბის.
ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მას ხელთა აქვს საოცნებო ბა-
ლახი, რომელსაც ჰქვია „ადამიანი ხდება ახალგაზრდა“.

უსაზღვრო და წარმტაცია გილგამეშის გეგმები, დიადი და კე-
თილშობილური მიზნები აქვს დასახული. იგი როდი დაკმაყოფილდე-
ბა, როგორც უთნაფიშთი, პირადი უკვდავებით. იმ სასწაულმოქ-
მედ მცენარეს მიიტანს მშობლიურ ურუქში და აკმევს თავის
ხალხს. თითოეული მცხოვრები, მთელი მისი ხალხი შეიცნობს მა-
რადიული ახალგაზრდობის ბედნიერებას.

იმედებით აღსავსე გილგამეში ბრუნდება უკან. ერთ რომელი-
ღაც წყალსატევთან რომ მივა, გადაწყვეტს იბანაოს და როცა
წყალში ჩაყვინთული ჩვენი გმირი სიგრილით ტკებოდა, ძვირფასი
ბალახის სურნელება იგრძნო გველმა, იგი ნელი ზღაზვნით მივიდა
და შექამა მცენარე... იქვე შეიცვალა ტყავი — სასწაულმოქმედმა
ბალახის ძალამ თავი იჩინა.

ეპოსი მთავრდება გილგამეშის ურუქში დაბრუნებით და ენქი-
დუს სულთან საიქიო ცხოვრებაზე საუბრით.¹

¹ გილგამეშის თქმულება მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზეა ნათარგმნი, მათ
წორის ქართულადაც. იხ. „გილგამეში“ (აქადურიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ), „ნაკა-
დული“ თბ., 1963 წ.

ერთი შეხედვით, გილგამეშის ეპოსი შეიძლება მოგვეჩვენოს ყოველგვარი შეთხზული ამბებისა და უცნაური თავგადასავლების უზრო თავმოყრად.

სინამდვილეში კი ამ ფანტასტიკაში, ისევე როგორც ყველა ხალხურ ზღაპარში, არის თავისი ღრმად დაფარული აზრი, თავისი მორალი, თავისი იდეა.

ძნელი არ არის ზოგიერთი ღვთაების ქცევასა და მოქმედებაში დავინახოთ ბუნების სტიქიური ძალების განსახიერება, რომელთა გონივრული ახსნაც ადამიანებს მაშინ არ შეეძლოთ. ჩვენ ვამბობთ: — ცუდი ამინდი დადგა. ძველი შუამდინარეთის მცხოვრები კი საქმეს სხვანაირად უყურებდა. მას ავდარი ადადის — ჭექა-ქუხილის, ელვის, წვიმისა და ღვართქაფის ღმერთის, — რისხვის გამოვლინებად მიაჩნდა. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ჭექა-ქუხილისა და ელვის გამომწვევი მიზეზები და არავის არ აშინებს ისინი, მაგრამ იმ შორეულ დროში ეს მოვლენები ადადის განრისხების მათუწყებლად მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, რომ ადადი ამით ადამიანებს სჯისო.

ეპოსში შეტანილი მითი წარღვნის შესახებ განა არ ასახავს რეალურ ფაქტებს, ფანტასტიკურად გააზრებულს ძველი დროის ადამიანის მიერ?

წარღვნის შესახებ მითის ფესვები შეიძლება ვიპოვოთ სამხრეთ შუამდინარეთის ბუნებრივი პირობების თავისებურებაში. საკმარისი იყო ძლიერი ქარი ამტყდარიყო და სპარსეთის ყურიდან დაებერა, რომ მისი წყლები შეუჩერებელ ნაკადად მოედინებოდა უკან, ავსებდა ტიგროსსა და ეფრატს და ტბორავდა ირგვლივ ყველაფერს.

არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენეს, რომ უხსოვარი დროიდან მესოპოტამიაში მართლაც მოხდა რამდენიმე არაჩვეულებრივად ძლიერი წყალდიდობა, რომელთა დროსაც წყლით დაიფარა მრავალი სოფელი და ქალაქი და დაიღუპა თითქმის მთელი მოსახლეობა. ბუნებრივია, ძველ ბაბილონელებს არ შეეძლოთ სწორად აეხსნათ ასეთი სტიქიური უბედურების მასშტაბები და იგი წარმოადგინილი ჰქონდათ, როგორც მსოფლიო წარღვნა.



გილაგამეში აპარტებს ლომს.

თუ კარგად დავეუკვირდებით, არც ისე საშინელი მოგვეჩვენება ხუმბაბა-ურჩხული, რომელიც კედლის ტყეს განასახიერებს. უტყუო მესოპოტამიის ველების მცხოვრებთათვის ტყის ტევრი იღუპალებით იყო აღსავსე. მათ შიშის ზარს სცემდა ლიბანის ხშირი ტყეები, სადაც მზის სხივიც ვერ აღწევდა. ძველი დროის ადამიანთა წარმოდგენით ტყე სავსე იყო არა მარტო ველური ცხოველებით, არამედ ადამიანებმსაგავსე მტრულად განწყობილი ფანტასტიკური არსებებით.

ლეგენდაში ნახევრად მხეც და ნახევრად ადამიან ენჭიდუს შესახებ აშკარად ისმის იმ შორეული დროის გამოძახილი, როცა ადამიანი ეუფლება მიწათმოქმედების საფუძვლებს, სწავლობს პურის ცხობას, ღვინის დამზადებას, ნადირობასა და მომთაბარე მეცხოველეობიდან თანდათანობით გადადის ბინადარ ცხოვრებაზე — მიწათმოქმედებაზე.

ამრიგად, ფანტასტიკურ საფარველს იქით, რომელშიც გახვეულია თქმულებები გილგამეშის თავგადასავალზე, გამოსჭვივის ძველი ბაბილონელების უმწეობა ბუნების სტიქიური მოვლენების წინაშე. მათ არ შეეძლოთ სწორად გაეგოთ და აეხსნათ ისინი.

მაგრამ ამ თქმულებებში არის ჭეშმარიტად გმირული საწყისი — მისწრაფება შეიცნონ მიწის კანონები, სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოებანი, დაძლიონ, დაიმორჩილონ სტიქიის ბრმა ძალები, გაბატონდნენ მათზე, მოუპოვონ კაცობრიობას უკვდავება.

პოემა უმღერის სიცოცხლის სიყვარულს, მიზნისკენ სწრაფვას, გმირის მტკიცე ნებისყოფას. მას ვერ აშინებს ბუნების ძალები, რომლებიც მრავალრიცხოვანი, ცბიერი, ბოროტი და შურისმგებელი ღმერთების სახითაა განსახიერებული. იგი ღირსეულად უძლებს ყველა გამოცდას.

გავიხსენოთ, რომ ღმერთები ცდილობენ არა მარტო შეაშინონ გილგამეში, არამედ მოხიბლონ და მოისყიდონ იგი. მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაოა.

ურჩხულს რომ დაამარცხებს, გილგამეში გულგრილად ჩაუვლის გვერდს ძვირფას ქვებს, რომლებიც ელვარებას აფრქვევენ. მან უარყო ორგული და მოღალატე ქალღმერთ იშთარის სიყვარული. მის გულს არ აღელვებს ცხოვრებისეული სიხარულის მომხიბლავი სურათები, ქალღმერთმა სიდურის-საბითუმ რომ აუწერა. სასიკვდილო საფრთხის წუთებში გილგამეში ამბობს:

„მე თუ დავეცი, — გადარჩება ჩემი სახელი!“

არა პირადი გამორჩენის, არამედ თავისი ხალხის ბედნიერებისათვის ჩადის გილგამეში დიდ საგმირო საქმეებს და ეს კეთილშობილური იდეა მახლობელი და გასაგებია ადამიანებისათვის.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი ა. მ. გორკი ძალიან დიდ შეფასებას აძლევდა ზეპირ ხალხურ შემოქმედებას, იგი მასში ხედავდა მშრომელი ხალხის ყველაზე უფრო სანუკვარი ოცნებების და აზრების გენიალურ განხორციელებას. იგი ამტკიცებდა, რომ „შეუძლებელია იცნობდე მშრომელი ხალხის ნამდვილ ისტორიას, თუ არ იცნობ ზეპირ ხალხურ შემოქმედებას“.

მითების, ლეგენდების, თქმულებების ზღაპრულ სახეებში ასახულია ხალხის მისწრაფებები, დაიმორჩილონ ბუნება, დაძლიონ

ავადმყოფობა, სიბერე, სიკვდილი, გააადვილონ ადამიანთა ცხოვრება, გაათავისუფლონ ისინი ჩაგვრისა და ექსპლუატაციისაგან. „გმირების ყველაზე უფრო ღრმა და მკაფიოდ გამოკვეთილი, სრულქმნილი მხატვრული სახეები, — ამბობდა გორკი, — შექმნა ხოლკლორმა, მშრომელი ხალხის ზეპირმა შემოქმედებამ“.

„ყველაზე უფრო ღრმა და მკაფიოდ გამოკვეთილ, სრულქმნილ მხატვრულ“ სახეს თამამად შეიძლება მივიაკუთვნოთ მსოფლიოს ძველისძველი ეპოსის უშიშარი გმირი გილგამეშიც.

ხალხმა ყველა საუცხოო თვისება მიაწერა თავის საყვარელ გმირს. ეს თვისებები ძალიან ამაღლებდა მას ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით. გილგამეშის თქმულებებში ხალხი პოულობდა სულიერ ძალას და უკეთესი მომავლის იმედს.

შემთხვევით კი არ გაისმოდა ეს თქმულებები მწყემსების ღამის კოცონებთან და მეზადურის საცოდავ ქოხებში, ხმაურიან აღმოსავლურ ბაზრებსა და მხვნელ-მთესველთა ხანმოკლე შესვენების დროს ფინიკის პალმების ჩრდილში.

თქმულება ადაპას

უკვდავების ძიების სამყაროსავით ძველი, მაგრამ მარად უქნობი იღეა ფართოდ აისახა ბაბილონურ მითოლოგიაში. ამ იღეითაა გამსჭვალული არა მარტო გილგამეშის ეპოსი, არამედ კიდევ უფრო ძველი თქმულება ადაპას შესახებ.

ამ ნაწარმოების გმირი — ადაპა — მოკვდავი ქალისა და ღვთაება ეას ვაჟი იყო, სწორედ იმ ბრძენი და ცბიერი ღვთაება ეასი, რომელმაც გააფრთხილა უთნაფიშთი მოსალოდნელ წარღვნაზე და გაანდო ღმერთების მიერ ფარულ თათბირზე მიღებული საიდუმლო გადაწყვეტილება.

ადაპამ მამისგან მემკვიდრეობით მიიღო მხოლოდ ღვთაებრივი სიბრძნე, უკვდავება კი არ მიუღია. ამ გარემოებამ დააახლოვა იგი დედასთან და ნამდვილ „მიწიერ“ გმირად აქცია.

იგი ცხოვრობდა ქალაქ ერიდუში სპარსეთის ყურის სანაპიროა

ზე. მის მოვალეობას შეადგენდა უზრუნველყო თავისი მამის ეას სუფრა პურით, ღვინით, ხორციით და თევზით.

ერთხელ, ადაპა ყურეში თევზაობდა. უეცრად სამხრეთის ქარი ამოვარდა, გადააბრუნა მისი ნავი და ადაპა კინალამ დაიხრჩო. ადაპამ შური იძია სამხრეთის ქარზე — დაუმტვრია ფრთები, რითაც საშუალება მოუხპო კვლავ ექროლა და მიეყენებინა ზიანი ადამიანებისათვის.



მიწისქვეშა წყლები-
სა და ზღვის
ღმერთი ეა.

გავიდა შეიდი დღე. ცის ღვთაება ანუ გაოცებული შენიშნავს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ ჩანს სამხრეთის ქარი. ანუ გზავნის შიკრიკს გაიგოს, რა მოხდა. შიკრიკი მალე ბრუნდება და მოახსენებს:

„მბრძანებლო! ეას ძემ ადაპამ ფრთები დაამტვრია სამხრეთის ქარს“.

ცის განრისხებული მბრძანებელი პასუხის საგებად უხმობს თავისთან ადაპას.

ეამ იცის, რომ მის ძეს მძიმე სასჯელი ელის, და რამდენიმე კეთილ რჩევას აძლევს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოიპოვოს ცის მეკარეთა ღმერთების თამუზისა და გიშხიდის მხარდაჭერა. მეორე, უნდა შეიმოსოს სამგლოვიაროდ, მესამე, ხელი არ უნდა

ახლოს სასმელ-საჭმელს ღვთაება ანუს სუფრაზე, რადგანაც ისინი მომაკვდინებელია.

„ოდეს წარსდგები ანუს წინაშე —
შეგთავაზებენ სიკვდილის საჭმელს, —
არ ჭამო იგი,
შეგთავაზებენ სიკვდილის სასმელს, —
არ შესვა იგი.
შეგთავაზებენ სამოსელს და; —
მით შეიმოსე.
შეგთავაზებენ ნელსაცხებელს, —
წაისვი ტანზე.“

გვერდს ნუ აუვლი რჩევას,
რაც კი მე მომიცია.
ჩემი ნათქვამი დაიხსომე
ქარგად, ღირსია!“

აღაპა რომ შიკრიკის თანდასწრებით ზეცაში წარსდგა, ყველა-
ფერი ისე მოხდა, როგორც ეამ განჭვრიტა.

თავდაპირველად ანუს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სასტი-
კად დაესაჯა ადაპა. იგი მას ხედება შეძახილით: „არავითარი დან-
ღობა!“ მაგრამ თამუზისა და გიშზიდის გამოქომამებების წყალობით,
ცის მეუფე მოლბა. ირწმუნა, რომ ადაპა მხოლოდ თავს იცავდა.
ანუმ არა მარტო გაათავისუფლა იგი სასჯელისაგან, არამედ გადა-
წყვიტა მისთვის უკვდავება ებოძებინა.

აქ კი ცუდი სამსახური გაუწია მას ეას რჩევამ — არ ესვა და
არ ეჭამა ანუს სუფრაზე. აი, როგორაა ნათქვამი ეს თქმულებაში:

„და ბრძანებს ანუ, მპყრობელი ცათა:
— მოართვით ადაპს სიციოცხლის კერძი,¹
დაე, იგემოს!
მაგრამ როცა მოუტანეს მას ეს საკმელი,
არ ახლო ხელი.
როცა მოართვეს სიციოცხლის წყალი,
მან არც ის მოსვა.
და მორთმეული სამოსელით
კი შეიმოსა.
ნელსაცხებელით დაიზილა
მთელი სხეული.
უცქერის ანუ მას
უზომოდ გაოცებულო:
— მითხარ, ადაპა,
რატომ არ სეი და რად არ ჰამე.
ამით დაჰკარგე სამუდამოდ შენ უკვდავება!
² — ეამ, ჩემმა მბრძანებელმა ეს მიჩიია მე:
„არც რამ შეკამო და არც შესვა“, მეც შეეასრულე.
— მოჰკიდეთ ხელი, დაუბრუნეთ
კელავ თავის მიწას!“

ამრიგად, საბედისწერო გაუგებრობის გამო ადაპამ დაჰკარგა
უკვდავება.

გილგამეშის ეპოსსა და ადაპს თქმულებას ეხმაურება პოეტური ლეგენდა გმირ ეტანაზე, რომელიც ძველბერძენთა იკაროსის მსგავსად ზეცაში აფრენას ცდილობდა.

ეტანას უნდა დაეხადოს ძე: მას განსაკუთრებული ხვედრი — ერთ-ერთი სამეფოს მბრძანებლობა — ელის. მაგრამ... ეს სამეფო ჯერ არ არსებობს. იგი ზეცაში უნდა მოიპოვოს.

ეტანა ევედრება მზის ღვთაება შამაშს ასწავლოს, როგორ მოიპოვოს „ზობის ბალახი“ (რომელიც ძალიან გვაგონებს გილგამეშის ეპოსის „უკვდავების ბალახს“) და უმაღლესი სამეფო ხელისუფლების ნიშნები?

შამაში აგზავნის ეტანას არწივთან, რომელსაც შეუძლია ცაში აიყვანოს იგი.

არწივი უხსოვარი დროიდან მეგობრობდა გველთან, მაგრამ ერთხელ დაარღვია მეგობრობის კანონები და მისი წიწილები შესანსლა. ასეთი მკრეხელობისათვის რომ შური ეძია, გველი მკვდარი გარეული ხარის გვამში დაიძალა და მოულოდნელად დაესხა თავს არწივს, როცა იგი მძორზე დაჯდა. გველი ეცა მას და გადაისროლა ღრმა ორმოში, რათა შიმშილითა და წყურვილით დაედუბა ბოროტ-მოქმედი.

შამაშს სურდა დახმარებოდა ეტანას და გადაერჩინა არწივი, ამიტომ ჩვენს გმირს აგზავნის ორმოსთან, სადაც არწივი იტანჯება.

გადარჩენისათვის ფრინველი აღუთქვამს ადამიანს, როგორც კი დაუბრუნდება ძალ-ღონე, თავისი ფრთებით აიყვანოს იგი ღმერთთა სამყოფელში.

კითხულობ ოთხი ათასზე მეტი წლის წინათ შექმნილ ამ ლეგენდას და რწმუნდები, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ოცნებობდნენ ადამიანები დაემორჩილებინათ სივრცე, ეფრინათ დედამიწის თავზე. ეტანას ლეგენდაში არწივი იმავე როლს ასრულებს, რასაც მფრინავი ხალიჩა ბალახურ თქმულებებში.

არწივი გააფრენის წინ ეუბნება ეტანას.

ო, მეგობარო!
გადიყარე შუბლზე ნაღველი!
მსურს გაგაქროლო ეჭ,

ნად ანუს აქეს სამყოფელთ.
დაე ჩემს მკერდზე
განისვენოს მაგ შენმა მკერდმა,
ჩემს გაშლილ მხრებზე
ეწყოს შენი მძლავრი ხელები,
და ჩემს სხეულს მიეკარი
შენი სხეულით“.

ლეგენდაში მოცემულია არწივის მკერდზე მიკრული ეტანას გაფრენის მეტად ხატოვანი აღწერა.

„სწრაფად იფრინეს
საათი ორი.
შემდეგ არწივი ეტყვის
ეტანას:
„აბა, გახედე, მეგობარო,
როგორ ჩანს მიწა,
თვალი შეაღლე ზღვას
იმ მხარეს, სადაც მთებია.
— მიწა ჩანს ისე,
როგორც მთის ქედი,
ზღვა კი მდინარის
ვიწრო ნაკადს დამსგავსებია.
კვლავ ორჯერ ორი
საათის შემდეგ
არწივი ისევ ეტყვის
ეტანას:
„აბა, გახედე, მეგობარო,
როგორ ჩანს მიწა.
— მიწა ჩანს ისე,
როგორც წარაფი.
კვლავ სამჯერ ორი
საათის შემდეგ
არწივი ისევ ეტყვის ეტანას:
— აბა, გახედე, მეგობარო,
როგორ ჩანს მიწა.
— ზღვა გადაიქცა
მებაღის არხად“.

ამ მოკლე ნაწყვეტში გაოცებას იწვევს ძველი მთქმელების წარმოსახვის ძალა, მათ შეძლეს მოეცათ ფრენის დროს მიღებული მხედველობითი აღქმის საოცარი რეალისტური აღწერა.

ახლა ჩვენ კარგად ვიცით, რომ თვითმფრინავი რაც უფრო მაღლა ადის, მიწაზე ყველა საგანი მკვეთრად პატარავდება, სახლი ასანთის კოლოფად ჩანს, მდინარე ლურჯ ზოლს ემსგავსება, ადამიანები თოჯინებს წააგავან.

ტრამალებში მცხოვრებ ძველ ბაბილონელებს საშუალება არ ჰქონდათ ენახათ საგნები და ადგილმდებარეობა დიდი სიმაღლიდან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს მოეცათ ჩვენი პლანეტის ძალიან სწორი სურათი ფრინველის თვალსაწიერიდან.

როგორც იქნა, საჭაერო მოგზაურებმა მიაღწიეს ზეცას, ანუ საშფლობელოს, მაგრამ, სამწუხაროდ, სასწაულმოქმედი ბალახი იქ არ აღმოჩნდა. საჭირო შეიქნა კიდევ უფრო მაღლა, იშთარის — სიყვარულისა და ნაყოფიერების ღვთაების — სამფლობელოში ასვლა.

„კვლავ სწრაფ ფრენაში

გაიარა საათმა ორმა

[არწივი ეტყვის]:

— გახედე ერთი, მეგობარო,
როგორ ჩანს მიწა.

— მიწა ჩანს ახლა

ვით მთვარის დისკო,

შორეული ზღვა

მცირე ეზოს დამსგავსებია.

კვლავ სწრაფ ფრენაში

ორჯერ ორმა განვლო საათმა,

[არწივი ეტყვის]:

— გახედე ერთი, მეგობარო,
როგორ ჩანს მიწა.

— მიწა ჩანს ახლა

როგორც ლავანი,

შორეული ზღვა

პურის კალათს დამსგავსებია.

სამჯერ ორმა განვლო საათმა,

[არწივი ეტყვის]:

— გახედე ერთი, მეგობარო,
ვით გაქრა მიწა.

— და მე ვიხილე,

მიწა როგორ გაუჩინარდა,

ვერც შორეულ ზღვას

მისწვდა ჩემი თვალსაწიერი“...

ეტანა არწივთან ერთად თვალშეუწევდენელი სიმაღლიდან უფსკრულში გადაიჩეხა.

ჩანს, ეტანა სასიკვდილოდ დაშავდა. ბოლო თიხის ფირფიტისა, რომელზეც ჩაწერილია ეს ლეგენდა, დაზიანებულია და როგორ დასრულდა ეს ისტორია, ამას თვითონ უნდა მიხვდეს მკითხველი.

ზეცაში ასვლის და ღმერთებთან გატოლების ცდა ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. მაგრამ ხალხს საუკუნეების განმავლობაში ხიბლავდნენ გმირები, რომლებიც გაბედულად უტევდნენ ზეცას, იბრძოდნენ უკვდავების მოსაპოვებლად, ეძებდნენ „ბალახს სიცოცხლისა“ და „ბალახს შობისა“...

ამ ლეგენდებში, თქმულებებსა და მითებში ცოცხლობდა უბრალო ადამიანთა ჩაუქრობელი იმედი და მისწრაფება მიელწიათ უკეთესი, ღირსეული ცხოვრებისათვის.

მითი სამყაროს შესახებ

კარგადაა ცნობილი, რომ ბავშვი, როგორც კი ლაპარაკს იწყავს, გარემომცველი მოვლენებისა და საგნების შთაბეჭდილების ზეგავლენით ათასობით შეკითხვას იძლევა. მას ყველაფერი აინტერესებს. იგი ცდილობს დეტალურად გამოარკვიოს: „რა არის ეს?“ „ვინ გააკეთა ეს?“ „რატომ“?

ყველა ეს საკითხი აინტერესებდა მოზრდილებსაც უძველესი დროიდან, როდესაც კაცობრიობა ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში იყო.

იმ უხსოვარ დროში ადამიანის გონება ცდილობდა შეეცნო გარემომცველი სამყარო, გარკვეულიყო მის კანონებში, ჩასწვდომოდა სამყაროს საიდუმლოებებს.

მძიმე იყო ძველად ადამიანის ცხოვრება—ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ელოდა. მთელი სამყარო თითქოს დასახლებული იყო იღუმალი, ადამიანისადმი მტრულად განწყობილი ძალებით. მაგრამ ბუნებაში იყო კეთილი ძალებიც, რომლებიც იძლეოდნენ სითბოსა და საკვებს. და იმის მიხედვით, თუ როგორ იმორჩილებდა ადამიანი ბუნებას, კეთილი გენიები სულ უფრო და უფრო მომრავლდნენ და იმარჯვებდნენ ბოროტ ძალებზე.

ბნელ, მისთვის შეუცნობელ სტიქიასთან მძიმე ბრძოლაში ადამიანმა თანდათანობით მოიპოვა მზისქვეშ თავისი ადგილი. ადამიანის გონებამ ნელ-ნელა გადააფასა ფასეულობანი და ბევრი რამ, რაც წინათ მრისხანედ და საშინლად მიაჩნდა, ახლა უკვე აღარ აშინებდამას, პირიქით, საარსებო საშუალებათა წყაროდ იქცა.

ასე, მაგალითად, თუ თავდაპირველად წყალდიდობა საშინელი უბედურება იყო (გავიხსენოთ თუნდაც მითი წარღვნის შესახებ), მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ისწავლეს არხების გათხრა და ჯებირების აშენება, წყალდიდობა უდიდეს სიკეთედ, უხვი მოსავლის წყაროდ იქცა. მდინარე ადამიანის მეგობარი და მოკავშირე გახდა. ხალხური რწმენის მიხედვით, ბოროტი და ცბიერი, ადამიანებისადმი მტრულად განწყობილი წყლის ღმერთი, დროთა განმავლობაში კეთილ და ბრძენ ღმერთად, ადამიანის მფარველად და მეგობრად იქცა.

იმის გაგების ცდა, თუ როგორ წარმოიშვა სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ვინ „შექმნა“ ცა, დედამიწა, წყალი, ტყისნადირი, ფრინველი და თვით ადამიანი, ძალიან შორეულ წარსულს მიეკუთვნება. გასაგებია, რომ იმ დროში ადამიანს არ შესწევდა უნარი სწორად აეხსნა სამყაროს წარმოშობის ისი ახსნა იმდენადვე გულუბრყვილო, პრიმიტიული და არასრულყოფილი იყო, როგორც მთელი მისი ცხოვრებისეული წარმოდგენები, რომლებიც დაფუძნებული იყო საწარმო ძალთა განვითარების დაბალ დონეზე.

ამ წარმოდგენებმა ხორცი შეისხეს მითებში სამყაროს შესახებ. ერთი, ყველაზე უფრო საინტერესო, აღმოჩენილ იქნა გათხრების დროს ასურბანიაფალის ბიბლიოთეკაში.

ამ მითში, რომელსაც ეწოდება „ენუმა ელიში“ („როს მალა“) მოცემულია სამყაროს შექმნის ფანტასტიკური აღწერა, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით გავრცელებული იყო ძველ აღმოსავლეთში.

გავიხსენოთ, როგორ გაოცდა სმითი, როცა მის ხელში აღმოჩნდა თიხის წიგნის ნაბეჭდოები, სადაც გამოხატული იყო სტრიქონები:

„როს მალა ზეცას
ჯერ არ ჰქონდა თავის სახელი,
და დაბლა მიწას

არ გააჩნდა სახელწოდება,
 დასაბამიდან აფსუ
 იყო მათი მშობელი,
 თიამათი და მუმუმ
 შექმნეს ქვეყნად ყოველი,
 და თავის წყლები
 ერთმანეთში გადაურიეს...“

მაშინ იგი განაცვიფრა ამ ნაწყვეტის საოცარმა მსგავსებამ სამ-
 ყაროას შექმნის ბიბლიურ ლეგენდასთან.

ბევრი ძეგლის შემდეგ ჯორჯ სმითმა იპოვა შეიდივე ფირფიტა, —
 უფრო სწორად მათი ნამტვრევები, რომლებზეც ჩაწერილი იყო ბა-
 ბილონური მითი „ენუმა ელიშ“. მაგრამ ასირიოლოგთა რამდენიმე
 თაობის შრომა დასჭირდა ბაბილონური მითის თითქმის მთლიანი
 ტექსტის აღდგენას, იმდენად იყო დაზიანებული ეს ფირფიტები.

ამ მითის თანახმად თავდაპირველად
 არსებობდა პირველყოფილი ქაოსი, რომელსაც განასახიერებდნენ პირველარსებული
 ღმერთ-ურჩხულები — აფსუ, მუმუმ და თიამათი. შემდეგ გაჩნდნენ დანარჩენი
 ღმერთები, რომლებმაც დაარღვიეს თავიანთი წინაპრების მყუდროება.

ახალგაზრდა ღმერთებმა განიზრახეს პირველყოფილ ქაოსში წესრიგის შეტანა. მაგრამ ეს არ მოეწონათ აფსუსს, მუმუსსა და თიამათის. ახალგაზრდა ღმერთების წინააღმდეგ ეწყობა შეთქმულება, ისინი უნდა დაიღუპონ.

როდესაც ახალგაზრდა ღმერთები შეიტყობენ თუ რა საფრთხე ელით, შიშის ზარი დაეცემათ. სცენაზე გამოდის ჩვენს ძველ ნაცნობი ეა. იგი კლავს აფსუსს და უვნებელყოფს მუმუსს.

თიამათი განიზრახავს სასტიკად იძიოს შური ღმერთების ახალგაზრდა თაობაზე აფსუსს მოკვლისათვის. იგი ქმნის თერთმეტ სხვა-



მარლუქი — ქალაქ ბაბილონის ღმერთი.

დასხვა ურჩხულს, ბასრკბილებიან გველებს, რომელთა ძარღვები სისხლის ნაცვლად შხამითაა სავსე, მრისხანე ღრაკონებს, ცოფიან ქოფაკებს, ადამიან-მორიელებს, ადამიან-თევზებს და სხვებს. ეს მძვინვარე და საშინელი არსებანი გაჰყვებიან მას მომავალ ბრძოლაში. მათი წინამძღოლია ურჩხული კინგუ, რომელსაც თიამათი გადასცემს ბედისწერის სჯულის ფიცარს.

ღმერთებს შორის ვერავინ გაბედა დაძრულიყო საშინელი თიამათისა და მისი მრისხანე მეომრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ ახალგაზრდა მარდუქი, ქალაქ ბაბილონის ღვთაება, იღებს ამ გამოწვევას და მზადაა შეებრძოლოს მას. მაგრამ გმირობის საფასურად იგი მოითხოვს მეთაურობას ღმერთების საბჭოში, რათა ერთპიროვნულად განაგოს სამყაროს ბედ-იღბალი. მარდუქი მიმართავს ღმერთებს:

„თუ კი მე, თქვენი
შურისმგებელი,
დავძლევ თიამათს
და გადაგარჩნთ,
ერთად შემოკრბით მაშინ ყოველი,
და განმადიდეთ...
ჩემი ნათქვამი მსურს
თქვენს ნაცვლად სწვებდეს ბედ-იღბალს
და რასაც მე ვიქმ,
იგი უნდა იყოს უცვლელი,
უცილობელი დაე იყოს
ბრძანება ჩემი!“

ღმერთები ჩაფიქრდნენ, მარდუქი, არსებითად, შეუზღუდველ ძალაუფლებას ითხოვს. არ შეიძლება ასეთი საქმის ნაჩქარევად გადაწყვეტა. უნდა მოითათბირონ, რჩევა ჰკითხონ ერთმანეთს.

ღმერთების საბჭო, რომელიც შემდგომად აღწერილი, მხიარულ ღრეობას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ზეცის მცხოვრებთათვის შესაფერის საქმიან სერიოზულ კრებას.

ატყდა ჩოჩოლი, ღმერთები ერთმანეთს ეჯახებიან, შემდეგ კოცნიან ურთიერთს, ქეიფობენ, ხარბად ნთქავენ სასმელ-საჭმელს, უზომოდ სვამენ ღვინოს და გონებას ჰკარგავენ. მთვრალეები აღფრთოვანებით თანხმდებიან მარდუქის ყველა მოთხოვნას და ანდობენ მას სამყაროს ბედ-იღბალს. ისინი ეუბნებიან მარდუქს:

„მარდუქ, შენა ხარ დიდებული
 დიად ღმერთებში,
 ვერვინ გეტოლოს,
 მხოლოდ შენი სიტყვაა ანუ¹.
 გარდუვალაია ღღეის იქით ბრძანება შენი,
 დე იყოს შენს ხელთ
 დამდაბლება თუ ამაღლება.
 ჭეშმარიტია შენი ნათქვამი,
 სამართლიანი შენი ბრძანება,
 ამიერიდან არც ერთი ღმერთი
 შენს სამყოფელს არ გაეკარება...“

ასეთი პირფერობით სავსე ქებათა-ქებების შემდეგ ღმერთებმა მანც განიზრახეს შეემოწმებინათ ძალა და ძლიერება იმისი, ვისაც მიენდნენ. ამისათვის წინადადებას აძლევენ მარდუქს, მოახდინოს სასწაული, არცთუ ძალიან რთელი, ახლა რომ ცირკში ასრულებენ ისეთი ფოკუსის მსგავსი.

მარდუქის წინ ფენენ წამოსასხამს, დაე მან მაგიური შელოცვით ს'ცადოს უჩინარჰყოს იგი, ხოლო შემდეგ კვლავ ხილული გახადოს.

„მათ დააფინეს
 ძირს სამოსელი,
 და უთხრეს მარდუქს,
 ძეს პირველ შობილს:
 — გახსენ ბაგენი, —
 სამოსი გაჰქრეს
 კვლავ უბრძანე და
 ადვილზე გაჩნდეს!“

მარდუქმა როდი შეირცხვინა თავი:

„ბრძანა სიტყვა და —
 გაჰქრა სამოსი.
 კვლავ უბრძანა და —
 სამოსი გაჩნდა.“

ამ სასწაულმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ღმერთებზე, მათ დიდად გაიხარეს და ერთხმად შესძახეს:

1. ესე იგი წმიდათა წმიდა.

„მხოლოდ მარდუქია მეფე!“

ღმერთები გადასცემენ მას სკიპტრას, ტახტს და უძლეველ იარაღს მტრის გასანადგურებლად.

„წადი, მოუსპე
დღენი თიამათს.
დე, ქარმა მისი სამალავში
წაიღოს სისხლი!“ ,

მარდუქი საგულდაგულოდ ემზადება მომავალი ბრძოლისათვის. ახალგაზრდა ღმერთს სურს თავით ფეხებამდე შეიარაღებული შეხვედეს საზიზღარ თიამათს.

„ბასრი ისარი
გამართა ლარზე,
მარჯვენა ხელით
შუბი აიღო,
მშვილდი, კაპარკი
მოიგდო მხარზე,
წინ წარიმძღვარა
ელვარე ელვა,
სხეული ბრძოლის
ცეცხლით აენთო,
მოქსოვა ბადე
თიამათისთვის,
ქარებს მიანდო
დაკერა მისი.
შექმნა მან ქარი,
მძაფრი გრიგალი,
ავი ქარბუქი.
ოთხბირი ქარი,
შვიდბირი ქარი,
და ქარბორბალა
ჭერ არ ნახული.
და ერთად დასძრა
შვიდივე ქარი,
რათა თიამათს
დასცეს თავზარი“.

საომარ ეტლზე ამხედრებულმა მარდუქმა თან წარიტანა წარღვე-

ნა და გვერდით ოთხი მოსართავი დაიკიდა, აი მათი სახელები: გამანადგურებელი, დაუნდობელი, წამლეკავი, მფრინავი. თავად მარდუქი შეიმოსა საშინელების სამოსით. თავი შეიმკო დამლუპველი ელვარებით. ასეთი სახით გაეშურა იგი თიამათისაკენ და ორთაბრძოლაში გამოიწვია:

„გამოდი! ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ!“

ასეთი სიტყვა რომ მოისმინა, თიამათი გახელდა,

„ხმა ჰყო მაღალი
თიამათმა ეელურ ღრიალით,
და აცახცახდა მთელი ტანით
თხემით ტერფამდე.
წყევლა-კრულვას და შეჩვენებას
აფრქვევს უწყალოდ.
ომის ღმერთები კი იარაღს
ლესაედნენ მხოლოდ.“

დაწვრილებითაა აღწერილი მარდუქსა და თიამათს შორის ბრძოლის ყოველი დეტალი.

„და შეიყარნენ
ბრძენი მარდუქ და თიამათი,
და გაიმართა ორთა ბრძოლა
სასტიკი მათი,
მან გახსნა ბადე,
გაიხლართა შიგ თიამათი,
გრიგალი უკან მომავალი
წინ გაიძახა.
მეგრამ. აი, თიამათმა
დაალო ხახა,
და მისი წთანთქმა ერთიანად
მან განიზრახა.
მარდუქმა მძაფრი ქარიშხალი
მყის შეაჭახა,
და აღარ ძალუქს
ავ თიამათს დამუწოს ხახა.
მძაფრი ქარბუქი
მის სხეულში იკრება სტვენით,
გულშემოყრილმა
კიდევ უფრო დაალო პირი, —

სტუორცნა ისრები,
საზარელი მისი სხეული,
დაპკოდა მკერდში
და გაუბო შუაზე გული.
მან იგი სძლია,
მოუსწრაფა სიცოცხლე კრული.
და ფეხით შესდგა
ძირს დაცემულს
გამარჯვებული“.

თიამათის დამხმარეებმა — მის მიერვე შექმნილმა ურჩხულებმა,
თავიანთი მბრძანებლის დალუპვა რომ იხილეს,

„შედრკნენ, შეშინდნენ
და უკუ იქცნენ,
ილტვოდნენ, სცადეს
თავის დაღწევა,
მაგრამ ბადეში
გახლართულიყვნენ,
და ველარც იმათ
შეძლეს გაქცევა“.

ურჩხულები ბორძიკობენ, ბადეში იხლართებიან და ეცემიან,
თანაც საცოდავად გოდებენ. ამასობაში ძლევამოსილი მარდუქი ამ
უწმინდურებას თოკავს და ამსხვრევს მტრის იარაღს:

ქაჯთა წინამძღოლს კინგუს ართმევს სჯულის ფიცარს, ასვამს
ზედ თავის ბეჭედს და უბეში ინახავს. შემდეგ მარდუქი მიუბრუნ-
დება დამარცხებულ და უსიცოცხლო თიამათს, მახვილით გაუბობს.
თავის ქალას, გაუხსნის ძარღვებს და ავალებს ჩრდილოეთის ქარს
წაილოს მისი სისხლი საიდუმლო ადგილზე.

ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ რომ ისვენებდა, მარდუქმა
არაჩვეულებრივი საქმე განიზრახა და აქ ძალიან ახლოს ვართ ცისა
და დედამიწის შექმნის აქტთან.

„აკუწა გვაში,¹
და შექმნა სიბრძნე.

1. თიამათის გვაში.

ნიჟარის მსგავსად,
გააპო ორად.
ერთი ნახევრით
მოფინა ზეცა,
შეკრა, ჩაქება
უჩინა მცველნი,
და მათ მიანდო
წყლების დაკვერა“.

ასე გამოხატავს ძველთა-ძველი მითი ზეცის შექმნას. შემდეგ მოთხრობილია „დიად ღმერთთა სამყოფელის“ — ციური მნათობების შექმნაზე. მარდუქმა განსაზღვრა ყველა ვარსკვლავისა და პლანეტის მოძრაობის მიმართულება, „რათა არ შეცდენ, რათა არაეინ იხეტილოს“. სწორედ მაშინ დაადგინა წელიწადის ოთხი დრო და თორმეტი თვე, თითოეულ დროს სამი ვარსკვლავი დაუმორჩილა. ამის შემდეგ შექმნა დღეები, მიწა, ყველა მცენარე და ცხოველი. თავიანთ სამფლობელოებს ეუფლებიან ცის ღმერთი — ანუ, მიწის ღმერთი — ენლილი და წყლის ღმერთი — ბრძენი ეა.

„მან სამყოფელი აღუმართა
ენლილს და ეას,
და ამის შემდეგ ორი მხრიდან
გახსნა კარები,
მარცხნივ და მარჯვნივ
გამაგრა მან საკეტები.
და შუა ცაში
მოათავსა ზეცის თავანი.
მთვარეს უბრძანა
ღამეების თეთრად ნათება,
მას ღამე ანდო,
რომ შეგვეძლოს დღის გამოცნობა“.

მარდუქი მიმართავს ახალგაზრდა, მის მიერ ახლახან შექმნილ მთვარეს:

„განუწყვეტლივ თვეში ერთხელ
შენ ტიარი აიხადე,
ახალი თვის მახარობლად
რკით მიწის ზემოთ ბრწყინავდე.“



მარლუქისა და თიამათის ბრძოლა. ბარელიეფის ნაწილი.

მარლუქის ეს გზის დასალოცი სიტყვები რომ გავიგოთ, საკი-
როა გავიხსენოთ, რომ ბაბილონეთში დროს ანგარიშობდნენ არა
მზის მიხედვით, როგორ ჩვენ დროში, არამედ, მთვარის ფაზების
მიხედვით.

ზუსტად ისე, როგორც ეს ბიბლიაშია, მარლუქის საქმიანობის გვი-
რგვინია ადამიანის შექმნა ამასთან, ადამიანის შექმნით მარლუქი
მეტად პროზაულ მიზანს ისახავს: ადამიანს უნდა ეშრომა და ოფ-
ლითა პირისა თვისითა ეარსება, ზოლო ღმერთებს უნდა დაესვე-
ნათ.

მითის ეს ნაწილი შემდეგი სიტყვებით იწყება:

როს მოისმინა
ღმერთების ზრახვა,
მარლუქმა ბრძნული
რამ განიზრახა,
განახენა ბაგე
და ეტყვის ეს:

„მე ამ სისხლსა და
ძვლებს შეეკრებ ერთად,
შეეკმნი ადამიანს.
დე „კაცი“ ერქვას,
შეეკმნი ადამიანს,
იცხოვროს ქვეყნად:
ღმერთთა მსახურად
და საამებლად“.

ბრძენი ეა ურჩევს თავის ძეს მარდუქს, მოჰკლას ავი ძალების
მეთაური კინგუ, და მისი სისხლისგან შეეკმნას ადამიანები. ღმერთე-
ბი ერთსულოვნად იწონებენ ამ განზრახვას.

„მათ ის შეჰკრეს და
ეას მიჰგვარეს.
შემდეგ დასაჯეს,
სისხლით დაცალეს.
სისხლით და თიხით!
შეიკმნა კაცი.
კაცთ ჰმართებთ შრომა,
ღმერთებს განცხრომა“.

ყველა ამ გმირობის გამო მადლობის ნიშნად, ღმერთები მარ-
დუქის საპატივცემოდ აშენებენ ზეციურ ბაბილონს და მის ცენტრ-
ში — დიდებულ ტაძარს.

სამყაროს შეკმნის მითი მთავრდება საზეიმო ჰიმნით, რომელ-
შიც ჩამოთვლილია სამყაროს შექმნელის — ღმერთ მარდუქის
ყველა 56 სახელი.

თითქმის უშეცდომოდ შეიძლება დავათარილოთ სამყაროს შე-
კმნის მითის (ამ სახით როგორც ხელთ გვაქვს) წარმოშობა, ძვ.
წ. XVIII საუკუნე.

საქმე ისაა, რომ ბაბილონი ამ დროისათვის პატარა უმნიშვნე-
ლო ქალაქიდან ძლიერი სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურ-
რული ცენტრი გახდა, მთელი წინააზიის სატახტო ქალაქად იქცა.

1 მარდუქმა სისხლით აზილა თიხა. ბაბილონელთა რწმენით, ადამიანი თი-
ხისაგანაა შექმნილი.

ქალაქ ბაბილონის მეფე უკვე მთელი შუამდინარეთის მბრძანებელია. ადგილობრივი ღვთაება მარდუქი — ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი ცის მცხოვრები — აღზევებულია ღმერთების მეფის ხარისხამდე. იგი თანდათან პირველ ადგილს იჭერს ბაბილონურ პანთეონში.

ქალაქი ბაბილონი სწრაფად იზრდება და მშენიერდება, შენდება ბრწყინვალე სასახლეები და ტაძრები. ასეთივე „მშენებლობა“ წარმოებს ცაში მარდუქისათვის: მის სადიდებლად ღმერთები აშენებენ ზეციურ ბაბილონს. რა გაეწყობა, ასეთია რელიგიის ფუნქცია, — ფანტასტიკური ფორმით ასახავს რა ადამიანების ცნობიერებაში სინამდვილის მოვლენებს, იგი ამართლებს და აკურთხებს. მათ, აკანონებს მშრომელთა კლასობრივ ჩაგვრასა და ექსპლუატაციას, ასწავლის თავმდაბლობასა და თვინიერებას, თავიანთი მჩაგვრელებისადმი უსიტყვო მორჩილებას.

რელიგიის კლასობრივი არსი ლეგენდაში სამყაროს შესახებ განსაკუთრებული ძალით მკლავნდება. აკი თვით ადამიანიც, როგორც მითიდან ირკვევა, შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იშრომოს ღმერთებისათვის; მათ კი ზეიმსა და მხიარულებაში ატარონ თავიანთი დღეები.

ქალღმერთ იშთარის ჩასვლა ქვესანელს

წელიწადის დროთა ცვალებადობა და ბუნების საგაზაფხულო განახლება ნათელი და პოეტური ფორმითაა მოთხრობილი მითში ქალღმერთ იშთარის მოუსავლეის მხარეში ჩასვლის შესახებ. ამ შესანიშნავი ძეგლის პოვნა წილად ხვდა აგრეთვე დაუღალავ ჯორჯ სმითს. ეს ძეგლი მან ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა.

მოუსავლეის მხარეში ტყვეობაში იტანჯებოდა მცენარეული სამყაროს ღვთაება, მარად ჭაბუკი თამუზი. ქალღმერთი იშთარი გადაწყვეტს გადადგას თავგანწირული ნაბიჯი. სიცოცხლის რისკით იგი შეაღწევს მოუსავლეის მხარეში — მიცვალებულთა ბნელ სამეფოში, — რათა გამოსტაცოს თავისი სატრფო ბოროტ ერეშქი-

გალს — ქვესკნელის სამეფოს მბრძანებელს. ნაღვლიანად და
მკაცრად ისმის ამ ნაწარმოების შესავალი სტრიქონები:

„მოუსაველეთის მხარეს,
იმ თვალუწვდენელ მიწას
იშთარმა, სინის¹ ასულმა,
გონების თვალი მიაპყრო,
გონების თვალი მიაპყრო
იშთარმა, სინის ასულმა.
ირქალის² სამყოფელონი
ბნელ ქვესკნელეთში მცხოვრებთ,
სადაც შესული ვართხელ
ალარ ბრუნდება უკან.
სადაც გზა შედის, მაგრამ
ალარ ბრუნდება უკან.
იქ, სად ქვესკნელთა შინა
სწყურიათ შუქი დღისა,
სადაც საზრდოა მტვერი
და საკმელია თიხა,
სად ვერ ხედავენ ნათელს
დამკვიდრებულნი ბნელში,
მოსილნი ვით ფრთოსანნი
ფრთებისევე სამოსელში...
მოუსაველეთის მიწის
კარიბჭეს მიღწეული,
იშთარი კარის გუშაგს
აუწყებს თავის ზრახვას:
— მეკარევე, ჰეი, მეკარევე,
ახლავე განსენ ჰიშკარი,
გამილე-მეთქი კარი,
გესმის, შემოსვლა მინდა,
თუ ალაყაფს არ განსნი,
თუ გზას არ მომცემ სავალს,
შევამტვრევე მე ამ ზღუდეს,
დავლეწავ ვეკლა საკეტს,
დავანგრევე საძირკველს და

1 სინი — მთვარის ღმერთი.

2 ირქალა — ქვესკნელის სამეფოს ერთ-ერთი ღმერთი.

ავყრი კარის ურდულებს,
 ცოცხალთა დასანთქმელად
 გზას მივცემ მკვდართა სულებს,
 მაშინ ქვეყნად ცოცხლებზე
 მეტი იქნება მკვდარი.
 მეკარე, ქედმაღალი,
 პასუხობს ამრეზილი,
 და ეუბნება იგი
 დიდებულ ქალმერთს იშთარს:
 — შეჩერდით, ქალბატონო,
 კარს ნუ სცემთ აგრე რივად,
 მე მოვახსენებ თქვენზე
 დედოფალ ერეშქიგალს“.

მეკარე მოახსენებს ქვესკნელთა დედოფალს ერეშქიგალს იშ-
 თარის მოსვლისა და მუქარის ამბავს. მისი მოსვლის მიზანია „უკვ-
 დავების წყაროს“ პოვნა, რომელიც მოჩუხჩუხებს მიწისქვეშა სა-
 მეთოს საიდუმლო ადგილას, და არავის ძალუძს იქ მისვლა. თუ
 იშთარი დაეუფლა „უკვდავების წყაროს“, იგი შეძლებს სიცოცხლე
 დაუბრუნოს თავის სატრფოს თამუზს.

ერეშქიგალი შეაშფოთა და შეაწუხა იშთარის გამოჩენამ, რო-
 მელსაც გაგებული აქვს „უკვდავების წყაროს“ საიდუმლოება.
 მიუხედავად ამისა, იგი ბრძანებს:

„მეკარე, წადი,
 გაუღე კარი
 და მოეპყარი
 როგორც წესია“.

მეკარე იშთარს პირველ კარში რომ გაატარებს, ხდის მდიდრულ
 თავსამკაულს — ტიარას. იშთარი გაოცდება:

„მეკარე, თავზე რად ამხადე
 დიდი ტიარა?“

ამ კითხვას მოსდევს დინჯი პასუხი:

„შემოდით, ჩემო ქალბატონო,
 მიწის დედოფლის წესი ეს არი“.



იშთარი სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთის სახით

მეორე კარებში შესვლისას იშთარს ატოვებინებენ საყურეებს. ქალღმერთი აღშფოთებულია:

„მეკარვე, ყურის სამკაულებს
რად მხსნი, მითხარი?
— შემოდით, ჩემო ქალბატონო,
შიწის დედოფლის წესი ეს არი“.

პასუხობს მეკარე.

მესამე კართან ხსნიან მანიაკს, მეოთხესთან — სამკერდე ფარს, მეხუთესთან — ძვირფას სარტყელს, მეექვსესთან — სამაჯურებს ხელებსა და ფეხებზე, მეშვიდესთან — წინსაფარს. ბოლოს, იშთარმა როგორც იქნა მიაღწია მრისხანე ერეშქიგალის სამყოფელს და პირისპირ ხვდება მას.

ქვესკნელის მბრძანებელი უბრძანებს ჟამის დემონს საპყრობილესი ჩაამწყვდიოს იშთარი და დაასწეულოს მისი თავი, გული, თვალები, ხელები, ფეხები — მთელი სხეული სამოცი უღმობელი სენით.

ვიდრე იშთარი საპყრობილემი იმყოფებოდა ბუნებას რაღაც-ნაირი ძილი დაეუფლა. შეჩერდა სიცოცხლე, შეწყდა შობადობა, გაქრა მხიარულება. იშთარის დაკარგვას საშინლად განიცდის ყველა სულიერი არსება.

აფორიაქდენ ღმერთებიც. ისინი მიმართავენ ბრძენ ეას. ჩვენ უკვე ვიცით თუ როგორ თავისებურ როლს ასრულებს ეს ბაბილონურ მითოლოგიაში. იგი მუდამ ეხმარება ადამიანებს გაჭირვების უამს, ასე მოხდა ამჯერადაც.

ეა ქმნის საუცხოო არსებას — ასუშუნამირს (რაც ქართულად ნიშნავს „მისი გზა ნათელია“), რომელსაც ავალებს დააშოშმინოს უღმობელი ერეშქიგალი.

ქვესკნელში ჩასული ასუშუნამირი აფიცებს ღმერთქალს დიდი ღმერთების სახელით და მოითხოვს მისგან იშთარისა და თამუზის განთავისუფლებას, აგრეთვე „უკვდავების წყაროს“ მათთვის.

ერეშქიგალი ცდილობს ასუშუნამირის შეშინებას:

„მე შეგაჩვენებ
დიდ შეჩვენებით,
დაგაჯილდოებ
გლახაკთა ხვედრით,
ვერ დაივიწყებ
უკუნიითი უკუნიისამდი.
მოგიწევს ჰამა
შენ ნარჩენების,
და სმა მოგიწევს,
დაღვრილი წყლების,
ქალაქის კედლის
ძირას ეგდები,
ღორღი იქნება
შენთვის ლეიბი...“

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჯოჯოხეთის დედოფალს ძალიან სურს დამწყვდელი ჰყავდეს იშთარი, იძულებული ხდება გაანთავისუფლოს იგი. ერეშქიგალი ბრძანებს:

„უკვდავების წყლით განკურნავ იშთარს
და აქ მომიყვან დაუყოვნებლივ“.

ახლა განკურნებული იშთარი ბრუნდება უკან — მიწაზე მკვდარ-
ათა სამეფოდან. გაივლის იმავე შვიდ კარს, ყოველ კართან უბ-
რუნებენ რომელიმე სამკაულს: სამაჯურს, ძვირფას საარტყელს, მა-
ნიაკს, საყურეებს და ასე შემდეგ. მაგრამ იშთარი უარს ამბობს მარ-
ტო. თავისი სატრფოს გარეშე, დაბრუნდეს დედამიწაზე და ერემ-
ქიგალი იძულებულია დაუთმოს.

ნაწარმოები მთავრდება ხალხისადმი მოწოდებით გაიხარონ და
იმხიარულონ გაცოცხლებული თამუზის — მცენარეული სამყაროს
ღმერთის საპატივცემლოდ. იწყება გაზაფხულის 'ზეიმი, ზამთრის
ძილისაგან გაღვიძებული ბუნების ზეიმი.

ამ საინტერესო მითს საფუძვლად უდევს ძველი დროის ადამი-
ანთა პრიმიტიული წარმოდგენები ბუნების მოვლენებზე. იგი აღ-
მერთებდა ამ მოვლენებს. გაზაფხულის დადგომას შუამდინარეთის
მცხოვრებლები ხსნიდნენ მცენარეული ღმერთის თამუზის გაცო-
ცხლებით, რომელიც სიყვარულის ღმერთმა იშთარმა გამოიხსნა
წყვდიადის სამეფოდან, მძვინვარე ერემქიგალის სამფლობელოდან.

დიდი მწერალი და ჰუმანისტი ა. მ. გორკი წერდა: „მეტად
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფოლკლორისათვის სრულიად
უცხოა პესიმიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ის, ვინც ფოლკლორს
ქმნიდა, მძიმე პირობებში ცხოვრობდა და მათი მტანჯველი მონური
შრომა უაზროდ, ხოლო პირადი ცხოვრება — უუფლებო და უმწე-
ოდ იყო ქვეული ექსპლუატატორთა მიერ“.

ალექსი მაქსიმეს ძის ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ძველ-
ბაბილონური ზეპირი შემოქმედებისთვის. ჭეშმარიტად საშინლად
მძიმე და უუფლებო იყო მშრომელი მასების ცხოვრება შუამდი-
ნარეთში მონობისა და სასტიკი დესპოტიზმის პირობებში. და მიუ-
ხედავად ამისა, მათ მაინც შექმნეს ბრწყინვალე მაღალმხატვრული
ფოლკლორი, რომელიც აღსავსეა ოპტიმიზმითა და უკეთესი მომავ-
ლის რწმენით.

უკეთესი, სამართლიანი ცხოვრების რწმენას ღრმად ჰქონდა
ფესვი გადგმული ადამიანთა გულებში. და მან თავის ასახვა პოვა
მათ სიმღერებში, ლეგენდებში, თქმულებებში. საუცხოოდ გამოთ-
ქვა ეს აზრი ალექსი მაქსიმეს ძემ, როცა ამბობდა:

„ადამიანი თავისი ბუნებით მხატვარია. იგი ყოველთვის ცდილობს ასე თუ ისე სილამაზე შეიტანოს თავის ცხოვრებაში... ამაში გვარწმუნებს „პატარა“ ადამიანების მიერ შექმნილი ზეპირი ხალხური შემოქმედება: მითები, ზღაპრები, ლეგენდები, ცრურწმენები, სიმღერები, ანდაზები და ა. შ. მათში მოქცეულია უამრავი ბრწყინვალე, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მოძველებული სიბრძნე, აქვე, თავმოყრილია მრავალი თაობის შრომითი გამოცდილება.“¹

¹ ზემოგანხილული მითებისა და თქმულებების გარდა, ძველ შუამდინარეთში კიდევ მრავალი მითი და ლეგენდა არსებობდა. ზოგიერთი მათგანი რეგულარდაც არის თარგმნილი იხ. Г. Редер, Мифы и легенды древнего Дау-речья, М., 1965 რ. ე. დ. შ ე ნ ი შ ე ნ ა.

თ ა ვ ი მ ე ტ ხ რ ე

წუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

ციფრაზი და რიცხვაზი

შეხედეთ საათს. იგი თერთმეტის ნახევარს უჩვენებს. ათი წუთის შემდეგ დაირეკება დიდი დასვენების ზარი, ხოლო ორი საათისა და 15 წუთის შემდეგ დამთავრდება მეცადინეობა.

გაშალეთ კალენდარი. საკმარისია ერთი თვალის გადავლება, რომ დროში გავერკვეთ. კვირის ბოლომდე კიდევ სამი დღეა, ხოლო არდადეგებამდე — მთელი თვე.

ყველა ჩვენთაგანი იმდენადაა მიჩვეული ცნებებს საათი, წუთი, კვირა, თვე, რომ ფიქრადაც არ მოგვივა ვიკითხოთ, საიდან გაჩნდნენ ისინი, და, ალბათ, ბევრი გავოცდება კიდევ, როცა გაიგებს, რომ ისინი არსებობდნენ ძველ შუამდინარეთში.

შინ, მათემატიკის გაკვეთილს რომ ამზადებთ, კუთხის სიდიდეს გრადუსებით ზომავთ, განსაზღვრავთ წრეწირის სიგრძეს და წრის ფართობს, აგყავთ ხარისხში, იყენებთ ცნობილ თეორემას, რომ კათეტების კვადრატების ჯამი ჰიპოტენუზის კვადრატის ტოლია. მაგრამ იცით თუ არა თქვენ, რომ ყველა ეს მათემატიკური ცოდნა ცნობილი იყო ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იმავე შუამდინარეთში?

ამაზე უცილობლად მეტყველებს ჩვენთვის კარგად ცნობილი ასურბანიფალის ბრბლიოთეკის მრავალი წიგნი.

ასურულ-ბაბილონური მეცნიერება და, კერძოდ მათემატიკა, წარმოიშვა და ვითარდებოდა პრაქტიკულ საქარობათა და მოთხოვნილებათა შედეგად. ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე აიძულებდა მიემართათ მათემატიკური გამოანგარიშებისათვის.

იგი საჭირო იყო საირიგაციო სისტემის მშენებლობისას, შენო-

ბების ასაგებად, მიწის ნაკვეთის გასაზომად, დროის გამოსაანგარიშებლად, ვაჭრობის გასაძლიერებლად და სხვა მრავალი ცხოვრებისეული საკითხის გადასაწყვეტად.

აი, რატომ ჰქონდა დათმობილი მათემატიკურ წიგნებს ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში სპეციალური, საკმაოდ დიდი განყოფილება. თავად ასურბანიფალი ერთ-ერთ თავის წარწერაში ტრაბახობს, რომ მას „შეუძლია ამოხსნას რთული ამოცანა გაყოფასა და გამრავლებასში...“ ნინევიის ბიბლიოთეკის მათემატიკური წიგნების შესახებ ჩვენს თხრობას ვიწყებთ უმარტივესით — ციფრებზე თხრობით.

ჯერ კიდევ პირველ კლასში ბავშვები ეცნობიან რიცხვებს ერთიდან ასამდე. პირველკლასელი ძალიან მალე ხვდება, რომ ციფრები 1, 2, 3 მართო ერთი, ორი, სამი კი არ არის, არამედ ათი, ოცი, ოცდაათი, ასი, ორასი, სამასი და ასე შემდეგ. იმის მიხედვით, თუ რა ადგილზეა ციფრი. პირველი წლის ბოლოსათვის საზრიანი მოწაფე უკვე ხვდება, რომ ათი ნიშან-ციფრით შეიძლება გამოვხატოთ, რომელიც გნებავთ რიცხვი.

ეს ჩვენ უკიდურესად მარტივად და გასაგებად მიგვაჩნია, მაგრამ თავის დროისათვის იგი გენიალური აღმოჩენა იყო. სწორედ ბაბილონეთში განხორციელდა ის პრინციპი, რომ ერთი და იგივე ციფრი სხვადასხვა სიდიდეს გამოხატავს იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილზეა რიცხვთა კომპლექსში. რომაელები, მაგალითად, ვერ მიხვდნენ, რომ ერთმა და იგივე ციფრმა შეიძლება სხვადასხვა სიდიდე გამოხატოს. მათ სპეციალური ნიშნები ჰქონდათ ერთეულის, ათეულის, ასეულის აღსანიშნავად.

უპირატესობა პოზიციური სისტემისა, რომელსაც ახლა მთელ მსოფლიოში იყენებენ, მეტად აშკარაა. რომაული ციფრებით რომ რიცხვი 3 838 დავწეროთ, ასეთი სახისა იქნება:

MMMDCCLXXXVIII

(ე. ი. 1000+1000+1000+500+100+100+100+10+10+10+5+1+1+1)

ამ რიცხვის გრაფიკული გამოსახვისათვის ოთხი ნიშანი გამოვიყენეთ. რომაელებს კი ამისათვის თოთხმეტი ნიშანი სჭირდებოდათ.

ციფრებს თუ კარგად დაუკვირდებით, ნახავთ, რომ ადებულ მაგალითში სულ ორი ციფრია (3 და 8) ხოლო რომაულში კი ექვსი (M, D, C, X, V, I),

ბაბილონელებმა შენიშნეს რიცხვთა კომპლექსში ციფრების მნიშვნელობის შეცვლის საოცრად მარტივი პრინციპი, თუმცა ვერ შეძლეს საქმის ბოლომდე მიყვანა. ეს საქმე უფრო გვიან ინდუსებმა გააკეთეს. მაგრამ პოზიციური სისტემის იდეა ბაბილონელებს ეკუთვნით.

საზოცოაითი სისტემა

თანამედროვე მათემატიკის საფუძველია თვლის ათობითი სისტემა. იგი ეყრდნობა ათობით თვლას. რიცხვთა კომპლექსში ციფრის ერთი ნაბიჯით მარცხნივ გადასმა ნიშნავს ამ რიცხვის ათჯერ გაზრდას.

ათობით სისტემასთან ერთად ბაბილონელები იყენებდნენ სამოცობით სისტემას. მისი არსი ისაა, რომ გამოთვლას საფუძველად უდევს ციფრი სამოცი.

განვმარტოთ მაგალითით.

ნიშანი \uparrow აღნიშნავდა ერთეულს. მაგრამ თუ მას მოსდევდა ნიშანი \blacktriangleleft ($= 10$), მაშინ \blacktriangleright ნიშნის პნიშვნელობა 60-

ჯერ რზრდებოდა. ზოგ შემთხვევაში ნიშანი \blacktriangleright აღნიშნავდა

$$60^2 = 3600 \text{ და } 60^3 = 216000 - \text{აც კი. })$$

შუამდინარეთის მცხოვრებნი ერთდროულად იყენებდნენ ორივე სისტემას — ათობითს და სამოცობითს, და ზოგჯერ მათ კომბინაციასაც მიმართავდნენ. ეს გარემოება ართულებდა თვლას, დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა რიცხვების წერისა და კითხვის დროს.

ვცადოთ გავერკვეთ ბაბილონურ ციფრებსა და რიცხვებში კონკრეტული მაგალითების მიხედვით.


ბაბილონური ერთიანი —




როგორც უკვე ვნახეთ

ძალიან გვაგონებს ჩვენს ერთიანს. არსებითად, ესაა ვერტიკალური ხაზი, რომელსაც სოლის ფორმა აქვს მიღებული იმის გამო, რომ მას რბილ თიხაზე წერდნენ. ორიანი გამოიხატებოდა ორი სოლით, სამიანი — სამით და ასე შემდეგ ათამდე. მაგრამ ციფრი ოთხიდან დაწყებული სოლები ორ და სამ რიგად ეწყობოდა. ასე, მაგალი-

თად, ციფრი 5 გამოიხატებოდა ნიშნებით



ჩვენ უკვე ვიცით როგორ იწერება ციფრი 10 —



კუთხეს გვაგონებს. ნიშანი



გამოიყენებოდა ათიანების

დასაწერად ორმოცდაათამდე. ასე მაგალითად რიცხვი 20 იწერებო-

და:



რიცხვი 50



მაგრამ ნიშანი



— განსაკუთრებულია. იგი გამოხატავდა

არა მარტო 10, არამედ 100 (ე. ი. 10×60) — ეს დამოკიდებული იყო იმ ადგილზე, რომელიც მას ეკავა რიცხვთა კომპლექსში.

ასეულის გამოსახატავად იყენებდნენ ნიშანს



ათასეუ-

ლისათვის — ნიშანს



.ძნელი არაა დავრწმუნდეთ, რომ

უკანასკნელი არის 10 და 100-ის გამომხატველი ნიშნების კომბინაცია. ამასთან, იგულისხმება, რომ მათი ნაწარმოები.

$$X \overline{I} = \overline{I} \times X$$

$$1000 = 10 \times 100.$$

როგორ უნდა დავეწეროთ ბაბილონური ლურსმული დამწერლობით რიცხვი 12? ძალიან ადვილად. ამისათვის გამოვიყენებთ ათიანის და ორიანის გამომხატველ ნიშნებს: ნიშანი \overline{II} = 10 + 2 = 12.

ვცადოთ რიცხვის 72 — დაწერა. იგი ასეთი იქნება: $\overline{II} \overline{XII}$

ნიშანი \overline{II} რამდენადაც მას ათიანი მოსდევს \overline{XII}

იკითხება უკვე არა როგორც ერთი, არამედ როგორც სამოცი.

$$\text{ნიშანი } \overline{XII} = 60 + 10 + 2 = 72.$$

თუ გვინდა რიცხვი 672-ის დაწერა, მაშინ 72-ს მივუწერთ მარცხნივ ციფრს \overline{X} ამრიგად, ციფრი 672 გრაფიკულად ასე გამოიხატება:

$$\text{ნიშანი } \overline{X} \overline{XII} = 600 + 60 + 10 + 2 = 672.$$

აღებულ რიცხვთა კომპლექსში ერთი და იგივე ნიშანი \overline{II} ერთ შემთხვევაში ნიშნავს 600, მეორე შემთხვევაში — 10.

მივუწეროთ ამ ციფრის კოლონას მარცხნივ ნიშანი \overline{II} , და

ჩვენ სრულიად ახალ რიცხვს, 4272 მივიღებთ: $\overline{II} \overline{X} \overline{XII} \overline{II}$

ნიშანი XIX = 3600 + 672 = 4272.

ამ რიცხვთა კომპლექსში ნიშანი V ერთ შემთხვევაში ნიშნავს 3600, მეორეში — 60, მესამეში — 1.

4272 რომ მარცხნივ კიდევ ერთი ნიშანი V მივუწეროთ

იმავე პრინციპით მივიღებთ — 7872.

ნიშანი XXIX = 3600 + 3600 + 672 = 7872.

ნიქეიის ბიბლიოთეკაში ნაპოვნია 1-დან 38 რიცხვის კვადრატებისა და კუბების ცხრილი, რომელსაც ალბათ, იყენებდნენ როგორც ცნობარს მინდვრის ფართობისა და შენობის მოცულობის გამოსაანგარიშებლად. ეს ცხრილი შედგენილია სამოცობითი სისტემის მიხედვით.

ყველა შემოთმოყვანილ შემთხვევებში საქმე გვაქვს რთულ ციფრებთან, თუმცა ბაბილონური ლურსმული დამწერლობა არ იცნობს ჩვენი მიმატების მსგავს ნიშანს, — იგი იგულისხმება. გა-

მოკლებსათვის ჰქონდათ სპეციალური ნიშანი V ამიტომ,

მაგალითად, რიცხვი 19 ორნაირად შეიძლებოდა დაეწერათ.

XIX ან XIV .

ნიშნების პირველი ჯგუფი ნიშნავს 10 + 9; მეორე კი 20 — 1. წილადს, რომელსაც ძველი შუამდინარეთის მცხოვრებლები იყენებდნენ, დამახასიათებელი თავისებურება გააჩნდა: მათი მნიშ-

ვენელი უდრიდა 6, 60, 360, ან 3600. ისინი წერდნენ არა $\frac{1}{2}$ -ს არა-
 ზედ $\frac{3}{6}$; არა $\frac{2}{3}$, არამედ $\frac{4}{6}$ და ასე შემდეგ.

ბაბილონელები იცნობდნენ სხვა, ნებისმიერ მნიშვნელოვან წი-
 ლადსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მრიცხველი მუდამ ერთის ტოლი
 იყო.

საანბარიშო ცხრილები

ბაბილონეთში დიდი გამოყენება ჰქონდა სხვადასხვა სახის საც-
 ნობარო ცხრილებს. ისინი ძალიან აადვილებდნენ ანგარიშს, რაც
 ყოველდღიურად უხდებოდათ.

მოსწავლის გამრავლების ჩვენი ცხრილი ნავარაუდევია 1-დან
 100 რიცხვის ფარგლებში. ბაბილონელები იყენებდნენ ცხრილებს
 1-დან 180000-ის ფარგლებში. მათ გამოიმუშავეს ჩაწერის მოკლე
 სისტემა, რომელიც დაახლოებით ასეთი იყო:

2	1	2	1	6
	2	4	2	12
	3	6	3	18
	4	8 და ა. შ.	4	24 და ა. შ.

პირველი სვეტი ნიშნავდა $2 \times 1 = 2$; $2 \times 2 = 4$; $2 \times 3 = 6$; $2 \times 4 = 8$.
 მუდმივ სამრავლს მხოლოდ ერთხელ წერდნენ. ხოლო შემდეგ
 გულისხმობდნენ.

მეორე სვეტი ნიშნავს $1 \times 6 = 6$; $2 \times 6 = 12$; $3 \times 6 = 18$; $4 \times 6 = 24$.
 აქ მუდმივი მამრავლი (6) საერთოდ გამოტოვებულია.

ბევრად რთული იყო ცხრილები, რომლებსაც იყენებდნენ გაყო-
 ფის დროს. მათი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ გამო-
 ტოვებულია გასაყოფი, რომელიც იგულისხმება.

ასურბანიფალის იმავე ბიბლიოთეკაში ნაპოვნია ახარახებისა
 და ფესვის ამოღების ცხრილები. რადგანაც იგი მხოლოდ ვიწრო
 პრაქტიკულ მიზნებს — ფართობისა და მოცულობის გაზომვას ემ-
 სახურებოდა, მათში ფიქსირებულია მხოლოდ კვადრატული და კუ-
 ბური ფესვები. ბაბილონელებს არ სჭირდებოდათ რიცხვის მეოთხე,
 მეხუთე და უფრო მაღალ ხარისხში აყვანა, ამიტომ არც არსებობდა
 შესაბამისი ცხრილები.

ჩანაწერი. გამარტივებული იყო:

1—1

1—1

4—2

8—2

9—3

27—3

16—4 და ა. შ.

64—4 და ა. შ.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ პირველი სვეტი ნიშნავს

$$\sqrt{1}=1, \sqrt{4}=2, \sqrt{9}=3, \sqrt{16}=4.$$

მეორე სვეტი ასე უნდა წავიკითხოთ:

$$\sqrt[3]{1}=1, \sqrt[3]{8}=2, \sqrt[3]{27}=3, \sqrt[3]{64}=4.$$

იგივე ცხრილები, მარჯვნიდან მარცხნივ წაკითხული, გამოიყენებოდა ახარისხებისათვის.

ფართობისა და მოცულობის გაზომვა

პრაქტიკულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინდვრების, ბაღების, ნაგებობათა ზუსტ გაზომვას. მართალია, ყველა სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იყო აზომილი, მაგრამ მდინარეთა ყოველწლიურ წყალდიდობას მოჰქონდა დიდი რაოდენობით შლამი, რომელიც ფარავდა მინდვრებს და შლიდა მიწებს. ამიტომ, ზოგჯერ წყლის ჩაყარდნის შემდეგ საჭირო იყო ყველა ნაკვეთის ხელახლად აზომვა, რათა დაედგინათ ზუსტი საზღვრები მათ შორის. ყიდვა-გაყიდვისა თუ მემკვიდრეობის გაყოფის დროს აგრეთვე საჭირო იყო ნაკვეთების სიდიდის გაზომვა.

ოთხი ათასზე მეტი წლის წინათ შედგენილი მრავალი სამიწის-ზომლო რუკაა მოღწეული ჩვენამდე.

ერთ-ერთ რუკაზე გამოსახული უსწორმასწორო ფორმის ფიგურას ყურადღებით თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ იგი დაყოფილია სწორკუთხედებად, სამკუთხედებად და ტრაპეციებად. ყოველი მათგანის ფართობის გაზომვითა და შეკრებით ძველი დროის მიწისზომელები იღებდნენ მთელი ფართობის ზომას.

ამ გამოანგარიშებათა წარმოება შუამდინარეთის მათემატიკოსთათვის იოლი საქმე როდი იყო. ეს მოითხოვდა დიდ დახელოვნე-

ბას და ხანგრძლივ მეცადინეობას. მოსწავლეთა დასახმარებლად არსებობდა სასწავლო სახელმძღვანელოები, სადაც მოყვანილია ტიპური გადაწყვეტა სხვადასხვა ამოცანებისა, რომლებიც ხშირად ზედმოდათ პრაქტიკულ ცხოვრებაში. გაკვრით შევნიშნავთ, რომ ეს გადაწყვეტა ყოველთვის როდი იყო აბსოლუტურად ზუსტი. ბაბილონელები არ მისდევდნენ დიდ სიზუსტეს იქ, სადაც ამას არ მოითხოვდა პრაქტიკული აუცილებლობა.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისში შედგენილ ერთ მათემატიკურ კრებულში შეტანილია შემდეგი ამოცანა: განსაზღვრეთ სწორკუთხედის დიაგონალის სიგრძე, თუ ცნობილია მისი გვერდების ზომა.

აქვეა მოცემული ამოცანის ამოხსნის ორი წესი დეტალური კომენტარებით.

მეორე სასწავლო სახელმძღვანელოში განხილულია სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა პრაქტიკული ამოცანები. რამდენი მიწა დასჭირდება მიწაყრილს, რომლის ზომებიც ცნობილია, და რა რაოდენობის გრუნტი უნდა გადაზიდოს თითოეულმა მუშამ, თუ ცნობილია მათი საერთო რაოდენობა? რამდენი თიხა უნდა დაამზადოს თითოეულმა მუშამ განსაზღვრული ზომის კედლის ასაყვანად, რა რაოდენობის მიწას დაიტეეს განსაზღვრული ფორმის კალათა?

უმარტივეს ამოცანათა რიცხვს, რომელთა ამოხსნაც დამწყებთათვის იყო ნავარაუდები, მიეკუთვნება შემდეგი:

„რამდენ დღეში შეიძლება დამზადდეს განსაზღვრული სიგრძის ქსოვილის ნაჭერი, თუ ვიცით, რომ ყოველდღიურად მზადდება ამდენი და ამდენი წყრთა [სიგრძის საზომია] ქსოვილი“?..

ზომის ერთეულები

ბაბილონელებმა შეიმუშავეს წონის, სიგრძის, ფართობისა და მოცულობის თავისებური საზომები. თავდაპირველად ზომის ერთეულები მეტად არაზუსტი იყო. მაგალითად, სიგრძეს ზოპავდნენ თითებით, ხელისგულით, წყრით.

გაზომვის შედეგები ყოველთვის სხვადასხვა იყო, იმისდა მიხედვით, თუ ვინ ზომავდა.

საუკუნეების განმავლობაში წონის, სიგრძისა და მოცულობის ერთეულები მოყვანილი იქნა ერთგვარ ერთიანობაში, — ამას მოითხოვდა სულ უფრო განვითარებული ვაჭრობის ინტერესები.

წონის უმცირესი ერთეული იყო ქერის მარცვალი — ბაბილონურად შეუმ. ჩვენი ზომის ერთეულზე გადატანით 1 შეუმი უტოლდება დაახლოებით 46,75 მილიგრამს. 180 მარცვალი ქმნის 1 სიკლს (8,4 გრამს). 60 სიკლი შეადგენდა მინას (დაახლოებით 500 გრამს). 60 მინა — 1 ტალანტი (30,3 კილოგრამს).

წონის ამ ერთეულებმა დიდი გავრცელება პოვეს ძველ დროში და შორს გასცდნენ შუამდინარეთის საზღვრებს. რამდენადმე შეცვლილი სახით ზოგიერთმა მათგანმა ევროპისა და აზიის ცალკეულ ქვეყნებში XVIII საუკუნემდე იარსება.

ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ფულადი სისტემის შემდგომ განვითარებასთან ერთად ქერის მარცვალმა, როგორც წონის ერთეულმა, დაკარგა მნიშვნელობა. ხმარებიდან გამოსული შეუმის ნაცვლად იყენებდნენ სიკლის სხვადასხვა ნაწილს, უფრო ხშირად გვხვდება $1/24$, $1/16$, $1/8$, $1/6$, $1/4$, $1/3$ და $1/2$. წონის ეს მცირე ერთეულები შემოდის ხმარებაში და სპეციალურ სახელწოდებებს იღებს.

მოცულობის საზომი ერთეული ძველ შუამდინარეთში იყო ე. წ. სილა, რომელიც დაახლოებით 0, 84 ლიტრას უდრიდა. 300 სილა შეადგენდა 1 გურს. შემდგომში გაჩნდა შემსუბუქებული გური, რომელშიც მხოლოდ 180 სილა იყო. მაგრამ ასურეთში გურს არ იყენებდნენ. აქ სხვა ერთეულს — იმერს ხმარობდნენ, რომელიც ასი სილისაგან შედგებოდა. სიტყვა „იმერ“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ვირს“. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ აგრეთვე ვირის საძალნეს (დაახლოებით 40 კგ).

სიგრძის ყველა საზომი, როგორც უკვე ვიცით, ადამიანის ხელიდანა აღებული — წყრთა, ხელისგული, გოჯი. დიდი სიგრძეების გასაზომად ხმარობდნენ განსაზღვრული სიგრძის ლერწმის ჯოხს და თოქს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველ ასურეთში შენობის სიმაღლეს ზოგჯერ აგურის რიგებით ზომავდნენ. მაგალითად, ამბობდნენ: ოცდაათი აგურის სიმაღლე შენობა. რადგანაც ყველა აგური ერთი

ზომისა იყო, თუ იცოდით აგურის ფენათა რაოდენობა ზუსტად განსაზღვრავდით შენობის სიმაღლეს.

სიგრძის საზომი სხვადასხვა ქალაქში მაინც განსხვავებული იყო. მაგალითად, ქალაქ ლაგაშში „წყრთა“ 495 მილიმეტრს უტოლდე-



გირი ლომის სახით.

ბოდა, ხოლო ნიფურსა და ჯველ ბაბილონში — 518 მილიმეტრს. იგივე „წყრთა“ შეიძლება ყოფილიყო 20 და 30 „თითი“, ხოლო „ლერწმის ჯოხი“ — 6 ან შვიდი „წყრთა“. არევ-დარევას აღრმავებდა „ჩვეულებრივი წყრთის“ და „დიდი წყრთის“ არსებობა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში მრავალი გაუგებრობა იქნებოდა.

ფართობის უმარტივესი საზომი იყო „კვალი“, რომელიც 35,284 მ² უდრიდა. ასი კვალი შეადგენდა მიწდორს. 18 მიწდორი — ჭას. ეს სახელწოდება ალბათ იქიდან წარმოიშვა, რომ ასეთი მიწის ნაკვეთის მცხოვრებლებმა წყალს იღებდნენ მათი ნაკვეთების მახლობლად მდებარე ერთი ჭიდან.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან მოკიდებული, მიწის ფართობები ბაბილონში იზომებოდა თესლის რაოდენობით, რაც ამ ფართობის დასათესად იყო საჭირო. მაგალითად, ამბობდნენ: ეს ნაკვეთი ორი საწყაო ხორბლის ტოლიაო.

კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

ცხოვრების პრაქტიკულმა საჭიროებამ აიძულა ბაბილონელები შეედგინათ კალენდარი. ერთი შეხედვით შესაძლოა უცნაურად მოგვეჩვენოს, რატომ დასჭირდათ მათ კალენდარი? განა არ შეიძლებოდა მის გარეშე არსებობა?

არა, არ შეიძლებოდა.

კალენდარი ატყობინებდა მხვენელ-მთესველებს როდის იყო მოსალოდნელი წყალდიდობა. ამ დროისათვის უნდა მოესწოთ ძველი არხების გაწმენდა და ახლის გათხრა, წყალსაცავების მოწყობა, ჭებირების გამაგრება, ნაევების მომზადება.

კალენდარი ატყობინებდა, როდის იყო მოსალოდნელი წყლის ჩაქვარება, რათა დაეწყოთ ხვნა-თესვა. საჭირო იყო სკოდნოდან როდის დაიწყებოდა პაპანაქება სიცხეები, რათა დროულად გადაერეკათა პირუტყვი ახალ საძოვარზე.

მაშ, როგორ უნდა გასულიყვნენ იოლად კალენდრის გარეშე? კალენდარი შუამდინარეთის მცხოვრებთა ახირება კი არ ყოფილა, არამედ მათი ცხოვრების აუცილებელი საარსებო პირობა და ერთგული მრჩეველი იყო. იგი იმდენად შორეულ წარსულში გაჩნდა, რომ ახლა შეუძლებელია დავადგინოთ პირველი კალენდრის შედგენის დრო.

ბაბილონური კალენდრით დღეები ჩვეულებრივ იწყებოდა მზის ჩასვლით, თუმცა დროდადრო (მაგალითად XXIV-დან XX საუკუნემდე ძველი წელთაღრიცხვით) ისინი იწყებოდა განთიადიდან, ან როგორც ჩვენთან, შუალაზიდან. დღე და ღამე იყოფოდა ექვს ტონაწილად, რომლებსაც გუშაგები ეწოდებოდათ. არსებობდა სამი ღამისა და სამი დღის გუშაგი. ამასთან ერთად, დღე და ღამე იყოფოდა თორმეტ თანაბარ ნაწილად — თორმეტ ორმაგ საათად, ხოლო თითოეული ორმაგი საათი — 30 წუთად. მაშასადამე, ბაბილონური წუთი ჩვენსაზე ოთხჯერ დიდი იყო.

ამრიგად, ბაბილონელები დღე და ღამეს 360 მცირე ნაწილად ყოფდნენ ($12 \times 30 = 360$). ასევე ყოფდნენ წელიწადს, რომელიც შედგებოდა 12 თვისაგან ანუ 360 დღისაგან.

რამდენადაც მზის ხილული მოძრაობა წრიულია, ბაბილონელებმა მზის გზაც 360 თანაბარ ნაწილად დაყვეს, თავიანთი დროის ერთეულის მიხედვით. მოგვიანებით ისინი ყოფენ 360 ნაწილად ყველა წრეს. სწორედ ეს გახლავთ ჩვენი გრადუსები, რაც ახლა თითოეულმა მოსწავლემ იცის.

რამდენს იწონის ერთი წუთი

საათებისა და წუთების გასაზომად გამოიგონეს მზისა და წყლის საათები. ვერტიკალურად დაყენებული ღეროს ჩრდილი გადაადგილდებოდა 12 და 360 ნაწილად დაყოფილ წრეხაზზე და აღნიშნავდა ბაბილონურ ორმაგ საათს და წუთებს. ცნობილი ბერძენი ის-

ტორიკოსი ჰეროდოტე, რომელიც ძვ. წ. V საუკუნეში ცხოვრობდა, ადასტურებს, რომ მზის საათი ბერძნებმა ბაბილონელებსგან გადმოიღეს.

რთული იყო წყლის საათის მოწყობილობა.

დიდი მოცულობის ჭურჭელს. რომელსაც ფსკერზე მცირე ნახვრეტი ჰქონდა, ავსებდნენ წყლით. ცის თაღზე განსაზღვრული ვარსკვლავის გაძოჩენისას ნახვრეტს აღებდნენ და წყალი გამოდიოდა ჭურჭლიდან მთელი დღის განმავლობაში. იმავე ვარსკვლავის სელახლად ამოსვლამდე. გამოდენილ წყალს წონიდნენ და შემდეგ განსაზღვრავდნენ მთელი წყლის 1/12 და 1/360 ნაწილის წონას. შემდეგ ამ წყალს ნაწილ-ნაწილ ასხამდნენ უკან ჭურჭელში და თან სათანადო აღნიშვნას აკეთებდნენ. ამრგავლ, იღებდნენ ორმაგი საათებისა და წუთების სკალას.

ორი ორმაგი საათი, როგორც ვიცით. შეადგენდა ერთ გუშავს და იწოდებოდა მინად. მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ მინა ეწოდებოდა 60 სიკლისაგან შემდგარ წონის ერთეულსაც.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ წონისა და დროის საზომი ერთეულის აღსანიშნავად ბაბილონელები ერთსა და იმავე ტერმინს იყენებდნენ. ეს, ალბათ, იმიტომ აიხსნება, რომ ორი ორმაგი საათის განმავლობაში გამოსული წყლის წონა სწორედ ერთ მინას იწონიდა. სხვათა შორის, შესაძლებელია, რომ წონის ერთეული თავის წარმოშობას დროის ერთეულს უმადლოდეს. ძნელი სათქმელია, რომელი მათგანი გაჩნდა პირველად. ყოველ შემთხვევაში, წონასა და დროს შორის მკიდრო კავშირი ნათელია. თუკი მინა უღრიდა ორ ორმაგ საათს, ე. ი. ერთ გუშავს, მაშინ სიკლი ერთ წუთს შეესაბამებოდა.

არ ვვგონოს, რომ ბაბილონური წყლის საათი პორტატული, ჩვენი მაჯის ან ჯიბის საათის ზომისა იყო. ეს გახლდათ საკმაოდ მოზრდილი ჭურჭელი, რომელიც სულ ცოტა მინა, ე. ი. სამ ლიტრზე მეტ წყალს იტევდა.

ახალი მთვარის ძანა

დედაპიწის გარშემო მთვარის გარშემოვლის დრო ახალი მთვარიდან ახალ მთვარემდე, იყო დროის მეორე ერთეული — თვე. რამდენადაც მთვარის ციკლი დაახლოებით 29¹/₂ დღელამეს გრძელ-

დება ბაბილონურ თვეში ხან 29 და ხან 30 დღე იყო. ამ მონაცვ-
ლებობაში არ იყო მუდმივობა. ამის გარდა, თვე ოთხ კვირად იყო-
ფოლა.

ყოველი ახალმთვარეობისას ბაბილონელი ასტრონომები დაე-
ძებდნენ ახალ დაბადებულ მთვარეს. როგორც კი მას აღმოაჩენ-
დნენ, აცხადებდნენ ახალი თვის დაწყებას. თუ ეს ოცდამეათე დღეს
ხდებოდა, გასული თვე 29 რიცხვით მთავრდებოდა, თუ ეს მოვლენა
ერთი დღით გვიან ხდებოდა, მაშინ თვე 30 დღისგან შედგებოდა.

12 თვე შეადგენდა წელიწადს. შლამდინარეთის პოლიტიკური
დაქუცმაცების პერიოდში ყოველი ქალაქი თავის ახალ წელს ზეი-
მობდა. ზოგისთვის იგი იწყებოდა შემოდგომაზე, ზოგისთვის კი გა-
ზაფხულზე.

ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში, ხამურაბის მეფობის
ხანაში ბაბილონური კალენდარი უნიფიცირებულ იქნა. თვეების
სახელწოდება ყველგან ერთნაირი გახდა. აი, ეს სახელწოდებანიც:

ნისანუ — (მარტი — აპრილი),
იარუ — (აპრილი — მაისი),
სივანუ — (მაისი — ივნისი),
თამუზუ — (ივნისი — ივლისი),
აბუ — (ივლისი — აგვისტო),
ულულუ — (აგვისტო — სექტემბერი),
თიშრითუ — (სექტემბერი — ოქტომბერი),
ვარახ-სამნუ — (ოქტომბერი — ნოემბერი),
ქისლიმუ — (ნოემბერი — დეკემბერი),
თებეთუ — (დეკემბერი — იანვარი),
შაბათუ — (იანვარი — თებერვალი),
ადარუ — (თებერვალი — მარტი).

მთვარის წელიწადი 354 დღისაგან შედგებოდა (6 თვე 29 დღი-
ანი და 6 თვე 30 დღიანი). იგი შესამჩნევად განსხვავდებოდა მზის
წელიწადისაგან. ისინი რომ შესაბამისობაში მოეყვანათ, ბაბილო-
ნელებს დროდადრო შეჰქონდათ კალენდარში მეცამეტე, დამატე-
ბითი თვე. ჩვეულებრივ, ეს ხდებოდა მეფის დეკრეტით. აი, ხამურა-
ბის ბრძანებულების ნაწყვეტი: „ამ წელს აქვს დამატებითი თვე.
მომავალი თვე დაე, იწოდებოდეს ულულუ მეორედ“.

კალენდრის შექმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეული ასტრონომიული ცოდნის საფუძველზე. მართლაც, ბაბილონელები უხსოვარი დროიდან აკვირდებოდნენ ცის თაღს და ისეთ შედეგებს მიაღწიეს, რაც ახლაც კი გაცეხას იწვევს.

მართალია, ბაბილონური ასტრონომია მჭიდროდ იყო გადახლართული ასტროლოგიასთან — ცრუმეცნიერებასა და ვარსკვლავებით მომავლის მკითხაობასთან, მაგრამ უდავო ფაქტად რჩება ის, რომ ბაბილონელებმა პირველებმა ჩაუყარეს საფუძველი თანამედროვე ციურ მექანიკას.

ნინევიის ბიბლიოთეკის ასტრონომიული განყოფილება არანაკლებ დიდია მათემატიკურზე. და თუმცა ქეშმარიტი ასტრონომიული ცოდნის და დაკვირვებების გვერდით თიხის წიგნები მრავალ ასტროლოგიურ მონაჭორს შეიცავს, მიუხედავად ამისა, თანამედროვე ასირიოლოგიამ მრავალი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა მიიღო ამ წიგნებიდან.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ბიბლიოთეკაში დაცული ასტრონომიული წიგნების უმეტესი ნაწილი, ასურბანი-ფალამდე ათასზე მეტი წლით ადრე შედგენილი ძველი წიგნების პირებს წარმოადგენს. ამრიგად, ამ წიგნების მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ასტრონომიული მეცნიერების ჩასახვასა და განვითარებას.

ურში, ურუქში, ნიფურში, ბაბილონში, აქადში, ბორსიფაში, ხურსაგქალამაში, აშურში, არბელაში, ნინევიასა და შუამდინარეთის სხვა ბევრ ქალაქში ტაძრებთან აგებული იყო სამი და შვიდსართულიანი კოშკები — ზიქურათები. ზიქურათი ყველა ბაბილონური ტაძრის განუყოფელი ნაწილი იყო, ისე — როგორც სამრეკლო ეკლესიისაა.

ზიქურათების ზემო ბაქანზე, როგორც წესი, მოთავსებული იყო ობსერვატორია, საიდანაც ქურუმნი დღედაღამ რეგულარულად უკვირდებოდნენ ციური მნათობების მოძრაობას.

შუამდინარეთის ზეცა ხელს უწყობდა ამ დაკვირვებებს. წელიწადში არა ნაკლები რვა თვისა იგი სრულიად მოწმენდილი იყო.

დაკვირვების შედეგებს საგულდაგულოდ იწერდნენ თიხის ფირფიტებზე.

ათასწლეულთა განმავლობაში დაგროვილმა მასალამ საშუალება მისცა ბაბილონელებს შეედგინათ ვარსკვლავიერი ცის საკმაოდ სრული რუკა, სადაც აღნიშნულია ყველა ის ციური სხეული, რომლებიც უტელესკოპოდ ჩანდა.



ზოდიაქოს ნიშნები.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ისწავლეს ბაბილონელებმა ვარსკვლავების გარჩევა პლანეტებისაგან. განსაკუთრებული გულმოდგინებით უკვირდებოდნენ ხუთ პლანეტას, და ცაზე მათი მოძრაობის რთული გზა დადგინდნენ იქნა გასაოცარი სიზუსტით იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ხელსაწყოებით.

ბუნებრივია, წინა პლანზე იდგა დაკვირვება მზესა და მთვარე-ზე. საგულდაგულოდ ფიქსირდებოდა ნამგალა მთვარის გაჩენა და გაქრობა თვის დასაწყისსა და დასასრულს. აღინიშნებოდა მთვარის მდებარეობა მზის მიმართ პირისპირ დგომის დროს და მის შემდეგ. იწერდნენ მთვარის „რქების“ მდებარეობას პლანეტებისა და ზოგიერთი განსაკუთრებით კაშკაშა უძრავი ვარსკვლავის მიმართ.

ძველი დროის ბევრი ველური ტომისაგან განსხვავებით, რომლებსაც აშინებდათ მზისა და მთვარის დაბნელება და ცდილობდნენ „დამალვოდნენ“ მას, ბაბილონელები ყურადღებით სწავლობდნენ ამ მოვლენებს. მართალია, მათაც მიაჩნდათ, რომ ეს ცუდის მალწყებელია, მაგრამ აპასთან ერთად ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ამ მოვლენების განმგებელ კანონების საიდუმლოებას. და უკვე ძვ. წ. VII საუკუნეში შუაზღინარეთის ასტრონომებმა ისწავლეს მთვარის დაბნელების „წინასწარმეტყველება“, ე. ი. მისი დადგომის დროის დიდი სიზუსტით გამოთვლა. შემდგომში ისინი მზის დაბნელებასაც წინასწარმეტყველებდნენ.

საინტერესოა ჩვენ დრომდე მოღწეული ასტრონომიული ცნობები, რომლებიც ეძღვნება თვითეული პლანეტის მოძრაობას. ყოველი პლანეტა დახასიათებულია როგორც ცოცხალი არსება. მარსს ეწოდება ავი და ბრაზიანი, მერკურს — დაუდეგარი და მოხეტიალე, სატურნს — დარბაისელი და ძედიღური...

ეკლიპტიკას — დიდ წრეს, რომელზეც წარმოებს მზის ხილული მოძრაობა წლის განმავლობაში — ბაბილონელები „მზის გზას“ უწოდებდნენ. მათ იცოდნენ „მთვარის გზაც“ — მთვარის ორბიტა. ხოლო ზოდიაქოს თორმეტ თანავარსკვლავედს ბაბილონელები იმდენად კარგად იცნობდნენ, რომ უკვე ძვ. წ. XIII საუკუნეში ზოდიაქოს ნიშნების გამოსახულება გვხვდებოდა მიჯნის ქვებზე. მათი ძველი სახელწოდებები (მორიელი, ლომი, კუ, ტყუპები და სხვ.) თითქმის უცვლელადაა შემორჩენილი ჩვენს დრომდე.

უფრო გვიან ეკლიპტიკა წლის 12 თვის შესაბამისად დაყვეს 12 თანაბარ ნაწილად, თვითეული ნაწილი — 30 გრადუსად.

ძველად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა კუდიანი და ვარდნილი ვარსკვლავები — კომეტები და მეტეორები. ზუსტად იწერდნენ მათი გამოჩენის დროს და ყველა მოვლენას, რაც მას

მოსდევდა. ასტრონომები სწავლობდნენ ასევე ცისარტყელებს, გრიგალებს, მიწისძვრებს... ჩვენამდეა მოღწეული ოფიციალური დოკუმენტები, სადაც ზუსტადაა აღნიშნული სად და როდის შენიშნეს ისინი.

...ჩვენს წინა ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში ნაპოვნია ასტრონომიის ძველებური სასწავლო სახელმძღვანელო-ცნობარი. ეს არის ძველი ბაბილონური ორიგინალის პირი. მათზე აღიზარდა მოსწავლეთა მრავალი თაობა. გადავშალოთ ამ წიგნის თიხის ფურცლები, რომელიც, საბედნიეროდ, თითქმის მთლიანადაა გადაარჩენილი.

სახელმძღვანელო იწყება ვარსკვლავთა სამი დიდი ჯგუფის დეტალური აღწერით. აქ ჩამოთვლილია მათი სახელწოდებები, აღებული უმთავრესად მხეცების, ცხოველების, ფრინველების, ღმერთების, ქალაქების სახელებიდან და თითოეული ვარსკვლავის დამახასიათებელი ნიშნები.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთ თავში დასახელებულია ცის მნათობები, რომელთა ამოსვლა ემთხვევა სხვების ჩასვლას. აი, ამ წიგნისათვის დამახასიათებელი ნაწყვეტები:

„როდესაც ისარი, გველი და ლომი ამოდის — გულა და არწივი ჩადიან; როდესაც მშვილდი და მეფე ამოდის — თხა ჩადის; როდესაც ერიდუ და ყორანი ამოდის — ავაზა ჩადის“.

ბევრი საინტერესო მითითება და მახვილგონივრული დაკვირვებაა მოცემული სახელმძღვანელოს სხვა თავებშიც. დამწყებ ასტრონომებს ეძლევათ დაწვრილებითი რჩევა-დარიგება ციური შექანის ყველა საკითხზე.

„თუ აპირებ თვალყური ადევნო კლმინაციას (მნათობთა ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მდებარეობას ცაზე), 20 ნისანუს (მარტი—აპრილი) დილით ადრე მზის ამოსვლამდე ისე დადექ, რომ შენი მარჯვენა ხელი მიქცეული იყოს დასავლეთით, მარცხენა — აღმოსავლეთით, ხოლო შენი მხერა — სამხრეთით“.

ბოლო დასკვნითი თავები ეძღვნება მზეს, მთვარეს და პლანეტებს. აქვეა მოცემული აგრეთვე ცნობები დღისა და ღამის ხანგრძლივობაზე წელიწადის სხვადასხვა დროს, მონაცემები ნაკიანი წელიწადის გამოსაანგარიშებლად და სხვა მრავალი.

თუ ასეთი წიგნი — თავისებური ასტრონომიული ენციკლოპედია — შეიძლებოდა ხამურაბის ეპოქაში შეედგინათ, ცხადია, რომ!

ასტრონომიულმა მეცნიერებამ მნიშვნელოვან განვითარებას ასურბანიფალამდე ჯერ კიდევ ათასი წლის წინ მიაღწია.

ანტიკური ავტორების ცნობით ბაბილონში, ბორსიფუში, სიფარსა და ურუქში არსებობდა დიდი ასტრონომიული სკოლები, რომელთა სახელიც შორს სცილდებოდა შუამდინარეთის ფარგლებს. თითოეულ მათგანს შემუშავებული ჰქონდა ასტრონომიული გამოთვლების საკუთარი სისტემა და თავისი მიმდევრები ჰყავდა.

ჩვენამდე მოღწეული ამ სკოლების შრომებიდან ირკვევა, რომ ბაბილონელებს სკოდნაღათ უძრავ ვარსკვლავთა შორის მანძილის გამოანგარიშება სამი სხვადასხვა მეთოდით. ისინი აგრეთვე პლანეტებზე დაკვირვების სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. მათ დაადგინეს ეკლიპტიკაზე მთვარის მოძრაობის საშუალო სიჩქარე და აგრეთვე მზისა და მთვარის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე. ანომალიური თვის¹ განსაზღვრისას, ბაბილონელები მხოლოდ 3,6 სექუნდში ცდებოდნენ. ხოლო სონოდური თვის² გამოანგარიშებისას ისინი უშვებდნენ შეცდომას, რომელიც სექუნდის რაღაც ნაწილს შეადგენს.

სამხაროს ავგაზულაბა

თუ ვივარაუდებთ, რომ ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში მათემატიკური და ასტრონომიული წიგნებისათვის გამოყოფილი იყო ერთი დიდი კარადა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ გეოგრაფიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის წიგნებს სულ რაღაც ერთი თარო ჰქონდა დათმობილი.

ასურელებმა და ბაბილონელებმა ასტრონომიაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ მთელ სამყაროზე ყოვლად ფანტასტიკური წარმოდგენებით კმაყოფილდებოდნენ.

დედამიწა ნახევარსფეროა, თავისი ფორმით იგი წააგავს გადმობრუნებულ კუფს — მრგვალ ბაბილონურ ნავს, ასეთ ნაევებს დღესაც იყენებენ ერაცში.

¹ დროის მონაკვეთი მთვარის ორ თანამიმდევრულ გავლას შორის დედამიწასთან მისი ორბიტის უახლოეს წერტილში.

² დროის მონაკვეთი მთვარის ორ, ერთი და იმავე სახელწოდების, ფაზას შორის.

ცაც აგრეთვე ნახევარსფეროა. მაგრამ ბევრად უფრო დიდი ზომის, იგი ხუფივით ხურავს დედამიწას. ზეცის სივრცე საში სართულისაგან შედგება. მიწის მცხოვრებნი ხედავენ ცის მხოლოდ პირველ, ყველაზე დაბალ სართულს. აქ მოძრაობენ ცის მნათობები.

ზეცა შეკრულია მაგარი ჭიშის ძვირფასი ქვებით.

ღმერთებს შეუძლიათ ასწიონ და დაუშვან ცის თალი. ამასთან, იქ არის სარკმლები, საიდანაც იღვრება მიწაზე წვიმა.

ზეცა დაყრდნობილია საძირკველზე. ცის ნაპირების ის ადგილე-



მზის ღმერთი ზამაში ამოდის მთის იქით.
ცილინდრული საბეჭდავის ანაბეჭდი.

ბი, რითაც ცა ოკეანეს ეყრდნობა, მეტი სიმტკიცისათვის დამაგრებულია პალოებით. ფუნდამენტი ოკეანის წყლებისგან დაცულია მძლავრი ტალღით.

ცის თალის ზედა ნაწილს ცის ცენტრი ერქვა. ყველაზე მაღალ წერტილს — ზენიტი. პირველი თალის ქვეშ, ცის შიდა ნათელ ნაწილში ღამით ისვენებს მზე. აქვე თვეში სამ დღეს ცხოვრობს მთვარე სწორედ იმ დღეებში, ახალმთვარეობის წინ, როცა იგი მიწიდან არ ჩანს.

აღმოსავლეთით და დასავლეთით ზედ ჰორიზონტთან არის

ამოსვლისა და ჩასვლის მთები. მათი კარები დაკეტილია. დილით მზე აღებს აღმოსავლეთის კარს და გამოდის ადამიანებისათვის ხილულ ჰორიზონტზე. საღამოთი, დღის გზას რომ გაივლის, მზე აღებს დასავლეთის კარს და შედის ცის შიდა ნაწილში.

ვარსკვლავებს, ცაზე უცნაურ ფიგურებსა და დამწერლობას რომ ქმნიან, მიჩენილი აქვთ თავთავიანთი ადგილი. მათ ეს ადგილი არ უნდა შეცვალონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გარღუვალია ცის მნათობთა შეჭახება.

ცის გეოგრაფია...

ასურულ-ბაბილონური გაგებით ცა და დედამიწა ერთგვარ მთლიანობას წარმოადგენდა. ყველაფერი ის, რაც დედამიწაზეა — ქვეყნები, ქალაქები, მთები, მდინარეები, ტყეები — მხოლოდ სუსტი ანარეკლია იმისა, რაც ზეცაშია. ბაბილონისა და ნინევიის მდიდრული ტაძრებიც კი, მხოლოდ საცოდავი პირებია ზეცაური ტაძრებისა. ყველა მიწიერი საგნის პირველსაზე თანავარსკვლავედებში არსებობს.

ასეთი თვალზაზრისის გამო ძველმა ბაბილონელებმა თავისებური ცის გეოგრაფია შექმნეს. „ნინევიის გეგმა. — ნათქვამია ერთ-ერთ თიხის ფირფიტაში, — უძველესი დროიდან იყო დახაზული. ციური დამწერლობით“.

ცის ევფრატი, ბაბილონური კოსმოლოგიის (მეცნიერება სამყაროს აგებულების შესახებ) თანახმად, იყოფება მერცხლის თანავარსკვლავედში. მდინარე ტიგროსი მიედინება ანუნიტის თანავარსკვლავედში. ქალაქი სიფარა გააგივებული იყო კუს თანავარსკვლავედთან, ქალაქი ნიფური — დიდი დათვის, ქალაქი ბაბილონი — იქუს თანავარსკვლავედთან. ციური ქალაქები, მდინარეები, მთები, ტაძრები დაახლოებით ორჯერ მეტია მიწიერზე.

მზე და მთვარე, ისევე როგორც დედამიწა, დაყოფილი იყო ცალკე ქვეყნებად. „მთვარის მარჯვენა მხარეა აქადის ქვეყანა, მარცხენა მხარე — ელამის ქვეყანა, ზედა ნაწილი — ამურუს ქვეყანა, ქვედა ნაწილი — სუბართუს ქვეყანა“.

ელაში, ამურუ და სუბართუ ახლო და შორეული მეზობლები იყვნენ ბაბილონეთისა, რომელიც უწინ აქადად იწოდებოდა, ძველმა ბაბილონელებმა მექანიკურად გადაიტანეს თავიანთი მიწიერი წარმოდგენები მთვარეზე. ეს იყო მათი მეტად შეზღუდული გეოგრაფიული თვალთახედვის შედეგი. მთელი სამყარო მათთვის მოქცეული იყო „აისის ზღვასა“ (სპარსეთის ყურე) და „დაისის ზღვას“ (ხმელთაშუა ზღვა) შორის.

დედამიწა, ისევე როგორც ზეცა, სამი ნაწილისაგან შედგება, დედამიწის ზედაპირი დასახლებულია ადამიანებით. დედამიწის შუა ნაწილი ღვთაება ეას სამფლობელოა, ხოლო დედამიწის ქვედა ნაწილი — ქვესკნელი — მიცვალებულთა სამყოფელოა. აქ მბრძანებლობს ბოროტი დედოფალი ერეშქიგალი თავისი 600 მიწისქვეშა სულით — ანუნაქებით. მის სასახლეს შვიდი სქელი კედელი არტყია.

...და დედამიწის გეოგრაფია

ციური გეოგრაფიისაგან განსხვავებით, მიწიერი გეოგრაფია ძირითადად ეყრდნობოდა არა ვარაუდებს, არამედ რეალურ ცოდნას.

ბაბილონელები და ასურელები სისტემატურად ებრძოდნენ მეზობელ ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობაზე, ბუნებრივ პირობებსა და სიმდიდრეზე მათ საკმაოდ სწორი წარმოდგენა ჰქონდათ. გეოგრაფიული ცოდნის გაღრმავებას დიდად უწყობდნენ ხელს ვაჭრები, რომლებიც შორეულ ქვეყნებამდე აღწევდნენ. მათ ცნობებს იყენებდნენ ძველი კარტოგრაფები გეოგრაფიული რუკების შედგენის დროს. ეს რუკები მეტად არასრულყოფილი იყო, თუმცა მნიშვნელოვან ტერიტორიას მოიცავდა: ჩრდილოეთით — სომხეთის მთიანეთიდან და მცირე აზიიდან დაწყებული, სამხრეთით სუდანსა და აბისინიამდე.

წმინდა პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდა ძველი წვლიალრიცხვის მესამე ათასწლეულის ბოლოს ქალაქ ლავაშის ტაძრის აღმინისტრაციის მიერ შედგენილი ქალაქების სია. იქ ჩამოთვლილია ამ ტაძართან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ქალაქები.

როგორც უკვე ვიცით, ყველა ტაძართან არსებობდა მსხვილი მონათმფლობელური მეურნეობა, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკაში. სიაში ასახულია შუამდინარეთის სამხრეთ ნაწილის ეკონომიური კავშირები.

გაცილებით უფრო მდიდრული და შინაარსიანია შემდგომდროინდელი გეოგრაფიული ლექსიკონი, სადაც მოცემულია ქალაქების, არხების, მდინარეების, მთების, ტაძრის კოშკების, ქალაქის კედლების დასახელება. ყველა გეოგრაფიული სახელწოდება აღნიშნულია ორ ენაზე — ბაბილონურსა და შუმერულზე. ზოგიერთ ლექსიკონს აქვს მესამე სვეტი, რომელიც განმარტავს ნაკლებ გასაგებ ან მოძველებულ სახელწოდებებს.

ნინევიის არქივში აღმოჩნდა თიხის წიგნები, რომლებშიც მოცემულია ყველა დაპყრობილი ქალაქის და მხარის მიმოხილვა. აღნიშნულია ხარკის ოდენობა, რაც მათ ასურეთისათვის უნდა გადაეხადათ.

გეოგრაფიული ლიტერატურის თავისებურ ნიმუშებს წარმოადგენენ შორეული მოგზაურობისათვის განკუთვნილი მეგზურები, რომლებსაც, ალბათ, ვაჭრები, ელჩები და სამხედრო პირები იყენებდნენ. იქ ჩამოთვლილია სხვადასხვა ქალაქებს შორის მდებარე უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები, ნაჩვენებია მათ შორის მანძილი სიგრძისა და დროის საზომი ერთეულების მიხედვით.

ერთ-ერთ მეგზურში ჩამოთვლილია ყველა ქალაქი აშურსა და სპარსეთის ყურეს შორის. მათ შორის მანძილი მცირე როდია, იგი 800 კილომეტრს აღემატება. ფიქრობენ, რომ ეს მეგზური შედგენილია ფოსტის საჭიროებისათვის.


ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში შემორჩენილია ძალიან ძველი გეოგრაფიული დოკუმენტის პირი, სადაც აღნიშნულია რიგი სახელმწიფოების საზღვრები მათი სასაზღვრო ქალაქების მიხედვით.

„ქალაქ ხიზათიდან ქალაქ აბულათამდე — აქადის ქვეყანა. ქალაქ აბულათიდან ქალაქ ხალაბამდე — გუთიების ქვეყანა...“

შემდეგ მოცემულია ამ ქვეყნების სიგრძე ორმაგ საათებში — ბაბილონელთა ჩვეულებრივი დროის საზომის მიხედვით.

„90 ორმაგი საათის გზა — ელამის ქვეყანა, 180 ორმაგი საათის გზა — აქადის ქვეყანა. 120 ორმაგი საათის გზა — სუბართუს ქვეყანა“.

შენობებისა და მიწის ნაკვეთების გეგმების შედგენაში რომ გაიწაფნენ. ბაბილონელები და ასურელები ძალიან ადრე დაეუფლნენ გეოგრაფიული რუკების შედგენის ხელოვნებას.



მსოფლიოს ბაბილონური რუკა.

მაგრამ თუ ცალკეული ადგილების რუკები საკმაოდ ზუსტად დგებოდა, სამყაროს რუკის შედგენის ცდებმა ყოვლად უსუსური შედეგები გამოიღო.

... რა უნდა იყოს ეს უცნაური ნახატი? საეჭვოა, რომელიმე თანამედროვეს აზრად მოუვიდეს, რომ ეს მსოფლიოს რუკაა. იგი შედგენილია დაახლოებით ძვ. წ. IX საუკუნეში.

ყველა ქალაქი და ქვეყანა მასზე წრეებით არის აღნიშნული. მათ შორისაა ბაბილონი, ურამი, აშური, დერი, ბით-იაქინი, ხაბანი და სხვები. დედამიწის შუაგულში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიედინება მდინარე ევფრატი. ხმელეთს გარს ეკვრის წყლის რკალი, რომლის იქითაც მდებარეობს რვა კუნძული (რუკაზე ჩანს მხოლოდ ოთხი). მანძილი მათ შორის, ჩვეულებისამებრ, ორმაგი საათითაა განსაზღვრული. ზედ ჩრდილოეთის კუნძულთან არის წარწერა: „ადგილი, საიდანაც არ ჩანს მზე“.

რუკის განმარტებაში ყველა კუნძული დახატულია როგორც უკიდურესად არასტუმართმოყვარე. მაგალითად, მესამე კუნძულზე ნათქვამია: „ფრთოსანი ფრინველი აქ ბუდეს არ იკეთებს“. მეექვსე კუნძულზე, რუკის შემდგენთა აზრით, ბინადრობენ ველური ხარები, რომლებიც თავს ესხმიან აქ მომსვლელთ.

ზოოლოგიის, ბოტანიკის, ფიზიკის და ქიმიის საწიხეები

ასურეთის მეფეებს ჩვეულებად ჰქონდათ ზოოლოგიური ბაღების მოწყობა, სადაც დაპყრობილი ქვეყნების იშვიათი ცხოველები ჰყავდათ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მეცნიერული მიზნებისთვის კეთდებოდა.

პატივმოყვარეობით შეპყრობილი ასურეთის მპრძანებელნი ცდილობდნენ განეციფრებინათ თავიანთი ქვეშევრდომები უცხო ქვეყნების ველური ცხოველებით. გარდა ამისა, როგორც ვეცით, უსაქმურობის ეამს მეფეებს ნადირობა უყვარდათ, ამ მიზნით საკუთარ ზოოლოგიურ ბაღში დამწყვედეულ ნადირს იყენებდნენ — ერჩიათ ნაკლებ საფრთხეში ჩაეგდოთ სიცოცხლე.

ასურეთის სახელმწიფოს ფარგლებში თუკი სადმე საჩეხში გაჩნდებოდა საოცარი მახინჯი ცხოველი — დაუყოვნებლივ აცნობებდნენ მეფეს. ასეთი ცხოველის გვამს ისე დაამუშავებდნენ, რომ მას დიდხანს გაეძლო. ამ საქმეში საკმაოდ დაოსტატებული იყვნენ.

ბაბილონელი ქურუმები ამას არა მარტო ცნობისმოყვარეობის კარნახით აკეთებდნენ, არამედ, რაც მთავარია, სურდათ შეენახათ

ეს ფენომენი, როგორც ძველი თქმულებების თვალსაჩინო ილუსტრაცია. საქმე ისაა, რომ წინასწარმეტყველების რთულ და არეულ-დარეულ „მეცნიერებაში“ მახინჯი ცხოველების დაბადების საკითხს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

ასირიოლოგებს ხელში ჩაუვარდათ ცხოველების, მცენარეების, ქვევისა და მინერალების გრძელი სიები. ეს არის ცოცხალი და მკვდარი ბუნების სისტემატიზაციის პირველი ცდა.



თიხისაგან გაკეთებული
ლეიძლის სამკითხაო
მოდელი.

ძველი კლასიფიკაციით, ცოცხალი სამყარო იყოფა თევზებად, ფეხსახსრიანებად, გველებად, ფრინველებად და ოთხფეხებად. ამ სახეობათა შიგნით განასხვავებდნენ ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც სრულებით არ იყვნენ ერთგვაროვანი. ასე, მაგალითად: ძაღლების ჯგუფს აკუთვნებდნენ აფთარს, ლომს და მგელს, ხოლო ვირების ჯგუფს — ცხენსა და აქლემს. ყველა წყლის ბინადარი თევზების კატეგორიად ცხადდებოდა, თუნდაც არავითარი

საერთო არ ჰქონოდა მათთან. ამის შედეგად თევზებს მიეკუთვნებოდნენ ნიჟარებიც. ამავე პრინციპის წყალობით ფეხსახსრიანებს მიაკუთვნებდნენ კუს.

მთელი მცენარეული სამყარო წმინდა გარეგნული ნიშნების მიხედვით იყოფოდა: ხეებად, ბოსტნეულად, სანელებლებად, მძრცვლოვნად და ბალახეულად. ამ სახეების შიგნით ბაბილონელები განასხვავებდნენ ჯგუფებს, როგორცაა, მაგალითად, ლედვის ხე, ვაშლის ხე, ბროწეულის ხე.

განსაკუთრებით კარგად ჰქონდათ შესწავლილი სამხრეთ შუამდინარეთში დიდად გავრცელებული ფინიკიური პალმები. ჯერ კიდევ ძველი დროის მებაღეებმა ისწავლეს ამ ხეების ხელოვნური დამტვერვა.


საინტერესო დაკვირვებანი, რომლებიც მიეკუთვნება ფიზიკის

დარგს, მოახდინეს ბაბილონელმა ქურუმებმა ძვ. წ. XVIII საუკუნეში. როდესაც თასზე წყალთან ერთად ნელსაცხებელს ასხამდნენ, მათ შენიშნეს, რომ მზის სხივებზე ზეთში ფერადი რგოლები წარმოიქმნებოდა. დაადგინეს, რომ ასეთი რგოლი სულ იყო შვიდი. ქურკლის ნაპირზე ჩანიშნეს შავი ფერი, მას მოსდევდა წითელი, შემდეგ მწვანე და ასე შემდეგ. ეს არის ცისარტყელას შვიდი ფერის ჩვენამდე მოღწეული უძველესი აღწერილობა.

ცხადია, ბაბილონელები ძალიან შორს იყვნენ ამ მოვლენის ფიზიკური ბუნების გაგებიდან.

ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში ნაპოვნია თხზულების ნამტკრევები, რომლის სახელწოდებაცაა (პირველი სიტყვების მიხედვით) „ლუმელის კარები“. სამწუხაროდ, არ მოხერხდა ამ „წიგნის“ მთლიანი ტექსტის აღდგენა, მაგრამ გადარჩენილი „გვერდებიდან“ ჩანს, რომ იქ ლაპარაკია ქიმიაზე და უმთავრესად, სხვადასხვა ფერის და ტონის მინანქრის ხელოვნურად მიღებაზე.

„წიგნი“ იწყება მითითებით, თუ როგორ მოვაწყოთ საღნობი ღუმელები და რომელი ჯიშის შეშაა გამოსადეგი ღნობისათვის. ამ



- მრავალფეროვანი შორენკეები ღობის გამოსახულებით, პროცესიის ქუჩის კედელზე ბაბილონში.

განყოფილებაში მოცემული სასარგებლო ცნობები არეულია შეგონებებში მსხვერპლის შეწირვის, კმევის, „ბედნიერი დღეებისა“ და სხვათა შესახებ. შემდეგ მოსდევს რეცეპტები სხვადასხვა ხარისხის მინანქრის დასამზადებლად, რომლითაც ფარავდნენ შორენეელებს. აი, მაგალითად, ღია ცისფერი მინანქრის რეცეპტი:

„თუ ღია ლავვარდისფერი გინდა მიიღო, აიღე 10 მინა ქვა იმანაქუ სეს სიტყვა ასირიოლოგებმა ჯერ ვერ თარგმნეს), 15 მინა სურსუმის ნაცარი, $1\frac{1}{16}$ მინა თეთრი კომპოსტო, დანაყე ესენი ერთად და აურიე. შემდეგ შედვი ღუმელში... და თვალყური აუღვენე. გააჩაღე კარგი, უბოლო ცეცხლი. ვიდრე სეს ნარევი სიმზურვალისგან არ გათეთრდება. შემდეგ გადმოიღე. დაფქვი, გახეხე და შეა-



მრავალფეროვანი შორენეელები მარტირქის გამოსახულებით.

გროვე კარგ [ფორმაში]. და ბოლოს შედგო იგი ცივ ლუმელში, გააჩაღე კარგი ცეცხლი და გააეარვარე...“

ანალიზი ჩვენამდე მოღწეული ბაბილონური საღებავებისა, რომლებითაც დაფარული იყო სხვადასხვა საგნები, გვიჩვენებს, რომ ყვითელი, წითელი, თეთრი და ლურჯი ფერის მისაღებად ბაბილონელები კარგად იყენებდნენ სპილენძს, კალას, ტყვიას და სხვა ლითონებს.

ის ფაქტი, რომ შუამდინარეთში მინანქარი არ შემოქმენდათ და ადგილზე ამზადებდნენ, დასტურდება მრავალრიცხოვანი ნაპოვნი საგნებით. აღმოჩენილია საღებავი ქოთნები და მინანქრის წარმოების სხვადასხვა ნარჩენი.

ზორსაბადში იპოვეს დაახლოებით ერთი კილოგრამი წონის საღებავის კოშტი. ყურადღებით გასინჯვის შედეგად აღმოჩნდა დაფხვნილი ლილა ქვა. შედარებით არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ისწავლეს იაფი პროდუქტებიდან ძვირფასი ულტრაამარინის დამზადება სინთეზური გზით. წინათ სალკუნეების განმავლობაში მას, ბაბილონელების მსგავსად, ლილაქვისგან ამზადებდნენ.

შუამდინარეთის მცხოვრებნი იყენებდნენ წყლის საღებავებსაც. თეთრ ფერს იღებდნენ წმინდად დაფქული თაბაშირისაგან, წითელს — რკინის ქანგისაგან, შავს — ქვარტლისა ან ნახშირისაგან.

ექვს გარეშეა, რომ ძველი ბაბილონელები ცდილობდნენ ხელოვნური გზით მიეღოთ ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და ლილა-ქვა. დიდი შრომა მოახმარეს ერთი ელემენტის მეორე ელემენტად გადაქცევას, იაფი და გავრცელებული ელემენტების — იშვიათ და ძვირფას ელემენტებად ქცევას. ცხადია, ამ ცდებიდან არაფერი არ გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ, მათ ისწავლეს ლითონის გასუფთავება და სხვადასხვა შენადნობების მიღება.

შესანიშნავი მეცნიერული აღმოჩენების ეპოქაში ავიაციის, ელექტრონის და რადიოს ეპოქაში, როცა ადამიანი ფრინველივით დანავარდობს საჰაერო ოკეანის უსაზღვრო სივრცეში, როცა ადამიანის სიტყვა ელვის სისწრაფით სერავს კონტინენტებს, ბაბილონელთა მეცნიერული აღმოჩენები ძალზე უმნიშვნელო გვეჩვენება. ჩვენ ეახალგაზრდა მკითხველი, რომელიც ცხოვრობს ბუნების დიადი გარდაქმნების ქვეყანაში, და მიჩვეულია კომუნისტური მშენებ-

ლობის გრანდიოზულ მასშტაბებს, თავისებურად მართალი იქნება, თუ იტყვის: განა შეიძლება ნამდვილი მეცნიერება ვუწოდოთ ცოდნის იმ ნამკეცებს, რასაც იყენებდნენ შუამდინარეთის ძველი მცხოვრებნი, რომლებიც აღმერთებდნენ ბუნებას და გულწრფელად სჯეროდათ, რომ ვარსკვლავები და პლანეტები განაგებენ ადამიანთა ბედ-იღბალს.

მაგრამ საბჭოთა ადამიანები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას აფასებენ მათ ისტორიულ განვითარებაში. და თუ გავიხსენებთ რა შორეულ წარსულში აქვს გადგმული ბაბილონურ მეცნიერებას ფესვები, როგორ უხსოვარ დროში ეძებდა ცოდნის მოყვარე ადამიანის აზრი სამყაროს განმგებელ კანონზომიერებებს, თუ გავიხსენებთ როგორ ეძებდა ხელის ცეცებით წყვილიადში, მიიწვედა უვალი გზებით, გაჭირვებით მიიკვლევდა თითოეულ ნაბიჯს, მაშინ ჩვენ უნდა ვადიაროთ, რომ ბაბილონელთა მიღწევები არც ისე ცოტაა. მათ საფუძველი ჩაუყარეს რიგ საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებს, რომლებმაც შემდგომ დიდი განვითარება ჰპოვეს, და ამით მთელი კულტურული კაცობრიობის მადლობა დაიმსახურეს.

მედიცინა და ფარმაცოლოგია

ჰეროდოტეს წინააღმდეგ

ცნობილ ბერძენ ისტორიკოსს ჰეროდოტეს თუ დავუჭერებთ, მედიცინა ბაბილონში, ძირითადად, არ არსებობდა. აი პატარა, მაგრამ ცოცხალი სურათი დაავადების მკურნალობისა, რომელიც ჰეროდოტემ აგვიწერა:

„ავადმყოფები მათ (ე. ი. ბაბილონელებს) გამოჰყავთ მოედანზე, ვინაიდან ეჭიშვინები არ ჰყავთ. ავადმყოფთან მიდიან გამელები და ესაუბრებიან მათ დაავადებაზე. შესაძლოა, რომელიმე მათგანი თვითონვე იყო ოდესმე იმავე სენით დაავადებული, ან იქნებ ვინმე სხვა უნახავს ასეთივე მდგომარეობაში. ზოგიერთი მიდის ავადმყოფთან, ესაუბრება მას და ურჩევს იმ საშუალებებს, რითაც თავად განიკურნა მსგავსი დაავადებისაგან, ანდა მას უნახავს, რომ ამავე საშუალებებმა განიკურნა სხვა ავადმყოფები. მათთან (ე. ი. ბაბილონელებთან) აკრძალულია დუმილით ჩაუარო გვერდი ავადმყოფს და არ ჰკითხო დაავადების შესახებ“.

შეიძლება ასეთი პრიმიტიული მეთოდით მართლაც მკურნალობდნენ ბაბილონეთის მიყრუებულ სოფლებში. მაგრამ ჰეროდოტეს ნაამბობი არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს სწორ წარმოდგენას სამედიცინო მეცნიერების განვითარებაზე ბაბილონეთში. იგი ეწინააღმდეგება მრავალრიცხოვან პირველწყაროებს, რომლებიც უამრავი აღმოჩნდა ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში და სხვაგანაც.


ცხადია, ასურულ-ბაბილონური მედიცინა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაგიასთან. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო იმ შორეულ დროში. მაგრამ შელოცვებსა და სხვა მაგიურ მოქმედებებთან ერთად იყენებდნენ მრავალი დაავადების გამოცნო-

ბისა და მკურნალობის რაციონალურ საშუალებებს. მიუხედავად ჰეროდოტეს ვარაუდისა, ბაბილონში ექიმის პროფესია არსებობდა სულ ცოტა თხუთმეტი საუკუნით ადრე ჰეროდოტეს დაბადებამდე. არსებობდა აგრეთვე ვეტერინარი ექიმების პროფესია, რომლებიც დაოსტატებული იყვნენ პირუტყვის მკურნალობაში.

ავადმყოფის სანახავად მოსულ, თავგადაპარსულ და გრძელ ტან-საცმელში გამოწყობილ ბაბილონელ ექიმს თან ჰქონდა სამედიცინო ჩანთა, რომელშიც იყო სახვევი, წამლები და ხელსაწყოები.

სერიოზული სახით, თითქოს მღვდელთმსახურებას ასრულებდა, ისე იწყებდა იგი პაციენტის გამოკვლევას, რათა დაედგინა დაავადების ხასიათი, გაერკვია რომელი დემონი ჩასახლდა მასში (ჩვეულებრივ ყველა დაავადებას ხსნიდნენ ადამიანში ავი სულის ჩასახლებით), და ამის შესაბამისად შეერჩია მკურნალობის მეთოდი.

ჩვენს დროში ყველა ექიმს აქვს თავისი ბეჭედი, რომელსაც სვამს რეცეპტზე. ასევე ძველბაბილონურ ექიმებსაც ჰქონდათ თავიანთი ცილინდრ-ბეჭდები. აი, ცილინდრ-ბეჭდის ანაბეჭდი, რომელიც ეკუთვნოდა ქალაქ ლაგაშის ექიმს ურ-ლუგალ-ედინს, იგი ცხოვრობდა ძვ. წ. XXII საუკუნის ბოლოს. ბეჭედზე გამოსახულია მისი „საწარმოო იარაღები“ — ქირურგიული ნემსები და ორი ჭურჭელი საცხით.



ძველ ბაბილონელი ექიმის ბეჭედი. მარჯვნივ მისი გამოსახულება, ცენტრში — ქირურგიული ხელსაწყოები და საცხიანი ჭურჭლები, მარცხნივ — ლურსმული წარწერა.

შუამდინარეთში გაცილებით ცოტა იყო ექიმები, ვიდრე მისნე-
ბი და ვარსკვლავთმრიცხველები, რომლებიც თავის თავს მედიცი-
ნაში წილდებულად თვლიდნენ. ზოგიერთი ექიმი გამოჩენილ ად-
გილს იჭერდა სამეფო კარზე, სხვები კი კერძო პრაქტიკას ეწეოდ-
ნენ.

ასურელ-ბაბილონელ მედიკებს დიდი სახელი ჰქონდათ მოხვე-
ჭილი. ისინი ზოგჯერ საზღვარგარეთაც მიდიოდნენ დიდი თანამდე-
ბობის პაციენტებისათვის დახმარების გასაწევად.

მეფეთა მიწერ-მოწერიდან დასტურდება, რომ როდესაც ეგვიპ-
ტის ფარაონ ამენჰოტეპ III-ის¹ (XV საუკ. ძვ. წ. ა.) ავადმყოფობამ
საშიში ხასიათი მიიღო, მას გაუგზავნეს ასურელი ექიმი.

მეორე დოკუმენტიდან ჩვენ ვიგებთ, რომ ბაბილონელი ექიმი
გამგზავრებულია მცირე აზიას ხეტების მეფის მუვატალის სამკურ-
ნალოდ (დაახლოებით ძვ. წ. 1300 წელს).

კერძო ექიმები მხოლოდ დიდი პონორარის გადახდის შემდეგ
უწევდნენ სამედიცინო დახმარებას. განაკვეთები იმდენად დიდი
იყო, რომ მკურნალობა მხოლოდ მდიდრებისთვის იყო ხელმისაწე-
ვლომი.

ცულ დღეში ვარდებოდა ყველა, ვინც 7, 14, 19 და 21 რიცხვში
გახდებოდა ავად. ეს დღეები უბედურად ითვლებოდა და ექიმებს
უფლება არა ჰქონდათ ასეთ დღეებში მკურნალობა გაეწიათ ავად-
მყოფისათვის.

„მოკავითეთ მას ხალვაი“

ძველ შუამდინარეთში ქურუმების ინტრიგების გამო ქირურგის
საქმიანობას თან სდევდა სიცოცხლის საფრთხე. ამაში რომ დავრწ-
მუნდეთ, საკმარისია გავიხსენოთ ხამურაბის კოდექსის შემდეგი
მუხლი.

მუხლი 218.² „უკეთუ ექიმი ბრინჯაოს დანით მძიმე ჭრილობას
მიაყენებს ადამიანს და ეს ადამიანი მოკვდა ან, თუ ბრინჯაოს და-

¹ ამ ფარაონის პორტრეტული გამოსახულება შეიძლება ნახოთ ლენინგრად-
ში, ნევის სანაპიროზე სამხატვრო აკადემიის პირდაპირ. აქ დგას ეგვიპტიდან ჩა-
მოტანილი ორი სფინქსი, რომლებსაც ამენჰოტეპ III სახე აქვთ.

² დანომრეს მეცნიერებმა. კანონების ტექსტში დანომვრა არ გვხვდება.

ნით ლიბრის გადაცლის დროს ადამიანს თვალს დაუზიანებს, მას უნდა მოჰკვეთონ ხელები“¹.

ეგზომ სასტიკი და ორაზროვნებას მოკლებული კანონი აიძულებდა ექიმებს ფრთხილად ყოფილიყვნენ, მორიდებოდნენ საექვო შემთხვევებში ქირურგიულ ჩარევას. სხვათა შორის, ბაბილონური სამკურნალო სახელმძღვანელოები პირდაპირ ავალებდნენ ექიმებს, ხელი არ ეხლოთ ავადმყოფისთვის, თუ მისი მდგომარეობა უიმედო იყო.

უდავოა, რომ გაუმართლებლად მიძიმე სასჯელი მარცხიანი ოპერაციისათვის, რაც ყოველთვის როდი იყო საექიმო შეცდომის შედეგი, აფერხებდა ქირურგიის განვითარებას. ვის ექნებოდა სურვილი გაეწირა საკუთარი ხელები.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ხამურაბის კოდექსის ცხრა მუხლი ეხება მედიცინას და მხოლოდ ქირურგებს გულისხმობს, ხოლო ექიმ თერაპევტებზე სრულიად არაფერს ამბობს. და ეს შემთხვევითი არაა.

ექიმი ქირურგები, ჩანს, მეორე ხარისხის ექიმებად ითვლებოდნენ, თუმცა, როგორც წესი, თავისი ცოდნით სჯობნიდნენ თერაპევტებს.

სამეფო კარის გავლენიანი ექიმ-ქურუმებისაგან განსხვავებით, რომლებიც წაშლების ვარდა შელოცვებითაც მკურნალობდნენ, ქირურგებს არ სჭირდებოდათ მოეშველიებინათ მაგია. მკურნალობის მათი მეთოდი ძირითადად დამყარებული იყო ანატომიასა და მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ექიმი-თერაპევტებო, რომელთა ხელოვნება მნიშვნელოვნად ეყრდნობოდა მაგიას, ქირურგების სახით საშიშ მეტოქეებს ხედავდნენ. თერაპევტებსა და ქირურგებს შორის საუკუნეების განმავლობაში სწარმოებდა ფარული განუწყვეტელი ბრძოლა. იგი ძალიან წააგავდა ბრძოლას ეგროპაში XVIII

¹ ამავე პარაგრაფს ასედაც თარგმნიან: „უკეთე ექიმი ზრინჯაოს დანით ღრმა ჭრილობას მიაყენებს ადამიანს და ამას მოჰყვება მისი სიკვდილი, ანდა კაცს ბრინჯაოს დანით მოაცლის ლიბრს და კაცს დაუზიანებს თვალს, მას თი-თები უნდა მოსჭრან“. რ ე დ. შე ნ ი შ ვ ნ ა.

საუკუნემდე, სადაც მეცნიერების მსახურებად მიჩნეული იყვნენ მხოლოდ თერაპევტები, ხოლო ქირურგები ხელოსნებად ითვლებოდნენ და თავიანთ საქმიანობას, უმეტეს შემთხვევაში, აბანოებსა და სადალაქოებში ეწეოდნენ.

აღბათ, სასახლის კარის ექიმ-ქურუმთა ინტრიგების შედეგია ხამურაბის კოდექსში ისეთი მუხლის შეტანა, რომელიც სასტიკად სჯის ქირურგებს ყოველი მარცხისა და შეცდომისათვის.

სამაგიეროდ, წარმატებით დამთავრებულ ოპერაციას გამდიდრება მოსდევდა. აი, საექიმო განაკვეთების ტარიფი, რასაც ხამურაბის კოდექსი ადგენდა (რათა ექიმს უფრო მეტის აღება არ გაეზღებინა).

ლიბრის მოცილებსა და თვალის განკურნებისათვის და საერთოდ ყველა წარმატებით ჩატარებული ოპერაციისათვის—ათი სიკლი ვერცხლი. საზღაური მცირდებოდა ხუთ სიკლამდე თუ საქმე არასრულუფლებიან მოქალაქეს ეხებოდა, ხოლო თუ მონას — ორ სიკლამდე (საოპერაციო თანხას მონათმფლობელი იხდიდა). ძვლის ჩაყენებისათვის ექიმი იღებდა შესაბამისად 5, 3 და 2 სიკლ ვერცხლს.

ამრიგად, ორი სიკლი ვერცხლი მინიმალური საზღაური იყო სამედიცინო დახმარებისათვის. რომ გავიგოთ თუ რას წარმოდგენდა ეს თანხა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ხამურაბის ეპოქაში ერთი სიკლით შეიძლებოდა კარგი ღორის, ან ერთი ადამიანისათვის ხუთი თვის სარჩო ხორბლის ყიდვა.

გაცილებით ნაკლებად ნაზღაურდებოდა ვეტერინარის შრომა. კარგად გაკეთებული ოპერაციისათვის იგი იღებდა მხოლოდ 1/6 სიკლს. მაგრამ აქ რისკიც ნაკლები იყო, თუ პირუტყვი ოპერაციის შედეგად დაიღუპებოდა, ვეტერინარი მისი ღირებულების მხოლოდ 1/5-ს ანაზღაურებდა.

დაავადების მიზეზები

ბაბილონელთა წარმოდგენა ზოგიერთი დაავადების გამომწვევ მიზეზებზე ძალიან ახლო იყო ჭეშმარიტებასთან. მაგალითად, აღმოსავლეთში თვალის ხშირ დაავადებას მიაწერდნენ მტვერს, რომე-

ლიც ღრუბლებივით მოჰქონდა ქარს. მუნი და კანის სხვა დაავადებანი გადამდებად ითვლებოდა. ბაბილონელთა აზრით, ინფექციას ავრცელებდნენ პარაზიტი მწერები, უმთავრესად ტილები.

ანატომია მნიშვნელოვნად ვერ განვითარდა შუამდინარეთში. ბაბილონური რელიგია, რომელიც კრძალავდა გარდაცვლილთა

გვამის გაკვეთას, ძალიან აფერხებდა ადამიანის ორგანიზმის შესწავლას. ადამიანის ანატომიის ის მცირე ცოდნა, რომელიც ძველ ბაბილონელ მედიკებს გააჩნდათ, ემყარებოდა იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ და შემთხვევით ცნობებს, რომლებსაც ბრძოლის ველზე დაჭრილებისათვის გაწეული დახმარებისა, და აგრეთვე ღმერთებისათვის მსხვერპლად შეწირული პირუტყვის გამოკვლევისას იღებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სხეული არსებითად განსხვავდება ცხოველის სხეუ-



სს
 თეოციონის ძველბაბილონური ემბლემა.

ლის აგებულებისაგან, ბაბილონელი ექიმები მექანიკურად ავრცელებდნენ ადამიანზე ბევრ ისეთ რამეს, რაც მხოლოდ ცხოველისთვისაა დამახასიათებელი.

ბაბილონელებს ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლის წყაროდ მიაჩნდათ სისხლი, რომელსაც „ღლის სისხლად“ (ღია არტერიულად) და „ღამის სისხლად“ (მუქ ვენურად) ჰყოფდნენ.

ღიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ბაბილონელი ექიმები გულს, ღვიძლს, თირკმლებს, და ამავე დროს სრულიად უტუღვებელყოფდნენ შარდის ბუშტს და ელენთას. ხოლო ნერვებს ვერ ანსხვავებდნენ ძარღვებისაგან... სხვადასხვა ორგანოების ნამდვილ ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. თუმცა ყოველ მათგანს გარკვეულ თვისებას აწერდნენ, ზოგიერთს კი ანიჭებდნენ სულიერი მღელვარებისა და გონების საქმიანობის ხელმძღვანელობის უნარს.

თვალი და ყური ისეთ ორგანოებად მიაჩნდათ, რომლებიც ყურადღებას განაგებდნენ. გული ბაბილონელთა წარმოდგენით განა-

გებდა გონებას, ღვიძლი — განწყობილებას, კუჭი — ეშმაკობას, ცხვირი — ქედმაღლობას...

არ უნდა გაგვაოცოს ერთი შეხედვით იმ უცნაურმა ფაქტმა, რომ დაავადებათა ბაბილონური სახელწოდებანი ემთხვევა დემონების სახელებს. ეს ადვილი გასაგებია, როცა იცი, თუ როგორ ხსნიდნენ მაშინ სხვადასხვა დაავადებებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაავადებას დემონების მოქმედებას აწერდნენ, ბაბილონელი ეჭიმები ხშირ შემთხვევაში გონივრულად ხსნიდნენ დაავადების გამომწვევ მისებებს.

სიყვითლე, რომლის დროსაც, როგორც ერთ-ერთი უძველესი ტექსტი ამბობს, „ადამიანის სხეული ყვითლდება, სახე უყვითლდება, შავდება და ენის ძირიც კი შავდება“, ორგანიზმში დემონი ახაზუს ჩასახლების შედეგად მიაჩნდათ. ამავე დროს, ამ დაავადებას უკავშირებდნენ ღვიძლის ფუნქციის მოშლას, რაც სრული ჭეშმარიტებაა.

საინტერესოა, რომ ავადმყოფობად ითვლებოდა ისეთი „სნეულებანი“, როგორიცაა „ნალღელი“, „დაღვრემილი გამომეტყველება“, „ცუდი განწყობილება“, ბაბილონელმა ეჭიმებმა სწორად შენიშნეს მრავალი ფსიქიკური და ნერვული მოშლილობის ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ თვით დაავადების არსის გაგებიდან ძალიან შორს იყვნენ. ისინი ერთმანეთში ურევდნენ დაავადებასა და მის გარეგან გამოვლინებას, ე. ი. იმას რაც ახლა სიმპტომებად იწოდება...

რომელ ჩვენთაგანს არ მოუსმენია ასეთი გამოთქმა: „ციებამ შეიპყრო“, „აციებს და აცხელებს“, „სნეულებამ ლოგინზე მიაჯაჭვა“, „ხელ-ფეხი შეუკრა“, „მწუხარება ღრღნის“ და სხვა ამდაგვარი. ახლა არავის არ ესმის ეს გამოთქმები პირდაპირი მნიშვნელობით: არავის ფიქრადაც არ მოუვა, რომ შეიძლება ციებამ „შეიპყროს“, სნეულებამ „შეკრას“, „მიაჯაჭვოს“. მაგრამ იყო დრო, როცა იგივე გამოთქმები სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდათ. სნეულება გასულიერებული იყო, მას ცოცხალი არსების თვისებებს მიაწერდნენ. ამას მოწმობს ნინევიის ბიბლიოთეკაში დაცული და ჩვენამდე მოღწეული მრავალი ასურულ-ბაბილონური კარაბადინი.

ამ კარაბადინებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დაავადებათა სხვადასხვა სიმპტომების დეტალურ აღწერას. ბაბილონელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დიაგნოსტიკას. მიჩნეული იყო, რომ ავადმყოფობა „არ დაცხრება შეხვევის შემდეგ, და ვერ აღმოიფხვრება როგორც სიკვდილის ნესტარი“, თუ „ექიმი ვერ ჩაწვდება მის არსს“.

აი, ამ კარაბადინებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნაწყვეტი:

„თუ ადამიანი გრძნობს ყრუ ტკივილს მკერდში, მუცლის ზემო ნაწილსა და ფერდებში, ეს ფილტვების დაავადებაა“.

ჩვენი ექიმები, რომლებიც მედიცინის ისტორიას სწავლობენ, კარაბადინებში ჩამოთვლილი სიმპტომების მიხედვით შეეცადნენ გამოეკვიათ, რით იყვნენ დაავადებულნი. შუამდინარეთის ძველი მცხოვრებლები ამის დადგენა ყოველთვის როდი ხერხდებოდა. სიმპტომების მშრალი ჩამოთვლა გამომწვევი მიზეზების გარკვევის გარეშე არ იძლევა დაავადების სრულ სურათს. მაგრამ ძველბაბილონელ ექიმებს, ალბათ, სავსებით აკმაყოფილებდათ სიმპტომების ჩამოთვლა. ავადმყოფის საწოლთან ეს სიმპტომები შეუცვლელი დამხმარე სახელმძღვანელო იყო დიაგნოზის დადგენაში.

კარაბადინებში დაავადებათა ჩამოთვლას მოსდევს, როგორც წესი, თავისებური რეცეპტები. მოვიყვანო ერთ მათგანს: „მის გამოსაჯანმრთელებლად შენ უნდა აიღო 1/2 სილა ფინიკის წვენი, 1/2 სილა კასუს ბალახის წვენი და ზეთი, წყლიანი ღვინო, 3 სიკლი გაწმენდილი ზეთი, 2 სიკლი თაფლი. დანაყე 10 სიკლი მცენარე ამი, ჩაყარე შიგ და დაალევინეთ მას უზმოზე განთიადისას თხის თანავარსკვლავედის ამოსვლის წინ... და იგი გამოჯანმრთელდება“.

რეცეპტებში არა მარტო ჩამოთვლილია სამკურნალო საშუალებები, არამედ მოცემულია მათი დამზადების წესების ისეთი დეტალური აღწერა, რომ ახლა იგი მხოლოდ ღიმილს იწვევს.

ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაგალითად, ისეთი მითითება, რომ ესა და ეს ბალახი, მაინცადამაინც მზის ამოსვლამდე უნდა მოწყვიტო. მედიკამენტები უნდა დაქუცმაცდეს, გაიხეხოს, დაინაყოს.



დემონი ლაბართუ, ბრინჯაოს ფირფიტის წინა მხარე.

ჯაიხსნას რძეში, ღვინოში და ლუღში და მიიღოს უზმოზე. ამასთან, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო სათანადო შელოცვა, რაც ავადმყოფს წამლის მიღებისას უნდა წარმოეთქვა.

იხმარებოდა სხვა სახის სამედიცინო ცნობარებიც, სადაც არ იყო ჩამოთვლილი დაავადების სიმპტომები და წამლის მიღების წესები. მხოლოდ დაავადებათა ჩამოთვლა და მედიკამენტები იყო მოცემული. ნაპოვნია აგრეთვე ძალიან მოკლე ცხრილები, სადაც ჩამოთვლილია დაავადებანი, წამლები და მათი მიღების წესები. მათი ღირსება ისაა, რომ ჩამოთვლილია თითქმის ყველა იმდროისათვის ცნობილი დაავადება. აი, როგორი იყო ასეთი სახის ცნობარი:

ძირტბილას ფესვი	ხელების საწინააღმდეგო საშუალება	დანაყეთ და სვით ზეთთან და ლუღთან ერთად
მზეყვავილას ფესვი	ცხილის ტკივილის საწინააღმდეგო საშუალება	დიადეთ კბილზე

ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში სამედიცინო წიგნებთან ერთად შემორჩა ექიმების მრავალრიცხოვანი წერილები და მოხსენებები სამეფო გვარის წევრთა და კარისკაცთა ჯანმრთელობაზე. მათგან ჩვენ ვიგებთ, მაგალითად, რომ ასურბანიფალის მამა ყოვლისშემძლე სინაქერიბი ქრონიკული რევმატიზმებით ყოფილა დაავადებული. აი, როგორაა აღწერილი ავადმყოფის მდგომარეობა: „ხელებსა და ფეხებში ძალა წაერთვა, თვალებს ვერ ახელს, იგი ქანცაგაწყვეტილი და მისუსტებულია, რადგანაც ციებამ გამოფიტა და ტყავი დარჩა“.

ერთ-ერთ წერილში მეფე ტუქსავს თავის ლეიბ-მედიკს არადნანს იმისათვის, რომ უკანასკნელის მიერ დანიშნულმა წამლებმა და პროცედურებმა არ შეუშუსუბუქეს მდგომარეობა მეფეს.

საბასუხო წერილში მკურნალი თავს იმართლებს და ამტკიცებს, რომ დიაგნოზი დასმულია სწორად და წამალი უსათუოდ იმოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, იგი ახალ წამალსაც უნიშნავს, — ვინ იცის, იქნებ, ამ წამალმა უკეთ იმოქმედოს.

შემონახულია აგრეთვე მიწერ-მოწერა კარის მომღერლების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მათ შორისაა ყველაზე უფრო



დემონი ლაბართუ. იმავე ფირფიტის უკანა მხარე.

სახელმოხვეჭილების ჯანმრთელობის ცნობები. ექიმები დღეში ორჯერ — დილით და საღამოს — ადგენდნენ ბიულეტენს, რომელიც იმ საათშივე ეგზავნებოდა მეფეს.

მაგრამ ყველაზე საოცარია ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში ნაპოვნი სამედიცინო ფირფიტების სერია, რომლებიც ერთად აღებული ქმნის მსოფლიოში უძველეს სამედიცინო ენციკლოპედიას. ამ „წიგნებში“ დაავადებათა აღწერა დაჯგუფებულია ადამიანის სხეულის ნაწილების მიხედვით.

თხზულებაში, რომლის სათაურია „როცა სიცხე აქვს ადამიანს“, მოცემულია თავის ყველა ნაწილის დაავადებათა, მათ შორის ინფექციურ დაავადებათა, დეტალური აღწერა, აქვეა აგრეთვე განყოფილება, რომელიც ეძღვნება „გონების დაბნელებას“, „გამელოტებას“, საფეთქლების, ყურებისა და თვალების დაავადებას.

ფირფიტების სერიაში, რომელიც იწყება სიტყვებით „როცა უჭირს მის ბაგეებს“, აღწერილია სასუნთქი ორგანოების ყველა დაავადება. დაწყებული უბრალო გაციებიდან დამთავრებული ქლეჩით.

მესამე სერიაში გარჩეულია ღვიძლისა და გულის დაავადებანი, მეოთხეში განხილულია რევმატიზმი, ნეკრესის ქარები და ზოგიერთი სხვა დაავადება.

წ ა მ ლ ე ბ ი

დაავადებათა უმეტესი ნაწილი, ბაბილონელი ექიმების აზრით, სავსებით იკურნებოდა. ძველი შუამდინარეთის სამკურნალო საშუალებათა არსენალში ვპოულობთ დიდი რაოდენობის ყოველგვარ ბალახეულს, მინერალებსა და სხვა პროდუქტებს. მათგან სხვადასხვა წამლებს ამზადებდნენ.

პირველ პლანზე იდგა მცენარეულობა. შემთხვევითი როდია, რომ „მედიცინა“ და „მწვანელი“ ბაბილონურად ერთნაირად — შამშუდ — იწოდებოდა. შორეულ წარსულში მკურნალობა სამკურნალო ბალახების მიღებას ნიშნავდა.

ამჟამად ცნობილია მრავალი ასეული ბაბილონური წამალი, რო-

მლებიც დამზადებულია ბალახებისაგან. ის გარემოება, რომ სამკურნალო მიზნებისათვის იყენებდნენ სულ სხვადასხვა მცენარეებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც მეტად იშვიათი იყო, მოწმობს, რომ ჯერ კიდევ იმ შორეულ წარსულში ადამიანებს კარგად ჰქონდათ შესწავლილი მცენარეული სამყარო. ცხადია, სამკურნალოდ მხოლოდ იმ ნივთიერებათა გამოყენება შეიძლება, რომელთა თვისებებიც კარგადაა ცნობილი.

სხვადასხვა შემთხვევაში იყენებდნენ თესლსა და ნაყოფს, ფესვებსა და ყვავილებს, ფოთლებს, ღეროს, წვენს, ფისს, მწვანე ყლორტებს, ტოტებს, გირჩებს, ქერქს, გულს. მრავალი მცენარე მოჰქონდათ ასეული კილომეტრით დაშორებული ადგილებიდან, არა მარტო მეზობელი, არამედ შორეული ქვეყნებიდან. ზოგს აშენებდნენ საგანგებო სანერგეებში, რადგან ველური სახით ნაკლებად იყო გავრცელებული. სამკურნალო მიზნებისათვის ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე ჩვეულებრივ ნაყოფს, მარცვლულსა და ბოსტნეულს.

შეიძლება წამოიჭრას კითხვა: რა სამკურნალო თვისებები აქვს მსხალს, ვაშლს, ასლს, სტაფილოს, ბოლოკს, ხახვს, ნიორს, რომლებიც აღნიშნულია ბაბილონურ ფარმაცოლოგიაში?

ნუ იჩქარებთ უარყოფითი პასუხი გასცეთ.

ჩვენთვის ახლა კარგადაა ცნობილი მრავალი მცენარის ვიტამინოზური თვისებები, ძველად, ცხადია, ეს არ ესმოდათ, მაგრამ მრავალსაუკუნეობრივი გამოცდილების შედეგად კარგად იცოდნენ, რომ ისინი სასარგებლოა ორგანიზმისათვის და ფართოდ იყენებდნენ. ზოგიერთი ხილი და ბოსტნეული ძალიან კარგია დიეტური კვებისათვის. სხვები საჭიროა სხვადასხვა სამკურნალო წვენის, ნაყენის, ნახარშის, ვაჟონის, ესენციის, ცხელი საფენების მიხედვით.

გარდა ამისა, მცენარეულისაგან ამზადებდნენ ალაოს, ცომს, ბადაგს, ზეთს, კისელსა და სასმელებს. იყენებდნენ აგრეთვე ღვინის ლექს, ნაყენს და ლუდის საფუარს.

ამრიგად, ექვს გარეშეა, რომ ძველი ხალხების ფარმაცოლოგია რაციონალურ საფუძვლებს ეყრდნობოდა.

ბაბილონელთა ზოგიერთი მედიკამენტის ამოკითხვა ადვილად

ხერხდება. მაგრამ გაცილებით ძნელია გავიგოთ, თუ რაზეა სახელდობრ ლაპარაკი. სრულიად ნათელია, რომ ბევრი ტერმინი ითარგმნება ასე: „თევზის ბალახი“, „მზიური მცენარე“, „მელიის ღვინო“, „მწარე მარცვალი“, „მინდვრის ღერო“, „მინდვრის ბალახი“, „ენა“, „ზღვის კბილი“, „ტკბილი ბალახი“, „მწარე ბალახი“, „მიწისყურა“, „უკვდავების ბალახი“. მაგრამ რომელია ეს მცენარეები და ბალახები, — შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ.

შედარებით მოკლეა მეცხოველეობის პროდუქტებისაგან და აგრეთვე თევზეულისა და მწერებისაგან დამზადებული მედიკამენტების სია, მაგრამ ისიც შეიცავს ათობით სახელწოდებას. წამლის დასამზადებლად იყენებდნენ სისხლს, რძეს, ნაღებს, ხორცს, ცხიმს, და პირუტყვის ძვლებს, ფრინველის კვერცხს, ფუტკრის თაფლს, თევზის ქონს და სხვა მრავალს. მაგრამ, ამავე დროს, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა მაგიური მედიცინის გავლენა.

ერთ-ერთ რეცეპტში გამოწერილია „თეთრი ძროხის რძე“, მეორეში — „თეთრი თხის“, მესამეში — „თეთრი ფაშატი ვირის“.

ბევრი რეცეპტი სუფთა მაგიური ხასიათისაა. ასე მაგალითად, სამკურნალო მიზნებისათვის რეკომენდებულია „თაგვის ენა“, „ძალის ბალახი“, „აფთრის ბალახი“, „შვლის რქა“, „ყვითელი ხარის ყური“, „ნიამორის ტყავი“, „შავი გველის ქონი“, „ქათმის თვალი“, „ძერას ფრთა“, „კუს ბაკანი“.

ასევე უცნაურადაა გადახლართული რაციონალური ელემენტები მაგისთან ბაბილონური ფარმაცოლოგიის იმ განყოფილებაში, რომელიც ეთმობა მინერალურ მედიკამენტებსა და წამლებს. წამლებისათვის იყენებდნენ ძვირფას ლილაქვას, თაბაშირს, კირს, გოგირდს, შაბს, რომლებიც უმეტესად ეგვიპტიდან შემოპქონდათ, სპილენძს, ყოველგვარ მარილებს. ამავე დროს, ბაბილონელებს სწამდათ მიტოვებულ სახლში შეგროვილი მტკრისა, საფლავიდან აღებული ფერფლის, გატეხილი ქოთნის ნამტკრევეებისა და მდინარის ქაფის სამკურნალო თვისებები...

დეტალურად იყო დამუშავებული წამლების დამზადების მეთოდები. ერთ შემთხვევაში საჭირო იყო მცენარის, ან მისგან მიღებული ნივთიერების გახშიობა, დაქუცმაცება ან დანაყვა. სხვა შემთხვევაში საჭირო იყო მისი დაფქვა და შემდეგ სხვა წამალში აზელა. ნესტის შემცველი მცენარისათვის უნდა გაეძროთ ქერქი და

გამოეწურათ წვენი. ზოგიერთი სითხე უნდა გაეწურათ და გაეფილტრათ. მომწამვლელი და ძლიერმოქმედი ნაწურის დოზირება ხდებოდა წვეთებით, მაგარი და ფხვიერი ნივთიერებებისა — „მარცვლებით“, სიკლითა და მინით, სითხისა — „სილით“. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დოზირება საერთოდ არ იყო ნაჩვენები, — ეს მინდობილი იყო აფთიაქარის გამოცდილებასა და ფანტაზიაზე.

შეხვევა, დაწვლა, ბანვარჯიში

ძველი მედიკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შეხვევას. მათ ღრმად სწამდათ მისი სამკურნალო თვისებები და სიამოვნებით ადებდნენ სახვევს წამალთან ერთად ადამიანის ყველა ნაწილს.

ძველი ექიმების აზრით, სახვევის მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი აძლიერებდა კონტაქტს დაავადებულ ადგილსა და წამალს შორის.

წამალს არა მარტო ადებდნენ დაავადებულ ადგილზე, ან ასმევდნენ ავადმყოფს, არამედ იყენებდნენ არცთუ მთლად ჩვეულებრივი წესით. ავადმყოფს უკმევდნენ მედიკამენტებს, აიძულებდნენ ჩაესუნთქა სამკურნალო ბოლით ან სამკურნალო ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი. ზოგიერთი წამალი ნავარაუდევად იყო მხოლოდ სასუნებლად. ზოგს საგანგებო სპილენძის მილით უბერავდნენ ცხვირში, პირში, თვალსა და ყურში.

ბაბილონელ ექიმებს კარგად ესმოდათ დაზღვევის სამკურნალო მოქმედება. ძველებურ სამედიცინო წიგნებში ხშირად გვხვდება დარიგება „დაიზილეთ ფეხები ზემოდან ქვემოთ“, „დაიზილეთ სხეული ზემოდან ქვემოთ“, „წამალი შეაზილეთ ზემოდან ქვემოთ“. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა ტანის დაზღვევას ნელსაცხებლით.

ბაბილონელთათვის უცხო როდი იყო სამკურნალო ტანვარჯიში, უფრო სწორად — მისი ჩანასახები. ასე მაგალითად, გვხვდება ექიმის შემდეგი დარიგება: ჩატუცქდით, დადექით მუხლებზე, დახარეთ თავი და გაასწორეთ ფეხები.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ასურელები და ბაბილონე-

ბი იცნობდნენ გაპრიალებული ლინზების თვისებებს — გაადიდოს და შეამციროს, მოაახლოოს და დააშოროს ის საგნები, რომლებსაც ადამიანის თვალი ხედავს. ფიქრობენ, რომ ძველი დროის ექიმები იყენებდნენ ამას; ამზადებდნენ ლინზებს დიდი თანამდებობის პაციენტებისათვის, რომლებიც ახლომხედველნი ან შორსმხედველნი იყვნენ. ამას გვაფიქრებინებს ქალაქ ქალხუს სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილი საინტერესო ნაპოვარი. აქ იპოვნეს მთის ბროლისაგან დამზადებული ამოზნექილი ლინზა, რომელიც საუცხოო გამადიდებელი მინა აღმოჩნდა.

ღეონების გამოღვნა

წამლებთან და სამკურნალო პროცედურებთან ერთად გულმოდგინედ იყენებდნენ ყოველგვარ ავგაროზებს, ჯადოს, შელოცვებს, მაგიურ ფორმულებსა და სიმბოლიურ მოქმედებებს. ქურუმ-ექიმბაშები ძერწავდნენ თიხის, ფისის, ცვილისა და ცომისგან ავღემონებს, ან ამზადებდნენ მათ ხისაგან და წვავდნენ, ამავე დროს მაგიურ ცერემონიალს ასრულებდნენ. მიაჩნდათ, რომ ამით ავადმყოფი თავისუფლდებოდა მის ორგანიზმში ჩასახლებული უწმინდური ძალებისაგან.

განსაკუთრებული გულმოდგინებით აგროვებდა ასურბანიფალი თავისი ბიბლიოთეკისათვის ყოველგვარ შელოცვებს, რომლებსაც გამოსახულების დაწვის დროს წარმოთქვამდნენ. ასეთი ტექსტები ასობით გვხვდება, ისინი თიხის წიგნების მთელ სერიას, ქმნიან.


აი, ასეთი შელოცვის ნიმუშები: „სენო შიგნეულისა, სენო გულისა, ჭვალო, ავადობავ, სენო ნალვლისა, ტკივილო თავისა; ავო კეთრო, ქეცო, ანთებავ თირკმლებისა, ტკივილო მუცლისა, ბოროტებავ, ტკივილო, ავო სიზმარო! იყავთ წყეულნი სახელითა ცისა! იყავთ წყეული სახელითა მიწისა!“.

„ჰლექი ბოროტი, ჰლექი ცბიერი, ჰლექი მწამებელი ადამიანისა, ჰლექი არ დამნებებელი თავისა, ჰლექი გაუქრობელი, ჰლექი მზაკვარი! ზეციურო სულო, შეაჩვენე! მიწიერო სულო, შეაჩვენე!“.

ზოგიერთი შელოცვა თავისი ფორმით ლიტერატურული ნაწარ-
მოების დონემდე აღის. აი, მაგალითად, პატარა ნაწყვეტი ავი სუ-
ლების განდევნის შელოცვიდან:

„ჩამომეხსენით, ჩამომეხსენით!
შორს ჩემგან, შორეთს გადიკარგენით!
ზურგი მაქციეთ, გამეცალეთ, დაიღუპენით!
და თქვენთან გაჰქრეს თქვენი ღვარძლი; ვით ბოლი ცაში.
ჩემი სხეულიდან გამოდით!
ჩემს სხეულს გასცილდით!
ჩემი ტანიდან შერცხვენილი გაიპარენით!
ჩემი ტანიდან გაიქეცით!
ჩემს ტანში უკან აღარ დაბრუნდეთ!
ჩემს სხეულს აღარ მიუახლოვდეთ!
ჩემს სხეულს ახლო არ მიეკაროთ!
ჩემი სხეული არ გააწამოთ!“

ასურულ-ბაბილონური მედიცინიდან შთამომავლობამ მიიღო არა-
პარტო ის სასარგებლო, რასაც იგი შეიცავდა და რაც მიღწე-
ული იყო ათობით თაობათა გამოცდილებით,
არამედ აგრეთვე ძველი დროის ადამიანთა
ცრურწმენები და შეცდომები. აი; თვალსა-
ჩინო მაგალითი:



დემონი პაზუზუ.

შუა საუკუნეების მისან-მკურნალები თა-
ვიანთ შელოცვებში ძალიან ხშირად იყენებ-
დნენ სიტყვებს „ხილკა, ბეშა“. ეს სიტყვები
უაზრო აბდა-უბდა ეგონათ. მაგრამ როდე-
საც ლურსმული დამწერლობის წაკითხვა
ისწავლეს, ასურულ-ბაბილონურ შელოც-
ვებში აღმოჩნდა იგივე „ხილკა, ბეშა“, რა-
საც აქ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა:
„დაიღუპენით, შერცხვით!“ ძველი ბაბილო-
ნელი ექიმ-შემლოცველები ამ სიტყვებით
მიმართავდნენ ავ სულებს, როდესაც მათ
ავადმყოფის სხეულიდან ერეკებოდნენ.

გავიდა საუკუნეები. დიდი ხანია აღიგაჲა პირისაგან მიწისა ასურეთი და ბაბილონეთი. მათი ენა სრულ დაეიწყებას მიეცა. მაგრან მაგიური სიტყვები „ხელკა, ბეშა“, რომელთა მნიშვნელობაც უკვე ჳრავინ იცოდა (თვით იმ მკურნალებმაც კი, რომლებიც ამ სიტყვებს იყენებდნენ) შერჩნენ ევროპაში გვიან შუასაუკუნეებამდე.

მაგრამ ამ სახის ლიტერატურა როდი ჳანსაზღვრავს ასურულ-ბაბილონური მედიცინის მნიშვნელობას ჩვენთვის. ისე როგორც ყველა სახალხო მედიცინამ, მან თავის თავში გააერთიანა გამოცდილება მრავალი თაობისა, რომლებიც ებრძოდნენ -- თავიანთი ძალების ფარგლებში -- სხვადასხვა დაავადებებს ადამიანის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. და იმ ჳემმარტივი ცოდნის მარცვლების გარეშე, რაც ქველი ღროის მედიკებმა მოიპოვეს, შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების აყვავება.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

მონათმფლობელთა კანონები

კანონის გარეშე

„ქალაქ ეშნუნის მონები და მონა ქალები, რომელთაც ადევთ სახვევი, ხუნდი და დალი, აღარ უნდა გასცილდნენ ეშნუნის კარიბჭეს მათი პატრონის გარეშე.

მონას და მონაქალს, რომლებიც მოვიდნენ ეშნუნის შიკრიკის თანხლებით, უნდა დაადონ სახვევი, ხუნდი და დალი: ისინი დაცულ უნდა იქნენ მათი პატრონისათვის.“

ესაა 51 და 52 მუხლები მეფე ბილალამის სამართლის წიგნიდან. იგი განაგებდა ქალაქ ეშნუნას ძვ. წ. XX საუკუნის დასაწყისში. სამართლის წიგნი აღმოჩნდა რამდენიმე წლის წინათ ერაყში გათხრების დროს.

მოყვანილი მუხლები ეპეგრამეტყველურად ასასიძებებს მათ შემდგენელს. მეფე და მისი კანონები ურყევად დგანან მონათმფლობელთა ინტერესების საღარაჯოზე. მონა არაა ალაჰიანი. იგი ნივთია, მუშა-პირუტყვია. მეპატრონეს შეუძლია იყიდოს იგი, გაყიდოს, დადალოს და ა. შ. კანონი ყოველთვის მონათმფლობელთა მსარეზება.

მონათმფლობელური წყობილების დროს, როგორც ცნობილია, წარმოებითი ურთიერთობათა საფუძველია მონათმფლობელის საკუთრება წარმოების საშუალებებზე. აგრეთვე წარმოების მუშაკზე — მონაზე, რომელიც მონათმფლობელს შეუძლია გაყიდოს, იყიდოს, მოკლას, როგორც პირუტყვი.

ბილალამის სამართლის წიგნი რაიმე გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ზუსტად ასეთივეა მეფე ლიფით-იშთარის მიერ შედგენილი კანონები. ლიფით-იშთარი განაგებდა ქალაქ ისინს ბილალამის

მეფობიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ. არსებითად არაფრით არ განსხვავდება მათგან ბაბილონის მეფის ხამურაბის ცნობილი კოდექსი, რომელიც უკვე ვახსენეთ წინა თავებში. აი, რამდენიმე ნაწყვეტი ამ კოდექსიდან.

— „უკეთუ ვინმე გაიყვანს ალაყავს გარეთ სასახლის მონას ან სასახლის მონა ქალს, ან მონას, რომელიც ეკუთვნის მუშქენუს; იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

უკეთუ ვინმე საკუთარ სახლში დამალავს მონას ან მონა ქალს, რომელიც ეკუთვნის სამეფო კარს ან მუშქენუს, და არ გამოიყვანს გზირის დაძახებისთანავე, — სახლის პატრონი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

უკეთუ ვინმე შეიპყრობს ველად გაქცეულ მონას ან მონა ქალს და მოუყვანს თავის ბატონს, მონის ბატონმა მას უნდა გადაუხადოს ორი სიკლი ვერცხლი“.

ხამურაბს თავისი თავი დიდად სამართლიან, ჰუმანურ და კაცთმოყვარე მეფედ მიაჩნდა. მაგრამ თუ საქმე ეხება გაქცეულ მონას ან მისი გაქცევის ხელისშემწყობს, — ხამურაბი დაუნდობელია. ეს ხომ თვით სოციალური წყობის საფუძვლების ხელყოფაა, რითაც სულდგმულობს ბაბილონის მონათმფლობელური საზოგადოებრიობა. რა შეიძლება იყოს ამაზე საშინელი „დანაშაული“! და აქ ხამურაბიმ იცის მხოლოდ ერთი სასჯელი: სიკვდილი!

აღამიანის ფასი

ცოცხალი გირაოს სახით მეევანშის მონობაში ჩაეარდნილი მოქალაქე ცოტა უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე სამხედრო ტყვე-მონა. მაგრამ გადატაკებულ თანამემამულეთა მიმართაც ასურელი სამართლის წიგნი საკმაოდ მკაცრია. თუ ასურელი სავალო კაბალაში მოხვდა და იმყოფება კრედიტორის სახლში როგორც ცოცხალი გირაო, „კეთილისმყოფელ“. მეევანშეს უფლება აქვს „სცემოს იგი, ათრიოს თმებით, სცემოს ყურის ძირში და გაუხვრიტოს ყური“.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ცოცხალი გირაო“ გულხელდაკრე-

ფილი იჭდა კრედიტორის სახლში და ელოდებოდა, როდის დაფარავდა ვინმე ნათესავი მის ვალებს. „ცოცხალი გირაოს“ აზრი ის იყო, რომ უნდა ემუშავნა მევახშისათვის. ემუშავნა დილიდან საღამომდე, ყოველგვარი იმედის გარეშე, რომ ოდესმე დაფარავს თავის ვალს და კვლავ თავისუფალ ადამიანად იქცევა. სავალო მონობის მთელი ტრაგედია ის იყო, რომ რაც არ უნდა ბევრი ემუშავა მევალეს, იგი მხოლოდ პროცენტებს გამოიმუშავებდა და ვალის თანხა ამით ოდნავადაც არ მცირდებოდა.

საკითხავია რა თანხას სესხულობდა ღარიბი კაცი, რომ არაფრით არ შეეძლო თავი დაეღწია მისგან?

ამ კითხვაზე თიხის წიგნები ასე პასუხობენ:

თანხას, რაც არ აღემატებოდა „ცოცხალი გირაოს“—ადამიანის ფასს.

რამდენი ღირდა ადამიანი? არცთუ ძალიან ძვირი.

ძველ ასურულ ეპოქაში სახედარში იხდიდნენ 17 სიკლს, ხოლო მონა ქალში — სამჯერ ნაკლებს, სულ რაღაც 6 სიკლს (დაახლოებით 50 გრამი ვერცხლი). მონა და მონა ქალი ერთად 18 სიკლი ღირდა. სულ მუქთად იყიდებოდნენ ბავშვები.

ადამიანის ფასი დამოკიდებული იყო სქესზე, ასაკზე, ჯანმრთელობასა და პროფესიაზე.

ყოველი წარმატებით დამთავრებული სამხედრო ლაშქრობის შემდეგ, როცა მონებს ათასობით მოერეკებოდნენ, „ცოცხალი საქონლის“ ფასი ძალიან ეცემოდა.

მაგრამ რომელი მევახშე გაასესხებდა იმაზე მეტს, რაც თვით გირაო ღირს? პირიქით, იგი ყოველთვის ნაკლებს იძლევა. და ერთი წლის პროცენტს, როგორც წესი, წინასწარ იღებს.

ვთქვათ, გადატაკებულმა ასურელმა სესხად 10 სიკლი ითხოვა. მევახშე, დარწმუნებული იმაში, რომ სესხის მომთხოვნს სულის გარდა არა აბადლია რა, უსინჯავს კუნთებს, ჩახედავს პირში, ისე როგორც ცხენის ყიდვის დროს იცინ. და საზღვრავს ამ ადამიანის საბაზრო ღირებულებას.

ღიახ, იგი ღირს ამ ფულად. ვალი მასთან არ დაიკარგება.

მაგრამ მოწმეთა თანდასწრებით 10 სიკლის მიღების ხელწე-

რილს რომ აძლევს, ღარიბი მხოლოდ 8 სიკლს იღებს. ვერცხლისათვის ახდევინებენ წლიურად 20 პროცენტს. თუ მას დასჭირდა ხორბალი, იგი მიიღებს მხოლოდ 6 სიკლს და 120 შეუმის ღირებულებისას, ხოლო ხელწერილს მაინც 10 სიკლზე მისცენს. ხორბალში ახდევინებდნენ წლიურად $33\frac{1}{3}$ პროცენტს. და მას ბედნიერად უნდა ჩაერაცხა თავი, თუ დროულად დაუბრუნებდა ვალს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სიცოცხლე მძიმე მონობა ელოდა.

მონების, ლატაკების და უქონელთა-დაუფარავი ძარცვა ბაბილონელებმა და ასურელებმა კანონების მკაცრი პარაგრაფებით გამოხატეს და სახელმწიფომ წმიდათაწმიდად აღიარა. კანონების, უფლებების კლასობრივი ხასიათი შუამდინარეთში უკიდურესი სიცხადით ჩანს მათი კოდექსების, სამართლის წიგნების და სხვა იურადიული დოკუმენტების ყოველ სიტყვაში.

ბილაღამის სამართლის წიგნი

უფრო დეტალურად შევჩერდებით მეფე ბილაღამის სამართლის წიგნზე — მეცნიერებისათვის ცნობილ კანონთა კრებულებს შორის უძველესზე — რომელიც აღმოაჩინეს შედარებით არცთუ ისე დიდი ხნის წინ ქალაქ ეზნუნის გათხრების დროს.

რაგინდ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ბილაღამის კანონები იწყება ყველაზე უფრო დიდი მოთხოვნალების საგნებს — ხორბლის, ზეთის, ღორის ქონის, მარხლის, მატყლის ფასებით.

რატომ დასჭირდა ბილაღამს თავისი სამართლის წიგნი პრინციპურად დაეწყო?

შესაძლოა, რომ სამართლის წიგნში აღნიშნულია პროდუქტების მაქსიმალური ღირებულება, რომლის ზემოთაც აკრძალული იყო გაყიდვა. ვაჭრები ისე უწევდნენ პირველი მოთხოვნალების საგნებზე ფასებს, რომ ბილაღამა იძულებული გახდა შეეზღუდა მათი გაუმადლობა.

ეს იმიტომ კი არ გაუკეთებია, რომ სამართლიანობას ეზეიმა, არც გალატაკებულ მოსახლეობის სიბრაღელის გამო მოსვლია.

ბილალამა ასე მოიქცა იმიტომ, რომ თავის მხარეზე გადაეყვანა წვრილი მესაკუთრენი და ამით განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება და საგარეო პოლიტიკური პოზიციები.

ბობოქარი და შფოთიანი დრო იყო. ერთიმეორესთან სისტემატურად მებრძოლ მრავალ წვრილ სახელმწიფოებად დაქუცმაცებული შუამდინარეთისათვის დაცემის პერიოდი დაიწყო.

მდიდრების კაბალაში მოხვედრილი გლეხობისა და ხელოსნების გალატაკების პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა და ბილალამა მიხვდა, რომ თუ არ შეზღუდვდა მეფავშეთა წრეგადასულ სიზარბეს; მალე ყველაფერს დაკარგავდა. არ შეიძლებოდა წარმატების იმედი ჰქონოდა საგარეო პოლიტიკის სარბიელზე, თუ არ დაამყარებდა „წესრიგს“ საკუთარ ქვეყანაში.

კრებულის დანარჩენი მუხლებიდანაც ჩანს, რომ ცდილობდნენ „მოეწესრიგებინათ“ თავისუფალი მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენების ექსპლუატაცია (მონები. ცხადია, არაა მხედველობაში მიღებული, სამართლის წიგნი მათ განიხილავს როგორც ნივთს). აი, მაგალითად, მუხლი 37. იქ ნათქვამია: „უკეთუ ვინმე დასუსტდა (იგულისხმება ეკონომიური დასუსტება, გაღარიბება) და გაჰყიდა საკუთარი სახლი ვერცხლში, როცა მყიდველი დააპირებს ამ სახლის გადაყიდვას, ძველ პატრონს შეუძლია გამოისყიდოს იგი“.

ლაპარაკია გამოსყიდვის უპირატეს უფლებაზე. რაც მიზნად ისახავს იმას, რომ თავისუფალმა ადამიანმა არ დაჰკარგოს თავისი საკუთრება. თუნდაც ეს საკუთრება მცირე და მეტად უმნიშვნელო იყოს. რადგან იგი მალლა აყენებს მესაკუთრეს მონებსა და მოჯამაგირეებზე და მას მონათმფლობელური წყობილების საიმედო დასაყრდენად აქცევს.

სხვა პარაგრაფები აწესრიგებს ურთიერთობას დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშებს შორის. დადგენილია მეხრის, მენავის, მომკელის და მხვნელ-მთესველის შრომის ანაზღაურების ოდენობა.

დამახასიათებელი დეტალია: მუშა. რომელიც შეუთანხმდა ბატონს. ვერ წავა მისგან, ვიდრე ყველა სამუშაოს არ შეასრულებს. კანონი ითვალისწინებდა, რომ მომკელი, რომელიც მიატოვებს ბატონს მკის დროს, იხდის ჯარიმას 10 სიკლს, მაშინ, როცა მთელი

სეზონის განმავლობაში იგი მხოლოდ ერთ სიკლს იღებდა. ჭარიმა, რომელიც ათჯერ მეტი იყო ერთი თვის პირობით გასამრჯელოზე, მტკიცედ აჯაჭვავდა მუშას სამუშაოს მიმცემთან.

„დაქირავებული ვირის საზღაური — 1 სუთი (დაახლოებით 8 ლიტრი) ხორბალი, მისი გამყოლის ქირა — 1 სუთი ხორბალი. სალამოთი მან იგი უნდა მოდენოს“.

ასე აწესებს სამართლის წიგნის მეათე მუხლი. როგორც ვხედავთ, კანონი არ ანსხვავებს ვირსა და ადამიანს...

კერძო საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. მისი ხელყოფა ისჯება უზარმაზარი ჭარიმით ან სიკვდილითაც კი. კერძო საკუთრების დაცვას ეძღვნება სამართლის წიგნის მთელი რიგი მუხლები. აი, მაგალითისათვის, მუხლი მე-40-ე:

„უკეთუ ვინმემ შეიძინა მიწა, მონა ქალი, ხარი ან ყოველგვარი სხვა საქონელი, რაც იყიდება, და არ შეუძლია დაასახელოს გამყიდველი, იგი ქურდია“.

მარჯვე მონას, რომელმაც ხელთ იგდო თავისი პატრონის ქონება, შეეძლო მუქთად მიეყიდა ნაპარავი ყველა მყიდველისათვის. კანონი ითვალისწინებს ასეთ შემთხვევას და აწესებს: მონა არაა უფლებამოსილი. მონასა და მონა ქალთან არავითარი შეთანხმების დადება არ შეიძლება. არ შეიძლება რაიმე იყიდო ან შესანახად მიიბარო მათგან. რამეთუ მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ რაიმე ქონება...“ თამქარმა (სავაჭრო აგენტმა) და მეფუნდუქემ არ უნდა მიიღონ მონისა ან მონა ქალისაგან ვერცხლი, მარცვალი, მატყლი და ზეთი“; — აფრთხილებს მე-15 მუხლი.

მთელი რვა მუხლი ეთმობა საოჯახო ურთიერთობებს, ამასთან კანონმდებელი გამოდის იქიდან, რომ საცოლე საქონელია, ხოლო ქორწინება სავაჭრო შეთანხმებაა საცოლესა და საქმროს შრომებს შორის. საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა ერთი რომელიმე მხარის მიერ იწვევს დიდი ჭარიმის გადახდას.

კანონი წმიდათაწმიდად აცხადებს მევახშის უფლებას გადაახდევინოს მიცემული სესხისათვის: ვერცხლზე 20 პროცენტი, ხოლო მარცვლეულზე $33\frac{1}{3}$ პროცენტი.

მე-18ა მუხლში ნათქვამია: „1 სიკლი ვერცხლისათვის მან უნდა დაუმატოს პროცენტის სახით $\frac{1}{6}$ სიკლი და 6 შეუმი ვერცხლი“;

ერთი გური მარცვლეულისათვის მან უნდა დაუმატოს პროცენტის სახით 1 მასიქთუმი (60 სილა) და 4 სატი (40 სილა) მარცვალი“.

უფრო მეტიც: მევახშეს უფლება ჰქონდა წაეღო პირველი გალეწილი ხორბალი. „იმას, ვინც იძლევა სესხს, შეუძლია აიძულოს მოვალე გადაიხადოს ვალი კალოზე“, — ნათქვამია მე-19 მუხლში.

მევახშეთა თვითნებობამ, როგორც ჩანს, ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, რაკი საჭირო გახდა კანონში შეეტანათ საგანგებო მუხლები, რომლებიც უკრძალავდა მევახშეს შეჭრილიყო სხვის სახლში და გირაოში ძალით წამოეყვანა ადამიანები. აი, ერთ-ერთი ასეთი მუხლი: „თუ მას არავითარი ვალი არა აქვს და მან წაიყვანა გირაოში მუშქენუს ცოლი, ან მუშქენუს შვილი დააკავა თავის სახლში და შემდეგ მოკლა, ეს სისხლის სამართლის საქმეა...“

„მოკლა“ — გულისხმობს აუტანელი შრომითა და ცემით სიკვდილამდე მიყვანას (მუშახელის მოკვლა სასარგებლო არ იყო). ეს ცხადად ჩანს ამ მუხლის შედარებით ხამურაბის კოდექსის ანალოგიურ მუხლებთან.

ზოგიერთი მონა ქალი, იმედდაკარგული, რომ ოდესმე მიიღებდა პირად თავისუფლებას, ოცნებობდა შვილები მაინც ენახა თავისუფალ ადამიანებად. ამ მიზნით ისინი ზოგჯერ ფარულად აძლევდნენ შვილებს უშვილო თავისუფალ მოქალაქეებს. ბილალამა ილაშქრებს კერძო საკუთრების უფლების მსგავსი დარღვევის წინააღმდეგ. მონათმფლობელი ერთადერთი პატრონია თავისი მონა ქალის შთამომავლობისა, ისევე როგორც იგია ერთადერთი პატრონი თავისი პირუტყვის ნამატისა. 33-ე მუხლში ჩაწერილია:

„უკეთუ მონა ქალმა მოატყუა თავისი ბატონი, და საკუთარი ვაჟი ან ქალი თავისუფალ ადამიანს გადასცა, ასეთ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა იგი გაიზრდება, ბატონს შეუძლია ამოიცნოს, დაიჭიროს და წაიყვანოს იგი“.

34-ე და 35-ე მუხლები შემდეგს გვამცნობენ:

„თუ სასახლის მონა ქალმა თავისი ვაჟი ან ქალი აღსაზრდელად მუშქენუს გადასცა, სასახლეს შეუძლია წაართვას გაცემული ვაჟი თუ ქალი. ხოლო მან, ვინც სასახლის მონა ქალის შვილი აღსაზრდელად წაიყვანა, უნდა აუნაზღაუროს სამეფო კარს მისი ღირებულება“.

ეს ასე უნდა გავიგოთ: თავისუფალმა კაცმა არა მარტო უნდა დააბრუნოს ბავშვი, რომელიც უკანონოდ აიყვანა აღსაზრდელად, არამედ უნდა გადიხადოს ჯარიმაც ამ ბავშვის ღირებულების ოდენობით. ცხადია, ამის შემდეგ აღარავინ ისურვებდა აეყვანა აღსაზრდელად მონა ქალის შვილი.


მეტად საყურადღებოა სამართლის წიგნის ის მუხლები, რომლებიც ეხება ეშნუნის მოქალაქეთა ყოფას, ზნე-ჩვეულებებსა და ყოველდღიურ ცხოვრებას. აი ზოგიერთი, ყველაზე უფრო დამახასიათებელი პარაგრაფები:

„უკეთუ ვინმემ ცხვირზე უკბინა მეორეს და მოაქამა ცხვირი — უნდა მიუზღოს ერთი მინა ვერცხლი; თვალის წილ — 1 მინა, კბილის წილ — 1/2 მინა, ყურის წილ — 1/2 მინა, სილის გარტყმისათვის უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

უკეთუ ვინმე მოსჭრის მეორეს თითს, უნდა მიუწონოს 1/3 მინა ვერცხლი.

უკეთუ ვინმემ უბიძგა მეორეს ჩხუბის დროს და ხელი მოსტეხა, უნდა მიუწონოს 1/2 მინა ვერცხლი.

თუ ფეხი მოსტეხა — უნდა მიუზღოს 1/2 მინა ვერცხლი“.



სამუშაოზე მიღიან. ფორანში პირუტყვის ნაცულად შებმულია აღამიანები. ასურული ბარელიეფის დეტალი.

როდესაც დაზიანების ამ თავისებურ პრეისკურანტს კითხულობ (აქ კი ყველა მუხლი როდია მოყვანილი), თავიდან არ გმორდება ფიქრი, რომ მსგავსი სასამართლო შემთხვევები ფართოდ იყო გავრცელებული ძველ შუამდინარეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში

კანონმდებელი ასე საგულდაგულოდ არ შეათვასებდა ასოთღაზი-
ანების ყველა შესაძლებელ შემთხვევას.

თავისი სამართლის წიგნის უკანასკნელ მუხლებს ბილალაშა უძ-
ღენის დაუდევარ მეპატრონეებს. „თუ ხარი მარქენალია, და მის
პატრონს აცნობეს ეს ნაკლი, მაგრამ მან არ დაახრევიან თავი ხარს,
(ე.ი. თუ თოკით არ მიაბა რქით ფეხზე ისე, რომ ხარს არ შეეძლოს
თავის აწევა), და ხარმა ურქინა და მოკლა ადამიანი, ხარის პატ-
რონმა უნდა მიუწონოს 2/3 მინა ვერცხლი. თუ ხარმა ურქინა და
მოკლა მონა, უნდა მიუწონოს 15 სიკლი ვერცხლი“.

კიდევ უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს კანონი დაუდე-
ვარი მეპატრონისათვის, თუ ძველი ნაგებობის დანგრევის შედეგად
დაიღუპა თავისუფალი ადამიანი.

ბილალამის სამართლის წიგნის ასეთი ზერელე გაცნობაც კი
გვიჩვენებს, რომ იგი მონათმფლობელური წყობილების წილშია
შექმნილი. შემთხვევითი არაა, რომ „გასაყიდ ნივთთა“ სიაში მუშა
საქონელთან ერთად იხსენიება მონა და მონა ქალი. არც ისაა
შემთხვევითი, რომ სამართლის წიგნის არც ერთ პარაგრაფში არაა
მოხსენებული მონა, როგორც მომჩივანი. ისინი შეიძლება იყვნენ
მხოლოდ დავის ობიექტი და არავითარ შემთხვევაში — დაინტე-
რესებული მხარეები. სამართლის წიგნის მიზანია მოაწესრიგოს
ურთიერთობა თავისუფალ მოქალაქეთა შორის და არა თავისუ-
ფალთა და მონათა შორის. მონები გათანაბრებული იყვნენ უსუ-
ლო საგნებთან და პირუტყვთან.

რაც შეეხება თავისუფალ მოქალაქეებს, კანონი რამდენადმე
ზღუდავს მევახშეებისა და მდიდრების თვითნებობას. იგი თითქო-
ეუბნება მათ: პარსეთ, რამდენიც გენებოთ, ხელმოკლე გლეხები
და ხელოსნები, მაგრამ ნუ გააძრობთ ტყავს, თორემ აღარავინ გე-
ყოლებათ გასაყრევი... და მაშინ შეიძლება მთელი სახელმწიფო
დაეშხოს.

რას მოგვითხრობენ „მოსაწყენი“ წიგნები

თიხის ფირფიტებს შორის ყველაზე უფრო მოსაწყენი შეიძლე-
ბა მოგვეჩვენოს საანგარიშო-საბუღალტრო წიგნები, აგრეთვე სხვა-

დასხვა საქმიანი დოკუმენტები — ნასყიდობის სიგელები, ხელ-
შეკრულებები არენდაზე, საქორწინო შეთანხმებანი, სესხის ხელ-
წერილები, გაცვლის შეთანხმებები, ანდერძები. •

რა თქმა უნდა, უფრო ადვილია გარკვევა სამეფო მატრიანებში,
სადაც თანმიმდევრულადაა მოთხრობილი რომელიმე საომარი
ლაშქრობა, ან მითიურ თქმულებაში, სადაც მოთხრობილია ლე-
გენდარული გმირების თავგადასავალი. მაგრამ საბჭოთა მეცნიერე-
ბის გამოცდილ მზერას სამეურნეო ანგარიშების მშრალი ციფრე-
ბის სვეტები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს მონათა გამოსაკვებად
საჭირო მარცვლეულის გასავალის ან მინდვრების დასამუშავებ-
ლად გახარჯული კაცდღეების შესახებ, იმაზე ნაკლებს როდი აუწყ-
ებენ, რასაც იძლევა ასურეთის მეფეების ბაქია ცნობები მათ ნამ-
დვილსა და მოჩვენებით გამარჯვებებზე. საბჭოთა მეცნიერებმა არ
დაინანეს შრომა, რათა დეტალურად გარკვეულიყვნენ ამ დოკუმენ-
ტებში.

ძალიან დიდმა, ბეჯითმა და განსაკუთრებით მძიმე შრომამ ნა-
ყოფი გამოიღო. „მოსაწყენ“ და ერთფეროვან ციფრებს იქით
საბჭოთა მეცნიერების თვალწინ გადაიშალა მჩქეფარე, ბრძოლითა
და ტანჯვით სავსე ცხოვრება. სამეურნეო ანგარიშების ციფრები და
დოკუმენტები დაეხმარნენ მათ გაეცოცხლებინათ ძველი შუამდინ-
არეთის ცხოვრება მთელი თავისი განუმეორებელი მრავალფე-
როვნებით. საბჭოთა მეცნიერებმა ცოცხალი კონკრეტული შინაარ-
სით აავსეს ისეთი აბსტრაქტული ცნებები, როგორცაა ძველდ-
მოსავლური მონობა, სავალო კაბალა, საოჯახო სამართალი, — და
ეს მათი დიდი დამსახურებაა ისტორიული მეცნიერების წინაშე.

სამეურნეო ანგარიშების დოკუმენტებს პირველად ყურადღება
მიაქცია მ. ვ. ნიკოლსკიმ, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას
მკითხველი წინა თავებში გაეცნო. დასავლეთევროპელ მეცნიერებს
ხელთ ჰქონდათ ათასობით ასეთივე დოკუმენტი, მაგრამ ისინი თით-
ქმის არ სწავლობდნენ მათ და იშვიათად აქვეყნებდნენ.

რამდენად დაუდევრად ეკიდებოდნენ ბურჟუაზიული ასირიო-
ლოგები სამეურნეო ანგარიშების დოკუმენტებს, შეიძლება განე-
საჯოთ შემდეგი ფაქტიდან.

XX საუკუნის დასაწყისში ქალაქ ლაგამის მახლობლად ადგი-

ლობრივმა მცხოვრებლებმა ძველისძველ ქალაქ უმაში აღმოაჩინეს სამეურნეო დოკუმენტების დიდი არქივი, რომელიც რამდენიმე ათეულ ათას ფირფიტას შეიცავდა. ამ აღმოჩენამ თავდაპირველად დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ როდესაც გაარჩიეს ნაპოვნი და აღმოჩნდა, რომ ესენი თავისებური საანგარიშო-საბუღალტრო წიგნებია, იმედი გაუცრუვდათ და არქივი არ მიიჩნიეს საინტერესოდ. და არათუ გათხარეს ეს ადგილები, არც კი შეეცადნენ შეენახათ ნაპოვნი.

თავიანმა საქმოსნებმა მუქთად შეისყიდეს ათასობით ფირფიტა და შემდეგ ჰყიდიდნენ პარიზში თითო ფირფიტას ერთ ფრანკად...

მესოპოტამიაში ნაპოვნი სამეურნეო ანგარიშების დოკუმენტების დიდი ნაწილი ჯერაც არაა გამოქვეყნებული.

სხვანაირად მიუღვა საქმეს მ. ვ. ნიკოლსკი. მან დაუყოვნებლივ შეაფასა ამგვარი თიხის წიგნების დიდი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის და მრავალი წელი მოანდომა მათ შესწავლას და პუბლიკაციას. ეს დოკუმენტები, აღნიშნავდა მეცნიერი, საშუალებას გვაძლევს, „ჩავწვდეთ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობებს იმ შორეული ეპოქებისა, რომელთაგანაც ყველაზე უფრო ძველი უახლოვდება ჩვენი კულტურის გარიჟრაჟს“.

ვ. მ. ნიკოლსკის მიერ დამკვიდრებულმა ტრადიციამ იმის შესახებ, რომ მთავარი ყურადღება მიექცეს არა ძველი აღმოსავლეთის დესპოტების ბიოგრაფიის შესწავლას, არამედ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობებს, მშრომელი მასების ცხოვრებას, მტკიცედ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ასირიოლოგიაში და მის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად იქცა.

ვაჟიშვილის გაყიდვა

აი, ნასყიდობის სიგელი ძველბაბილონური დოკუმენტებიდან, რომელიც 1937 წელს გამოაქვეყნა ნიჭიერმა საბჭოთა ასირიოლოგმა ა. პ. რიფტინმა. იგი უდროოდ გარდაიცვალა 1945 წელს.¹

¹ ამ და მომდევნო ციტატებში ტექსტის უკეთ გაგების მიზნით არაა დაცული სიტყვასიტყვითი თარგმნის პრინციპი.

„სინ-ნურის ვაჟი, სახელად ზალილუმ, ბალმუნამხემ იყიდა მისი დედისაგან, სინ-ნურისაგან. მის სრულ საფასურად მიუწონა მას 11 სიკლი ვერცხლი. მან (ე. ი. ვაჟის დედამ) დაიფიცა თავისი მეუფე იუველიერ იბილაბრაათის წინაშე, ფრინველებზე მონადირე სინ-გამილის წინაშე, სინ-ერობის წინაშე, ახუ-ვაქარის წინაშე, ენდილ-შემის წინაშე, ახუ-ვაქარუმის წინაშე, ლუ-ნინშუბურ-ქას წინაშე, ილიმ-ახის წინაშე, რომ მომავალში არ წარუდგენს პრეტენზიას“.

შვილის გამყიდველი დედა... და ქალაქ ნასარუმის ცხრა საპატრიო მოქალაქე თავიანთი ბექდებით ადასტურებენ ამ გარიგებას. ყველაფერი წესრიგშია, ყველაფერი გაფორმებულია კანონის მიხედვით. ბალმუნამხემ, ცნობილმა ბაბილონელმა ბობოლამ შეიძინა კიდევ ერთი მონა, ხოლო დედამ დაკარგა შვილი.

რა აუტანელი სილატაკე უნდა ყოფილიყო სინ-ნურის სახლში, რაკი იგზ ასეთ საშინელ გარიგებაზე დასთანხმდა. რა საშინელი ტრაგედია გამოსჭვივის ამ ნასყიდობის სიგელის გულცივ, საქმიან სტრიქონებს შორის.

სომხალი გირამ

აი, მეორე დოკუმენტი — თამასუქი წარმდგენის სახელზე. მევახშე შამაშ-მუშეტირმა ასესხა დინუმ-აბუმს ათი მინა ტყვია. „თუ ვადა გავა, — ნათქვამია ხელწერილში — ტყვიის რაოდენობა დაიწყებს ზრდას, გირაოდ იქნება მისი ცოლი, მისი ყანები, მისი სახლი. ამ ფირფიტის წარმდგენს იგი მიუწონის ტყვიას“.

ეს ნიშნავს, რომ დინუმ-აბუმის ხელწერილი შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ პირს. მას, თავის მხრივ, შეუძლია გადასცეს მესამეს, რომელსაც უფლება აქვს იგი მეოთხეს დაუთმოს და ასე შემდეგ. და ვინც არ უნდა წარუდგინოს მევალეს ეს ფირფიტა, იგი მოვალეა გადაუხადოს ამ ხელწერილით.

გადასცა თუ არა დინუმ-აბუმმა სესხის მიღებისთანავე მევახშეს თავისი ცოლი, ყანა და საქლი, ცნობილი არაა. მაგრამ აი დოკუმენტი; საიდანაც ირკვევა, რომ მევახშემ დაუყოვნებლივ წაიყვანა ღარიბი მევალის ცოლი, როგორც კი მისცა მას სესხად ცოტაოდენი ხორბალი.

სესხის ოდენობის ჩვეულებრივი აღნიშვნის შემდეგ (აქ ლაპარაკია დაახლოებით 120 კგ ქერზე), ვალის დაფარვის ვადებისა და გადაცილებისათვის პროცენტის გადახდევინებასთან დაკავშირებით დოკუმენტში ნათქვამია: „გირაოდ მას თავისთან ეყოლება მისი ცოლი ალანითუმი — მანუგირ-ილუშეს ქალიშვილი. როცა იგი გადიხდის მარცვალს პროცენტით, ცოლი გათავისუფლებულ იქნება“.

ამ დოკუმენტში სესხის მიმცემად გვევლინება თავისი სიძუნწით განთქმული მევახშე იდინ-კუბე. თავის მამიკოზე ნაკლებად როდი ატრიალებდა საქმეებს ღირსეული შვილი ქიდინ-ადადი.

ვინმე ბულ-ნადინ-ახის მისცა რა ერთი ტალანტი ტყვია, სამაგიეროდ „ცოცხალ გირაოდ“ წამოიყვანა მისი ვაჟიშვილი იაქულიმირი. ხელწერილის თანახმად, ნომინალურად, ვაჟიშვილს ჯერ კიდევ შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება „როცა იგი (ე. ი. ბელ-ნადინ-ახი) მიუწონის ტყვიას, იგი გაანთავისუფლებს ვაჟიშვილს“. მაგრამ ეს არ მომხდარა. წინააღმდეგ შემთხვევაში თიხის ფირფიტას დაამტკრევდნენ — ასეთი იყო ჩვეულება. რაკი ფირფიტა გადაჩჩა, — ეს იმას ნიშნავს, რომ იაქულიმირმა ვერ დააღწია თავი სავალო მონობას.

საქმიანი დოკუმენტები გვიხატავს ჰკუისსასწავლებელ სურათს, თუ ერთ პოლუსზე რთვორ გროვდებოდა სიმდიდრე ერთი მუჭა მევახშე — სისხლისმსმელთა ხელში და როგორ მასობრივად დატაცდებოდნენ მიწათმოქმედნი და ხელოსნები — მეორეზე.

ჩვენთვის უკვე ცნობილი მევახშე იდინ-კუბე სესხად აძლევს ორ მიწის მუშას — მამას და შვილს — 300 კილოგრამამდე მარცვალს. ამისათვის „იდინ-კუბე გირაოდ იღებს მათ მინდვრებს, მათ სახლს, მათ კალოს, მათ კარგ ჰეებს, მათ ვაჟიშვილებს და ქალიშვილებს. თუ ვადა ჭაეიდა, — გირაო ჩაითვლება ნაყიდად. დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი არ იქნება“.

რიგ სხვა დოკუმენტებში იგივე იდინ-კუბე იღებს გირაოდ თავისი მევალებების მინდვრებს, სარგებლობს მით და იქვე შენიშნავს, რომ თუ ვალი დროზე არ გადაუხადეს, ეს მინდვრები მის სრულ საკუთრებაში გადავა.

თიხის წიგნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იდინ-კუბემ მოკლე დროში გაფცქვნა რამდენიმე ათეული თანამემამულე.

რა ხრიკებს არ მიმართავდნენ მევახშეები, რათა ამ აშკარა ძარცვისათვის საეხსიანო კანონიერი ფორმა მიეცათ! ძალიან ხშირად ჩვეულებრივი სავაზო გარიგება შვილად აყვანის საფარქვეშ ხდებოდა.

ვინმე ქინიას ერეშილუმთან დადებული ხელშეკრულების ძალით, შვილად აყავს მისი ვაჟიშვილი ნაქიდუ „მისი ყანით, მისი სახლით, და მთელი მისი ქონებით“. მარტო ეს ერთი რამ გვაიძულებს გავამახვილოთ ყურადღება. ხომ არ არის აქ ქონების და შვილების ჩვეულებრივი გაყიდვა და ხომ არ ასაღებენ ამას შვილად აყვანად? „შენიშვნა, რომელიც ამ ხელშეკრულებას ახლავს, არავითარ გვს არ ტრევეს რომ ეს ასეა. ცხადია, მამობრივი გრძნობით როდი ხელმძღვანელობდა ქინია, როცა ნაქიდუ „იშვილა“. ვინაიდან დოკუმენტში ნათქვამია: „უკეთუ ნაქიდუ არ იმუშავეს ქინიასათვის, იგი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე წაართმევს მას ყველაფერს და გაყიდის ფულზე“.

აი, მეორე ანალოგიური დოკუმენტი. ავიეშნამ იშვილა იბშახალუს ასული აზაია. ახლადგამომცხვარ დედას უფლება აქვს „გაყიდოს აზაია საქმროზე, საითაც მოესურვება, და აზაიას საფასურს გამოიყენებს ავიეშნა“.

რა თქმა უნდა, აზაიას არავინ ჰკითხავს, მოეწონება თუ არა ქმარი, რომელსაც ავიეშნა მიჰყრდის მას, დედობილის კომერციული ინტერესები გადაწყვეტს გოგონას ბედ-იღბალს, რომელიც საბოლოოდ გადატაკებულმა მამამ „გააშვილა“. შემთხვევით როდია აღნიშნული ხელშეკრულებაში, რომ თუ აზაიას აღმოაჩნდება ვალები, გადაიხდის მისი მამა, იბშახალუ, და არა ავიეშნა.

მაგრამ როგორღა გავიგოთ ისეთი დოკუმენტი, როცა მხარეები თითქოს ცვლიან როლებს. „მამობილი“ დატაკია, ხოლო „შვილობილი“ მდიდარი? ასეთი დოკუმენტები ცოტა როდია მოღწეული ჩვენამდე: და რატომღა რომ „შვილად აყვანის“ დროს ყოველმხრივ მოგებულა შვილი და წაგებულა რჩება მამა? რატომღა რომ ეს შვილად აყვანილი ყოველ პარასკევს იცვლის მამებს? ნუთუ მას ისეთი ხასიათი აქვს, რომ ვერავის ეგუება?

ერთმა ასეთმა „შვილიკომ“, ვინმე თეხიფთილამ, მოკლე დროში ასამდე მამა შეიძინა!

ცხადია, აქ საქმე გვაქვს არა შვილობილის ან მამობილის ხასია-

თებთან. იგივე ქონებრივი ინტერესები, იგივე ყიდვა-გაყიდვა უდევს საფუძვლად ამ შვილად აყვანას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მყიდველი გამოდის არა მამის, არამედ შვილის როლში.

ყოველი ახალი „შვილად აყვანის“ დროს, მორიგი „მამიკო“ გამოუყოფს „შვილს“ (მცირე „საჩუქარში“) მის წილ მემკვიდრეობას — ყანას, საძოვარს, ბაღს.

ამრიგად, აუელის რა გვერდს კანონს, რომელიც კრძალავდა მიწის გაყიდვას და ხელთ იგდებს რა მიწის ნაკვეთს, „შვილიკო“ იწყებს ახალი „მამიკოს“ ძებნას. იგი ძერასავით ჩასაფრებული უთვალთვალვბდა თავის მსხვერპლს — გადატყეპულ მხვინელ-მოქსველს — ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოეცხადებოდა და ჩაღის ფასად ყიდულობდა მის მიწას. ეს ყიდვა-გაყიდვა კი შვილად აყვანის წესით ფორმდებოდა...

მრავალი ასეთი გარიგება თეთრი ძაფითაა ნაკერი. მდიდარი ვაჭრები მაინცდამაინც დიდად არ ზრუნავდნენ, რომ ამ გარიგებრისათვის წესიერი ფორმა მიეცათ. იგივე თეხიფთილა შენიშნავს, „თუ (მამობილი) მოკვდა, მას შეუძლია არ დაიტვიროს, ხოლო თუ დაიკარგა, არ მოქებნოს იგი...“

წედამხედველის მათრახის ქვეშ


მძივე იყო მევახშეებისა და მდიდრების ხელში მოხვედრილი მონების ცხოვრება. კიდევ უფრო შავ დღეში იყვნენ სასახლისა და ტაძრების მონები. ეს გვემცნეს სამეურნეო ანგარიშების დოკუმენტებმა — ციფრებით გადაჭრელებულმა ათიათასობით თიხის ფირფიტამ. ამ ფირფიტებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში — დაახლოებით ორი ათასწლეულის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე — მონათა შრომას ფართოდ იყენებდნენ მსხვილ მეურნეობებში, სამშენებლო სამუშაოებზე, დიდ გემთშენებელ, საღურგლო და მეთუნეთა სახელოსნოებში.

ზედამხედველი ანგარიშს აბარებდა სასახლის ან ტაძრის გამგებელთ, რამდენი მარცვლეული დაიხარჯა მონათა გამოსაკვებად და რა მოცულობის სამუშაო შეასრულეს მათ. გამოანგარიშების სიმარტივისა და მოხერხებულობის მიზნით ისინი ხშირად მიმარ-

თავდნენ იაეთ ცნებას, როგორცაა კაცდლე. ასე, თუ ზედამხედველს ჰყავდა ოცი კაცი, რომლებიც წელიწადში 360 დღეს მუშაობდნენ, იგი ამრავლებდა ამ რიცხვს და იღებდა 7200 კაცდღეს.

რა უამბეს ამ ფირფიტებმა საბჭოთა მეცნიერებს?

ის, რომ მონები მუშაობდნენ დილიდან გვიან ღამემდე მთელი წლის განმავლობაში; არ იცოდნენ არც დასვენების დღეები, არც დღესასწაულები და ამ არაადამიანური შრომის საზღაურად იღებდნენ ცოტადენ ქერს; მონებს შორის იყვნენ დაოსტატებული ხე-



ხელისა და ფეხის ხუნდები მონებისა და ტყვეებისათვის.

ლოსნები: მეთუნეები, ხუროები, ღურგლები, ფეიქრები, მებორბლეები, გემთმშენებლები, კალატოზები, მჭედლეები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

მონების ხელით აშენებდნენ და ანახლებდნენ სარწყავ არხებს, აგებდნენ ქალაქის კედლებს, ტაძრებს, სასახლეებსა და საცხოვრებელ სახლებს, ამზადებდნენ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, გადაჭმონდათ ტვირთი, მონები ეწეოდნენ გემის ჰაპანს მდინარეებზე.

მცირეოდენი დანაშაულისათვის მონას სასტიკად სჯიდნენ: სცემდნენ. მათრაზით, აჭრიდნენ ყურს ურჩ მონებს, რათა არ ეცადათ გაქცევა, ზოგჯერ თვალებსაც თხრიდნენ. მეფისა და ტაძრების უზარმაზარ მეურნეობებში უსინათლოებისათვისაც იყო სამუშაო, მაგალითად, მარცვლეულის დაფქვა ხელსაფქვათ.

დამახასიათებელია, რომ როდესაც სჯიდნენ და ამახინჯებდნენ მონას, ყოველთვის უფროთხილდებოდნენ მის ხელებს: მონის დანიშნულებაა შრომა, ხოლო შრომისათვის საჭიროა ჯანსაღი ხელები.

გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ძველ შუამდინარეთში ადამიანს ნაკლები ფასი ჰქონდა, ვიდრე პირუტყვს. უფრო-

თხილდებოდნენ შინაურ ცხოველებს, ცდილობდნენ არ გადაეჭან-
 ცათ სასაძალნე პირუტყვი მეტად მძიმე ტვირთით. მონებს კი ქან-
 ცის გაწყვეტამდე, სულის ამოსვლამდე ამუშავებდნენ. მონის სიკვ-
 დილი ნაკლებ დანაკარგად ითვლებოდა, ვიდრე ხარის ან ძროხის
 დაცემა. მძარცველური ომები განუწყვეტლივ ავსებდნენ ადამიანთა
 რეზერვებს, საიდანაც შეიძლებოდა მუქთი მუშახელის მიღება.

სიკვდილის ბანაკები

ცხოვრების აუტანელი პირობები და მძიმე შრომა იწვევდა მო-
 ნების მასობრივ სიკვდილიანობას. განსაკუთრებით ხშირად ილუ-
 პებოდნენ ომის დროს ტყვედ წამოყვანილი უცხო ტომის მონები.
 ბანაკები, სადაც მონები იმყოფებოდნენ, სიკვდილის ბანაკები იყო
 სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

აი, დიდი თიხის ფირფიტა, დაყოფილი რვა სვეტად და გადაჭ-
 რელებული როგორც წინა, ისე უკანა მხარეს. იგი აღრიცხულია
 6C39 ნომრით და ინახება ლუერის მუზეუმში, პარიზში. მისი ტექ-
 სტის ორნახევარი ასეული სტრიქონი შეიცავს ქალთა და მოზარდ-
 თა სახელებს დაახლოებით ასეთი თანმიმდევრობით:

40 სილა	თუაშუბარბი.
მოკვდა	ხურუდი.
40 სილა	ბირადუ.
მოკვდა	არბიალი.
40 სილა	ზუბაიმშა.
მოკვდა	ილითუმნაუდა.
40 სილა	ეშმენიდარ.
მოკვდა	ტაბაუ.
40 სილა	უმა.
მოკვდა	ნირანამე. მისი ქალიშვილი
მოკვდა	კალი.
15 სილა	ბიქუნა გუქაკაშა, შვილი მისი.
40 სილა	შელულშუბარბი.
მოკვდა	ანიტუმ.

შ ო ბ გ ს:

40 სილა	ანა.
40 სილა	მამა.
40 სილა	განა.
40 სილა	ილაზუ.
40 სილა	შადეა.
40 სილა	შაშარუთ.

ა რ უ წ ვ ი ა თ:

ჯამი:	12 მონა ქალი თითოეული	40 სილა.
ჯამი:	1 ბიჭი 15 სილა.	
ჯამი:	7 დაიღუპა.	
მათი ქერი 1 გური 195	სილა.	
ზედამხედველი ლუგალემა-		
ხე.		

ეს რა უცნაური სიაა?

ეს გახლავთ ძველისძველი საალრიცხვო-სახელალტრო „წიგნის“
თიხის ფურცელი.

ფირფიტა შედგენილია 3998 წლის წინათ ქალაქ უმის სამეფო-
მეურნეობის მწერლის მიერ. იგი მას დასჭირდა იმის გასაგებად,
თუ რა რაოდენობის მარცვალი იყო საჭირო ამ ბანაკში მყოფი მო-
ნების გამოსაკვებად.

საჭირო მარცვლის რაოდენობა თვიდან თვეში მცირდებოდა დი-
დი სიკვდილიანობის გამო. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ერთ
თვეში ბანაკში მყოფი 185 კაციდან გარდაიცვალა 57.

გავიდა კიდევ ოთხი თვე და ხუთ რაზმად დაყოფილ 59 მონა-
ქალიდან გარდაიცვალა 38. რა ბედი ეწიათ დანარჩენ ტყვეებს და
მათ ბავშვებს, ჯერ კიდევ არაა ცნობილი. მაგრამ ეჭვსგარეშეა, მათი
ხვედრი არანაკლებ ტრაგიკული იქნებოდა.

ამ ბანაკის უბედურ ბინადარ ქალთა საზარელი ხვედრი აკადე-
მიკოსმა ვ. ვ. სტრუვემ შეისწავლა.

ფრანგ ასირიოლოგს, რომელმაც ლუერის მუზეუმის ეს ფირფი-

ტა გამოაქვეყნა, იგი მხოლოდ გეოგრაფიის თვალსაზრისით აინტერესებდა. კომენტარს უკეთებდა რა მას, იგი წერდა:

„სახელები ყურადსაღებია, ზოგიერთი მათგანი სემიტურია“.

თვით საშინელი შენიშვნა — „მოკვდა“, რომელიც ხშირად გვხვდება, და თავისთავად იქცევს ყურადღებას, არაფერს ეუბნება მას, იგი გულგრილად უვლის გვერდს.

საბჭოთა მეცნიერებმა, მრავალი დოკუმენტის საგულდაგულო ანალიზის შედეგად, არა მარტო დაადგინეს ამ ბანაკის მონაქალების სიკვდილიანობის პროცენტი, არამედ გამოაჩვენეს რა საქმიანობას ეწეოდნენ ეს მონები, საიდან იღებდა მონათა შევსებას ქალაქი უმა, როგორ ხორციელდებოდა კონტროლი სურსათის გაცემაზე და მრავალი სხვა. დროულია ითქვას, მათ დააზუსტეს, რომ სემიტურ სახელთა გვერდით სიაშია ხურიტული და შუმერული სახელებიც კი.

როგორ შეძლეს სიკვდილის ბანაკის საზარელი სურათის აღდგენა და იმის გამოკვლევა, რა ცვლილებები მოხდა იქ ოთხი თვის განმავლობაში?

სამეურნეო ანგარიშების ათასობით დოკუმენტს შორის აკადემიკოსმა ვ. ვ. სტრუვემ ყურადღება მიაქცია ნ. პ. ლიხაჩოვის კოლექციის ერთ ფირფიტას: 1915 წელს ეს ფირფიტა სხვა დოკუმენტებთან ერთად მ. ვ. ნიკოლსკიმ 329 ნომრით გამოაქვეყნა. და აი, აღმოჩნდა რომ ამ ფირფიტის ათობით სახელი ემთხვევა შვიდი წლით გვიან გამოაქვეყნებულ ლუერის ფირფიტის სახელებს. ასე დამტკიცდა, რომ იგი ძველი შუმერის ერთი და იმავე სააღრიცხვო-ზაბუღალტრო წიგნის ორი ფურცელია, რომელთაგან ერთი აღმოჩნდა პარიზში, ხოლო მეორე — ლენინგრადში.

ასეთი შემთხვევები ხშირია, ზოგჯერ ერთი და იმავე თიხის „წიგნის“ „გვერდები“ გაფანტულია რამდენიმე ქვეყნის მუზეუმებში და სხვადასხვა დროს, ხანდახან ათეული წლების შემდეგ ქვეყნდება. ეს კიდევ ერთი განსაკუთრებული სიძნელეა, რასაც აწყობიან ძველი აღმოსავლეთის ისტორიკოსები.

ამრიგად, აღმოჩნდა რომ 329 ნომერი ფირფიტა, რომელიც ერთიტაქში ინახება, ღვიძლი დაა 6039 ფირფიტისა, რომელიც ლუერ-



სასიკვდილოდ დაჭრილი ლომი.

შია დაცული. ამასთან, პირველი მეორეზე უხნესია დაახლოებით ხუთი თვით.

შუმერული სიტყვა „რირიგა“ ძნელი სათარგმნია სხვა ენაზე. იგი ნიშნავს რაღაც შუალედს „სიკვდილს“, „დაღუპეასა“ და „გაწყდომას“ შორის. ამ ტერმინს ხმარობდნენ შუმერები, როცა საქმე პირუტყვის გაწყვეტას ეხებოდა. ასეთივე ტერმინია გამოყენებული აქ მონა ქალების სიკვდილის აღსანიშნავად.

მართო ეს დეტალიც კი აშკარად მეტყველებს ძველ შუამდინა-რეთში გაბატონებულ სასტიკ კლასობრივ ჩავჯვარზე.

ტერმინი „სულადობა“, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივ პირუტყვის რაოდენობის აღსანიშნავად ვიყენებთ, ძველ შუამდინარეთში გამოიყენებოდა მონათა მიმართ. „მონათმფლობელის უსაზღვრო ზიზღმა მონის მიმართ, — წერს ვ. ვ. სტრუვე, — თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმ ფაქტში, რომ უძველეს ეპოქაში შუმერული ენა მოვლენათა სამყაროს ყოფდა ორ კლასად — პიროვნებებად და ნივთებად, და უკანასკნელში, პირუტყვთან ერთად, შეტანილი იყვნენ მონებიც!“

ხომერ 6039 ფირფიტის ისტორიაში აშკარად იჩინა თავი ისტორიული დოკუმენტებისადმი ორმა განსხვავებულმა მიდგომამ. დიდი საეკლესიო და სამეფო მეურნეობათა ზედამხედველთა ცნობები ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის საინტერესოა როგორც დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზაციაზე შორეულ წარსულში, საბჭოთა მკვლევარებისათვის კი — უდიდესი მასალაა სოციალურ ურთიერთობათა გასარკვევად ძველ შუამდინარეთში.

მეცნიერების ფალსიფიკატორები

იმ ეპოქაზე, რომელიც ცნობილი გახდა კაცობრიობისათვის თიხის წიგნების საშუალებით, ასობით ტომებია დაწერილი. დიდ ინტერესს იჩენს შუამდინარეთის კულტურისადმი დასავლეთ ევროპული მეცნიერება. ბურჟუაზიული მეცნიერები სხირად ცდილობენ უამოიყენონ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მასალები, რათა გამართლონ თანამედროვე იმპერიალისტური ძარცვა. რა „თეორიები“ არ წამოაყენეს მათ ამ მიზნით.

ერთნი ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთის ხალხს არ შესწევს დამოუწყიდებელი განვითარების უნარი და რომ არ არსებობს არავითარი პრინციპული განსხვავება, ვთქვათ, თანამედროვე ერაყელ ფელაქსა და ძველი შუამდინარეთის მიწისმხენელ — თემის წევრს შორის. უხსოვარი დროიდან აღმოსავლეთში გაბატონებული იყო ფეოდალიზმი და მონათმფლობელური წყობილება აღმოსავლეთშირ საერთოდ არ ყოფილა, ამბობენ ისინი.

მეორენი კი, პირიქით ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთმა დიდი ხანია გაიარა თავისი უმადლესი განვითარების პერიოდი — მონათმფლობელური წყობილების ეპოქა, რომელსაც ისინი ათანაბრებენ კაპიტალისტურ წესებთან. ისინი არ ანსხვავებენ ძველ აღმოსავლელ მონასა და კაპიტალისტური ქვეყნების დაქირავებულ მუშას. ამ „თეორიის“ თანახმად, ფეოდალიზმი ნაბიჯია უკან მონათმფლობელურ წყობილებასთან შედარებით.

ამრიგად, კაცობრიობის ისტორიამ არ იცის ნამდვილი პროგრესი, იგი მოძრაობს შეკრული წრით.

მესამენი ამტკიცებენ, რომ კლასობრივი ბრძოლა ძირს უთხრიდა ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებას ჯერ კიდევ პირველყოფილი-თემური წყობილების დროს. ამრიგად, კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ისეთი პერიოდი, როცა არ იქნება კლასები და კლასთა ბრძოლა.

მეთხენი, პირიქით, უარყოფენ ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლას აღმოსავლეთში და თავიანთი დასკვნები გადააქვთ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაზე, სადაც ხედავენ კლასთა ჰარმონიას, კაპიტალისტთა და მუშათა კლასის ინტერესების სრულ დამთხვევას.

არსებობს სხვა მრავალი რეაქციული „თეორია“, რომლებიც ამხინჯებენ და აყალბებენ აღმოსავლეთის ხალხების ძველ ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან და გამორიცხავენ ერთმანეთს, მათ მაინც აქვთ საერთო: ეს „თეორიები“ ცდილობს თავისებურად გაამართლოს კაპიტალისტური წყობილება, დაამტკიცოს მისი ურყეობა და მარადიულობა.

ამაში დარწმუნება ძნელი არ არის.

თუ აღმოსავლეთში არ ყოფილა და არც შეიმჩნევა არავითარი განვითარება, მაშინ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს ისლა დარჩენიათ მადლობა გადაუხადონ იმპერიალისტებს, რომლებიც შეიჭრნენ მათ სამშობლოში და უწყალოდ ძარცვავენ მკვიდრ მოსახლეობას. თავიანთი ხიშტიოთ მათ თითქოს მოაქვთ კულტურა ჩამორჩენილი ხალხებისათვის, რომლებსაც თვითონ „არ შესწევთ უნარი“ განვითარდნენ და ამით ასრულებენ თავიანთ „მაცივილიზებელ მისიას“. ამრიგად, კოლონიების ყველაზე მხეცური ექსპლუატაცია დიდ მადლად ცხადდება.

საჭიროა უკვდავყოთ კაპიტალისტური წეს-წყობილება, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება კულტურის, აღსასრული, — ასეთია დახშული წრის თეორიის მიმდევართა დასკვნა..

„თავი ანებეთ კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალისტური საზოგადოების დამყარებისათვის ბრძოლას, აქედან არაფერი გამომ-

ვა“, — ქადაგებენ კლასთა ბრძოლის მარადიულობის თეორიის მომხრეები.

„თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება ყველაზე სრულყოფილია ყველა შესაძლებელ საზოგადოებათა შორის“, — ბანს აძლევენ მათ კლასთა ჰარმონიის მიმდევრები.

მაგრამ რაც უნდა ეცადონ იმპერიალიზმის სწავლული ლაქიები, მათ არ შესწევთ ძალა შეაჩერონ ისტორიის წინსვლა. ვერავითარი თვალთმაქცური ფანდებით ვერ შეძლებენ დაამტკიცონ ის, რისი დამტკიცებაც შეუძლებელია, — თითქოს კაპიტალისტური წესწყობილება ყველაზე გონივრული, მუდმივი და ურყევიცა.

ყველა ამ „თეორიას“ ძალიან კარგად ახასიათებს მრისხანე სარკაზმით აღსავსე კ. მარქსის სიტყვები, ბურჟუაზიული ისტორიული სკოლის მისამართით თქმული: იგი აკანონებდა „დღევანდელი დღის სისაძაგლეს გუშინდელის სისაძაგლით...“¹

ისტორიის წინსვლა

საბჭოთა ისტორიკოსებმა თანდათანობით ამხილეს ბურჟუაზიული აღმოსავლეთმცოდნეთა ანტიმეცნიერული აზრები და ქვა ქვაზე აღარ დატოვეს ყველა ამ რეაქციული „თეორიისაგან“. უზარმაზარ ფაქტიურ მასალაზე — სამეურნეო ანგარიშსწორების დოკუმენტებზე — დაყრდნობით მათ უცილობელად დაასაბუთეს. რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს.

აღმოსავლეთმა, ისე როგორც დასავლეთმა, თავისი ისტორია დაიწყო პირველყოფილი გვაროვნული წყობილებით, რომელიც არ იცნობდა კლასებსა და კლასთა ბრძოლას. საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად, როცა ადამიანებმა მოიშინა ურქეს ცხოველები, ისწავლეს მიწის დამუშავება, ლითონის იარაღის დამზადება და დაეუფლნენ სხვადასხვა ხელობას, დაიწყო ექსპლო-

1 კ. მარქსი — ფ. ენგელსი თხზ. ტ. I გვ. 401. 1928.

ატაცია ადამიანისა ადამიანის მიერ, გაჩნდა მონობა. მონათმფლობელი ითვისებდა მონის ხელით შექმნილ პროდუქტს.

ეს იყო საზოგადოების პირველი დაყოფა კლასებად.

„ადამიანთა ყველა საზოგადოების განვითარება მრავალი ათასი წლის მანძილზე, უკლებლივ ყველა ქვეყანაში, გვიჩვენებს ამ განვითარების საერთო კანონზომიერებას, სისწორეს და თანმიმდევრობას ისე, რომ პირველად ჩვენ გვაქვს უკლასო საზოგადოება — პირვანდელი პატრიარქალური, პირველყოფილი საზოგადოება, სადაც არ იყვნენ არისტოკრატები; შემდეგ — მონობაზე დამყარებული საზოგადოება, — მონათმფლობელური საზოგადოება“¹.

თიხის „წიგნებმა“ ბრწყინვალედ დაადასტურეს ლენინის ეს გენიალური აზრი. მათ პირწმინდად უკუაგდეს ყოველგვარი ცრუმეცნიერული გამონაგონი აომოსავლეთის ქვეყნების „მარადიულ ფეოდალიზმზე“ და აგრეთვე ის, რომ აღმოსავლეთის ხალხებს თითქოს არ გააჩნდათ განვითარების უნარი. მათ გვიჩვენეს მონებსა და მონათმფლობელთა შორის შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა, დაამსხვრიეს ლეგენდა ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა კლასობრივ ზავზე.

არც მონათმფლობელური წყობილება იყო მარადიული. თიხის ფიქვითების მიხედვით, შესაძლებელია თავალი გაგადევნოთ მთელ მის ისტორიას, — შორეულ წარსულში პირველი კლასობრივი საზოგადოების ჩასახვიდან მის დაღუპვამდე.

მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში კაცობრიობამ მკვირი რამ გააკეთა. საწარმოო ძალთა განვითარებამ მიაღწია ისეთ დონეს, რომელიც წარმოუდგენელი იყო კლასობრივ საზოგადოებამდე ეპოქაში. გაჩნდა დამწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება, არქიტექტურა. აშენდა დიდი ქალაქები, გათხარეს სარწყავი არხები, გაიყვანეს გზატკეცილები. მონათმფლობელური წყობილება პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევის პირობებში იყო სავსებით გასაგები და კანონზომიერი მოვლენა, რადგანაც იგი ნიშნავდა ნაბიჯს წინ პირველყოფილ-გვაროვნულ წყობილებასთან შედარებით.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29 გვ. 559, 1952.

მაგრამ ის, რაც თავისი დროისათვის წარმოადგენდა ნაბიჯს წინ-
რამდენადაც ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა განვითარებას, დრო-
თა განმავლობაში იქცა მუხრუჭად, წინ გადაელობა შემდგომ პრო-
გრესს. მონათმფლობელთა წინააღმდეგ მონათა ბრძოლამ, ჩაგრულ-
თა ბრძოლამ მჩაგვრელების წინააღმდეგ შეარყია მონათმფლობე-
ლური წყობილების მთელი შენობა. და იგი დაემხო. მის ნანგრევებ-
ზე აღმოცენდა ახალი, ფეოდალური საზოგადოება.

და იმავე აუცილებლობით, რომლითაც პირველყოფილი გვა-
როვნული წყობილება შეცვალა მონათმფლობელურმა, ფეოდა-
ლური შეცვალა კაპიტალისტურმა, გარდუვალა სოციალიზმის გა-
მარჯვება კაპიტალიზმზე.

ისეთივე გარდუვალობით, როგორითაც ლამის შემდეგ დგება-
დღე, კაპიტალისტურ საზოგადოებას მთელს მსოფლიოში შეცვლის
სოციალისტური საზოგადოება, სადაც არ იქნება ადამიანის მიერ
ადამიანის ექსპლუატაცია და არავითარი დაბრკოლებაც არ იარსე-
ბებს ცივილიზაციისა და პროგრესის გზაზე.



მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, ჩვენ გახლდით ასურეთის
მრისხანე მპყრობელის, „სამყაროს ოთხი მხარის მეფის“ ასურბა-
ნიფალის სასახლეში. მოვინახულეთ მისი სასახლის ბიბლიოთეკა და
გავიგეთ მრავალი საინტერესო ამბავი.

გოლიათ გილგამეშთან ერთად „უკვდავების ბალახის“ და მარა-
დიული სიცოცხლის ძებნაში მოვიარეთ ნახევარი სამყარო. ქალ-
ღმერთ იშთართან ერთად ჩავეშვიეთ ქვესქნელში და ეტანასთან ერთ-
ად არწივის ფრთებით მეშვიდე ცაში ავფრინდით.

ჩვენ დავესწართ ბაბილონის დანგრევას და „ლომთა ბუნა-
გის“ — ნინევის დაღუპვას. ვიყავით მოწმენი სასტიკი ომებისა,
რომლებსაც აწარმოებდნენ ხარბი ასურეთის მეფეები, რის შედე-
გად ნანგრევებდა იქცეოდნენ აყვავებული ქალაქები. ჩვენ ვნახეთ
როგორ გადაიჩნება უფსკრულში არაჩვეულებრივად გაბერილი ასუ-
რეთის სამხედრო-პარაზიტული სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს
ყოვლადძლიერი ეგონათ.

სიყვარულით ვადევნებდით თვალს ძველი დროის უცნობი მხატვრის საჭრეთლით გამოკვეთილ ბარელიეფებსა და ქანდაკებებს. გვაოცებდა ბაბილონელი მათემატიკოსებისა და ასტრონომების ღრმა ცოდნა და ვესწრებოდით საუცხოო საღებავების დამზადების პროცესს, რომლითაც ფარავდნენ შორენკეცებს.

ჩვენ თვალწინ გაიარა უნუგეშო ხვედრმა პირუტყვთან გათანაბრებული ძველი აღმოსავლეთის მონებისა, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს, და საუკუნო მონობისათვის განწირულ „ცოცხალ გირაოთა“ საბრალო ბედმა...

კიდევ მრავალი რამ აუწყებს მსოფლიოს თიხის წიგნებმა. კაქ მთხრობილია მხოლოდ ძველი შუამდინარეთის ზოგიერთი „საინტერესო აშბავი. ჩვენ არც კი შევხებხვართ მისი ცხოვრების და ყოფის ბევრ მხარეს. შეუძლებელია ერთ პატარა წიგნში გადმოსცე ტიგროსისა და ეფრატის ნაპირებზე მცხოვრები ხალხების სამი-ათასწლიანი ისტორიისა და კულტურის. ჭეშმარიტად ზღვა მასალა.

კიდევ ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი ასირიოლოგებს. ათასობით თიხის „წიგნი“ ჯერაც შეუსწავლელია. და ვის შეუძლია იქვას რამდენი თიხის ფირფიტა ძვეს ქვიშისა და მიწის სქელ ფენებქვეშ და ელის არქეოლოგის წერაქვს!

ძვირფასო მკითხველო! თუ ეს წიგნი, რომელმაც მხოლოდ ერთი კუთხე ასწია იმ ფარდისა, ძველი შუამდინარეთის ხალხების ისტორიას რომ ფარავდა, აღძრავს შენში მათი თავისებური კულტურისა და ყოფისადმი ინტერესს, — ნუ შეშინდები! გაბედულად მიაშურე ბიბლიოთეკას, — და იქ იპოვი პასუხს ბევრ ამაღლებელ კითხვაზე. მიმართე ისტორიის მასწავლებელს, ჩაეწერე ისტორიის წრეში.

თუ მოსკოლში ცხოვრობ ან იქ ყოფნა მოგიხდება, — უსათუოდ შეიარე ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში ეოლზონკაზე. იქ ნახავ ნამდვილ „თიხის წიგნებს“, ძველებურ ქანდაკებებსა და ბარელიეფებს და კაცისთავიან ხუთფეხა ფრთიან ხარსაც კი.

თუ ლენინგრადელი ხარ, ან ლენინგრადში მოხვდი, — უსათუოდ შეიარე ერპიტაჟში. მის დარბაზებსა და საწყობებში ინახება

სწორედ ის სააღრიცხვო-საბუღალტრო წიგნები ნ. პ. ლიხაჩოვის კოლექციიდან, რომლებზედაც მრავალი წელი იმუშავა რუსული ასირიოლოგიის მამამ მიხეილ ვასილის ძე ნიკოლსკიმ.

ბევრი საინტერესო საქმე აქვთ ძველი აღმოსავლეთის ისტორიკოსებს. და შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თიხის ფირფიტებში დაფარული წარსულის კიდევ არა ერთ საიდუმლოს წარმატებით ამოიცნობენ ისინი.

საბჭოთა მეცნიერები ძველი ხალხების ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის მართებულად და სწორად აღდგენით ხელს უწყობენ ისტორიული მეცნიერების განვითარებას, თავიანთი შრომებით სახელს უხვევენ ჩვენს დიად სამშობლოს.

მოკლე ლექსიკონი¹

აქატი — ნახევრადძვირფასი, სხვადასხვა ფერის ფენებისგან შემდგარი, მყარო მინერალი.

ალეხასტრი — წვრილმარცვლოვანი თეთრი თაბაშირის შემცველი მთის ქანი.

ამორეელები — სემიტი ტომები. ისტორიულ ასპარეზზე გამოჩნდნენ ძვ. წ. III ათასწლეულში და შეიჭრნენ წინა აზიის კულტურულ რაიონებში. ამორეელებმა რამდენიმე სახელმწიფო შექმნეს ძველ შუამდინარეთშიც. მათ შორის ყველაზე უფრო გაძლიერდა ბაბილონის სახელმწიფო, რომელმაც მეფე ხამურაბის დროს (ძვ. წ. 1792—1759 წწ.) დაიმორჩილა შუამდინარეთის ყველა დანარჩენი ქვეყანა.

არამეელები — არაბეთის ველებიდან გადმოსული სემიტაჰმარაველრიცხოვანი ტომები. ძველ წელთაღრიცხვის II—I ათასწლეულის მიჯნაზე ისინი შეიჭრნენ სირიის, ფინიკიის, პალესტინისა და მესოპოტამიის ძველ სახელმწიფოებში. არამეული ენა ძალიან სწრაფად გავრცელდა, ამ ენაზე შედგენილი დამწერლობის ძეგლები ნაპოვია ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზეც. უკანასკნელ ხანებში ეს ძეგლები აღმოაჩინა თურქმენეთში პროფესორ მ. ე. მასონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

ასიმილაცია — ერთი ხალხის შერევა მეორეში ენის, ზნე-ჩვეულებებისა და სარწმუნოების წეთვისების გზით.

აფორიზმი — მოკლე, სხარტი და მახვილგონივრული გამოთქმა.

აშური — ასურეთის მთავარი ღვთაება. თავდაპირველად იგი იყო ჩრდილოეთ მესოპოტამიის მკვიდრი ტომების ადგილობრივი ღვთაება.

¹ როგორც ცნობილია, ბევრ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ამ „მოკლე ლექსიკონში“ მოცემულია მხოლოდ ისინი, რომლებიც საჭიროა წიგნის ტექსტის სწორად გასაგებად.

ბაზალტი — მკერძი. ადვილადდნობადი კულახური წარმოშობის მთის ქანი.

ბარელიეფი — ამობურცული სკულპტურული გამოსახულება კედლებზე.

ბეი — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში პატრიისციმის გამომხატველი მიძარ-თვის ფორმა, დაახლოებით ქართული „ბატონო“-ს შესატყვისი.

გუთიები — ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარე ზაგროსის მთების მკვიდრ ტომები. ძველი წელთაღრიცხვის XXIII საუკუნეში ველური გუთიების მრავალრიცხოვანი ურდოები დაიძრნენ დასავლეთისკენ. შეესივნენ შუამდინარეთს და ეცესლითა და მახვილით შემუსრეს ყოველივე.

დიოდორე — ანტიკური ისტორიკოსი. ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. თავის ნაშრომებში ფართოდ აქვს გამოყენებული წინამორბედთა თხზულებები.

დინასტია — ერთი და იმავე საგვარეულოს რამდენიმე მონარქი.

ეგზოტიკური — იშვიათი. განსაცვიფრებელი. უცხოური.

ელამი — მთიანი ქვეყანა. მდებარეობდა სამხრეთ შუამდინარეთის აღმოსავლეთით, თანამედროვე დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე. ელამსა და შუამდინარეთის სხვა სახელმწიფოებს — შუმერს, აქადს, ბაბილონეთსა და ასურეთს — შორის წარმოებდა მრავალრიცხოვანი ომები. ელამელები — ელამში მცხოვრები ხალხები.

ეპოსი — ხალხურ ზეპირ შემოქმედებაში — საგმირო თქმულება.

ეთნოგრაფი — მეცნიერი, რომელიც სწავლობს ხალხთა ყოველ-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, შედგენილობას, მათი მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებს.

ეთიოპელები — (ანუ ნუბიელები) — აფრიკის მკვიდრი ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ეგვიპტის სამხრეთით.

იასპი — ლამაზი მთის ქანი ნაყნოანი ძარღვებით; კვარცის სახესხვაობა.

ვასალი — ჯუა საუკუნეებში — უფრო მსხვილ ფეოდალზე დამოკიდებული მიწისმფლობელი. გადატანითი მნიშვნელობით ვასალებად იწოდებიან ძლიერ მფარველებზე დამოკიდებული მოღვაწეები, რომლებიც უყოყმანოდ ასრულებენ მათ ნება-სურვილს.

ვენეცი — ერთმანეთში მხატვრულად გადახლართული სახელისა და გეარის დასაწყისი ასოები.

ზოდიაკი — წრე ცის თაღზე, რომელზედაც მოძრაობენ მზე, მთვარე და პლანეტები.

იეროგლიფი — ფიგურული ნიშნები. რომლებიც გამოხატავენ მთელ ცნებებს. სიტყვებს, მარცვლებს ან ბგერებს.

„ილიადა“ — ძველი ბერძნული ეპიკური პოემა, რომლის ავტორობას ლეგენდარულ ბრმა მომღერალს ჰომეროსს მიაწერენ. პოემაში აღწერილია ტროის ომის ამბები, რომლის ფონზე მოცემულია ძველი ბერძნების ყოფა-ცხოვრების, მითების, სარწმუნოების, საომარი ხელოვნების, გეოგრაფიული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ვრცელი აღწერა.

ინკრუსტაცია — რაიმე ნაკეთობის ზედაპირზე ჩაქდევებული ფიურტასი ხის ქიშის, სპილოს ძვლის, საღაფის და სხვა მასალის სამკაული:

ირიგაცია — მიწის ხელოვნური მორწყვა.

„კალევალა“ — კარელია-ფინეთის ცნობილი ხალხური ეპოსი; თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. თქმულების მთავარი გმირია მოხუცი მომღერალი ვა-ანიმინენი, რომელმაც შექმნა ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი კანტილე და მკედელი ილმარინენი, საოცარი თვითმტყველი წიქტილის გამომკვდი. ზღაპრულ გმირულ სიუჟეტთან ერთად ეპოსში მოცემულია ხალხის ყოფის ამსახველი მხატვრული სურათები. „კალევალას“ მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაწერილია სახალხო მომღერლის გლეხ პერტუნენის სიტყვების მიხედვით XIX საუკუნის დასაწყისში.

კალიგრაფიული — ძალიან ლამაზი, გამოკვეთილი და გარკვეული ნაწერი.

კასიტები — აღმოსავლეთიდან მოსული მთიელი ტომები, რომლებმაც ძვ. წ. XVI საუკუნეში დაიპყრეს ბაბილონეთი.

კატაკომბები — ვრცელი მიწისქვეშა აკლამები. საღვთოები და გამოქვაბულები.

კიმერიელები — როგორც ვარაუდობენ, ირანული წარმოშობის მომთაბარე ტომები. პეროდტეს თანახმად, ძვ. წ. VII საუკუნეში ისინი კავკასიისა და აფი-ერკავკასიის გავლთ შეესივნენ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ რაიონებს.

კოალიცია — სახელმწიფოთა ან პარტიების პოლიტიკური კავშირი.

კონგლომერატი — სხვადასხვაგვარი ნაწილების ან საგნების შექანიკური შეერთება.

კონსული — თანამდებობის პირი, წარგზავნილი ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოში. იგი ითვლება თავისი ქვეყნის წარმომადგენლად და იცავს მის ინტერესებს.

კოსმოგრაფია — მოძღვრება დედამიწასა და სამყაროზე.

კუნსტაკამერა — იშვიათი ნივთების, მხატვრული და ისტორიული საგნების, სხვადასხვა საკვირველებების თავმოყრა. კუნსტაკამერები შემდგომში მუზეუმებად იქცნენ.

ლექსიკა — რომელიმე ენის სიტყვათა ერთობლიობა. ლექსიკონი — სიტყვარი.

ლეტა — ძველბერძნული მითოლოგიით — დავიწყების მდინარე მიწისქვეშა სამყაროში. გამოთქმა „ლეტამ შთანთქა“ ნიშნავს, მივიწყებას მიეცა, საუკუნოდ გაქრა.

ლინზა — გამკვირვალე ოპტიკური მიწა, რომელიც შემოსაზღვრულია სწორი — უპირატესად სფერული — ზედაპირით. ზშირად აქვს ოსპის ფორმა.

მაგისტრი — პირველი სამეცნიერო ხარისხი, რომელსაც რევოლუციამდე ანიკებდნენ დისერტაციის დაცვის შემდეგ.

მაგნეტიზმი — ნახშირყანვა მაგნიუმის შემცველი მყარი მინერალი.

მარიონეტები — თოჯინები, რომლებიც მოძრაობაში მოპყავთ ძაფებისა და ზონრების საშუალებით. გაღატანითი აზრით, მარიონეტები ეწოდებათ სხვის

სურვილის უსიტყვოდ შემსრულებლებს, რომლებიც ამავე დროს მოჩვენებით დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ.

მოქიპურებული — ქიქურით — განსაკუთრებული კრიალა შენადნობის თხელი ფენით დაფარული. იყენებენ თიხის ნაქეთობებისათვის. ქიქურით დაფარული ქურჭელი სასიამოვნო შესახედი, მტკიცე და წყალკუბუტარია.

მონოგრაფია — მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც ერთ რომელიმე საკითხს ეძღვნება.

მუფთი — მუსულმანი ღვთისმეტყველი, „წმინდა“ წიგნებისა და კანონების ამხსნელი.

ნაბუ — სიბრძნის, დამწერლობისა და ანგარიშის ბაბილონური ღვთაება.

ნერგალი — სისხლისმღვრელი ომების ღვთაება, იგივე მიწისქვეშა სამეფოს ღმერთი, „ვრცელი მიწის მპყრობელი“.

ნუბიელები — იხ. ეთიოპიელები.

ობელისკი — ძეგლი, ქვის სვეტი, რომელიც ზემოთ თანდათან ვიწროვდება. ობელისკი ჩვეულებრივ იდგმება მოედანზე რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად.

ობსიდიანი — ვულკანური წარმოშობის ქანი—მუქი ფერის მინა.

„ოდისეა“ — მსოფლიოში ცნობილი ძველბერძნული პოემა, სადაც მოთხრობილია მეფე ოდისეუსის მოგზაურობა და თავგადასავალი. ამ პოემის ავტორადაც მიჩნეულია ლეგენდარული ბრმა მონღერალე პომეროსი.

ონიქსი — ნახევრადძვირფასი ქვა შავი და თეთრი ფერის შრეებით.

ორნამენტი — მხატვრული და სკულპტურული სამკაული, ჩვეულებრივ, გეომეტრიული ფიგურების ან ყვავილების, ფოთლების, ცხოველის ტანის ნაწილების გამოსახულება. ორნამენტებული — ორნამენტით დაფარული.

პანთონი — წარმართული რელიგიის ღმერთების ერთობლიობა.

პენსი — ინგლისური ხურდა ფული. სტერლინგის 1/240 ნაწილი.

პერგამენტი — განსაკუთრებული წესით დამუშავებული ცხოველის ტყავი, რომელსაც საწერად იყენებდნენ. პერგამენტი ჰქვია აგრეთვე ამ ტყავზე დაწერილ დოკუმენტს.

პოლმა — ხორბლის სახესხვაობა.

პომპეი — ანტიური ხანის დიდი ქალაქი, რომელიც ძვ. წ. 79 წ. 24 მაისს უეცრად დაფარა ვეზუვის ლავამ. არქეოლოგებმა გათხარეს XIX საუკუნეში. ლავის, ფერფლისა და ქვების მრავალმეტრიანმა სისქემ შემოინახა მრავალრიცხოვანი საცხოვრებელი სახლები, ტაძრები, თეატრები, საეკურობები, ყაზარმები და სხვა შენობები.

რასისტული თეორია — ბოლდვითი კაცთმოძულე მოძღვრება „მაღალ“ და „დაბალ“, „სრულფასოვან“ და „არასრულფასოვან“ რასებზე, რომელსაც ფაშისტები ქადაგებდნენ.

რეესტრი — აღწერა, სია. წერილობითი ჩამოთვლა.

რეკონსტრუქცია — ისტორიული ძეგლის გარეგანი ხედის აღდგენა, მისი ნაშთებისა და აღწერილობის მიხედვით.

რობატორი — ხელსაწყო, სპეციალური ლილეკით ტექსტის, ნახაზისა და ნახატის გასამრავლებლად.

სარდიონი — წითელი ან ყვითელ-ნარინჯისფერი, ნახევრად ძვირფასი ქვა.

სინონიმები — ერთი და იმავე მნიშვნელობის გამომხატველი სხვადასხვა სიტყვები. მაგალითად: „ცხენი“ და „ტაიპი“, „ქუნწი“ და „წუწურაქი“, „კამა“ და „შექცევა“.

სირიელები — სემიტური მოდგმის ტომები — ძველი სირიის მცხოვრებნი; შექმნეს პატარ-პატარა სახელმწიფოები. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო დამასკო.

სკობტრა — ძვირფასი ქვებითა და ჩუქურთმებით შემკული კვერთხი. სამეფო ხელისუფლების სიმბოლო.

სტეკლოგრაფი — უმარტივესი ხელსაწყო ორიგინალიდან ანაბეჭდების მისაღებად.

სტრაზონი — ახ. წ. პირველი საუკუნის ბერძენი გეოგრაფი. ძველი სამყაროს ქვეყნების დაწვრილებით აღწერს ავტორი. ამ ქვეყნებიდან ბევრი მან პირადად ინახულა.

სუბართუ — სუბარელების ქვეყანა. თავდაპირველად სუბარელები დასახლებული იყო მესოპოტამიის სამხრეთი ნაწილში, სადაც შემდგომ ჩამოყალიბდა ასურეთის სახელმწიფო.

ტიარა — ძველდროსაველი მეფეებისა და დედოფლების თავსამკაული.

ტიტული — დიდი თანამდებობის პირთა საპატიო წოდება.

ტრაქტატი — მეცნიერული თხზულება.

ტრანსკრიფცია — რომელიმე ენის ბგერათა ზუსტი გადმოცემა პირობითი ასოებით.

ფარმაკოპეია — აფთიაქარის ცნობარი, სადაც აღწერილია წამლების მომზადების, შენახვისა და შემოწმების წესები.

ფაშა — დიდი თანამდებობის პირის ტიტული თურქეთში, ეგვიპტესა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

ფინომენი — იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა.

ფილოლოგია — ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერება.

ფინიკიელები — სემიტური მოდგმის ტომები, რომლებიც დასახლებული იყვნენ ვიწრო ზოლად ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მათ შექმნეს რამდენიმე მსხვილი ქალაქი-სახელმწიფო, როგორცაა უგარიტი, ბიბლოსი, სიდონი, ტიროსი. ფინიკიელები განთქმული იყვნენ ძველ დროში როგორც მამაცი ზღვაოსნები და მონებით მოვაპკრენი ისინი მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებს თავიანთ სისხლისმსმელ ღმერთს მოლოხს.

ფრაგმენტი — ტექსტის ნაწყვეტი ან ხელოვნების ძეგლის ნაშტკრევი.

ფრესკა — წყლის საღებავებით ახლად შეღესილ კედელზე დახატული სურათი.

ქალღმერთი — სემიტური ტომები, რომლებიც არაბეთიდან გამოვიდნენ ძე. წ. 11 ათასწლეულის ბოლოს და დამკვიდრდნენ ბაბილონეთის სამხრეთით სპარსე-

თის ყურესთან. ძვ. წ. VII საუკუნეში მათ დაიპყრეს ბაბილონეთი. ქალდეელთა მეფე ნაბუქოდონოსორ II დროს (604—561) ბაბილონეთმა დიდ სიძლიერეს და აყვავებას მიაღწია.

ქრონოგრაფი — ქვეყნის საერთო ისტორიის მიმოხილვისა და ქრონიკის შემცველი ძველი დამწერლობის ძეგლი.

ყადი — მუსულმანთა სასულიერო მსაჯული.

შეიხი — არაბული ტომის, სოფლის, დასახლებების უხუცესი, ზოგჯერ თემის ან სკოლის მეთაური.

შიფრი — (ბიბლიოთეკის) — წიგნის პირობითი ნიშანი (ჩვეულებრივ ასოები და ციფრები), რაც აადვილებს მათ მოძებნას.

ციტადელი — ციხე-სიმაგრის ყველაზე უფრო გამაგრებული ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია დამოუკიდებელ თავდაცვისათვის.

ხეთები — ანატოლიის უძველესი მცხოვრებნი. ძვ. წ. II ათასწლეულის და საწყისში ხეთებმა შექმნეს მძლავრი მონათმფლობელური სახელმწიფო მცირე აზიაში.

ხურიტები — ძველამოსავლური წყაროების მიხედვით ხურის ქვეყნის მცხოვრებნი. მოსახლეობდნენ ძირითადად ჩრდილო-დასავლეთ მესოპოტამიაში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის	3
რუსული გამოცემის წინასიტყვაობა	6

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რუსული ასირიოლოგიის შავა

სახლი პეტროზავოდსკის ქუჩაზე	7
მეცნიერების თავდადებული მუშაკი	8
მესოპოტამიური ფირფიტები	11
შემეცნების სიხარული	13
51 და 855	14
შუმერები	16
ათასწლეულთა მიღმა	22
წესანიშნავი მიხვედრა	24

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

წინეპირის ქაზნა

საიდუმლოებით მოცული ბორცვები	29
გათხრები გრძელდება	31
უმეცარი ფაშას წინისწარმეტყველება	33
მიწისქვეშა სასახლეები	35

ახალი ნაპოვნები	38
ქვირფასი კოლექციის დაღუპვა	40
ლეიარდი სანადიროდ მიდის	41
პირველი ნადავლი	43
ქ. მოსულის გუბერნატორის ოინებში	45
ნიშროდის თავი	47
ფრთიანი კაცისთავიანი ზუთფეხა ხარი	49
ორი მეფოდი	52
კოლონიზატორთა ზნე-ჩვეულებანი	55
ლეიარდი იყენებს ასურბანიფალის დროინდელ ტექნიკას	57
ლეიარდი სჯის „უჩრებს“	59
ნინევიის მოულოდნელი აღმოჩენა	60
ჟღენაური პატარა აგურები	62

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

როგორ წაიკითხვან ლურსმული წარწერები

დამწერლობა თუ მოხატულობა?	66
იტლიელი ვაჭრისა და დანიელი მეცნიერის ჩანახატები	67
დანავსული მათემატიკოსი	71
სწორი გზით	73
რებუსი ამოხსნილია!	75
გროტეფენდის ნაკვალევზე	82
თოკით ცასა და დედამიწას შორის	83
რაულინსონი მანევრებს ატარებს	89
ბაბილონური დამწერლობის საიდუმლოებანი	90
მეცნიერთა გამოცდა	98

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

სამამშულო მემცნიერების სასახელოდ

სააზიო მუზეუმი	105
სახელოვანი წინამორბედნი	106
ურარტუ	111
ამიერკავკასიაში	116

ნაუშინი თაფლის კვერი და ხორსაბადული ცხენები	. 121
„ლურსმული სიგელი“	. 124
პირველი ასურული ლექსიკონი	„ . 125
აკადემიკოსი ბ. ა. ტურაევი	. 127
დაუწერელი მარტიანის ფურცელი	. 131
თიხის წიგნები	„ . 137

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

მუშა—მსოფლიო მნიშვნელობის მესანიერი

ჯორჯ სმიტი ჰრის ლურსმულ წარწერებს	„ . 140
ნიჰიერი თვითნასწავლი	. 141
საოცნებო საწყობებში	„ „ . 142?
სენსაციური აღმოჩენა	„ „ . 146
ექსპედიცია ფირფიტის ნატეხების მოსაძებნად	„ . 147
კვლავ ნინევიაში	„ . 151
ჯორჯ სმიტის დაღუპვა	. 156

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

როგორ ამჯადებდნენ თიხის წიგნებს

ლურსმული დამწერლობის წარმოშობა	. 158
მწერელთა სკოლები	. 160
ლექსიკონები და სახელმძღვანელოები	. 163
როგორ იქმნებოდა ნინევის ბიბლიოთეკა	„ . 168
შტამბი, ყდა, სათაური, კატალოგები	. 169
ბიბლიოთეკის საარქივო განყოფილება	. 171
წიგნის ბეჭდვის საწყისები	„ . 173
ბეჭედი — ცილინდრი	„ „ . 174
მდიდარი მემკვიდრეობა	. 176

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი ღ ე

ნინევის ბიბლიოთეკის მფლობელი და მისი ეპოქა

ასურბანიფალი საკუთარი პიროვნების შესახებ	. 178
არმიის რეორგანიზაცია	. 179
ზორს გამიზნული პოლიტიკა	. 182

ზალულის ბრძოლა	. 187
ბაბილონის დანგრევა	. 189
ბაბილონის აღდგენა	. 191
„მსოფლიო“ სამხედრო-პარაზიტული სახელმწიფოს შემკვიდრე	194
ყვებტეზე გალაშქრება	. 196
ელამის კამპანია	. 200
მრისხანე კოალიცია	. 204
ძვლებსა და სისხლზე	: 209
თიხისფეხებიანი კოლოსი	: 213
შურისგების დასაწყისი	. 215
„ლომთა ბუნაგის“ — ნინევიის, დამბობა	. 217
ასურეთის განადგურება	. 219

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

ძველი შუამდინარეთის მითები და თქმულებები

თქვადების მაძიებელი ვილგამეშის თევგადასავალი	. 220
ფანტასტიკური საფარველის გარეშე	. 234
თქმულება ადაპაზე	. 237
არწივის ფრთებზე	. 240
მითი სამყაროს შესახებ	. 243
ქალღმერთ იშთარის ჩასვლა ქვესკნელს	. 254

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მცენიერებაანი

ციფრები და რიცხვები	. 261
სამოცობითი სისტემა	. 263
საანგარიშო ცხრილები	. 257
ფართობისა და მოცულობის გაზომვა	. 268
ზომის ერთეულები	. 269
კალენდარი	. 271
რამდენს იწონის ერთი წუთი	. 272
ახალი მთვარის ძებნა	. 273
ასტრონომია და ასტროლოგია	. 275
სამყაროს აგებულება	. 279

ცის გეოგრაფია	. 281
... და მიწის გეოგრაფია	, 282
ზოოლოგიის, ბოტანიკის, ფიზიკის და ქიმიის საწყისები	. 285

თ ა ვ ი შ ე ა თ ე

მედიცინა და ფარმაცოლოგია

პეროდოტეს წინააღმდეგ	. 291
„მოპკვეთეთ მას ხელები“	. 293
დაავადების მიზეზები	. 295
უძველესი კარაბადინები	. 298
წამლები	, 302
შეხვევა, დაზღვევა, ტანვარჯიში	. 305
დემონების გამოდევნა	. 306

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

მონათმფლობელთა კანონები

კანონის გარეშე	. 309
ადამიანის ფასი	. 310
ბილაღამის სამართლის წიგნი	. 312
რას მოგვიზარობს „მოსაწყენი“ წიგნები .	. 317
ვაეიშვილის გაყიდვა	. 319
ცოცხალი გირაო	. 320
შვილად აყვანის საფარქვეშ	. 322
ზეღაშხედველის მათრახის ქვეშ	. 323
სიკვდილის ბანაკები	. 325
მეცნიერების ფალსიფიკატორები	. 329
ისტორიის წინსვლა 331
ნოკლე ლექსიკონი	. 336

**Львин Лев Александрович,
Белов Авраам Монсеевич**

ГЛИНЯНЫЕ КНИГИ

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1970

რედაქტორი ვრ. გიორგაძე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ღარჩია
შხატეარი ი. კისელევი
მხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნორედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორები დ. კალანდარიშვილი და თ. ინჯია
გამომწვეები ვ. პირველი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X 11-69 წ.
ქაღალდის ზომა 50×84₁/16
ნაბეჭდი თაბახი 21,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.2
ტირაჟი 10.000 ფასი 1 მან. 42 კაპ. შეკვ. № 1047

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყ-
ვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვე-
ლობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома
Государственного Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати. Тбилиси, Пурцеладзе, 5